ეროვნული ბიბლიოთეკა

6

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

312
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

6

ივნისი
1983
თბილისი
სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა პ ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. **ზაურ ბოლქვაძე** — ლექსები
8. **ჯემალ ქარჩხაძე** — ქარავანი. რომანი. ნაწილი მეორე. დასაწყისი
38. **ტარიელ ბანდურია** — წიგნიდან „იმიტაციები“ — ლექსები
41. **ბონდო კეშელავა** — („მოთავვლები, მაგრამ არ ვწანობ სიცოცხლის“...). ლექსი
42. **გივი გალდასარია** — ვიღაც შეაფარეს მიწაყ თავი. მოთხრობა. დასაწყისი
67. **ჯემალ ჩახავა** — ლექსები
69. **ლალი ბერეგოვაძე** — მოთხრობები
86. **თუძა რაბი** — ლექსები. თარგმნა **მედეა კახიძემ**
88. **ბუბამ კაკაბაძე** — ნიგთი საკურნეველი. მოთხრობა

ზაურ ბოლქვაძე — 50

119. **მწერალთა კავშირის გაგეგიობის ბილო�va.**

ასფურცელა

120. **ვალენტინა ტატიშვილი** — მოთხრობები.
125. **ემზარ კვინიტაძე, ეზრა ჩხეტიანი, ავთანდილ მეგრელიშვილი, ბაია გელუტაშვილი** — ლექსები

წერილები

128. **ალეკო გაგალია** — სიცოცხლის პაროდია
135. **ნუგზარ შავგულიძე** — დროისა და სივრცის გარეშე
142. **დავით მეველური** — კრიტიკოსის კიბეზელი წიგნი

ახალი თარგმანები

145. **რაბინდრანათ თაგორი** — პოეზია და რიტმი. თარგმნა **ჯონდი ქილარჯიანმა**
147. **რალფ უოლდო ემერსონი** — ხასიათი. ინგლისურიდან თარგმნეს **ალეკო** და **ოსტომ ჩხეიძეებმა**

ხელოვნება

152. **ბიორგი ხუხაშვილი** — „ოტელოს“ ვნებათმხილველი.
160. **ოთა რამ „ცისარის“ ახალგაზრდა ავტორებზე.**

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბეძიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შუბაძე
ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჯანდურია
ბაადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

სამადლობელი

დიდი მადლობა, დიდი მადლობა,
ჩემო მშობელო, გამზრდელო
ხალხო!
სიცოცხლის ფიფქი ხელში მადნება
და, იქნებ, მეტი ვერასდროს
მნახოთ!..

თუ გინდათ, — ხვალე გქონდეთ
დიადი,
თუ გინდათ, — იყოთ ქვეყნად
მარადის, —
დაშვილიანდით! დააკვნიანდით!
ასი ამდენი გახდით! —
გამრავლდით!

გეფერებით და გეალერსებით
და გეფინებით ჩამავალ მზისფრად!..
სხვა არა მინდა: ჩემმა ლექსებმა
გაგიადვილონ სიძნელე გზისა!

მსახური ვიყავ ქართველი ერის!
არ მიცხოვრია ქვეყნად სიყალბით
და უკვდავება ის არის ჩემი, —
ასე ძალიან თქვენ რომ მიყვარდით!

●

მზეს ეფიცხება დედამიწა
საქართველოთი,
საქართველოდან მის სხეულში
სითბო შემოდის!

●

სასთუმალს უნდა გაიკრა
ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“! —
ის გაპოვნინებს ალი-კვალს
და მეცხრე ცაში აგიყვანს!

ილია

მტერს ებრძოდა ვაჟკაცურად!..
...ერის წყლული აჩნდა წყლულად!..
მზე იმისი არ ჩასულა! —
საქართველოს დარჩა სულად!

გალაკტიონი

გაქანებული დედამიწიდან
გალაქტიკაში გადახტა იგი!..
გალაკტიონი მზემ მიიზიდა
და შეუერთა საკუთარ
გვირგვინს!..

●

მკვახე ვაშლებო, ხსოვნაში
დამრჩით! —
მწიფობას როდი გაცლიდით
ბავშვი! —
ო, რა ტკბილები იყავით მაშინ,
რომ გიპარავდით მეზობლის ბაღში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მოედინება ალერსად,
მწვანე ნაპირებს ლოკავს!..
...ერთი, ჩემს სუფთა სუფსაში
მაბანავა და — მომკლა!

●

მაქვს არსებობის კოდექსად
ჩემივე ამოძახილი:
ო, რა ტკბილია, როდესაც
კვდები, ერისთვის დაღლილი!

●

ვნახე შატილი! — ავტირდი!..

ჟაგუა ამირეჯიბს

წავიკითხე შენი წიგნი! —
მონუსხული ვიყავ დიდხანს!..
და, როდესაც, — სავსემ ფიქრით, —
შეაღწია სისხლში სიტყვამ, —
გამინათდა სიტყვით სისხლი,
გამითბა და გამიბრწყინდა!

●

ვარ და ვიქნები მუდამ ამ აზრის,
თუმცა მაცოცხლებ, მანთებ,
მანათებ,—
შენ იმიტომ ხარ ასე ლამაზი,
რომ მე ვარსებობ ამ ქვეყანაზე!

●

დროს ვყავარ ხელში შეკლული!..
მარკესი მარეტიანებს! —
„დრო კი არ გადის, — შეკრული
წრეხაზის ირგვლივ ტრიალებს!“

●

არ არის ბოროტი,
არ არის მკაცრი
ცხოვრების ბოლოში
გასული კაცი!

●

გულის ტკივილი აღარ მირჩება!..
(გული ტკივილით უკეთ ფასდება!)
მინდა, შეკვრიბო ჩემი ბიჭები
და მოვეფერო უკანასკნელად!...

●

ცოტა ვიარე თუ ვიარე ბევრი,
დაბოლოს სიკვდილთან მივედი!..
სიკვდილით არ მთავრდება
ყველაფერი!—
კიდევ მაქვს რაღაცის იმედი!

●

ბედნიერების მოსვლას ვუცადე
დედის მუცლიდან მიწის
მუცლამდე!..

გურამ ასათიანი

იგი — ღვთიური — უღვთოდ
გათავდა,
უხმოდ, ღიმილით, აუღელვებლად!..
და დაუბრუნდა თავის სათავეს —
მარადიულსა და აუმღვრეველს!

●

ადამიანი ამაღლებს,
აუსაზღვროებს ზეცას,
ადამიანი ანათებს
ვარსკვლავებსაც და მზესაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურია

გურია დიდი წიგნია —
„გულისა გასაგმირალი“!..
მისი მთავარი მოქმედი
გმირია ნასაკირალი!..

მოყვრისთვის — მზე და სითბოა!..
მტრისთვის — ყინვა და სუსხია!..
გურია არის გმირობით
მსუნთქავი რევოლუცია!

ანდერძი შვილს

შენი იმედით ვკვდები, იცოდე,
და ქვეყანაზე გტოვებ ნათელ
სხივს!..
სხვა არაფერი — შენი სიცოცხლე
არის, ელისო, ჩემი ანდერძი!

ჩემიანებს

მივდივარ თქვენგან! —
სამუდამოდ გშორდებით,
გკარგავთ!..
კარგად იყავით!
თუმცა, როგორ იქნებით კარგად?!

●

ქართულო ენავ — მზის
დაბადებავ —
ჩემი პირველი ხარ საფიცარი!
შენს ბრწყინვალებას რომ
ეკადრება,
ნეტავი, ისე როდის გისწავლი?!

ციკლიდან „გარდასულ დროთა პოეტის ალსარებანი“

●

აჰა, გავსრულდი!... გული
დამძიმდა!..
დამთავრდა ჩემი ღელვა!..
მამულო, მეონდა რაც კი რამ
წმინდა,
შენ შემოგწირე ყველა!..

●

ამ ნეშტში, — თქვენ რომ
ცრემლებით უმზერთ, —
მონის სიცოცხლით ვცოცხლობდი
ერთხანს!
გავთავისუფლდი! — მეღირსა
უცებ!—
და სამუდამოდ მივდივარ
ღმერთთან!

●

უშენობით სიკვდილში ვარ! —
სული მტკივა, სისხლი მტკივა!..

●

კუბოს, — წინ რომ მეღობება, —
ლექსით ვარლვევ ვაჟკაცურად!..
თქვენთანა ვარ, მეგობრებო! —
მე არსადაც არ წავსულვარ!..

●

გამშრალია, დაცლილია
სისხლისგან, —
სადაც უნდა დავიმარხო, — ის მიწა!..

●

გადავიჩეხე საკუთარი
სულის უფსკრულში! —
ვერ ამოვდივარ! — ვარ უძლური,
ყოვლად უძლური!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თუ შეეძელ ამ ცხოვრებიდან
იმ ცხოვრებაში გაღწევა, —
იქ ძველი ნაცნობები მყავს! —
სხვაზე ნაკლები არც მე ვარ!

●

გზა აღარ მაქვს შენს იქით —
მე — ტკივილთან მორკინალს!..
შენ ედები ჩემს სიკვდილს
უტკივილო ბორკილად!..

●

თარიღი სწრაფად მისდევს
თარიღებს,
გარდაცვალების მოდის ციკლონი!..
სიკვდილში ოთხი კაცი წამიღებს,
უკვდავებაში — ოთხი სტრიქონი!..

●

სიკვდილი მხსნელად იცანი!
გრძელია მისი არსება!
ადამიანი ის არის,
სიკვდილის შემდეგ რაც რჩება!

●

არ გირჩევთ ამის დავიწყებას:
ტანჯვის დასასრული არ დადგება!
ტანჯვა სიცოცხლით არ იწყება!
ტანჯვა სიკვდილით არ მთავრდება!

●

ყველაზე უფრო მაღალ გენიად
ადამიანი ვცანი!
ყველაზე უფრო მომწამვლელია
ადამიანის შხამი!..

●

თავისუფლების ძებნაში ვკვდები!..
თავისუფლების ვნატრულობ
მერანს!..
თავისუფლების ძებნაში მკვდრების
აჯანყებაა მიწისძვრა! — მჯერა!

●

ცეცხლს უკიდებს როცა მტერი,
როცა ერის იწვის სახლი, —
ცეცხლი იგი ერება ბევრი
ერისკაცის სისხლის დაღვრით!

ციკლიდან „ირონიული ლირიკა“

ღმერთის აღსარება

ადამიანის შექმნამ, ვხედავ,
არ გამიმართლა! —
აწი მე ახალ ექსპერიმენტს
აღარ მივმართავ!

ნეგატივიზმის პერიოდში

ქრთამს იღებდნენ და არ
იყენებდნენ
მას ჯოჯოხეთის გასანათებლად!
ტახტებზე სვამდნენ
დამარცხებულებს,
გამარჯვებულებს ასამართლებდნენ!

●

ზოგი პოეტის ვერლიბრი
ჰყვავის და ნაყოფს ვერ იბამს!

●

ვენაცვალე რითმიან ლექსს!
ტანში სისხლად მითქრიალებს!

●

იმედს მივენდე, იმედს მივნებდი
და მაქვს იმედის დიდი იმედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვდგავარ სიკვდილის რიგში!..
ვკარგავ ყოველგვარ იმედს!..
თან თვალს ვადევნებ, ურიგოდ
წინ არ გამისწროს ვინმემ!

●

პოეტობდა წლობითა,
აწვალებდა სტრიქონსა!..
ბოლოს პოეტობიდან
ჩამოპროზაიკოსდა!..

●

მე ორ აპრილს ვარ
ბორკილაყრილი,
დაბადებული დარით, ვარდებით!..
ძალიან მიყვარს ორი აპრილი,
ვწუხვარ: მეტს ვეღარ
დავიბადები!..

●

მე იმიტომ მაქვს ხუმრობის
ასეთი დიდი ხალისი,
რომ ვიცი, — უნდა ვიცოცხლო,
რომ უნდა მოვკვდე, — არ ვიცი!

●

თუ ვეღარ წერს ლექსს პოეტი,
იგი არის ექსპოეტი!

●

სჯობს ათასი ლექსით წასულს,
ყოველთვის,
ერთი ლექსით დარჩენილი პოეტი!

●

ახალგაზრდებზე
ახლა ვბრაზდებით,
როცა აღარ ვართ
ახალგაზრდები!

ყველას, — ვისაც ვუყვარვარ და ვინც მიყვარს!

თქვენით ვარსებობ, ვსუნთქავ ჯერ
კიდევ
და ვიტან გულში ჩასობილ ეკლებს!..
მე ჩემს ბანკეტზე ვეღარ შეგკრიბეთ,
ჩემს კუბოსთან კი — უკლებლად
შეგკრებთ!..

იმპერიალისტი

ისე ბატონობს სხვის ღვიძლ
მამულში,
რომ არც აწუხებს სინდის-ნამუსი!

პოეტი — ექსპერიმენტატორი

ჩვენთვის სრულყოფილ
ლექსს ვერ იმეტებს,
იმეტებს მარტო
ექსპერიმენტებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

რომანი

თავი მეცამეტე

აბელმა კარი გამოიხურა, კიბე სწრაფად ჩაიარა და ქუჩაში გავიდა. თან გაურკვეველი, მაგრამ თავდაუდწეველი გრძნობა გამოჰყვა. იგი გაურკვეველი იყო იმის გამო, რომ შეურიგებელ, ერთმანეთში უცნაურად გარდამავალ წინააღმდეგობათაგან შედგებოდა. ჯერ ერთი, ეს იყო რაღაცნაირი მოტკბო მხნეობა, რომელიც საკუთარ თავს ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ ამის გამო, უფრო მეტი მონდომებით მოიწევდა წინა პლანზე და ცდილობდა, დღის სინათლისკენ საღი გვერდი მოექცია. ამავე დროს, ამ თავგამოდებულ მხნეობასთან ერთად და (თუკი ამის წარმოდგენა შეიძლება) სწორედ ამ მხნეობის ადგილას იყო უსასრულო სიცარიელე, მტკივნეული უფსკრული. სიცარიელე, რომელიც, ერთის მხრივ, თითქოს ყველაფერს წვდებოდა და ყველაფერს თავის დაღს ასვამდა, მეორე მხრივ, კი გლუვი იყო, ჩაკეტილი, არ ძალუძდა საკუთარი თავიდან გამოსულიყო და თავისი ცარიელი საცეცებით ირგვლივ მყოფ საგნებსა და მოვლენებს მიწვდენოდა. დაბოლოს, აქ იყო სისულელის მძაფრი განცდა. ხელმოკლე და ღატაკი აზრი ყოჩაღად კი ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივ, მაგრამ მისი მოქმედების არე სასაცილოდ მცირეა, ხოლო მისი სურვილი და შესაძლებლობა კომიკურად შეუსაბამო.

ეს გაურკვეველი გრძნობა იყო ძლივს გასარჩევი კვალი, იმ სამყაროს სუნი, საიდანაც აბელი გამოვიდა, ქვეყნიერებას მოწყვეტილი და ქვეყნიერებაში უწყვეტად განფენილი სამყაროსი, სადაც შავი ჩრდილები შავად ჩასაფრებულან და გატრუნული ელოდებიან მსხვერპლს, რათა მახრჩობელა გველებივით შემოეხვიონ და სული გამოსწოვონ, და სადაც უხმაუროდ და უჩინრად დადის არიოსტოს გაუგონარი სიმშვიდე და გამოუცნობ წესრიგს ამყარებს.

რა იოლად, რა უგუნური თავდაჯერებით მსჯელობს ერთი კაცი მეორეზე! რა ბრიყვულად სჯერა, რომ შეუძლია დაშალოს, ააწყოს, იცოდეს. როგორ შეიძლება იცოდე, რა არის არიოსტო ხოფერია! რაოდენ სულელი უნ-

---

ნაწილი მეორე. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 9, 10, 11, 12, 1982 წ.

და იყო, რომ არიოსტოს დარდს, სიმწარეს, გააფთრებას, არიოსტოს თითქოსდა ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ ჭირვეულობას ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოუძებნო. ვის დაუნახავს, ან ვის შეუძლია დაინახოს, რა სიღრმიდან და რა ტკივილით ამოაქვს არიოსტოს ის ძაფები, რომლებითაც თავისი უფსკრულიდან გამოსული, გარე სამყაროსთან აბამს კავშირს? ვის შეუძლია გაითვალისწინოს, რომ არიოსტოს არსებაში გამუდმებით ზის სამი უაზრო არსება და სამივე თავთავიანთ კვალს ამჩნევს, თავთავიანთ დაღს ასვამს მისი ნაბიჯის სიმტკიცეს, მისი სუნთქვის სიხშირეს, მისი ხმის ინტონაციას, მის გამწარებას, მის უბედურებას, მის სიცოცხლეს!

აბელს გაახსენდა, როგორ დაადარა ამ დილით სინდისზე და სხვა მაღალ მატერიებზე ელპარაკა მასთან, ან სახეზე სირცხვილის ალმურმა გადაუარა, რადგან წამით წარმოიდგინა, რა იქნებოდა, ეს გადაწყვეტილება რომ მართლა შეესრულებია. ვინ ოხერი ხარ შენ, რომ სინდისზე ილაპარაკო, მით უმეტეს, ისეთ კაცს ელაპარაკო სინდისზე, რომელზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვს, არ იცი, რომ სინდისიც, მთელი სიცოცხლეც და ყველაფერი, რაც კი ადამიანის სიცოცხლეში შედის, მს უკვე გაცემული აქვს და თვითონ აღარ ეკუთვნის. ის რომ ერთ მშვენიერ დღეს გადაბრუნდეს და მოკვდეს, მის უსულო გვამში სამი სულიერი არსება დარჩება. უპატრონოდ, უსასოოდ, უგონოდ.

არიოსტო ხოფერიასთან სტუმრობამ აბელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ნაცნობობა და ხასიათი სავსებით პირობითი ცნებებია, რომლებშიაც ჩვეულებრივ იგულისხმება გარეგნობის მსგავლი, თვალში საცემი შტრიხები (რომლებიც შეიძლება სულაც არ გამოდგეს არსებითი.) და სულიერი ცხოვრების ზოგადი, ბუნდოვანი გეზი (რომელიც შეიძლება დროებითი კალაპოტი აღმოჩნდეს). სინამდვილეში ეს არის თვალსაჩინოებისათვის გამარტივებული სქემა და იგი არავითარ წარმოდგენას არ იძლევა პიროვნების ინდივიდუალობაზე, რადგან ინდივიდუალობა ურთიერთობათა ურიცხვ ხლართებშია გაბნეული. როგორ შეიძლება, ვთქვათ, არიოსტო ხოფერიაზე ლაპარაკი, მისი პორტრეტის დახატვა იმ სამი ქალის გაუთვალისწინებლად, რომლებიც სამი შავი აჩრდილივით დადიან მის სახლში, მის გულში, მის სისხლში, მის ტვინში! მეტიც: ამ ქალებთან ურთიერთობა ისეთ რთულ კომბინაციებს ქმნის არიოსტოს არსებაში, ისეთ იმპულსებს ბადებს და ხასიათის ისეთ ფერებად იქცევა, რომლებსაც უკვე აღარავითარი გარეგნული კავშირი არა აქვთ თავიანთ წარმომშობ მიზეზებთან და სრულიად დამოუკიდებელ ძალებად მოქმედებენ. ამიტომ, თუ გინდა არიოსტო ხოფერიას ნამდვილი პორტრეტი დაიკიდო საწოლის თავზე, ჯერ კარგად უნდა შეისწავლო მისი ყველა მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, გარდაუვალი და შემთხვევითი ურთიერთობა, რადგან ეს არის ტკივილისა და სიხარულის წყარო, ზნეობრივი, ფიზიკური, გონებრივი ცხოვრების მთავარი ბიძგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „თვალღება“ ძველ ქართულში, იქნება არა მისი სურათი, არამედ უნებური ავტოკარიკატურა, შენი უვიცი თავდაჯერების საცოდავი პორტრეტი. ანდა ავიღოთ ვანო როსტიაშვილი. განა შეიძლება რამდენადმე სწორი წარმოდგენა იქონიო მასზე, სანამ არ ნახავ მის სიდედრს, რომელსაც ცოცხი უჭირავს ხელში და საწყალ სიძეს, დაჭმუჭნილს, მთვრალს, გაუბედურებულს, სახლიდან გვის, როგორც აბლაბუდას?

ყველაზე მეტად აბელს აკვირვებდა ის ერთი შეხედვით (ალბათ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა
SAKENCRUNIS

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაუვალობის გამო) ბუნებრივი და უბრალო ფაქტი, რომ ყველა ესენი: სიდედრები, ცოლები, დედები, შვილები, არიოსტო, გედეონი, კოლია, გულმოღეღილი ყოჩი, რომელიც სიამოვნებით გესვრის თოფს, მაგრამ არასოდეს სამალავიდან არ გესვრის, ტყირპიანი, რომელიც აგრეთვე სიამოვნებით გესვრის თოფს, მაგრამ გესვრის მხოლოდ სამალავიდან, ყველა ესენი თავის დროზე ბავშვები იყვნენ, პატარები, ბუთხუზები, სიცოცხლითა და სიკეთით სავსენი, ისეთები, როგორიცაა მშვენიერი ქეთი, ნათელი და ცოტა სევდიანი ნინიკო, სულელი და საყვარელი გოგიტა. მაშასადამე, არავის არ ძალუძს წინასწარ თქვას, რომ გოგიტასაგან არ გამოვა რომელიმე კოლია ან კაკო ორჯონიკიძე, ხოლო ქეთისაგან ის მაკრატლიანი გოგონა, ცარიელი თვალებითა და ტანში გამბურძგლავი ღრუტუნით.

ზამთარში, როდესაც ღამე გრძელია, შენ კი აგუზგუზებული ბუხრის პირას ზიხარ და ცეცხლს ჩასცქერი, ასეთმა ფიქრებმა შეიძლება ძალიან შორს გაგიტაცოს, მთელი ქალაქისა და მთელი ქვეყნის მცხოვრებლები სახლებიდან გამოგარეკნონ და გონების თვალწინ გადაშლილ ვრცელ მინდორზე ერთად შეგაყრევინოს საჭვრეტად და საკრიკეტოდ. არც ეს გაკმაროს, კიდევ უფრო ღრმად შეგატოპინოს და ისეთი მკრეხელური რამ გაფიქრებინოს, როგორიცაა, ვთქვათ, შემაშფოთებელი აზრი იმის შესახებ, რომ არიოსტო ხოფერიას მაკრატლიანი გოგონა თავისი ერის კანონიერი შვილია და, მაშასადამე, რაღაც კუთხითა და რაღაც დოზით მისი ბუნების მატარებელი. იმ ქვეყანაში, სადაც ფორმალური პატრიოტიზმის კულტი ძალიან ძლიერია, ასეთი რამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ არც ისაა იოლი, რომ ტვინში შემოხეტებული აზრი ძალისძალად გააგდო. საბედნიეროდ, ამ დაუშვებელ ფიქრს იქვე აქარწყლებს (ამსუბუქებს მაინც) სხვა ფიქრი, კერძოდ, ის, რომ იგივე ერი დროდადრო თავდროე ძღვდელსაც შობს. ხოლო, აქედან გამომდინარე, უეჭველად დაისმება კითხვა: ასეთ წინააღმდეგობრივ ვითარებაში, მაინც რა განსაზღვრავს ერის სახეს, შვილების უბრალო არითმეტიკული თანაფარდობა თუ პოლარული ამოფრქვევები? ანდა რა დამოკიდებულებაა ერსა და ერის შვილებს შორის? ერს ითმავითვე, ერთხელ და სამუდამოდ აქვს მინიჭებული გარკვეული პოტენცია, მისია და გეზი და ამის მიხედვით უშობს ეპოქას შვილებს, თუ შვილების სულიერი და გონებრივი მიდრეკილებები ქმნის ერის სახეს? ზოგადი ისტორია გვასწავლის, რომ ქართველობა არის ხმალამოღებული და მომღერალი ერი, მაგრამ დღეს, როცა ხმალი რკინად იქცა, ხოლო სიმღერა — საკონცერტო ნომრად, ეს განსაზღვრება ცოტა სასაცილოც კი ჩანს. მაშ, რა ვიფიქროთ ბუხრის პირას ზამთრის გრძელ ღამეში? ვიფიქროთ, რომ ერი მრავალწახნაგოვანი ცნებაა და ყოველ ცალკეულ მომენტში ერთი რომელიმე წახნაგი აქვს მზისკენ მოქცეული. დღეს ეს წახნაგი არც ხმალია და არც სიმღერა. რაღაც სხვა არის. კერძოდ, რა? რით, რა ძირითადი ნიშნით ხასიათდება ის წახნაგი, რომელიც ამჟამადაა წინა პლანზე წამოწეული? რა სულიერმა ძვრებმა მოიყვანეს სწორედ ამ მდგომარეობაში? ვინ განსაზღვრავს დღეს მის სახეს? ვინ ატარებს დღეს ამ წახნაგის მუხტს? გედეონ რევია? სამსონი? კაკო ორჯონიკიძე?

ჩვენ, ჩვენი მხრივ, აბელის ამ უპასუხო კითხვებს კიდევ რამდენიმე უპასუხო კითხვას დავუმატებთ. კერძოდ: თავად აბელი ვინღაა? რატომ მაინც დამინაცვალეს ეს სამი კაცი დაასახელა? რატომ ჰგონია, რომ ერის დღევანდელი სულიერი მუხტი რომელიმე მათგანშია საძებნელი და არა, ვთქვათ, დათიკო ბარბაბაძეში, თუმცა სწორედ დათიკო ბარბაბაძეა ის კაცი, ვისაც, როგორც ამბობენ, ქალაქის ყველა სადავე უპირავს ხელში, ხოლო ლოგიკის ძალით,

მთელი ქვეყნის სადავეც მის რომელიმე უფროს ძმას უნდა ეპყრას? ანდა რატომ არ დაასახელა ასლან ბორდაძე, რომელიც საერთოდ არ გახსენებია?

უპასუხო კითხვები, უპასუხო კითხვებია, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს და ნელ-ნელა, ჯიუტად, გულმოდგინედ, როგორც წვეთ-წვეთად ჩამომდინარე წყალი, ბურღავს კლდეს.

მერე რა მოხდება, კლდე რომ მართლა გაიბურღოს, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიტყვით, რომ აბელის ფიქრები და საქმიანობა ერთ საერთო კალაპოტში მიედინებოდა. უფრო მეტიც: ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს ეს ფიქრები უსაგნო ფიქრები იყო, რომლებიც თავიანთი საბუდრიდან აშალა არიოსტო ხოფერიასთან სტუმრობის მძიმე შთაბეჭდილებამ. მართლაც ამ ამბის შემდეგ კარგა ხანს გაჰყვა საკუთარი სისულელის განცდა და სირცხვილის გრძნობა, რის გამოც მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში თვალს ვერ უსწორებდა არიოსტო ხოფერიას.

უცხო ქალაქთან შეხვედრის პირველი შთაბეჭდილებები განელდა, გაცნობის ცერემონიალი დამთავრდა, ურთიერთობათა ძაფები გაიბა და დადგა ჟამი, როცა სტუმარი მასპინძლად იქცევი, თავს საკუთარ სახლში გრძნობ და, ვინმემ რომ გკითხოს, სადაური ხარო, უბრალოდ და მშვიდად მისცემ ერთადერთსა და თავისთავად ცხად პასუხს — აქაურიო.

აბელი, ამ პატარა ქალაქის უცხო დინებაში მოქცეული, ერთხანს კი გრძნობდა განსხვავებულ ტემპერატურას, მაგრამ თანდათან შეეგუა და მალე მიღებულ იქნა საერთო ძმობაში, რომელიც არც ჩამოყალიბებული და არც არასოდეს ჩამოყალიბდება და რომელშიაც ერთმანეთს უფრთხილდებიან, ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთს ჭამენ. აბელმა საბოლოოდ მოიკიდა ფეხი ახალ მიწაზე და თბილისი, სახლი, წარსული მხოლოდ ათასში ერთხელ თუ შეახსენებდა თავს, როგორც რეგმატიზმი ამინდის მკვეთრი ცვლილებიდან დროს.

რეპეტიციები ხალისიანი გახდა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ არიოსტო ხოფერია აშკარად გამოიცვალა. მართალია, ცდილობდა ძველებურად ჭირვეული ყოფილიყო, მაგრამ ახლა მის მწყარალ თავდაჯერებაში გაცილებით უფრო მკაფიოდ ჩანდა თეატალური ნიღაბი და ზოგჯერ, როცა საკუთარ თავს საჭირო კონტროლს ვერ უწევდა, მის უკან ლმობიერება ჟონავდა. აბელს თითქმის სრული თავისუფლება მისცა, ყოველ შემთხვევაში, დიდად გაუფართოოვა მოქმედების არე, ვრცელ მინდორზე გაუშვა საკუნტრუშოდ და სადალახოდ. სადავეები თვითონ ეჭირა ხელში, მაგრამ არც მის მოწევას ჩქარობდა, თუ ცხენი მაინცდამაინც ღობიდან გადახტომას არ მოიწადინებდა. ასეთმა თავისუფლებამ მინაჯული ცეცხლი აბელს ისევ გაუდვივა და თამაში მოანატრა. შესახიობის უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რომ როლი გამოსდიოდა და ეს კიდევ უფრო ახალისებდა. ამ პერიოდში ცხოვრება სხვა მხრივაც კარგად აეწყო. მართალია, იმაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, რომ კვირას ისე გაეკლო, სუფრაზე არ მოხვედრილიყო, რადგან ამ ქალაქში სუფრა იყო არა მხოლოდ სმა-ჭამა და დროსტარება, არამედ სიცოცხლის ერთ-ერთი აუცილებელი, თუმცა ძნელად გასაგები პირობა, მაგრამ ვაჟკაცურად იგერიებდა თანამესუფრეთა შემოტევებს და არ ითრობოდა. თავისუფალ დროს თითქმის ერთთავად შინ ატარებდა და ნელა, სიამოვნებით, ყურადღებით კითხულობდა. თავდაპირველად კითხულობდა იმას, რაც თან ჩამოიტანა ანდა ამ ქალაქში, ძირითადად სამსონთან, შეიძინა. სამკითხველო და ბიბლიოთეკა ბავშვობიდანვე სძულდა. ცო-

ტა ხნის შემდეგ, როდესაც გედეონ რევიას დაუახლოვდა და მასთან ისეთი ურთიერთობა გააბა, რომელსაც უკეთესი სიტყვის უქონლობის გამო შეიძლება მეგობრობა ვუწოდოთ, ამ მხრივ მშვენიერი ასპარეზი გადაეშალა, და კარგადაც ისარგებლა, ჯერჯერობით კი იმით კმაყოფილდებოდა, რაც შინ ჰქონდა. რაც მთავარია, კითხვა სიამოვნებას ანიჭებდა. აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში შეშფოთებით აკვირდებოდა, რომ მიუხედავად საკუთარი თავის მიმართ ერთგვარი ძალადობისა, წიგნებს გულს ვერ უდებდა. საბედნიეროდ, მალე გამოირკვა, რომ ეს დროებითი კრიზისი იყო, გამოწვეული ახალ ცხოვრებასთან შეხვედრის მძაფრი შთაბეჭდილებებით. მერე, როცა შთაბეჭდილებები დაცხრა, კითხვის სიყვარული კვლავ დაუბრუნდა. სტუმრად თითქმის არავისთან დადიოდა და მასთანაც თითქმის არავინ მოდიოდა. ერთადერთი გამონაკლისი გორდაძეები იყვნენ. ასლანი ორ-სამ დღეში ერთხელ უეჭველად შემოვლიდა. გორდაძეებთან თვითონაც დადიოდა. აქ ურთიერთობათა ფორმალური შუქნიშნები ჩამქრალი იყო და თავს ბუნებრივად და თავისუფლად გრძნობდა. ნანოს გაუთავებელ გეგმებს მისი მომავალი დაქორწინების შესახებ სიცილით ისმენდა და ცოტათი სიამოვნებდა კიდეც რაღაცნაირი ნახევრად ხერიოზული სიამოვნებით. ნანო კარგი იყო, ხალისიანი, ცოცხალი, გამრჯე და თვალებნათელი. იმითაც კარგი იყო, რომ უჩვეულო სიყვარულით უყვარდა ქართული პოეზია, კითხულობდა უკლებლივ ყველა პოეტის ყველა ლექსს და აღტაცებით ამტკიცებდა, რომ ქართველი პოეტი ცუდიც კი კარგია. რაც შეეხება ასლანს, ვინც კი მოსწონდა და შინაურად ეგულებოდა, მისთვის გულის კარი ყურთამდე ჰქონდა ღია. თავისუფლად შეგეძლო შესულიყავი და კარგად დაგვთვალიერებია იქაურობა, მარტივი მოწყობილობა, სადა, მიამიტური, მაგრამ სუფთა, ფაქიზი და მკაფიო. ყველაზე მეტად აბელს მაინც ბავშვებთან ყოფნა და თამაში სიამოვნებდა. როდესაც ბიჭებს ეჭიდავებოდა, ნინიკო მაყურებელი იყო, რათა მერე მაყურებლისთვის დაწესებული სილამაზის პრიზი მიეღო. ჭიდაობის გარდა, თამაშის პროგრამაში შედიოდა ზღაპრები, რომლებსაც ბავშვებით გარშემორტყმული აბელი სახელდახელოდ იგონებდა, აგრეთვე ლექსების თქმა, გუნდაობა და სიმღერა. ნინიკოს მშვენიერი სმენა ჰქონდა და აბელთან ერთად ჩინებულად მღეროდა. ტყუპებსაც არა უჭირდათ, მაგრამ სულელი გოგიტა რომ გაიჭიფზებოდა და აკუყვლდებოდა, თვით ბატონი სევერიანეც კი ვერ იკავებდა ღიმილს.

როდესაც აბელი, ენთუზიაზმით, იმედებითა და სტანისლავსკის სისტემით კბილებამდე შეიარაღებული, კეთილშობილი დამპყრობივით მოდიოდა ამ პატარა ქალაქზე სალაშქროდ, მისი ნაცადი ოცნება გონებაში მრავალ საინტერესო ეპიზოდს ხატავდა. ოცნებაში თავად ქალაქიც უჩვეულო იყო — ლამაზი, კოხტა, აყვავებული, რბილი და სიზმრისეული, ბევრი მზით, ბევრი ყვავილითა და ფერადი ღობეებით. და ამ ქალაქში აბელს ელოდა მეგობარი, რომელსაც ერთი-ორი შტრიხი ლადო მენაბდისა ჰქონდა, ძირითადად კი ფანტაზიის უსაზღვროებაში იქმნებოდა. აბელი თავადვე გრძნობდა საკუთარი ფანტაზიის უნიადაგობას და, სამართლე რომ ითქვას, დიდად არ გასცრუებია იმედები, როცა იდეალური ქალაქისა და იდეალური მეგობრის ნაცვლად იპოვა უსახური, მოსაწყენი პროვინციის ზანტი და ზერელე ცხოვრება, რომელიც თავის წვრილმან, ყოველდღიურ საზრუნავში იყო ჩაფლული და, თუკი ამ საზრუნავიდან რამე გადარჩებოდა, მხოლოდ ეს გადარჩენილი შეიძლებოდა გამოემეტებია შენთვის. მეგობარი, ცხადია, არ დახვედრია. იმიტომ რომ ეს მეგობარი თვითონ მოჰყავდა თავისი ოცნების ხურჯინით და სინამდვილეში იგი სხვა არავინ

იყო, თუ არა საკუთარი ფანტასტიკური ორეული. დახვედრით, როსტიაშვილებსა და ორკონიკიძეებზე რომ არ ვილაპარაკოთ, დახვდა ასლანი, თეიმურაზ კილაძე, გედეონ რევია, რომან ადეიშვილი. ასლანი, თქმა არ უნდა, ძალიან კარგი კაცი იყო, ალალი, კეთილი, მიამიტი, მაგრამ მისი გონებრივი და სულიერი ჰირიზონტი სრულებით ვერ შეეფერებოდა ოცნების ოთხოვნას. თეიმურაზ კილაძე, ვიტრინის თოჯინასავით კოპწია და ლამაზი, პატარა, წვრილმანი, მფრთხალი, მუდამ ხელიდან სხლტებოდა, როგორც სპონი, და ისე არ გაგიბამდა ურთიერთობას, რომ იქვე, გვერდით საიმედო სორო არ ჰქონოდა დაგულებული, სადაც საშიშროების ჟამს სწრაფად შეეძლო შემძვრალიყო და დამალულიყო. რომან ადეიშვილს კაცი ვერაფერს გაუგებდა. საიდანაც არ უნდა შეგეხედათ, ერთ ცოცხალ ფერს ვერ შეამჩნევდით. თიმქოს მოძრავიც იყო, მარჯვეც, სპორტულიც კი, საუბრობდა, ოხუნჯობდა, სვამდა, მღეროდა, მაგრამ ყოველივე ეს მოჩვენებითი და დროებითი სიცოცხლე იყო. ბარაბაძის ქალი, ისევე როგორც თეიმურაზ კილაძესა და მრავალ სხვას, მასაც უყვარდა, მაგრამ ეს სიყვარულიც ინერტული და უსიცოცხლო იყო. მერი ბარაბაძე რომ ყველას უყვარდა, ამაში განსაკუთრებული არაფერი იყო. მერის რაღაც იდუმალ მომხიბლაობას ანიჭებდა მისი ბუნების მკვეთრი და სწრაფი ცვალებადობა. ერთი ხანმოკლე საუბრის განმავლობაში შეეძლო თანმიმდევრობით ყოფილიყო სერიოზული, დამცინავი, ჭირვეული, სენტიმენტალური, ცივი და მიუკარებელი, ქარაფშუტულად მხიარული, ამპარტავანი, მიამიტი. ამის ყველაზე მარტივი და რეალური ახსნა თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რომ მერი მდიდარი ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი იყო, ფუფუნებაში გაზრდილი და განებივრებული, მაგრამ ამ ახსნას ხელს უშლიდა ის უცნაური გარეგნება, რომ გარეგნობაც ასევე ცვალებადი ჰქონდა. სხეულის ნაწილები თითქოს ერთმანეთს არ ეკუთვნოდნენ და ერთმანეთთან კავშირში არ იყვნენ. ყოველი მათგანი თავის განსაკუთრებულ ნიშანს უსვამდა ხაზს, თავის განსაკუთრებულ ნიშანს წამოსწევდა წინა პლანზე და ეს ისეთ არეულობას ქმნიდა, გეგონებოდათ, მორჩენილი ნაწილებისაგან აუწყვიათო. მაგრამ მეორე წუთს ამ დამოუკიდებელ ნაწილებს რაღაც საერთო ძარღვი, რაღაც შეუმჩნეველი ჰარმონია შეკრავდა და ისეთი სილამაზე წარმოგიდგებოდათ თვალწინ, რომელიც მართლა ღმერი იყო კაცს არ შეუყვარებოდა. ცხადია, გარეგნობაში (ისევე როგორც ხასიათში) უცვლელი ნიშნებიც ჰქონდა, მაგრამ ეს ნიშნები ზოგადი ხასიათისა იყო და მხოლოდ ტიპოლოგიური (დაჯგუფებისთვის თუ გამოდგებოდა. კონკრეტულ შთაბეჭდილებას დეტალები ქმნიდა. დეტალები კი უცნაური და სპირიასპირო იყო. თხელი, ნაზი ცხვირით, ჩამუქებული თვალებით, სახის სწორი ოვალით, ხორბლისფერი კანით და ყვრიმალების მკაცრი, ნატიფი ხაზით ხან რომელიღაც იტალიელ კინოვარსკვლავს ჰგავდა და ხან სოფლელ გოგოს, რომელიც ეს წუთია დაბრუნდა სამწყემსურიდან. აბელმა მამამისის შესახებაც ბევრი რამ შეიტყო. ქალაქის ამ ლამის უგვირგვინო მეფეს თავისი კარიერის გზაზე სულ ციცაბო ალმართი, უმოკლესი გზით უვლია. ჯერ ფეხსაცმელების სახელოსნო გაუხსნია, მერე ეს სახელოსნო ფაბრიკად გადაუკეთებია, მერე ამ ფაბრიკისთვის სხვა ფაბრიკა შემოუერთებია და საბოლოოდ, რაც კი ქალაქში იკრებოდა, იკერებოდა, ირთვებოდა, იქსოვებოდა, ყველაფრის გამგებელი გამხდარა და ყველაფერი თავის ხელში მოუქცევია. ამ ტრიციალურ ამბავში საინტერესო ისაა, რომ წაგებული არ არსებობდა. დამლაგებლიდან მოყოლებული სახელმწიფოთი დამთავრებული ყველა მოგებული იყო. გეგმები

სრულდებოდა, პროდუქციის ხარისხი ეშვებ არ იწევდა და, როგორც ამბობდნენ, დათიკო ბარაბაძეს ყველა, ვინც კი მის გაერთიანებაში მუშაობდა, პირდაპირ სულში იძვრენდა, რადგან ოფიციალურთან ერთად თურმე არაოფიციალური ანაზღაურებაც ჰქონდა. ასეთი საქმიანობა მუდამ ფხვიერ, არასაიმედო ნიადაგზეა დადფუძნებული და საკმარისია ერთი მძლავრი შებერვა, რომ ეს ილუზიური ციხე-სიმაგრე ჩამოიქცეს და მრავალი ვინმე დაიტანოს ქვეშ. ამგვარ ვითარებაში მეცხოვნე იმდენად დიდ რისკს ეწევა, რომ პირადი გამდიდრების სურვილით ამის ახსნა ძნელი იქნება. ამელს ზოგჯერ უკვირდა, რომ ასეთი ციხე-სიმაგრეები მაინც დიდხანს ძლებენ, მაგრამ მალევე ხვდებოდა, რომ ეს არც ისე საკვირველია. პატარა გაერთიანებები კი არა, ისტორიამ მთელი სახელმწიფოები იცის, რომლებიც ასევე ფხვიერ, არასაიმედო ნიადაგზეა დადფუძნებული, სიცრუის„ დაშენების, ძალადობის ნიადაგზე, ყველა ნიშნის მიხედვით, თითქოს მალე უნდა დაიქცეს და დაიშალოს, მაგრამ რაღაც გაუგებარი ძალის წყალობით მაინც დგას და მაინც ძლებს.

ოცდაცხრა დეკემბერს პრემიერა გაიმართა. მთავარი ამბები გვიან მოხდა, თუმცა ორი ეპიზოდი, არც ისე მნიშვნელოვანი, რომ დეტალურად აღიწეროს, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო, რომ დუმილით ავუაროთ გვერდი, პრემიერამდე გათამაშდა. ერთი მათგანი ვანო როსტიაშვილს ეხებოდა. ვანო როსტიაშვილი ოჯახმა მალე შემოირიგა და შინ დაბრუნა. ამაში განსაკუთრებული და ახალი არაფერი ყოფილა. ოჯახის უღირსი მამა ადრეც არაერთხელ გაუძევებიათ და არაერთხელ შემოურიგებიათ. ახალი და განსაკუთრებული ვანოს მოულოდნელი გარდაქმნა იყო. ასეთი რამ ქალაქს არ ახსოვდა. ერთ მშვენიერ დღეს თოვლით თეთრად გადაპენტილ ქუჩებში გამოჩნდა სულ სხვა ვანო, — სუფთა, ლამაზი, მოვლილი, ინტელიგენტური შესახედაობის ვანო, გაუთოებული შარვლით, გაპრიალებული ფეხსაცმელებით, გაწმენდილი პალტოთი, გახამებული თეთრი პერანგით. ჰალსტუხიც კი ეკეთა, რაც აქამდე, მისი ტანჯული და ცოდვიანი სიცოცხლის მანძილზე, არასოდეს მომხდარა. მანერებიც შეეცვალა. ახლა გამართული დადიოდა, თავაწეული, და ყველას დიდი ღირსებით ესალმებოდა. ერთხელ ლუდხანაში ასლანის სუფრაზე მოხვდა. ეს ის შემთხვევა არ ყოფილა, „ნაცნობის“ ძებნაში რომ რომელიმე სუფრას „უცაბედად“ გადაეწყდებოდა. „ნაცნობებს“, როგორც ჩანს, უკვე აღარ ეძებდა. უბრალოდ, ასლანი, აბელი და კიდევ ორი-სამი კაცი თითო ჭიქის დასალევად მიდიოდნენ ლუდხანაში, გზად ვანო შემოხვდათ და თან წაიყვანეს. ვანო უარობდა, მაგრამ ეს ძველებურ, მოჩვენებით უარად ჩაუთვალეს და ძალისძალად წაიწიალეს. ჭიქები რომ შეავსეს, ვანომ ღვინის მაგიერ ბორჯომი დაისხა და გვარიანად გრძელი და მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა ალკოჰოლის მავნებლობის თაობაზე. თანამესუფრეები სახტად დარჩნენ. ვანომ კი ღვინო ახლოს არ გაიკარა, ცოტაოდენი ბორჯომი და ცოტაოდენი ლიმონათი დალია, ათის ნახევარზე რაღაც სხვანაირად შუბლშეკმუხნილმა საქმიანად დახედა საათს, ისევ ისე მაღალფარდოვანი სიტყვებით მოიბოდიშა, სახლში მელიან, დროზე რომ არ მივიდე, შეეშინდებათო, და წავიდა. წავიდა ღირსებით სავსე, ამაყი, თავაწეული, ფხიზელი და ჰალსტუხიანი. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის განმავლობაში ვანო როსტიაშვილი ქალაქის მთავარ სასაუბრო თემად იქცა.

მეორე ეპიზოდი, რომელმაც არანაკლები ყურადღება მიიპყრო, ის იყო, რომ ერთ დღეს აბელმა ალი ქალაქში სასეირნოდ გამოიყვანა. ალი დინჯად, დარბაისლურად მიაბიჯებდა \ აბელის გვერდით და გამგელ-გამომვლელებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. რაც შეეხება თავად გამგელ-გამომვლე-

ლებს, ისინი ორ განსხვავებულ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. ერთი ნაწილი, ვინც ალის პირველად ხედავდა, თვლიდა, რომ აბელის მხრივ, ეს იყო დიდი, ბომბორა ნაგაზით უბრალო თამეშწონება და კეკლუცობა; ამ კეკლუცობის მიმართ თავიანთ აგდებულ დამოკიდებულებას მიმიკის ოდნავი შეცვლით გამოხატავდნენ და მხოლოდ ის აღიზიანებდათ, რომ მოულოდნელი ხიფათის ან გაუთვალისწინებელი შეტაკებენის თავიდან ასაცილებლად ტროტუარიდან უნდა გადასულიყვნენ და ძაღლისთვის დაეთმოთ გზა, თანაც, ღიზსება რომ არ დალაქავებოდათ, ეს უსიამოვნო ცერემონიალი ისეთი სახით უნდა შეესრულებიათ, ვითომ ტროტუარიდან საკუთარი სიამოვნებისთვის გადადიოდნენ და არა ძაღლის შიშით. მეორე ნაწილი, რომელმაც იცოდა, რომ ძაღლი ავაზაკ უკლებას ეკუთვნოდა, აბელის საქციელში უტიფარ გამოწვევას ხედავდა. ამ ნაწილს დღემდე ვერ ეპატიებია თავისთვის, რომ ხელისგულების გადაქლტამდე უკრავდა ტაშს ბოროტმოქმედს, რომელიც კმაყოფილი ღიმილით მიითვლიდა მათს ალაესა და მიამიტურ აღტაცებას, გულში კი, ვერაგი და მზაკვარი, იმას ანგარიშობდა, ამაღამ რომელი გაეძარცვა ამ ტაშის დამკვრელთაგან. მოქალაქე, რომელიც საკუთარ ღიზსებას უფრთხილდება, გაძარცვას შეგარჩენს, მაგრამ, ტაში რომ დაგიკრა, იმას არ შეგარჩენს. უკლებას კი არათუ ტაშს უკრავდნენ, შეხვედრებს უწყობდნენ, სუფრას უშლიდნენ, ხელისგულზე ატარებდნენ. როგორც გამოძიების დროს დადგინდა, ერთმა მისმა გაძარცულმა ოფიციალურ შეხვედრაზე სიტყვით მიმართა, მეორემ, უკვე ასაკში შესულმა, მაგრამ კარგად შენახულმა ქალწულმა, რომელსაც უკლებამ თურმე სახლში თორმეტი ძვირფასი ქვებით მოოქვილი ოქროს ბეჭედი, ოთხი ოქროს ყელსაბამი და ორი ბრილიანტის თვალი აღმოუჩინა, საკუთარი ლექსი წაუკითხა, მესამემ ზღაპრული სუფრა გაუშალა თავის სახლში და თვითონვე დაათვალიერებინა ყველაფერი. ოთახი და კუთხე-კუნჭული, მეოთხემ, მოყვარულმა კრიტიკოსმა, საგაზეთო წერილში მას ქალაქის ესთეტიკური მეგაირახტრე და ზნეობრივი სარკე უწოდა. როგორც გამოძიებისას აღიარა, დიდხანს კი უფიქრია თურმე და რამდენჯერმე დაუპირებია კიდეც „ზნეობრივი სარკის“ ამოღება, მით უმეტეს, რომ ამას წერილის თემასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონია. რა ეშმაკი შეაჯდა და რა ეშმაკმა დაატოვებინა, ამ მოყვარულმა კრიტიკოსმა არ იცოდა. ვინც არ გაუძარცვავს უკლებას, მართალია, ისეთი სახით იქნევდნენ თავს და ისეთი კოლეგიალური კილოთი იგინებოდნენ, თითქოს გაძარცულ ძმებზე შესტკიოდათ გული, თორემ თვითონ საწუხარი არაფერი ჰქონდათ, სინამდვილეში თავადაც გაძარცულად გრძნობდნენ თავს და სწორადაც იქცეოდნენ, რადგან მათი გადარჩენა იღბალი და ბედის წყალობა იყო და არა საკუთარი დამსახურება: უკლებას ან, უბრალოდ, დრო არ ეყო და მათთვის ვერ მოიცალა, ან არადა, მათმა ქონებრივმა ცენზმა ვერ დაკმაყოფილა. ამგვარად, გაძარცულები და გაუძარცვავები, ერთმანეთთან ღრმა შინაგანი კავშირით დაკავშირებულები, ერთიანან, განუყოფელ ბლოკს ქმნიდნენ, ერთნაირად იყვნენ დაკოდილნი შიგ გულში და ერთნაირი იმედით შეჰყურებდნენ დროს, რომელსაც ერთადერთს შეეძლო მათს გაბზარულ გულს მალამოდ დასდებოდა და სამარცხვინო წარსულისათვის დავიწყების მტვერი წაეყარა. ასეთ ვითარებაში ალის გამოჩენა იგივე იყო, გინდამც ჭრილობიდან სახვევი აგეგლიჯათ. ხალხი აიმრიზა, ხალხი აღელდა, ხალხი გაწიწმატდა. რამდენიმე განსაკუთრებით მგრძნობიარე კაცს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ისიც კი დაუპირებია, საგანგებო საჩივარი დაეწერა და ქალაქის ხელმძღვანელობი-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

სათვის მოეთხოვა, ცენტრალურ ქუჩებში ძალღების სეირნობა აეკრძალათ, მაგრამ ამ განზრახვაზე მერე ხელი აუღიათ, რადგან ისეთი ფორმა ვერ გამოუნახავთ, რომელიც საშუალებას მისცემდათ ნამდვილი მიზეზი დაემალათ და თავი ისე ეჩვენებიათ, ვითომ საქმე ალის კი არ ეხებოდა, არამედ წესრიგს. აბელს თავიდან უკვირდა ამგვარი რეაქცია, მერე კი, როცა მიზეზს მიხვდა, ამ ამბავში მშვენიერი გასართობი დაინახა და თავისი დაკვირვება სიცილით გაუზიარა ასლანს. ასლანმა თავშეკავებით გაიღიმა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

პრემიერა აბელმა ისე ითამაშა, თვითონვე გაუკვირდა. მართალია, ბოლო რეპეტიციებზე სიამოვნებით, ლაღად, დაუძაბავად თამაშობდა, სცენაზე ისე მიმოდიოდა, როგორც მამაპაპეულ სამოსახლოზე, ისიც მართალია, რომ გენერალური რეპეტიციის შემდეგ ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელმა, რომელიც საგანგებოდ იყო ჩამოსული ახალი სპექტაკლის სანახავად და საქეიფოდ, ნამდვილი ჰიმნი უძღვნა მის თამაშს, სიჩქარისა და აღგზნებულობის გამო ერთი ორჯერ დორბლიც კი გადმოსტყორცნა პირიდან და, როცა დაიმარტოხელა, თბილისში გადასვლა შესთავაზა (რაზედაც აბელმა თავაზიანი უარი უთხრა), მაგრამ პრემიერამ მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როდესაც სპექტაკლი დაიწყო, აბელი ჯერ კიდევ ფიქრობდა იმაზე, რაზედაც ფიქრობდა ხოლმე ჩვეულებრივ, თეატრშიც და თეატრს გარეთაც: ამ პატარა ქალაქზე, ურთიერთობებზე, ლუდხანაზე, ასლან გორდაძის ბავშვებზე, ალიზე, იმაზე, რომ მდინარე გზატკეცილს გადაღმა მდორედ მიედინებოდა და ორივე ნაპირი მაღალი, თანაბარი, თეთრი თოვლით იყო დაფარული. მერე და მერე, რაც უფრო ახლოდებოდა სცენაზე გასვლის დრო, ფიქრები ნელ-ნელა, უჩუმრად ტოვებდნენ, როგორც ჭირისუფალი ტოვებს ავადმყოფს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ჩაიძინა; ბოლოს, სულ მთლად გაიკრიბნენ და არსად არაფერი აღარ დარჩა, ხოლო როცა კულისებს გასცდა და სცენაზე შედგა ფეხი, საგნებმა და მოვლენებმა ერთბაშად, ძალიან უბრალოდ და გასაგებად, რაღაც გარდაუვალი აუცილებლობის გამო, თითქოს აქამდე ყველაფერი მხოლოდ საამისო მზადება იყო, ადგილები გაცვალეს, და ასე ეგონა, ახლა კი არ გაუჩნდა, ყოველთვის ჰქონდა ეს ეჭვმიუკარებელი ცოდნა, ცოდნა იმისა, რომ ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი ასპარეზი სცენა იყო, ნამდვილი ამბები მხოლოდ აქ ხდებოდა, ის კი, რაც სცენის გარეთ დარჩა — დარბაზი, ქალაქი, ქვეყანა, თავდაუდწეველი სამყაროო, იყო ილუზია, მხოლოდ ტვინში, მხოლოდ ფიქრში, არარეალურად და არამატერიალურად არსებული. აბელს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხანგრძლივი და უმიზნო ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა, თავი დააღწია ილუზიას და ნამდვილ ქვეყანაში მოხვდა.

დარბაზში, როგორც ეს პრემიერის წესია, ელიტა იჯდა, ხალხი, ვისაც თეატრი ესმის თავისი განსწავლულობის, სულიერი მდრეკილების ან თანამდებობრივი მდგომარეობის წყალობით, ხალხი, ვისაც ყველა საკითხზე აქვს უტყუარი აზრი და ამ უტყუარ აზრს მკაფიოდ, კარგად დამუშავებული დიქციით წარმოთქვამს, ხალხი, ვინც დანამდვილებით იცის, რომ თანამედროვე ხელოვნებაში მხოლოდ ის არის ფასეული, რაც მის გემოვნებას პასუხობს, დანარჩენი ყველაფერი ზედმეტია, და, კარგი იქნება, თუ გაიკვირტება.

მას შემდეგ, რაც თეიმურაზ კილაძემ მოკლა, აბელი სპექტაკლის დამთავრებამდე განმარტოებით იჯდა კულისებში და საკუთარ თავს, აღგზნებულსა და უცნობი მუხტებით დამუხტულს, ყურადღებით აკვირდებოდა. ილუზია და სინამდვილე, როგორც ონავარი ბავშვები, რომელთაც მორიგი ოინი და-

ამთავრეს, თავთავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ. ახლა სცენა სცენა იყო და დარბაზი — დარბაზი, მაგრამ აბელს, კაცს რომ უჩვეულო სიზმრის დაწყობილება გამოგყვება, ისე გამოჰყვა სცენის რეალურობისა და სინამდვილის წეღანდელი ყოვლისმომცველი განცდის თან საამო და თან შემაშფოთებელი კვალი. ეს კვალი იმდენად მკაფიო იყო, აბელი სერიოზულად უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ყოველივე ეს კი არ მოეჩვენა, მართლა ასე იყო: წეღან მართლა სცენა იყო რეალური, ხოლო დარბაზი ფანტაზიის ნაყოფი, ახლა კი დარბაზი და ქვეყნიერებაა რეალური, სცენა და სპექტაკლი კი ფანტაზიის ნაყოფი. მხოლოდ მაშინ, როცა სპექტაკლი დამთავრდა და მადლიერმა მაყურებელმა მსახიობები მქუხარე ტაშით გამოიხმო სცენაზე, ფოკუსი გასწორდა, საგნები და საგანთა ჩრდილები საბოლოოდ დაემთხვნენ ერთმანეთს, ყველაფერი საკუთარ სახეს დაუბრუნდა, სხეული ზედმეტი აღტკინებისაგან განთავისუფლდა და აბელი ცოტა დაღლილი, ცოტა მოდუნებული და უმიზეზოდ თუ რაღაც გაუგებარი მიზეზით იმედგაცრუებული უხალისოდ გაჰყვა დანარჩენებს, რათა მაყურებლისთვის თავი დაეკრა და მადლობა ეთქვა უხვად გამომეტებული ტაშისათვის.

დარბაზი ფეზზე იდგა და აბელმა ის აღგზნება, რომელიც თვითონ უკვე აღარ ჰქონდა, ახლა მაყურებელთა სახეებზე დაინახა.

დიდხანს იდგა ასე ერთმანეთის პირისპირ სინამდვილე და ილუზია, ტაშს უკრავდნენ ერთმანეთს, ხარობდნენ ერთმანეთის სიახლოვით და ისეთ შთაბეჭდილებას იქმნიდნენ, თითქოს განზომილებათა შორის უფსკრული ამოივსო და ორი განსხვავებული სამყარო დაუბრკოლებლად შედიოდა ერთმეორის არსებაში.

მერე სცენაზე არიოსტო შემოვიდა და ტაშმა იმატა. არიოსტო გამართული მოდიოდა, როგორც დასაჯილდოებლად გამოძახებული ჯარისკაცი, შუა სცენაზე შედგა, მდაბლად, მაგრამ ღირსებით დაუკრა თავი მაყურებელს, ისევ გაიმართა, მსახიობებს მიუბრუნდა, ჯერ ჯულიეტა გადაკოცნა, მერე — რომეო, მათ შუა ჩადგა, აქეთ-იქით ჩაჰკიდა ხელი ორივეს, მათთან ერთად ავანსცენაზე გამოვიდა და კიდევ ერთხელ, ისევ ისე მდაბლად და ისევ ისე ღირსებით დაბარა თავი. დარბაზს ეს სცენა ძალიან მოეწონა და ოვაციები დიდხანს არ დამცხრალა.

ბოლოს, როდესაც ფარდა უკანასკნელად დაიხურა და მაყურებლები სირბილით მიაწყდნენ გასასვლელს · იმ იმედით, რომ ერთმანეთს დაასწრებდნენ და პალტოს ასაღებად რიგში დგომას გადარჩებოდნენ, სცენაზე თეატრის თანამშრომლები ამოვიდნენ და ახლა მათ ატეხეს ხვევნა-კოცნა. ყველანი აქ იყვნენ: დირექტორიც, მთავარი რეჟისორიც, გედეონ რევიაც, ასლანიც... მთელი თეატრი აქ იყო, ულოცავდნენ მონაწილეებს, ეხვეოდნენ, ხარობდნენ და ზეიმობდნენ. ირგვლივ ისეთი განუყოფელი ხალისი სუფევდა, ამის შემხედვარე ვერაფრით ვერ დაიჯერებდით, რომ აქ ვინმეს ვინმე სძულდა, ვინმე ვინმეს კრიჭაში ედგა, ვინმე ვინმეს თავიდან მოშორებას ლამობდა, ან ვინმეს ვინმესი შურდა.

ის იყო, ამ მარადიულმა ეპილოგმა განვითარების ეკვატორი გაიარა და ნელ-ნელა დაეშვა დაბლა, რომ სცენაზე უცხოები ამოვიდნენ, ერთი ლამაზი ქალი და ერთი ლამაზი კაცი. დაინახავდით თუ არა, მაშინვე მიხვდებოდით, რომ ცოლ-ქმარი იყვნენ, ისე უხდებოდნენ და ისე ავსებდნენ ერთმანეთს. ქალი თხელი, მაგრამ მკვრივი იყო, თითქოს მიწიერსა და არამიწიერს საერთო ენა გამოუნახავთ და შეხვნის წერტილი მოუძებნიათო. მოხდენილი ტანი ჰქონდა, რბილი, მოქნილი ხაზები, სავსე მკერდი და სავ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

სე თეძოები, მაღალი, სუფთა და ქათქათა ყელი, სწორი ნაკვთები, გრძელი წამწამები, ოდნავ გამობურცული და (გადატეკეცილი შუბლი. წაბლისფერი თმა გულდაგული დადაჭეშმა (რის გამოც თვალის ჭრილს ნუშის ფორმა მიეცა), და უკან, კეფასთან ჩაეხვია და ჩაემაგრებია. გრძელი, ერთიანი, მუქი ტიტფერი კაბა ეცვა ძალიან მოკლე სახელოებით და ზომიერად მოღებული გულისპირით. ყელს ქვემოთ, თეთრად მოელვარე ლავიწის ძვლებთან ნაზად, მსუბუქად ეფინა ვისერზე ორფად შემოვლებული ოქროს ძეწკვი, მარცხენა ხელზე ლაფად მორგებული ვერცხლის ნაჭედი სამაჯური ეკეთა. მთელი მისი აღნაგობა, გამომეტყველება, სიარულის მანერა, ღიმილი, ერთსა და იმავე დროს გაგრძნობინებდათ ქალსაც, ოჯახსაც, დედოფალსაც. ქმარი ცოლის ღირსეული პარტნიორი იყო. მაღალი, წარმოსადეგი, სიმპათიური, იგი სრულებით არ იჩრდილებოდა ასეთი მშვენიერი ცოლის გვერდით. ოდნავ კეხიანი, მაღალი ცხვირი ჰქონდა, აზიდული წარბები, მტკიცე გამოხედვა. მოკლედ შეკრეჭილ, გვერდზე გადავარცხნილ თმაში ცოტაოდენი ჭაღარა შერეოდა, რაც ხაზს უსვამდა სოლიდურობასა და იმ ასაკს, როდესაც მამაკაცი სიმპათიურობისა და მომხიბლაობის ზენიტს აღწევს. სახე სუფთად ჰქონდა გაპარსული, თმა ისე ფაჟიზად დავარცხნილი, ერთი ზედმეტი ბეწვი არსად უჩანდა. მუქი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, ფართოუჯრებიან, ღია ნაცრისფერ პერანგზე ჭრელი, მაგრამ არა მყვირალა, ფართო და სქელნასკვიანი ჰალსტუხი ეკეთა.

თანამშრომლებმა მიღოცვის ცერემონიალი შეწყვიტეს, მიიწ-მოიწიეს და ახალმოსულებს მოწიწებით დაუთმეს გზა. ქალმა პირველს არიოსტოს გაუწოდა ხელი (არიოსტომ ღირსებით დაუკრა თავი, გამოწვდილი ხელი აიღო და ნაზად ეამბორა), მერე ღიმილით პირდაპირ მერისკენ გაეშურა, გადაკოცნა და უთხრა:

— ღვთაებრივი იყავი.

ხმა ცოტა წვრილი, მკივანა აღმოჩნდა, თუმცა საერთო შთაბეჭდილებისათვის ამას დიდი ზიანი არ მიუყენებია. მერის შემდეგ თეიმურაზ კილაძეს ჩამოართვა ხელი (თეიმურაზი ცოტა ზედმეტად მოიკაკვა წელში), მერე აბელს მოუბრუნდა, მომხიბლავი ღიმილი შემოაფრქვია, ხელი გამოუწოდა და უთხრა:

— თქვენი ტიბალტი სპექტაკლის მშვენება იყო. დიდი ხანია ასეთი თამაში არ მინახავს.

— გმადლობთ, — მიუგო აბელმა, წამით გაიფიქრა, მეც ხომ არ მეკოცნა ხელზეო, მაგრამ ეს აზრი იქვე უარყო. ქალმა ამასობაში სხვა მონაწილეებისაკენ გადაინაცვლა.

ქმარი უკან მიჰყვებოდა და იმავე თანმიმდევრობით ასრულებდა მილოცვის რიტუალს. ჯერ არიოსტოს ჩამოართვა ხელი, მერე მერის აკოცა და შინაურულად მიეფერა, მერე თეიმურაზს მიუოლია (თეიმურაზი წეღანდელზე უფრო მეტად მოიკაკვა). აბელთან ცოტა ხნით შეჩერდა, მაგრამ ჩამოართვა ხელი და უთხრა (ხმა დაბალი ჰქონდა, სასიამოვნო. ნელა, მკაფიოდ ლაპარაკობდა):

— მოხარული ვარ, რომ ჩვენს თეატრს ასეთი სერიოზული შემოქმედებითი ძალა შეემატა. სამწუხაროდ, ყველას, ვინც კი უმნიშვნელო წარმატებას მიაღწევს, თბილისისკენ უმერავს თვალი. როგორც შევიტყვე, — აქ ღიმილით შეხედა აბელს — უკვე უცდიათ თქვენი გადაბირება, მაგრამ უარი გითქვამთ. მადლობელი ვარ ერთგულებისათვის. სამაგიეროდ ჩვენის მხრივ ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს. დღეს ნიჭიერი მსახიობი პერიფერიას უფრო სჭირდება, ვიდრე ცენტრს.

აბელი მიხვდა, რომ ეს კაცი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც თეატრის ბედიც ეხებათ და ხელშეწყობის საშუალებაც აქვთ, მაგრამ ის ვეღარ გაიგო, საიდან უნდა შეეტყო მას, რომ აბელის გადაბირება სცა-

დეს. როდესაც ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელი ამ თემაზე ელაპარაკებოდა, მათ გარდა, იქ არავინ ყოფილა.

სპექტაკლის მონაწილეები რომ მოათავეს, ცოლ-ქმარმა დირექტორსა და მთავარ რეჟისორს ჩამოართვა ხელი, დანარჩენებს ერთად მიუღოცა, სიტყვიერად და ხელის ჩამოუთრთმეველად. წასვლის წინ აბელთან ერთხელ კიდევ, ამჯერად ორივენი ერთად, შეჩერდნენ და ქალმა უთხრა:

— მე დროდადრო პატარა საღამოებს ვმართავ, სრულიად უბრალო, მოკრძალებულ საღამოებს. მერის საუზალებით დაგიკავშირდებით და, იმედია, სტუმრობაზე უარს არ მეტყვით.

— გმადლობთ, — დაბნეულად თქვა აბელმა და გაკვირვებითა და, ცოტა არ იყოს, მსუბუქი შურით შენიშნა, რა იოლად და კარგად ათავსებდა ორივე ცოლ-ქმარი ერთ განუყოფელ ჰარმონიად ისეთ თითქოსდა განსხვავებულ ცნებებს, როგორიცაა თავაზიანობა და კატეგორიულობა.

ამის შემდეგ სტუმრები მასპინძლებს გამოეთხოვენ, მერი წაიყვანეს და წავიდნენ. როდესაც ეპილოგი საბოლოოდ ჩათავდა, ასლანმა ბეჭზე დაადო ხელი აბელს და უთხრა:

— არ გამოდიხარ?

— კი.

— ნანოც იყო სპექტაკლზე, ხომ იცი!

— რას მეუბნები! სადაა მერე?

— შერცხვა და სცენაზე არ ამოვიდა, ამდენ ნაცნობში ასე როგორ გამოვჩნდეო. გარეთაა, მანქანაში.

მანქანა შემოსასვლელთან იდგა. ნანომ კარი გააღო და ცქვიტად გადმოხტა.

— მომილოცავს, ძამიკო! — ხელები მხრებში მოკიდა აბელს და ლოყაზე აკოცა. — მთელი დარბაზი შენზე ლაპარაკობდა, ჩვენს გვერდით ბიჭი და გოგო ისხდნენ. რომეომ რომ მოგკლა, იმ ბიჭმა ხმამაღლა თქვა, ეს მოკლეს და აწი რაღას ვუყურეთო.

— დაჯექი, წაგიყვან, — უთხრა ასლანმა.

— არა, ფეხით წავალ, გავივლი ცოტას.

— გაგლახავს ვიღაცა, — გაეცინა ასლანს.

აბელსაც გაეცინა.

ამ დროს გედეონ რევია წამოადგათ თავს.

— ეს გორდაძეები მალე მთელ საქართველოს წალეკავენ, — თქვა დიმილით შეხედა ნანოს გამობზეკილ მუცელს.

— კი არ წალეკავენ, — მიუგო ასლანმა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი და მარცხენა წარბი ასწია. — გადაარჩენენ. — გორდაძე არ უღალატებს სამშობლოს! — პათეტიკურად შესძახა მერე.

— თეატრალური გორდაძე თეატრალურ სამშობლოს, — გაიღიმა გედეონმა. მერე აბელს მიუბრუნდა: — შინისკენ მოდიხართ, აბელ?

— დიახ.

— მანქანით წაგიყვანთ, ბატონო გედეონ, — შესთავაზა ასლანმა.

— ჩემს ასაკში მანქანით სიარულს უნდა ერიდოს კაცი.

— გულით მინდოდა სამსახური გამეწია. რა გაეწყობა. აბა, მაშ, კარგად იყავით.

დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ნანო და ასლანი წავიდნენ.

— ჩემი გულისთვის ხომ არ გადაიფიქრეთ მანქანით წასვლა? — ჰკითხა გედეონმა, მარტო რომ დარჩნენ.

— არა. ადრევე ვუთხარი უარი.

— კარგი კი იქნებოდა.

— რა?

— ჩემი გულისთვის გეთქვათ უარი. ვიტრაბახებდი, — გედეონმა ცერად გამოხედა აბელს. — თქვენ ხომ ახლა

სერიოზული შემოქმედებითი ძალა ხართ და სპექტაკლის ნამდვილი მშვენება.

აბელმა ღიმილით აიჩეჩა მხრები.

— რას მერჩით! მე არც ერთის ნათქვამი დამიჯერებია და არც მეორის.

— ერთისაც უნდა დაგეჯერებიათ და მეორისაც. ორივემ სრული სიმართლე თქვა. სხვა საკითხია, ეს ნაკლია, თუ ღირსება.

აბელმა კითხვის თვალით შეხედა. თოვლით გადათეთრებულ, ელექტრონის შუქით სუსტად და ცოტა იდუმალად განათებულ ეზოში, იგი წამით უცნაურად უცქო და შორეული და ამავე დროს მტკივნეულად აწლობელი ეჩვენა. ალბათ ასეთი გრძნობა გაუჩნდებოდა, ახლა რომ ერაღიც ჯადოქრობის წყალობით მკვდრეთით აღმდგარიყო და გვერდით დასდგომოდა საკუთარი მამა, რომელიც არ ახსოვდა და რომელთანაც თითქოს არაფერი არ აკავშირებდა. გედეონს რუხი ფერის გრძელი პალტო ტანზე ისე შემოკვარითოდა, გეგონებოდათ, შიგ საგანგებოდ, რაც შეიძლებოდა მჭიდროდ შეუხვევიათო. საყელო აწეული ჰქონდა, ყელზე შემოხვეული კაშნეს ერთი ბოლო წინ გადმოეფინა. თავზე შავი ბერეტი ეხურა. მარჯვენა ხელში განუყრელი ხელჯოხი ეჭირა, რომელსაც ყველაფერში იყენებდა — დასაბჯენადაც, ჟესტიკულაციისთვისაც, კეფის მოსაფხანადაც კი. ძნელი დასადგენი იყო, რა უფრო სჯობობდა მასში — ცუღლუტი ბერიკაცი, სიბრძნით დამძიმებული მოხუცი თუ პროვინციელი ინტელიგენტი, რომელიც სამყაროს თავისი პროვინციის საჭვრეტიდან ზომავს.

— ნაკლია თუ ღირსება? — ჰკითხა ბოლოს აბელმა, თან ეცადა ხმაში ღიმილი და სიმსუბუქე შეეპარებია.

— თუ ადამიანის დანიშნულება თავის გატანაა, მაშინ ღირსებაა, — მიუგო გედეონმა ისე, რომ მისი ხმის კილოსთვის ყურადღება არ მიუქცევია. — თუ ადამიანის დანიშნულება თავის შეცნობაა, მაშინ — ნაკლია. თვალი არის ღიტკათა თავშესაფარი. რაც უფრო კარგად შეეგუები იქაურობას, მით უფრო მალე დაგავიწყდება, რომ ეს თავშესაფარია. ჭეშმარიტი მსახიობი, ის, ვისაც მოწოდებით მსახიობს ვეძახით, დეზერტირია, რომელიც საკუთარ თავს თვალს ვერ უსწორებს და ამიტომ ნიღბების ქვეყანაში გადადის საცხოვრებლად.

— მაგ თვალით თუ შევხედავთ, გამოდის, რომ, ისა სჯობს, კაცი თეიმურაზ კილაძე იყო.

— პირადად მე თეიმურაზ კილაძეს არაფერს ვერჩი. მაგრამ ამ თვალით თუ შევხედავთ, ის კი არა სჯობს, თეიმურაზ კილაძე იყო, ისა სჯობს, გაბედო და საკუთარ თავს თვალი გაუსწორო.

— მაყურებელი?

— მაყურებელი ერთობა. მაყურებლისთვის შენი ტრაგედია სეირია, ბოლოს გადასაყოლებელი საშუალება, თუმცა ეს გააზრებული არა აქვს.

— ტაკიმასხარები ვართ?

— ტრაგიკული ტაკიმასხარები, — გულკეთილად გაიღიმა გედეონმა.

ცენტრი უკეთ იყო განათებული.

მარჯვნივ ჩაუხვიეს, ქვემოთ დაუყვნენ ქუჩას.

— და ეს არის ხელოვნება? — იკითხა აბელმა. — შექსპირიც ტაკიმასხარაა?

გედეონი შეჩერდა, ჯოხი მაგრად დაეაჯინა მოყინულ ტროტუარს და შემოხედა. ცოტა გაკვირვებული სახე ჰქონდა, ცოტა მწყარალი.

— შექსპირი... — და გაიცინა. გაკვირვებაც გაუქრა სახიდან და სიმწყარალეც. — რომელიც, სხვათა შორის, ცუდი მსახიობი ყოფილა, საკუთარ სიზმრებს ყვებოდა, ამიტომ თავისი თავის არ ეშინოდა. მე და თქვენ კი სხვის სიზმრებს ვყვებით, რადგან ჩვენი სიზმრებიდან აზრი ვერ გამოგვაქვს.

სამსონის მაღაზიას გასცდნენ და აბელმა ჩაბნელებულ ვიტრინებს შეხედა. მერე ყოყმანით თქვა:

— თქვენ იმ კატეგორიას ეკუთვნით,

ვინც მოწოდებით მსახიობია. თუკი მართლა გჯერათ, რასაც ამბობთ, როგორღა გამოდიხართ სცენაზე?

გედეონმა ჩაიცინა. ჩაიცინა ისე, თითქოს საკუთარ თავს დასცინა, მაგრამ დასცინა მსუბუქად, შეგუებულად, უბოროტოდ.

— ადამიანს აქვს ერთი ამოუძირკვავი თვისება, რომელიც ხან უძნელებს ცხოვრებას და ხან უიოლებს — მისი სიტყვა და საქმე შორიშორს დგანან ერთმანეთისაგან. დედამიწის ზურგზე ჯერ კაცი არ მომკვდარა, რომელსაც მხოლოდ ის ეკეთებინოს, რასაც ფხიზელი გონება და საღი აზრი კარნახობდა.

— მერე ეს გამართლებთ? — აბელი შეკთა და სიამოვნება იგრძნო. შეკრთა იმის გამო, რომ უტაქტო და დაუფიქრებელი საყვედური წამოაყრანტალა, სიამოვნება იგრძნო იმის გამო, რომ ამ დაუფიქრებლობითა და უტაქტობით თითქოს რაღაც ყალბი და ზედმეტი მორიდების საზღვარი გადალახა.

გედეონმა ისევ ჩაიცინა.

— აბელი შეტევაზე გადადის, რათა თავი უკეთ დაიცვას. თუ სისტემატურად ივარჯიშებთ, ჩინებული სოფისტი დადგებით, — მერე უფრო სერიოზული კილოთი და თითქოს უფრო მწყარალადაც განაგრძო: — ეს, რა თქმა უნდა, არ მამართლებს. საერთოდ, ადამიანს გამართლება არა აქვს. სამაგიეროდ, მამშვიდებს. მაგრამ ისმსათვის, რომ ხელიდან არ გაგვისხლტეს ის, რაც მთავარია, მოდი, სამიზნეები ცოტათი გადავაადგილოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ეს საუბარი თქვენ უფროა გეხებათ, ვიდრე მე. მე ხანგრძლივი ფიქრისა და დიდი გამოცდილების შედეგად მოვიპოვე ცოდნა. ეჭვმიუტანელი ცოდნა მოვიპოვე, მაგრამ დამაგვიანდა. გამოყენების დრო აღარ დამრჩა. მე უკვე მოხუცი ვარ და ბერწად მოვკვდები. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ შემიძლია გავაკეთო, ის არის, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება ვინმეს გავუზიარო და დანმარება გავუწიო.

— თუკი კმარა სხვისი გამოცდილება... — ჩაუთრთო აბელმა.

— მშვენივრად იცავთ თავს. ჩუმი გააფთრებით. მაგრამ ნუთუ არ იცით, რომ ყოველი კაცის ცხოვრების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი წინამავალთა გამოცდილებაა? თეორიული მაქსიმუმი, რაც პიროვნული გენიისთვისაა დარჩენილი, არის ერთი პროცენტი, და ვინც ამ ერთ პროცენტს სრულად გამოიყენებს, სწორედ ის არის გენიოსი. — აქ კილო შეიცვალა, ოდნავ იდუმალი, ოდნავ შეშპარავი გაუხდა: — ახალი ჩამოსული რომ იყავით, მახსოვს, ერთი წიგნი იყიდეთ. უტაქტო ცნობისმოყვარეობაში ნუ ჩამომართმევთ და, რაიმე კავშირი გაქვთ ფიზიკასთან? თუ ისე კითხულობთ, როგორც ახლა კითხულობენ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, ფანტაზიის გასაღიზიანებლად?

აბელს გაეღიმა. მოხუცი კიდევ უფრო ცბიერი და ჭკვიანი მოეჩვენა.

— თუ გაწყვეტილ კავშირს მაინც შეიძლება კავშირი ერქვას, მაშინ მქონია კავშირი. ცოტა ხანს ფიზიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მეგონა, ფიზიკა მიყვარდა. მერე მივხვდი, რომ ფიზიკა კი არა, თეატრი მყვარებია, — ბოლო ფრაზა ცოტა გამომწვევად თქვა.

— გასაგებია, — გედეონმა რამდენჯერმე დაიქნია თავი. — სწორედ მაგას დავარქვი ჩემი დიდი გამოცდილების შედეგად დეზერტირობა. ღრმად, რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაეშვათ საგანთა და მოვლენათა ბუნებაში. ვინ იცის, იქნება თეატრი კი არ გაუვარებიათ, ფიზიკამ დაგაფრთხოთ და ფიზიკის სიყვარული თეატრალურ სიყვარულად აქციეთ. იმის მაგვარად, რომ სიღრმისკენ წასულიყავით, სიღრმიდან წამოხვედით.

— თეატრალურ ხელოვნებას არ სჭირდება სიღრმე?

— ეგ „სიღრმე“ ქართველებს თანდაყოლილი გვაქვს.

აბელმა იცოდა, რომ რისკს სწევდა, მაგრამ მოტივი სჭირდებოდა და მაინც გაბედა თქმა:

— დღეს, როგორც კი სცენაზე გავედი, მაშინვე მივხვდი, რომ სცენა იყო რეალური სამყარო, ნამდვილი სიცოცხლე. ხოლო დარბაზი — მოჩვენება და ილუზია.

— ეს თქვენი მიხვედრა ცოდნა არ ყოფილა და ამის დამტკიცება იოლია. სიცოცხლის არსებობის ერთადერთი უტყუარი საბუთი არის სიკვდილი. სცენაზე კი სიკვდილი არ არსებობს.

— ამიტომ თეატრი...

— თეატრი, — შეაწყვეტინა გედეონმა. — არის, ტლანქი და, ცოტა უსახური ტერმინი რომ ვიხმაროთ, მეორადი ხელოვნება. მეორადი ხელოვნების მეშვეობით საკუთარ თავს ვერ შეიცნობ.

—საკუთარი თავის შეცნობა ერთადერთია, რაც ადამიანს სჭირდება?

— აი, ეგ კი არ ვიცი, — გაიცინა გედეონმა. — სამგალეროდ ის ვიცი, რომ ქონების მოგროვება არ სჭირდება, რადგან, რამდენადაც სასიამოვნოა ყოველდღიური შეძენა და დახვავება, იმდენადვე გულდასაწყვეტი იქნება ბოლოს იმის განცდა, რომ თან ვერ წაიღებ.

— სხვას რას წაიღებ თან?

— კითხვის დასმაში ყოჩაღები ვართ. პასუხის გაცემაში მოვიკოჭლეთ.

— არც იმაზე გვაქვს პასუხი, თეატრები უნდა დაიხუროს თუ არა? — ეს რომ თქვა, აბელმა თან შემრიგებლურად გაიღიმა.

— საქართველოში უნდა დაიხუროს, — ღიმილით, მაგრამ დაბეჯითებით მიუგო გედეონმა. — ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. საქართველოში უნდა იყოს იმდენი უნივერსიტეტი, რამდენიც თეატრია, და იმდენი თეატრი, რამდენიც უნივერსიტეტია. იმიტომ რომ განათლება ძალიან გვაკლია და თეატრალურობა თავზე საყრელად გვაქვს. თეატრები ჩვენ[illegible] იმას ჰგავს, ზღვის პირას რომ საკურაო აუზები გაეხსნა. ალბათ ყოფილხართ სატირალში და გინახავთ, რა სპექტაკლია, რა პომპეზური დეკორაციები, რა ზუსტი მიზანსცენები, რა დახვეწილი სამემსრულებლო ოსტატობა. და არ დაგავიწყდეთ, მე აქ მხედველობაში არა მაქვს პროფესიონალ მოტირალთა ინსტიტუტი, რომელიც უკვე აშკარად ზღვის პირას გაშენებული აუზია. ან ჩვენებური ზეიმი აიღეთ თავისი თამადით, თავისი რიტუალებით, თავისი პათეტიკით და თავისი მასხარითაც კი. ჩვენი შაირები? ჩვენი კაფიები? ნატირალები? ევრიპიდესსა და სოფოკლეს მონოლოგებს სცენაზე წარმოთქვამდნენ. ჩვენებურ ნატირალებს კი — საფლავის პირას. სხვათა შორის, ჩვენში იმიტომაა პროზასა და პოეზიას შორის ამოდენა უფსკრული, რომ პოეზია, პროზისაგან განსხვავებით, თავისი ბუნებით თეატრალურია. გინახავთ იმერეთში კარის მეზობელი რომ მივა ოჯახში ფქვილის სასესხებლად, რა დახვეწილი თეატრალური ორთაბრძოლა იმართება თავაზიანობაში? ორივე მხარემ იცის, რომ ეს თეატრია, არც მაყურებელი სჭირდებათ და არც რეჟისორი, აქვთ უხსოვარ დროში დაწერილი პიესა და თამაშობენ დიდებულად. რად გვინდა ჩვენ თეატრები?! ჩვენ უნივერსიტეტები გვინდა.

მოხუცს მაღალი ხმა ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკობდა წყნარად. მშვიდად, ყოველგვარი გატაცების გარეშე. შესაძლებელია, ცოტა არხეინადაც კი, და არაფერში არ ეტყობოდა, რომ ის, რასაც ლაპარაკობდა, ოდნავ მაინც აინტერესებდა. აბელი დაძაბული იყო, ყურადღებით უსმენდა და ერთიანად შეეპყრო გაუაზრებელ, უანგარიშო გრძნობას, რომელიც აიძულებდა თანამოსაუბრის არც ერთი აზრი ახლო არ მიეკარებია, ყველაფერს დაპირისპირებდა და რიმე საშუალებით უარეყო. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რას იტყოდა გედეო-

ნი, მთავარი იყო, არაფერში არ დათანხმებოდა, თითქოს ამ უანგარიშო წინააღმდეგობით საფრთხეში ჩავარდნილ თავისუფლებას იცავდა. აბელი ატყობდა, რომ ეს უაზრო წინააღმდეგობა შეცდომაც იყო და მარცხიც, მაგრამ იგი აბჯარივით ჰქონდა ასხმული. ცალკეულ მომენტებში ელვასავით დაკვეთსადა კიდევ უფრო უცნაური გრძნობა და აბელს ეჩვენებოდა, რომ მოხუცი თვითონ კი არ ლაპარაკობდა, არამედ მისივე აზრების აბურდული ხლართიდან აძრობდა ძაფებს, მისსავე ფიქრებს, გაუმჭვირვალე გარსში შემალულს, ამ გარსს აცლიდა და აშიშვლებდა.

ამასობაში გედეონის სახლსაც მიაღწიეს და ორივენი შეჩერდნენ. სახლი ერთსართულიანი იყო. ვიწრო სადარბაზოში ადიოდა ხუთ თუ ექვსსაფეხურიანი ქვის კიბე, რომელიც მაღალი, მორუჟუთმებული კარით ბოლოდებოდა. კარის ორსავე მხარეს ქუჩაში გამოდიოდა თითო ფართო ფანჯარა.

— ნუთუ თეატრალობა ასეთი მომაკვდინებელი შხამია? — ჰკითხა აბელმა.

— რაც არ მითქვამს, იმას ნუ დამწამებთ, — ღიმილით მიუგო მოხუცმა. — თუ შედარებაზე მიდგება საქმე, თეატრალობა უფრო მარილია. მარილი კერძი უნდა შეაგემო, მაგრამ მარილი კერძის მაგივრობას ვერ გასწევს. ჩვენ კი, რაკი მარილის სამადლოები უხვად მოგვეპოვება, გადავწყვეტეთ იოლად გავიდეთ და კერძი აღარ ვეძიოთ. აი, ეს მინდოდა მეთქვა. და კიდევ ის მინდოდა მეთქვა, რომ, თუ პატივს დამდებთ და შინ მეწვევით, სასურველი სტუმარი იქნებით.

— ახლა?

— ახლა. რა იყო, ცუდი საღამოა სტუმრობისათვის?

— არა, — გაიღიმა აბელმა. — მაგრამ... გვიანი არ არის? თქვენ იქნებ..,

— მე — არა. მე არ მეძინება, თუკი ამის თქმას აპირებდით. მე, ხომ ხედავთ, რა გამხდარი ვარ. ძილიც ცოტა მყოფნის, ჭამაც და დასვენებაც. ზოგჯერ დილამდე ვფიზიზლობ. ასე რომ, თქვენ თუ არ გეძინებათ... — მოხუცმა კითხვის თვალით შეხედა.

— არა. მე არ მეძინება

— მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა. მით უმეტეს, რომ შემიძლია ყავით გაგიმასპინძლდეთ. თუ სამზარეულოს კარგად მოვჩხრიკავთ, ვინ იცის, იქნებ სადმე ნამცხვრის ნაჭერსაც გადავაწყდეთ.

გედეონმა კარი გააღო და შევიდნენ. პატარა ჰოლს სამ მხარეს ჰქონდა გასასვლელი. პალტოები გაიხადეს და მასპინძელი ვრცელსა და მაღალჭერიან ოთახში შეუძღვა სტუმარს. ოთახის ოთხივე კედელი, თუ არ ჩავთვლით შემოსასვლელ კარსა და უკან, ეზოში გამავალ ორ ფანჯარას, მთლიანად, იატაკიდან ჭერამდე წიგნებით გამოტენილი თაროებით იყო დაფარული. შუა ოთახში საწერი მაგიდა და უბრალო სკამი იდგა. კუთხეში — ორი ღრმა, ძველებური სავარძელი და მათ შუა დაბალი ტაბლა.

აბელმა თვალი მოავლო წიგნებს და თქვა:

— თქვენი ბიბლიოთეკა უკვე მიქეს. ძალიან მიქეს და მეგონა, გადააჭარბესმეთქი. ეტყობა, დაუკლიათ.

— მაგ ქათინაურს ყოველგვარი ცრუ მოკრძალების გარეშე მივიღებ. დაბრძანდით, — სავარძლზე მიუთითა. — ბიბლიოთეკა კარგი მაქვს. იმდენად კარგი, რომ სიკვდილის წინ ალბათ გული ამიჩუყდება.

აბელი დადიოდა და ხარბად ათვალიერებდა, მაგრამ იმის გამო, რომ ყველაფერი ერთბაშად უნდოდა ენახა, ვერაფრის ნახვას ვერ ახერხებდა.

— განათხოვრება თუ გიყვართ?

— რატომაც არა! განათხოვრება კი არა, ზოგჯერ, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, იშვიათად, გაჩუქებაც

ვიცი. ეს მაშინ, როცა დავინახავ, რომ მომავალი პატრონი ჩემზე უფრო ღირსიეული გამოდგება. დავლიოთ ყავა?

— თუ არ შეწუხდებით...

— არ შეშეწუხდები. რომც შეშეწუხდე, რა უჭირს. მასპინძელს უხდება შეწუხება, მით უმეტეს, თუ ისეთი სტუმარი ჰყავს, ვისაც დღეს ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა.

ეს ისე თქვა, თითქოს მისი კილოს მსუბუქი ირონია აბელს კი არა, თვითონ მას შეეხებოდა.

აბელი ცოტა ხნით მარტო დარჩა. მან იცოდა, რომ გედეონი ნაკითხი და განათლებული კაცი იყო, მაგრამ ახლა, ამ წიგნებს რომ უყურებდა, მოხუცი მასპინძელი მის თვალში თითქოს შეიცვალა, რაღაც არსებითი თვისება შეემატა და ეს არსებითი თვისება ხელს უშლიდა იგი სცენაზე წარმოედგინა ისე, როგორც არაერთხელ უნახავს.

აბელი ახლა უფრო მშვიდად და დაკვირვებით ათვალიერებდა წიგნებს; მალე დალაგებაში კანონზომიერებაც აღმოაჩინა, თემატური და დარგობრივი კანონზომიერება. მხატვრული ლიტერატურის გარდა, რომელსაც ყველაზე მეტი ადგილი ეკავა და რომელიც, ეტყობოდა, ისე იყო დალაგებული, რომ ის, რაც პატრონს უკეთესად მიაჩნდა, უფრო ქვემოთ ეწყო, ნაკლები ღირებულებისა კი ზემოთ და ზემოთ, ერთი დიდი კუთხე ეჭირა ფილოსოფიურ ლიტერატურას, სადაც, ისევე როგორც სამეცნიერო ლიტერატურის კუთხეში, ბევრი წიგნი გერმანულ და ფრანგულ ენაზე იყო. სამეცნიერო ლიტერატურა განსაკუთრებით უხვად იყო წარმოდგენილი ბიოლოგიით, არქეოლოგიით და მედიცინით. საისტორიო თხზულებები, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედიას, ძველი იყო, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანისა. მხატვრობასაც, დიდ, შესანიშნავად გამოცემულ და კარგად მოვლილ ალბომებს, მოზრდილი ადგილი ეკავა. ბოლოს აბელი ერთ ისეთ კუთხეს მიადგა, რომელსაც ვერაფერი გაუგო. აქ ძირითადად ქართული წიგნები ეწყო, ერთი ორი ერია რუსული. წიგნები აქაც კარგად იყო დალაგებული და მოვლილი, მაგრამ ის კანონზომიერება, რაც მთელ ბიბლიოთეკას ეტყობოდა, ამ კუთხეზე თითქოს არ ვრცელდებოდა. მხატვრული, სამეცნიერო, სასკოლო, ყველაფერი ერთი იყო. რამდენიმე ჟურნალიც იდო.

მასპინძელი შემოვიდა და ყავა და ნამცხვარი შემოიტანა.

— ხომ გითხარით, ნამცხვარსაც აღმოვაჩენთ-მეთქი.

ყავა დიდებული იყო და აბელმა, ერთი მოწრუტა თუ არა, თქვა:

— დიდებული ყავაა.

— ეს არის ერთადერთი, რითაც ყოველთვის შემიძლია გაგიმასპინძლდეთ, წელიწადის ყოველ დროს, თვის ყოველ რიცხვში და დღე-ღამის ყოველ საათს.

— გმადლობთ, — გაიღიმა აბელმა. — მერე კიდევ მოწრუტა ყავა და თქვა: — უცნაურია, ბავშვობაში, როცა წიგნების განსაკუთრებული სიყვარული მქონდა, ჩემი მომავალი საცხოვრებელი ადგილი ზუსტად ასე წარმომედგინა: დიდი, მაღალჭერიანი ოთახი, კედლები წიგნებით სავსე, საწერი მაგიდა ერთი უბრალო სკამით და სწორედ ასეთი ღრმა, რბილი სავარძელი.

— შეგიძლიათ მოიხმაროთ ისე, როგორც გენებოთ. თუმცა ბოლო ხანებში ბევრი აღარაფერი მიმიმატებია. არ ჩევის დროს რაღაც ზედმეტად ვუკირკატებ და ზედმეტად ვცხრილავ. ეტყობა, ძუნწი გავხდი.

— აი, ის რა კუთხეა, ბატონო გედეონ? ვუყურე, ვუყურე და ვერაფერით ვერ მივხვდი, რა პრინციპით გაქვთ დალაგებული ეს წიგნები ერთად.

მოხუცმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

— ეს განსაკუთრებული კოლექციაა, რომელიც ჩინებულ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენ საკუთარ თავზე. აბა, მოდით, გაჩვენებთ, — ერთი წიგნი აი-

ღო, მაგრამ უკანვე დადო, აბელს მიუბრუნდა და თვალებში შეხედა, — თანამედროვე ერის კულტურა იწყება, წიგნის ბოლოში რომ პატარა ქაღალდი დევს, ზედ რომ „შემჩნეულ შეცდომათა გასწორება“ აწერია, იმით. როცა ამ სამარცხვინო ქაღალდს მოვიშორებთ, მაშინ დაიძრება გაყინული კულტურა ნულოვანი წერტილიდან. ჩვენ კი ჯერ სადა ვართ! რომელი ქაღალდი დაიტევს ასეთ „შემჩნეულ შეცდომებს“?— გედეონმა ის წიგნი ისევ აიღო, გადაფურცლა და აბელს აჩვენა. — აი, ნახეთ.

აბელმა დახედა. ჯერ ვერ მიხვდა, რა იყო ასეთი საგანგაშო. მერე შეამჩნია, რომ ოცდამეთერთმეტე გვერდის შემდეგ პირდაპირ სამოცდამეორე მოდიოდა. აბელმა მექანიკურად დახედა წიგნის ყდას, თითქოს სულ ერთი არ იყო, ან ავტორი ვინ იქნებოდა, ან გამომცემელი. ასეთი კურიოზი ადრეც ენახა, მაგრამ ახლა კოლექციის სიმდიდრემ გააკვირვა.

— ყველა წიგნი ასეთია?

— არა, — მიუგო გედეონმა. — ნაირ-ნაირია. აი, მაგალითად ეს... — ის წიგნი თავის ადგილას დადო და სხვა აიღო, — ასეთია. — გადაფურცლა და სრულიად ცარიელი, სუფთა გვერდები აჩვენა აბელს. მერე კიდევ გადაფურცლა და ახლა სხვა ადგილას აჩვენა ასეთივე სუფთა გვერდები. — ეს კიდევ... — ისევ შეცვალა წიგნი,— ასეთია, — ოთხმოცდამეთექვსმეტე გვერდის შემდეგ მეოთხმოცე მოდიოდა, ოთხმოცდათექვსმეტამდე გრძელდებოდა და მერე ასმეცამეტე იწყებოდა. — აი, ეს ორი უნიკალური და ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასი ექსპონატია.— გედეონმა ორი სხვადასხვა წიგნი აიღო, ოღონდ ამჯერად არ გადაუშლია, მხოლოდ გარეკანები დაანახვა აბელს.— ამ ყდაში, — ერთი წიგნი აჩვენა. — ამ ავტორის ნაშრომია, — მეორე აჩვენა: — ამაში კი, ამის ლექსები. ცხადია, ეს გამონაკლისი შემთხვევაა. უმთავრესად თხუთმეტი ან ოცდაათი გვერდი აკლია ხოლმე. ხან აკლია, ხან ზედმეტია.

— ეს, რა თქმა უნდა, უბედურებაა, — თქვა აბელმა. — მაგრამ... — აქ ცოტა შეყოყმანდა. — სტამბების ცუდი მუშაობის ასეთი განზოგადება...

— ეგ არის ტიპიური შეცდომა და მე ვიცოდი, რომ თქვენ ამ შეცდომას დაუშვებდით. — აბელმა იგრძნო, როგორ გაეკეწწლა თავმოყვარეობა იმის გამო, რომ „ტიპიური“ შეცდომა დაუშვა, უფრო მეტად კი იმის გამო, რომ გედეონი თურმე ამ ტიპიურ შეცდომას მოელოდა კიდეც. გედეონმა კი განაგრძო: — სტამბა აქ არაფერ შუაშია. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ სტამბის მუშაკებს, სხვებზე უკეთესები თუ არიან, თორემ ჩამოვგრძნით არავის ჩამოუვარდებიან. უბრალოდ, არ შეიძლება ხალხის კულტურამ ყველა სფეროში არ იჩინოს თავი.

— მაპატიეთ, მაგრამ ციტატის ერთი ნაგლეჯით ხომ არ შეიძლება მთელ ნაწარმოებზე ლაპარაკი. ისტორია თუ არ გავითვალისწინეთ, ისე ტენდენციურობას ვერ გავექცევით. ყოველ ეპოქას თავისი ნიშნები აქვს და ეს ნიშნები წარმართავს კაცის საქცელს.

— ეპოქის ნიშნები არაფერს არ წარმართავს. ეპოქის ნიშნები მხოლოდ იმას აშიშვლებს, რაც არსებითი და თანდაყოლილია.

— მაშინ თევდორე მღვდელსა და რუსთაველს რაღა ვუყოთ?

— თევდორე მღვდელი და რუსთაველი არ განსაზღვრავს ერის სახეს. ერის სახეს ვანო როსტიაშვილი და კაკო ორჯონიკიძე განსაზღვრავს. პოეტი, შესაძლებელია, უკეთესი ლექსით იზომებოდეს, მაგრამ ერი უარესი შვილით იზომება. და სანამ ვანო როსტიაშვილი ოთხზე დგას, იმის ილუზიას ნუ შეიქმნით, რომ თქვენ გამართული დადიხართ. მართალია, ამ ბოლო ხანებში ჩვენი ვანო გარდაიქმნა, ჰალსტუ-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ხი შეიბა და ცხვირი მაღლა ასწია, მაგრამ ეს ჩვენი არტისტიზმის გამოვლენაა და ორი თვეც არ გავა, რომ ისევ ოთხზე დადგება. რაც შეეხება რუსთაველს, რუსთაველმა ცუდი სამსახური გაგვიწია, რადგან ძალიან დიდი ტილო გამოდგა და ყველას გვყოფნის ხელის შესაწმენდად. მერე რა, რომ ჩვენ არ ვვარგივართ?! სამაგიეროდ რუსთაველია დიდი. მერე რა, რომ ჩვენ უნიჭოები ვართ?! სამაგიეროდ რუსთაველია გენიოსი. მერე რა, რომ ჩვენ ასე დავკნინდით და დავბეჩავდით?! სამაგიეროდ რუსთაველია ამაღლებული. კიდევ ხომ არ დალევთ ყავას?

— არა, გმადლობთ, — აბელი დატუქსულივით გრძნობდა თავს.

— თუ მოგინდეთ, არ მოგერიდოთ. გახსოვდეთ, რომ ყავის მომზადება ჩემი საყვარელი საქმიანობაა. — გედეონი სავარძელში ჩაჯდა და აბელიც მიიწვია. — დაჯექით. დაჯექით და ნუ მოიღუშებით. პროგრესი მაშინ დაიწყება, როცა ჩვენს უვარგისობას შევიგნებთ... თუკი პროგრესი სულიერ და ზნეობრივ სფეროში საერთოდ შესაძლებელია. მე ამაში ეჭვი მეპარება.

უეცრად შუქი ჩაქრა და სრული სიბნელე ჩამოწვა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ აბელი შეკრთა.

გედეონმა წყნარად ჩაიცინა.

— წავალ, სანთელს შემოვიტან. ასანთი ხომ არა გაქვთ?

— კი. — აბელმა ასანთი ამოიღო ჯიბიდან და თვითონაც დაიპირა წამოდგომა .— წამოვალ, გაგინათებთ.

— არა, — მიუგო გედეონმა. — მიუჩვეველი ხართ აქაურობას, რამეს წამოედებით. მე მოვიტან, — ასანთი გამოართვა და სიბნელეში ნელი, მაგრამ დაჯერებული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

აბელმა ფანჯარაში გაიხედა. ეზოში თოვლის თეთრი საფარველის გარდა, არაფერი ჩანდა. თოვლის ანარეკლმა ნელ-ნელა ოთახშიც შემოაღწია და მის მკრქალ შუქზე წიგნის თაროები უფორმო ურჩხულებივით გადმოეკიდნენ ზემოდან.

გედეონი მალე შემობრუნდა. წინ გამოშვერილ მარჯვენა ხელში სამსანთლიანი მაღალი შანდალი ეჭირა. სამივე სანთელი ენთო. ალი ლიცლიცებდა, ირხეოდა და სიჩუმეში, რომელსაც შუქის გამორთვამ თითქოს ხაზი გაუსვა, იდუმალი ჩრდილები ამოძრავდნენ. მერე, როცა გედეონმა შანდალი საწერ მაგიდაზე დადგა, ალმა რხევა შეწყვიტა, ვერტიკალურად ასვეტილი გაშშადა და ოთახში ოდნავ მომთენთავი და ძილის მომგვრელი, წყნარი, საამო შუქი ჩამოწვა.

გედეონი თავის ადგილას დაჯდა და ასანთი აბელს დაუბრუნა.

— შეიძლება სიგარეტი მოვწიო? — იკითხა აბელმა.

— რა თქმა უნდა. საფერფლე თქვენს უკან დგას, თაროზე.

აბელმა საფერფლე გადმოიღო, წინ დაიდო და სიგარეტი აანთო.

— თქვენ, მგონი, არ ეწევით.

— მე, ხატოვნად რომ ვთქვათ, — მოხუცმა გულკეთილად გაიღიმა და სანთლის შუქზე მისი ღიმილი აბელს გაცრეცილი და იდუმალი ეჩვენა. —ჩემოდნებზე ვზიავარ და მატარებლის გასვლას ველოდები. ზოგ-ზოგი ვინმე ამტკიცებს... ამის შესახებ, თუ გაინტერესებთ, უფრო წვრილი ცნობები სამსონისაგან შეგიძლიათ მიიღოთ... ამქვეყნიური სურვილები იმქვეყნადაც მიგვყვება, ოღონდ იქ მისი დაკმაყოფილების საშუალება აღარ გვექნებაო. მართალი რომ გამოდგეს, დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. ამიტომ ყველა ზედმეტი სურვილი წინდახედულად მოვიშორე. ერთადერთი ყავა დამრჩა.

აბელმა სიგარეტის ბოლი სქელ ბოლქვად გამოუშვა პირიდან და თვალი გააყოლა.

— ვერ ვხვდები, როდისა ხართ ირონიული და როდის — სერიოზული.

— ვითომ ასეთი მნიშვნელობა აქვს? ანდა ირონიულობა და სერიოზულობა

ასე კატეგორიულად გამორიცხავს ერთიმეორეს?

— შეიძლება ადამიანის დანიშნულება ის იყოს, რომ ყავა და სიგარეტი მიატოვოს?

გედეონმა გაიცინა.

— არაფერი არაა გამორიცხული.

— ამდენი წიგნი რომ გაქვთ, არც ერთში არ წერია, რა არის ადამიანის დანიშნულება?

— ყველაში წერია. მაგრამ, სამწუხაროდ, მართალი არც ერთი არაა. ადამიანის დანიშნულება ადამიანის გარეთაა საძებნელი. თუმცა თავისი თეორია ყველას შეუძლია ჰქონდეს. ჩემი თეორიის მიხედვით, ადამიანს არავითარი დანიშნულება არა აქვს, უბრალოდ, სიცოცხლის იმპულსი აქვს, რომელიც გარდაუვალია და ამიტომ დანიშნულების ძიების სურვილს ბადებს. ეს სურვილი კი სასაცილოა, რადგან ხვალ მე და თქვენ სცენაზე გავალთ და სეირის საყურებლად მოგროვილი ბრბოს წინაშე სეირობაზული სახით მოვყვებით კუნტრუშს.

— შეიძლება დღესვე წაგიღო ერთი ორი წიგნი?

— ჩათვალეთ, რომ ყველაფერი თქვენს განკარგულებაშია.

— იქნებ სამსონია მართალი...

— ან გერმანული რაციონალიზმი.

დილის ოთხ საათზე კიდევ დალიეს თითო ფინჯანი ყავა. მერე აბელმა პლატონის შედარებით სრული გამოცემის პირველი ორი ტომი იღლიაში ამოიჩარა, მასპინძელს დაემშვიდობა და დილაუთენია, იმ დროს, როცა რიეტაკი ელექტრონის ბოძებს პირველობისათვის ებრძოდა, საყელოამოწეული და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ნელა დაუყვა მოყინულ ქუჩას.

ალიმ ფორმალურად გააქიცინა კუდი და საყვედურნარევი სიყვარულით შეხედა დაგვიანებულ პატრონს. უკვე კარგად იყო გათენებული, აბელი რომ დაწვა. სამი თუ ოთხი საათი იძინა და გამოღვიძების წინ უცნაური სიზმარი ნახა: ნათელი დღე იყო, კრიალა, ლურჯი ცა, კაშკაშა მზე. საამო სიცივე. მსუბუქი, გამჭვირვალე ჰაერი ოდნავ [illegible] ხეოდა და შიგ მზის სხივები ოქროსფრად ლივლივებდა. ძირს ხასხასა მწვანე ბალახის თვალწუწდენელი ხალჩა იყო გაფენილი ზედ ამოქარგული ნაირფერი ყვავილებით. უეცრად ყველაფერი ეს გაქრა. აბელი ვერ მიხვდა, მიწა გაირღვა თუ სხვა რამ მიზეზით გამოეცალა ფეხქვეშ საყრდენი. მხოლოდ ის იგრძნო, რომ დიდი და უხიფათო სისწრაფით ჩაეშვა სადღაც ქვემოთ, უფსკრულში. ერთი კი შეუქანდა გული, მაგრამ იმავ წამს, როგორც კი ბნელ გვირაბში აღმოჩნდა, მღელვარებამ გაუარა. მხოლოდ ლაჟვარდი ცისა და თბილი, კამკამა ჰაერის ბუნდოვანი ხსოვნა შემორჩა და ისიც სწრაფად, თვალდათვალ ქრებოდა. სამაგიეროდ გაჩნდა ბნელი გვირაბის გარდაუვალობის, ერთადერთობისა და ჩვეულებრიობის განცდა. აბელმა რომელიღაც ცოდნით იცოდა, რომ ეს გვირაბი უნდა გაევლო. მართალია, წარრეფდგენა არ ჰქონდა, სად თავდებოდა იგი, რამსიგრძე იყო, რა დრო დასჭირდებოდა. მაგრამ უკნიდან რაღაც ბიძგს გრძნობდა, რაღაც ძალა აწვებოდა და ისიც გზას გაუდგა. გვირაბი თითქოს საგანგებოდ მისთვის გაეჭრათ: მხრებით ლამის კედლებს ეხეხებოდა და თავით — ჭერს. თუმცა ეს ცნებები, „მხრები" და „თავი" მერე გაჩნდა, როცა სიზმარი დამთავრდა, მაშინ კი არავითარი მხრები და არავითარი თავი არ არსებობდა. სხეული უფორმო იყო, უსახო, დაუნაწევრებელი. მიხვეულ-მოხვეული გვირაბი ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა, ხან მაღლა მიემართებოდა, ხან დაბლა ეშვებოდა. აბელი დროდადრო გვერდებზე შვერილებს ედებოდა და ამ დროს ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს რაღაც ცოცხალს, მსუნთქავს. მასავით რბილსა და მასავით უფორმოს ეხებო-

ზაზა ქარჩხაძე
ქარავანი

და. შეხებისას მისი ცომივით სხეული იზნიქებოდა და, თუ რომელიმე შვილს კვლავ იმავე ადგილით არ წამოედებოდა, ასე შეზნექილი რჩებოდა. დიდხანს იხეტიალა ამ უცნაური სიცოცხლით ცოცხალ გვირაბში, მერე უცებ მიხვდა, მისი რბილი სხეულის მომავალი ფორმა აქ იქმნებოდა, ამ გვირაბის კედლებზე შეხების შედეგად, და გაიფიქრა: „ფრთხილად თუ არ ვიარე, ასე უთავბოლოდ თუ წამოვედე ყველაფერს, ვინ იცის, რა ურჩხულის სახით გავალ აქედან“. ამის გაფიქრებაზე იმ უფორმო სხეულში შიშმა დაუარა და გამოეღვიძა. თვალი გაახილა თუ არა, გაშეშებულმა, საკუთარ თავს მიუგდო ყური: მხრებიც იგრძნო, თავიც, ხელებიც, მთელი სხეული იგრძნო, მიხვდა, რომ ყველაფერი ეს სიზმარი ყოფილა, და შვებით ამოისუნთქა.

მერე გედეონ რევია გაახსენდა.

გედეონ რევია, რამდენადაც აბელს შეეძლო ემსჯელა, რთული პიროვნება იყო, საინტერესო და ხშირად გაუგებარად არათანმიმდევრული. ყოველთვის მშვიდს, მოღიმარესა და ირონიულს, მარადიული წინააღმდეგობისა თუ მარადიული კვლევის მოუსვენარი, ერთთავად მოძრავი სული აიძულებდა ყველა წერტილი კითხვის ნიშნად ექცია და ყველაფერი ეჭვის ქვეშ დაეყენებია. საკმარისი იყო კამათისას მისი პოზიცია გელიარებიათ, რომ წამსვე თვითონაც შეცვლილა გეზს და ახლა იმ პოზიციას შეუტევდა, რომელსაც ზუთის წინ იცავდა, თითქოს ჭეშმარიტების დადგენა კი არ აინტერესებდა, მოსაუბრის ინტელექტის ძალას იკვლევდა. ამიტომ იყო, რომ მასთან კამათს ერიდებოდნენ.

თვითონ არავის ერიდებოდა, არავის ეპუებოდა და თავისი შემპარავი, ერთი შეხედვით მიამტური შეკითხვებით, ყველას საკამათოდ იწვევდა. ისეთ რაღაცაში შეიტანდა ეჭვს, რაც დაბადებიდან გჯონდა შესისხლხორცებული და არასოდეს აზრად არ მოგვიდოდა მისი ჭეშმარიტება საკამათო გაგეხადა. ასე დაემართა, მაგალითად, კაკო ორჯონიკიძეს. კაკო ორჯონიკიძე, რომელიც მას შემდეგ, რაც სპორტული კარიერა მიატოვა და სმა-ჭამას მიეძალა, სუფრაზე, როგორც წესი, სამი-ოთხი ჭიქის დალევამდე გუგულივით წყნარი იყო და ისე ჩუმად იჯდა თავისთვის, მის არსებობას ვერც კი შეამჩნევდი; სამ-ოთხ ჭიქას რომ დალევდა, ღვინო უკვე აღწევდა იმ ადგილს, სადაც პათეტიკის ბუშტია მოთავსებული, ხვრეტდა ამ ბუშტს და დაგუბებული მალალფარდოვნება გულის ამაჩუყებელ ნიაღვრად იწყებდა დენას. იმ დღეს პათეტიკის ბუშტი უკვე დაფლეთილი იყო, როდესაც თამადამ თანამეშულფურეებს სამშობლოს სადღეგრძელო შესთავაზა. კაკო ორჯონიკიძეს თვალები პროჟექტორებივით ჟენთო, წამოდგა, ღიპი მაგიდაზე შემოსდო, ჭიქა აიღო, იდაყვი განზე გასწია და მხრის სიმაღლეზე დაიჭირა, ნეკა თითი, წესისამებრ, გაფშვიკა, მეორე, თავისუფალი მუშტი მკერდზე დაიწრაგუნა და აღელვებულმა, ცრემლმორეული ხმით, ჯერ მარტო თავისი სახელით, მერე სუფრისა და, ბოლოს, მთელი ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ერი არის ხატი, რომლის წინაშე მუხლმოყრილი ლოცვა გვმართებს, რომ ერს ცრემლი უნდა შევუმშრალოთ და სხვა. როდესაც ფიცი დასდო, თუკი ერის კეთილდღეობა მოითხოვს, ერთს არ შევყოყმანდები, თვალის დაუხამხამებლად გავწირავ თავსო, გედეონ რევიამ ჩანგალი თეფშზე ააჩხაკუნა და, ამით გაკვირვებულმა კაკო ორჯონიკიძემ წამით ლაპარაკი რომ შეწყვიტა, უთხრა:

— კარგი და, ვთქვათ, არ დაგჯერდ თავგანწირვას და უფრო მძიმე მსხვერპლი მოგთხოვა. რას იზამ?

კაკო ორჯონიკიძე გვერდულად, გაკვირვებული ძაღლივით მიაჩერდა გედეონს.

— თავგანწირვაზე მეტი რაღა უნდა მომთხოვოს?! — შესძახა მერე და

სუფრას ისე მოავლო თვალი, თითქოს მხარდაჭერას ითხოვსო.

— თავგანწირვა ადვილია, კაკო. ძელები თუ სხვამ გამოგითალა, სახრჩობელა სხვამ დაგიდგა, სკამი სხვამ მიგიდგა, სხვამ აგიყვანა ზედ და თოკი სხვამ ჩამოგიბა, ყელზე თავის გაყოფას რაღა ეზღა! მაგრამ, ერთიც ვნახოთ და, იმ შენმა საყვარელმა ერმა თავგანწირვის ნაცვლად ასეთი რამ მოგთხოვა: კაკო ორჯონიკიძე, ნუ დაცალ მაგ ჭიქას. საერთოდ, ნაკლები სვი, ნაკლები ჭამე, ღიმი მოიშორე, გახდი, მეტი იფიქრე, მეტი იკითხე. მე, შენს მშობელ ერს, ჰაერივით მჭირდება, რომ შენს გონებაში თავისუფლების იდეა გაჩნდეს. შეასრულებ?

— რატომაც არ შევასრულებ! — გულმოსული ხმით თქვა კაკო ორჯონიკიძემ. ისე რომ გედეონისთვის სახეში არ შეუხედავს, და ჭიქა დასცალა.

რა თქმა უნდა, გედეონს მახვილი თვალი და ცბიერი ჭკუა ჰქონდა, სულის უმცირეს მოძრაობას ამჩნევდა და და არასოდეს გამოეპარებოდა ფარდის უკან მიმალული ნამდვილი ხვაშიადი. ამას ვერავინ უარყოფს. მაგრამ მისი მთავარი კოზირი, რითაც მთელ ქალაქს შეაძულა თავი, ეს არ ყოფილა. შემჩნევით ჩვენც ბევრ რამეს ვამჩნევთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ ერთმანეთის დანდობა ვიცით და, როცა ერთმანეთს ისეთ რამეს დავუნახავთ, რისი დანახვაც უხერხულია, ამაზე არ ვლაპარაკობთ, ისე ვიქცევით, ვითომ არ დაგვინახავს. გედეონი ასე არ იქცეოდა. არც თვითონ მალავდა რამეს და არც შენ დაგამალვინებდა. ჩვენ რომ ერთმანეთს ვუფრთხილდებით, ამას იმიტომ კი არ ჩავდიგართ, თითქოს ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოგვდიოდეს, შიში გვაქვს და იმიტომ ჩავდიგართ. მე თუ გამოვამზეურე, რასაც შენ მალავ, შენც გამოამზეურებ, რასაც მე ვმალავ. გედეონს ამის შიში არ ჰქონდა. იმიტომ ნაცნობებსა და ეგრეთ წოდებულ ახლობლებს თან სძულდათ, თან ფარისევლურად ულიმოდნენ და თან მუდამ დაძაბული იყვნენ, რათა თავი არ გაეცათ. ერთადერთი კაცი, ვინც შეუპოვრად იწევდა მასთან საკამათოდ, სამსონი იყო. მაგრამ ის ერთადერთი კაციც სამსონი იყო, ვისაც გედეონი არასოდეს არ ეკამათებოდა. სამსონთან კამათი წყლის ნაყვად მიაჩნდა, რადგან სამსონი ღრუბლებში დაფრთხიალებდა, ლოგიკის ჯაჭვებს ისე ახტებოდა, როგორც პატარა-პატარა ღელეებს, და მუდამ უცნობი ღმერთის სახელით ლაპარაკობდა.

იმ ღამეული ვიზიტის შემდეგ აბელს ეუცხოებოდა გედეონის სცენაზე დანახვა. ეუცხოებოდა და უკვირდა. ცოტა ეცოდებოდა კიდეც.

თავი მეთოთხმეტე

საბალწოლად მართლა დიდი თოვლი მოვიდა. ოცდაათ დეკემბერს ნაშუადამევს რომ დაიწყო ბარდნა, მთელ მომდევნო დღისა და ახალწლის ღამეს არ შეწყვეტილა. ოცდათერთმეტში აბელს სპექტაკლი არ ჰქონდა და მთელი საღამო შინ გაატარა. ბევრს ეხვეწა ასლანი, რომ ნაწილ წამოდი, ახალ წელს ერთად შევხვდეთო, მაგრამ ვერ დაიყოლია. მაშინ უთხრა, ნუ დაიძინებ მაინც და ღამის პირველი საათისთვის მე თვითონ ჩამოგაკითხავო. აბელმა ეაეც გაუპროტესტა, გაიჩხირები სადმე ასეთ თოვლშიო, რაზედაც ასლანმა სიცილით მიუგო, შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ჩემი მანქანა ტანკის, ნაწილებისაგანაა აწყობილიო. აბელს გაეღიმა და ხელი ჩაიქნია, არც კი გაუკვირდებოდა, რომ მართლა ასე ყოფილიყო.

მანამ კი, დილით, თეატრში მივიდა და იქ დიდი გამოცოცხლება დახვდა. თა-

---

ჯემალ ძარჩიკაძე
ძარკამანი

ნამშრომლების ერთი ჯგუფი მთავარ ფოიეში შეყრილიყო და რაღაცაზე ხმამაღლა, აღფრთოვანებით ყაყანებდა. დაინახეს თუ არა ახელი, რამდენიმე კაცმა ერთად შეაგება კითხვა, დღევანდელი გაზეთი თუ ნახეო, და მისი უარით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, ეტყობა, აღარ ელოდნენ, რომ ისეთი კაცი გამოჩნდებოდა, ვისაც ჯერ კიდევ წინ ედო ის დიდი სიამოვნება, რაც თვითონ უკვე იგემეს. გაზეთში რეცენზია აღმოჩნდა ახალი სპექტაკლის შესახებ და ამით იყვნენ ასე გახარებულები. განსაკუთრებით აქტიურობდა ეა აქებდა სტატიის ავტორს მიმოზა შარტავა, რომელმაც ამ სპექტაკლში გადია ითამაშა. ქალბატონი მიმოზა ოდნავ გადამწიფებული, მაგრამ კარგად შენახული მანდილოსანი იყო. თავის თავს თვითონვე ახასიათებდა, როგორც გადამწიფებულს, ოღონდ იქვე კომენტარს უკეთებდა: მსხალი ყველაზე გემრიელი მაშინ არის, როცა სიმწიფეს გადასცდება, მაგრამ ლობა ჯერ კიდევ არ დაწუებიაო. მის შემხედვარეს არ შეგეძლო ეს ახრი არ გაგეზიარებია. ასაკის სიმსუქნე ისეთი დოზით ჰქონდა შეპარული, რომელიც სხეულს თითქოს აახალგაზრდავებს და წინანდელზე მეტ მომხიბლაობას ანიჭებს, მით უმეტეს, როცა ამას ემატება სისხლსა და ხორცში ღრმად გამჯდარი, ზომიერი სიკეკლუცეც და თანდაყოლილი მიამიტობა. ქალბატონმა მიმოზამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა და ყველა საშუალებით ცდილობდა ეს უკანასკნელი აფეთქების პერიოდი რამდენადაც შეეძლო გაეხანგრძლივებინა. ამ საქმეს წარმატებით ართმევდა თავს. მარტოხელა ქალი იყო; ერთ დროს, შორეულ ახალგაზრდობაში, ქმარი კი ჰყოლია, მაგრამ ძალევე დასცილებიან ერთმანეთს. შვილი არ დარჩენია და საკუთარი თავის მეტი საფიქრალი და საზრუნავი არაკინ ჰყოლია. საყვარელს ორ-სამ წელიწადში ერთხელ იცვლიდა და, სანამ გამოიცვლიდა, მისი უერთგულესი იყო. საყვარლებიც, თავის მხრივ, ღირსეულად უფასებდნენ ერთგულებას და მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ. სანდომიანი ქალი იყო, ცოცხალი, ხალისიანი, ტკბილკეთილი, ზოგჯერ, როცა საკითხი მის აქტიორულ პატივმოყვარეობას ეხებოდა, ჭირვეული, მაგრამ ჭირვეულობაშიც კი გულუბრყვილო და მომხიბლავი რჩებოდა. პატარა გოგოს ხმა ჰქონდა და ესეც, ეტყობა, ხელს უწყობდა, რომ ქალობის აქტიური პერიოდი გაეხანგრძლივებინა.

— აი, ეს არის რეცენზია! — ხმამაღლა ამბობდა ქალბატონი მიმოზა თავისი წკრიალა ხმით. — ეს არის თეატრის ცოდნა. არა, მიშა? რეცენზიის წერა ეს კი არაა! ბიჭებუკები რომ გამოხტებიან, არაფერი არ უნახავთ, არაფერი არ წაუკითხავთ და შეთითხნიან რაღაცას, რისი თქმა უნდათ, ვერ გაიგებ. რეცენზია რომ დაწერო, სპექტაკლის ნახვა უნდა იცოდე, — ქალბატონმა მიმოზამ კეკლუცად და თეატრალურად გაშალა ხელები. — ეს ყველას კი არ შეუძლია. თეატრალი უნდა იყო. რეცენზიები ასეთმა ხალხმა უნდა წეროს. არა, მიშა? რა კარგად ესმის თეატრი! ან კალამი როგორ უჭრის!

მიშა და დანარჩენებიც უყოყმანოდ ეთანხმებოდნენ ქალბატონ მიმოზას რეცენზიის შეფასებაში, განსაკუთრებით კი იმაში, რომ ავტორს „კალამი კარგად უჭრიდა“.

სტატიას, რომელსაც მეოთხე გვერდის მთელი ზედა ნახევარი ეჭირა, სათაურად ჰქონდა „მარადიული სიყვარულის საგალობელი“ და ხელს აწერდა „ვ. ახაბელი“. როგორც ამელს იქვე აუხსნეს, ეს „ვ. ახაბელი“ ყოფილი გაზეთის რედაქტორის ვასილ გარაყანიძის ერთ-ერთი ფსევდონიმი. სულ გარაყანიძეს თერთმეტი ფსევდონიმი ჰქონია და მათი უნარიანი რეგალიერების წყალობით ყველა ვრცელსა და სერიოზულ სტატიას, ყველა საკვანძო, განმაზოგადებელ და შემაჯამებელ წერილს თავისი გაზეთისათვის თვითონვე წერდა. ცხადია, ამას ფართო და მრავალმხრივი განათლება სჭირდებოდა. რაკი ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, უმწიფარ ჩიტკორესპონდენ-

ტებს არ ენდობოდა და, თუმცა ეს დაძაბულ, თავაუღებელ შრომას მოითხოვდა, ყველაფერს თვითონ აშუქებდა, იქნებოდა ეს მეთაური წერილი, სოფლის მეურნეობის პრობლემატური საკითხები, სოციოლოგიური თემატიკა, აღზრდა-განათლება, დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლა თუ თანამედროვე ხელოვნების განვითარების გზები და თავისებურებანი. უკლებს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას ვრცელი სტატია მიუძღვნა, ზომიერად ირონიული, ღრმაგზრდოვანი და სუსხიანი, სადაც უკლებას ბოროტმოქმედების კერძო შემთხვევა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ სახეზე ფართო და საფუძვლიანი მსჯელობის ამოსავალ წერტილად გამოუყენებია, დღეკანდელ საზოგადოებაში დანაშაულებათა ფიზიკელების ფსიქოლოგიური და სოციალური მოტივები დაწვრილებით განუხილავს და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ოჯახის, საზოგადოებისა და წარმოებადწესებულებების ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა.

ეს ყველაფერი აბელმა გვიან გაიგო. იმ დროს კი, როცა ახალი გაზეთი მიაჩერეს და მოუთმენლად მოელოდნენ, როდის ჩაათავებდა ჩაბალის წერილს და როდის შეუერთდებოდა მათს აღფრთოვანებას, ჯერ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა გარაყანიძის გაქანებისა და მასშტაბის შესახებ, რეცენზიამ ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება, რასაც კოლეგები მოელოდნენ. აბელის აზრით, გარაყანიძე-ჩაბალის სპეკტაკლი იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც საკუთარი პერსონის წარმოჩენა და თავისი ენამზეობითა და ერუდიციით მკითხველის გულის მონადირება. კერძოდ, რეცენზიის მხატვრულ სიძლიერეს მოწმობდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „სიყვარულის თავნკარა წყარო“ (ორჯერ), „სულიერი ძალისმევა“ (ოთხჯერ), „ენებათაღელვის უსიერი ტყე“ (ორჯერ), „დაკოდილი გულის უნუგეშო სიმღერა“ (ერთხელ) და სხვა; პროფესიულ ერუდიციას — „გამჭოლი მოქმედებისა“ (ოთხჯერ), „ანსამბლურობა“ (ორჯერ), „გაუცხობების ეფექტი“ (ერთხელ), „ეპიკური თეატრის პრინციპები“ (ექვსჯერ), „არლეკინო“ და „კომედია დელ‘ არტე“ (თითო-თითოჯერ) და სხვა. გარდა ამისა, ბლომად იყო ზოგადი განათლების მაჩვენებელი სიტყვები და გამოთქმები. და ყველაფერი ეს, როგორც აბელს მოეჩვენა, ნახმარი იყო ისეთ ადგილას, საცა მათი არავითარი აუცილებლობა არ ყოფილა. აბელის აზრით, ყოველივე ეს ნათლად მეტყველებდა ავტორის ცუდ პროვინციალიზმზე და ღრმა დილეტანტიზმზე, თუკი, საერთოდ, შეიძლება დილეტანტიზმს რაიმე სიღრმე ჰქონდეს, რაც შეეხება სპექტაკლის შეფასებას, აქ გარაყანიძე-ჩაბალი, ერთი მხრივ, ტენდენციური იყო და, მეორე მხრივ, შაბლონის გატკეპნილ გზას მიჰყვებოდა. მთლიანად სპექტაკლს ახასიათებდა, როგორც „თეატრის მორიგ გამარკვევას“, მოკლედ და გაკვრით ეხებოდა რეჟისურას („ანსამბლურობა“, „მიზანმიმართება“, „სისადავე“), კიდევ უფრო მოკლედ — მხატვრობასა და მუსიკას („ორგანულად ერწყმიან სპექტაკლის საერთო სტილისტიკას და ხელს უწყობენ იდეის მკაფიო გამოკვეთას“), ორიოდე სიტყვით აქებდა თეიმურაზ კალაძეს („დამაჯერებლობა“, „განცდის სიმძაფრე“) და თავდაუზოგავად ასხამდა ხოტბას „ჯულიეტას როლის შემსრულებელს“ („თავნკარა“, „სულიერი ძალისხმევა“, „უსიერი ტყე“, „დაკოდილი გულის სიმღერა“, „გაუცხობების ეფექტი“, „ეპიკური თეატრის პრინციპები“, „სოციალური პლასტიკურობა,“ „მომენტალურად გარდასახვის განსაცვიფრებელი უნარი“, „დიდი გარეგნული მომხიბლაობა“ და სხვა). ქალბატონი მიმოზა ერთი ფრაზით იყო შექებული („კიდევ ერთხელ გაგვასარა...“). აბელს მთელი აბზაცი ჰქონდა დათმობილი (აქაც „დამაჯერებლობა“, „ეპიკური თეატრის პრინციპები“, „პლასტიკურობა“ და ბოლოს ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი წინადადება, რომელმაც აბელი დაიბნია და გაიოცა: „მისი სახით თეატრს სერიოზული შემოქმედებითი ძალა შეემატა“. დასკვნაში ავტორი ღრმა რწმენას გამოთქვამდა, რომ „თეატრი სწორ გზას ადგას და მისგან ახალ-ახალ გამარჯვებებს უნდა მოველოდეთ“. ერთი სიტყვით, რეცენზიაში ყველაფერი იყო, გარდა იმისა, რასაც, აბელის აზრით, ანალიზი ერქვა. დაუჯერებელიც კი ჩანდა (და ერთგვაროვად ავტორის სპეციფიკურ ნიშნად მიუთითებდა), რომ ამოდენა წერილი დაწერო და სინამდვილეში არაფერი თქვა.

აბელმა კითხვა დაამთავრა, მაგრამ თავი არ აუღია. გრძნობდა, როგორ მოსჩერებოდნენ ყოველი მხრიდან გაბრწყინებული თვალები, და არ იცოდა, რა ეთქვა. სათქმელი რა ჰქონდა, ის კი იცოდა, მაგრამ ვერ გაებედა კოლეგების ანთებულ ცეცხლზე წყალი გადაესხა. კოლეგები, თქმა არ უნდა, მარდად გახტებოდნენ განზე და აიცდენდნენ წყალს, მაგრამ აბელს ასეთი საქციელი ალბათ მეტიჩრობად ჩაეთვლებოდა. თუმცა მთავარი თითქოს ესეც არ იყო. მთავარი რაღაც გაუგებარი უხერხულობა იყო, რაც ბორკავდა და გამბედაობას უჩრუნგებდა, ამიტომ იდგა, მოგონილი ყურადღებით დასცქეროდა გაზეთს და ცდილობდა ერთი ბეწო ღირსება მაინც ეპოვა რეცენზიაში, რათა მის ხარჯზე გასულიყო და არც სინდისისთვის ეღალატა და არც ალტაცების მომლოდინე კოლეგები გაეწბილებია.

ბედად, ამ დროს გედეონ რევია გამოჩნდა და აღფრთოვანების ეიერში წამსვე მისკენ იქნა მიმართული.

— გედეონ! — ყველას დააღწრო ქალბატონმა მიმოზამ. — წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?

— კი, — მიუგო გედეონმა. — ორი კვირის წინ წავიკითხე.

— დაიწყო ამან თავისებური! — შესძახა ქალბატონმა მიმოზამ პატარა გოგოს წკრიალა ხმით და ამ ხმაში აღშფოთება კი იყო, მაგრამ ისეთი აღშფოთება იყო, რომელსაც არ ძალუძს ხალისიან განწყობილებას შეელიოს. — ვასო, ეს ცენზიაა. წაიკითხე, წაიკითხე. ნახე, როგორ ესმის თეატრი, როგორ უჭრის კალამი!

— უჭრის ხომ გარაყანიძეს? — გაიღიმა გედეონმა. მერე აბელს მიუბრუნდა: — თქვენ უკვე წაიკითხეთ, აბელ?

— კი.

— მერე რას ატყობთ? უჭრის გარაყანიძეს? თუ უჭირს?

— უჭრიალებს, — გაიღიმა აბელმა.

— ჰო! — მიუწონა გედეონს. — სავსებით სწორია, — და ისევ ქალბატონ მიმოზას მიუბრუნდა: — ეს რეცენზია, ჩემო მიმოზა, კიდევ უფრო ადრე მაქვს წაკითხული. თუ გინდა მოგიყვები, რა წერია.

— არ გამიგონია მე ყველაფრის მასხრად აგდება! — ხელები გაიქნია ქალბატონმა მიმოზამ და რატომღაც ძალიან მხიარულად გაიცინა. — ვინ გაუვს უკეთესი? მერე რა კაცია! არა, მიშა? რა შესახედავია! — ქალბატონმა მიმოზამ დაფიქრებული ღიმილით გახედა სივრცეს.

— ეგ მართალია, — დაეთანხმა გედეონი. — მართლაც ჩინებული შესახედარია.

— ფუ, რა ყიალყრალი ბებერი ხარ! — გაიცინა ქალბატონმა მიმოზამ. — შენი მოსაწონი ქვეყანაზე არაფერი არაა. მითხარი ერთი, რამე მოგწონს? — ხელები გაშალა და გამომწვევად შეხედა გედეონს.

გედეონმა ჰაერში გაშეშებული მისი ხელი აიღო, გადმოაბრუნა და ღიმილით აკოცა.

— შენ, მიმოზა. შენ მომწონხარ. შენი ხალისიანი და ჭირვეული ხასიათი მომწონს. შენი მომხიბლავი მიამიტობა, შენი ახალგაზრდული სული, შენი დაუჭკნობელი ქალობა, შენი კოხტა ცხვირი და შენი მხიარული კისკისი.

— ოჰ, შე სატანა! შე მაცდურო! — ჩაკუჭკუჭდა ქალბატონი მიმოზა, რომელსაც თან სიამოვნებდა ქათინაურები, თან სიცილად არ ჰყოფნიდა, თან ყველაფერი სჯეროდა, რასაც გედეონი ეუბ-

ნებოდა, და თან იცოდა, რომ ყველაფერი ხუმრობა იყო. და შესაძლებელია, სწორედ ამით ადასტურებდა გედეონის აზრს მისი დაუჭკნობელი ქალობის შესახებ.

გედეონი კი კვლავ აბელს მიუტრიალდა.

— თქვენწმე რას წერს გარაყანიძე?

აბელს გაეღიმა.

— ჩემი სახით თეატრს სერიოზული შემოქმედებითი ძალა შეემატა.

— ეს ცხადია.

— ცხადია? მაშ ის კაცია გარაყანიძე, პრემიერა რომ მოგვილოცა?

გედეონმა გულწრფელი გაკვირვებით შეხედა და ერთხანს თვალი არ მოუშორებია. მერე თავი გადაიქნია.

— აბელ! აბელ! ის კაცი საყვარელიძეა. ის ქალი კი მისი ღვთაებრივი მეუღლე სალომე. ასეთი შეცდომა მეორედ არ მოგვიდეთ.

— კი მაგრამ ეს ფრაზა... მართალია, შაბლონური ფრაზა კია, მაგრამ... ასე ზუსტად...

— თქვენი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე დამაფიქრებელია, აბელ. მარტო პლატონით შორს ვერ წახვალთ. იმ დღეს კიდევ ბევრი მხურვალე და აღტაცებული სიტყვა ითქვა რეცენზიის გამო და გარაყანიძის პოპულარობის გაუმდინარე ტბას რამდენიმე გულწრფელი წვეთი შეემატა. აბელს სწორედ ეს გულწრფელობა უკვირდა. თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, მას, ასე თუ ისე, ესმოდა იმ ხალხის, ვინც ერთს ფიქრობს და გარკვეულ, შესაძლებელია, სავსებით სალ მოსაზრებათა გამო, სულ სხვას ამბობს. გარაყანიძის სტატია კი მართლა მოსწონდათ. გარაყანიძის სტატიით მართლა აღფრთოვანებულები იყვნენ. და ვერავინ ატყობდა, რომ ამ ხმაურიანი და ბჟყვიალა სიტყვების ნამდვილი მიზანი სიმდიდრის გამოჩენა კი არ იყო, არამედ სიღატაკის მიჩქმალვა. მკითხველთა აღტაცება იმდენად დიდი იყო, აბელი რომ თავისი საპირისპირო მოსაზრებით მარტო დარჩენილიყო, შესაძლებელია, საკუთარ სიმართლეში ეჭვი შეჰპარვოდა. მადლობა ღმერთს, გედეონ რევია აღმოჩნდა მის გვერდით. ერთი თანამოაზრე უკვე დიდი ნუგეშია, რადგან ამით თავვარ მტერს — განაპირებისა და გარიყვის შიშს ამარცხებ, ხოლო თუ ეს თანამოაზრე გედეონ რევიაა, ფხიზელი და ბასრი ჭკუის პატრონი, მაშინ შენს რწმენას, რომელსაც კინაღამ ნიადაგი გამოეცალა, ისევ უმაგრდება ფესვები.

საღამოს აბელი ადრე დაბრუნდა შინ. გზად ორი ბოთლი შამპანური იყიდა და მთელი საახალწლო სამზადისი ამით მოათავა. მან მშვენივრად იცოდა, რომ არავითარი ახალი წელი არ არსებობს. იგი ადამიანებმა მოიგონეს. ადამიანებმა მოილაპარაკეს და დათქვეს, რომ ახალი წელი დაერქმიათ იმ წამისათვის, როცა ოცდათერთმეტი დეკემბერი თავდება და პირველი იანვარი იწყება. მაგრამ, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ, აბელს არ შეთანხმებიან და მისი დასტური არ გამოუთხოვიათ, ამიტომ სრული უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა მათ დანიშნულ წამზე და თავისი საკუთარი ახალი წელი დაენიშნა, რადგან დედამიწის მოძძრაობა სხვა არაფერია, თუ არა მარადიულ ახალ წელში მოგზაურობა. ის ორი ბოთლი შამპანურიც იმიტომ კი არ უყიდია, თითქოს ტრადიციას კუთვნილი მიუზღო და რაღაც ხარკი მოუხადა, უფრო იმიტომ იყიდა, რომ იცოდა, ასლანი სიტყვას არ გადავიდოდა და, თუ მართლა თოვლში არ ჩაფლო სადმე, ღამის პირველ საათზე უეჭველად მოგრიალდებოდა თავისი მანქანით.

შინ რომ მივიდა, ბუსარი აანთო, ელექტროქურებიც ჩართო, ჩვეულებრივზე უფრო მეტ ხანს ეთამაშა ალის, რადგან ალი დილიდანვე რაღაც უხასიათოდ ჩანდა, ბოლოს მაგიდას მიუჯდა დ პლატონის კითხვას შეუდგა. პლატონმა ამ ორი დღის განმავლობაში მთელი მისი არსება შეისრუტა და თავის უჩვეულო სამყაროში შეიტყუა. ეს იყო მაცთუნე-

ჯაფარ ჯარჩხაძე
ჯარავანი

ბელი სამყარო, რბილი, მშვიდი შუქით განათებული, თან კვიმატი, თან გულითადი, სადაც უსასრულობის თბილი შიში ანდამატივით გიზიდავდა, გნუსხავდა და თეთრი ღიმილით გიღიმოდა. სანამ იქ შეხვიდოდი, ყოველდღიური საზრუნავის, ყოველდღიური წუხილისა და ფიქრის ქერცლიან ტყავს თითქოს იხდიდი და გარეთ ტოვებდი, როგორც ტანსაცმელს ვტოვებთ ნაპირზე ზღვაში შესვლისას. და უკვე იმის მიხედვით, თუ რა რჩებოდა ნაპირზე, შეგეძლო გეგვარაუდა, რა არის ყოველდღიური, წვრილმანი და შემთხვევითი. ფილოსოფიურ განსწავლულობას ალელი ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ ის ფრაგმენტული ცოდნა, რაც თავისი ცხოვრების მანძილზე შეიძინა, ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა, თითქოს თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება წარმოადგენდა სამყაროსგან მოწყვეტილ, უმეცრეს, დაბშულ, სტერილურ ლაბორატორიას, სადაც კასტის სპეციალურ ფორმაში გამოწყობილი ! ფილოსოფოსი-ქურუმები იღებდნენ სუფთა, ყოველგვარი მინარევებისაგან თავისუფალ აბსტრაქტულ ცნებებსა და კატეგორიებს და მათი დაშლისა და შეერთების რეაქციებს სწავლობდნენ. თავადაც სუფთა, ყოველგვარი მინარევებისაგან თავისუფალი სახით შედიოდნენ ლაბორატორიაში, თავიანთი არსების მხოლოდ ის ნაწილი შეჰქონდათ, რომელიც ექსპერიმენტისთვის იყო საჭირო. ამიტომ ექსპერიმენტატორის მთლიანი, ნამდვილი არსება ექსპერიმენტში მონაწილეობას არ იღებდა და შედეგთანაც არაფერი ჰქონდა საერთო. პლატონი, მათგან განსხვავებით არ ცდილობდა ცნება მინარევებისაგან გამოეყო. მისთვის სამყარო იყო ლაბორატორია. მიმოდიოდა ამ სამყაროში და ყველაფერს ბუნებრივ მდგომარეობაში აკვირდებოდა. თვითონაც ბუნებრიობას ინარჩუნებდა, ქურუმის ტანსაცმელს არ იცმევდა და ცხოვრებას და აზროვნებას ერთმანეთისაგან არ მიჯნავდა. მან იცოდა, რომ ის ზედმეტი, რაც ცნებებსა და კატეგორიებს მინარევების სახით ახლავს, მათს აბსტრაქტულობას კონკრეტულ ცოცხლეს ანიჭებს, ხილულსა და ხილულ შესახებს ხდის და პრაქტიკული ცხოვრებისაკენ უკვალავს გზას. ამიტომ დალია სოკრატემ საწამლავი. პლატონი უსასრულობისა და უკვდავების სანახავად ცაში კი არ ადიოდა, მიწიდან ჭვრეტდა უსასრულობასა და უკვდავებას. ამ მხრივ ისა და შექსპირი ახლო ნათესავები იყვნენ.

ალელი დიდხანს კითხულობდა. კითხულობდა მანამ, სანამ ალის ეზოში გასვლა არ მოუნდა და წრიალი არ დაიწყო. ალი კართან მივიდა, თათი ასწია, ბრჭყალები მოუფხაჭუნა და ალელს მოხედა. ალელმა თავი აიღო.

— რა იყო, ალი?

ძაღლმა წრიალს უმატა და კიდევ მოუფხაჭუნა ბრჭყალები კარს.

— რა გინდა გარეთ ამ ყინვაში? — წამოდგა ალელი.

ალი ცახცახებდა, თითქოს ნერვულობდა. ეჩქარებოდა გასვლა. გარედან ადვილი იყო შემოსვლა: კარი შიგნით იღებოდა და თათით ოდნავი მოწოლაც კმაროდა. გასვლა კი დაუხმარებლად არ ხერხდებოდა.

— დღეს რაღაც გუნებაზე ვერა ხარ,— უთხრა ალელმა და თავზე გადაუსვა ხელი, რაზედაც ალიმ კუდის ქიცინით უპასუხა. — წადი, ოღონდ მალე დაბრუნდი, არ გაითოშო.

ოდნავ გამოაღო თუ არა კარი, ძაღლი მაშინვე ძუნძულით გავარდა. ალელმა კარი ისევ მიხურა, თთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯარას მიადგა და გაიხედა. ისე თოვდა, თითქოს ცაც თოვლით ყოფილიყოს დაფარული. ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებული იყო და მხოლოდ მდინარე ჯერ კიდევ ილანდებოდა ფიფქებსა და ფიფქებს შორის. ალელი მობრუნდა, მაგიდას მიუჯდა და ისევ წიგნში ჩაგო თავი.

დიდხანს იჯდა ასე თუ ცოტა ხანს, ბოლოს რაღაც ძალამ უბიძგა და გამოარკვია. რაღაც ძალამ, რაღაც ცივმა ტალღამ მყისიერად შეაკრთო. რა ძალა იყო,

ვერ მიხვდა. ხმაური არსაიდან არ ესმოდა. პირიქით, თუკი ეს ტალღა რაიმე გარეგანი ბიძგი იყო, იმ დაძაბული, თითქოს გადარაჯებული სიჩუმის გამოძახილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ ცივ ტალღასთან ერთად იგრძნო ზურგს უკან.

გაუაზრებლად, ინსტინქტურად აიღო თავი და სწრაფად შეტრიალდა სკამზე მთელი სხეულით.

ალის თავი ამაყად აეღირა და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს გენერალს, რომელმაც ეს-ესაა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო და ახლა ხელმწიფისაგან დამსახურებულ ჯილდოს მოელის. გვერდით ახალგაზრდა კაცი ედგა და აბელი, ეტყობა, სწორედ ძაღლის მოზეიმე გამომეტყველების წყალობით, როგორღაც ერთბაშად, ყოველგვარი ანგარიშისა და ლოგიკური გამომდინარეობის გარეშე მიხვდა, რომ ეს კაცი უცლება იყო.

აბელის სიმაღლე იქნებოდა, მაგრამ უჩვეულოდ განიერი ბეჭები ჰქონდა. შემოკვართული ჯინსის შარვალი ეცვა, სქელი, უყელო ჯემპრი და მოკლე, თმილი, გახსნილი ქურქი. ხელში სამგზავრო ჩანთა ეჭირა. ფართო შუბლი ჰქონდა, აზიდული, ენერგიული წარბები, სწორი ცხვირი და ზედმეტად დიდი ნიკაპი, რომელსაც თაფლისფერი თვალების მშვიდ, კეთილ გამომეტყველებაში თითქოს ერთგვარი უსიამო დისონანსი შეჰქონდა.

— გამარჯობათ, — დაბალი, სასიამოვნო ხმით თქვა უცლებამ და აბელმა იგი წამით ტიბალტის როლში წარმოიდგინა. — მე უცლება ვარ.

— ვიცი, — მიუგო აბელმა. თან ის უკვირდა, რომ უცლება მოგზაურს უფრო ჰგავდა, ვიდრე ციხიდან გამოქცეულს.

— შეიძლება ცოტა ხანს დავრჩე? — იკითხა უცლებამ და იქვე დააზუსტა: — თორმეტ საათამდე.

აბელი თვალს არ აშორებდა. მოგზაური, რომელიც ბოლო მატარებელს ჩამოჰყვა და სასტუმროში ადგილი ვერ იშოვა.

— ეს თქვენი სახლია... — თქვა ბოლოს და მხრები აიჩეჩა.

— ჩემი არც ადრე ყოფილა, — უცლებამ გაიღიმა. მისი თაფლისფერი თვალების სიმპათიური გამომეტყველება და ნიკაპის უსიმპათიო შთაბეჭდილება კიდევ უფრო მძაფრად აირია ერთმანეთში. — სხვა გზა არა მაქვს, თორემ ვიცი, საფრთხეში გაგდებთ. თუ გაიგეს, რომ აქ ვიყავი, შეიძლება უსიამოვნება შეგემთხვევ.

აბელი ვერ მიხვდა, ეს მობოდიშება იყო თუ გაფრთხილება, და თავის თავზე გაიღიმა.

— გაიხადეთ. დაჯექით, გათბით, დაისვენეთ.

უცლებამ ჩანთა ძირს დადო, ქურქი გაიხადა და სკამზე მიაგდო დაუდევრად. ჯემპრში მხრები კიდევ უფრო განიერი გამოუჩნდა. ბუხართან მივიდა, ხელები ცეცხლს მიუფიცხა და მოუხედავად თქვა:

— კარგად გითამაშიათ ტიბალტი.

— იქაც მოაღწია ჩემი დიდების ამბავმა? — აბელმა წარმოიდგინა, როგორ კითხულობდნენ პატიმრები გარაჟანიძის რეცენზიას, და გაეცინა.

— იქაც ეს ქვეყანაა, — ისევ მოუხედავად თქვა უცლებამ.

— ეტყობა, — დაფიქრებით მიუგო აბელმა და თავიც დაკნინა, თუმცა უცლება მისკენ ზურგშექცევით იდგა. — მაგრამ დავიჯერო, ტანსაცმელსაც არიგებენ?

— რა ტანსაცმელს? — ვერ გაიგო უცლებამ.

— საგარეო ტანსაცმელს. ციხიდან გასაქცევს.

— აა! — და მოტრიალდა, ახლა ზურგი მიუფიცხა ცეცხლს. — ეს ტანსაცმელი აქ გამოვიცვალე.

— სად აქ? — გაუკვირდა აბელს.

— აქ. ქვემოთ ერთი სამალავი მაქვს. ტანსაცმელიც იქ მქონდა და... — თითი ჩანთისკენ გაიშვირა: — რაღაც იარაღები. ისეთი სამალავია, კაცაშვილი ვერ

მიაგნებს. თუ გინდათ, გაჩვენებთ, იქნებ რამეში დაგჭირდეთ.

— მე? მე რაში უნდა დამჭირდეს?

— კაცმა არ იცის. არც მე ვეგონა, თუ დამჭირდებოდა.

— თქვენ ისეთ საქმეზე გიკიდიათ ხელი...

უკლებამ ცერად შემოხედა.

— ეს საქმე მე სრულყოფილად ვიცი. არსად არასდეს კვალი არ დამიტოვია.

— ფაქტი?

— ეს ფაქტი არ არის. ეს ბრმა შემთხვევაა, — ბუხარს მოშორდა, ოთახში ნელი ნაბიჯით გაიარა და ფანჯარას მიადგა. — ბრმა შემთხვევაა არ არჩევს დამნაშავეს და უდანაშაულოს... როგორ თოვს!.. მაშ, არ გინდათ სამალავი?

— არა, — მიუგო აბელმა და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — მოშიებული იქნებთან.

უკლება სწრაფად შემოტრიალდა. სახეზე რაღაც უცხო ტალღამ გადაუარა, რომელმაც ნიკაპის უსიამოვნო შთაბეჭდილება წამით სრულიად წაშალა და მარტო თაფლისფერი თვალების კეთილი გამომეტყველება დატოვა.

— მოშიებული არა ვარ. სახლში გაკეთებულ საჭმელს კი ვარ მონატრებული, მაგრამ, — აქ გაიღიმა და ხმაში სინანული შეეპარა. — მარტოხელა კაცს რა უნდა გქონდეთ...

— რატომ? ღვთისა და კეთილი ხალხის წყალობით, ცოტა რამ მეშოვება.

აბელი სუფრის გაშლას შეუდგა. თეფშები და ჩანგლები გამოიღო, პური, ჯამით ლობიო, თეფშით მხალი, ქათმის ხორცი.

— თქვენც გშიათ? — ჰკითხა უკლებამ.

— არა.

— მაშ, ხორცი არაა საჭირო.

— რატომ?

— არა ვჭამ... — აბელს უკლებას ხმაში რაღაც მორიდებულ-გაუბედავი კილო შემოესმა და მოეჩვენა, თითქოა ამ კაცმა წამით ჩაკეტილი სარკმელი გამოაღო და თავის საიდუმლო სამალავში შეახედა.

აბელმა ხორცი ისევ განჯინაში შეინახა, მარილი და მწვანილი გამოიღო და ბოლოს ერთი ბოთლი შამპანური გა მაგიდაზე.

— მე ვერ დავლევ, — თქვა უკლებამ.

— ვერიდები სასმელს.

აბელი გაკვირვებით და ცოტა ეჭვით მიაჩერდა. მერე შამპანურის ბოთლს ყელის ზურგით მიაწვა, გვერდზე მისწია და თქვა:

— მთელ ქალაქს თქვენი სახელი აკერია პირზე. რას არ ამბობენ თქვენზე, მაგრამ ასკეტიაო, ჯერ არავის უთქვამს.

— ეს რა ასკეტობაა! — ადდებით ჩაიღაპარაკა უკლებამ და მხალი გადაიღო. მერე დაფიქრებით თქვა: — რა უცნაურია! მორბენალი ან მოჭადრაკე თუ არ სვამს ღვინოს, ეს არავის უკვირს. იმას კი არ იტყვიან, ასკეტიაო, ფორმა უნდა შეინარჩუნოსო, იტყვიან. თითქოს ჩემი ხელობა უფრო იოლი იყოს და მე მორბენალზე ნაკლებად მჭირდებოდეს მუდამ ფორმაში ყოფნა. უჰ, რა დიდებული მხალია!

— ნანოს ნახელავია. ასლან გორდაძის ცოლის.

— მართლა? — უკლებამ წეღანდელივით გაიღიმა, ღიმილმა რომ ნიკაპის უსიამოვნო შთაბეჭდილება წაშალა. — ნანო გასაოცარი დიასახლისია. მეეუთე ბავშვი ჯერ არა ჰყავთ, მგონი, არა?

— დღე-დღეზე ელიან.

— ასლანი ინტუიციას ენდობა და ეტყობა, სწორადაც იქცევა, — უკლება დაფიქრდა, მერე გაიღიმა და თქვა: — ესეც ალბათ ასლანის საქმეა, ეს სახლი რომ სახლისთვის დაგიმგვანებიათ.

— ასლანი არ გაგიძარცვავთ? — ჰკითხა მოულოდნელად აბელმა.

უკლება არ შერხეულა, მხოლოდ გაკვირვებული მზერა ესროლა.

— ასლანი რატომ უნდა გამეძარცვა?

აბელი ვერ მიხვდა, რა იგულისხმებოდა ამ პაუზაში. თუკი სხვებს ძარცვავდა, ვითომ ასლანი რა წეთელი კოჭი იყო? ნუთუ რაღაც განსაკუთრებული პრინციპი ჰქონდა და ამის მიხედვით ზოგს ძარცვავდა და ზოგს არა?

ეს კითხვები კი გაუჩნდა აბელს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ხმამაღლა თქმა ვერ გაბედა. მართალია, წელანდელი უტაქტო შეკითხვით — ასლანი თუ გაგიძარცვავსო — თითქოს ურთიერთობას პირობითობის საბურველი ჩამოგლიჯა, მაგრამ ის შეკითხვა თვითონვე ეჩოთირა და მიხვდა, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ეუსერხულებოდა. ახლა რომ მის ადგილას გედეონ რევია ყოფილიყო, არხეინად გამოიკითხავდა ყველაფერს და საჩოთიროს ამაში არაფერს დაინახავდა.

მისდა გასაოცრად, უკლებამ თვითონ ახსნა თავისი ნათქვამი:

— ასლანის გაძარცვას აზრი არა აქვს. ჯერ ერთი, წვრილშვილის პატრონია. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ასლანი ქონებას არ აგროვებს. თავისი სიმდიდრე მთელ ქალაქში აქვს დაბანდებული. როცა დასჭირდება, მაშინ იღებს და, რამდენიც დასჭირდება, იმდენს იღებს. ესეც არ არის მთავარი. რაცა აქვს, სეიფში არც იმას ინახავს. კარს მუდამ ღიას ტოვებს და მთელი ავლადიდება ფანჯრის რაფებზე უწყვია. ღამე რომ გასაძარცვად მისული დაგინახოს, სუფრას გაგიშლის. — უკლებამ ჭამა შეწყვიტა, ჩანგალს ხელი მაგრად მოუჭირა და აბელს დააცქერდა. — კაცი ისე უნდა გაძარცვო რომ გამწარდეს, იტიროს, თმა დაიგლიჯოს.

— რატომ? — ჰკითხა აბელმა და თავის გულში შენიშნა, რომ უკლებას აქამდე მოდუნებული სხეული წამით დაიძაბა და თვალებში ელვის სისწრაფით გადაუქროლა რაღაც უცნაურმა გამომეტყველებამ, იმდენად უცნაურმა, რომ აბელს იგი ერთსა და იმავე დროს სიხარულადაც მოეჩვენა და რისხვადაც.

— რისგანაა არ ვიცი, მაგრამ ძარცვას კაცაშვილი არ ვთლის პროფესიად. — აზიდულ წარბებს შუა უკლებას ორი წვრილი, ვერტიკალური ნოჭი გაუჩნდა. მერე, ჯამით ლობიოს რომ გადასწვდა და ცოტაოდენი გადაიღო, ორივე ნოჭი ისევ გაქრა. — ეს ლობიოც ნანოს გაკეთებულია?

— კი.

უკლებამ ლობიო გასინჯა და კმაყოფილი ღიმილით გაიღიმა.

— ეტყობა, — მერე თავი ასწია და კვლავ აბელს შეხედა. — როცა კაცი კარგად შეიგვებს, რომ ძარცვა ისეთივე ხელობაა, როგორც ყველა სხვა, რასაც კი ხელობას ვეძახით, მაშინ ბევრი რამე ნათელი გახდება.

— რა გახდება ნათელი?

— მაგალითად, რატომ არ უნდა გაძარცვო ის, ვინც ადვილი გასაძარცვია. და რატომ უნდა გაძარცვო ის, ვინც ძნელი გასაძარცვია.

— გამოდის, რომ საშოვარი არ ყოფილა მთავარი.

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ — «ᲘᲛᲘᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ»

ᲐᲜᲓᲠᲔᲫᲘ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ

გვიანი ინტერპოლაცია

ვდგავარ ასე. მარტოდმარტო,
სულ ბოლოში — ჰაესავით,
საფიქრალით, სატანჯველით,
სალოცავით, საესავით,
სიკვდილთან და ინდოეთის
მტრებთან დადებული ზავით,
ტარიგი და მონა მათი
ანუ გულით, ანუ თავით!

გულს მიღადრავს ათი მცნება!
გულზე მაწევს ოცი მძიმე
საუკუნე, ელექტრონით
და ლაზერით მოციმციმე!
დამიბრუნე ოლონდ ყრმობა,
და, თუ გინდა, წკეპლით მცემე!
ყრმობის თოთო ტკივილები
მლოცველივით თაყვანს მცემენ...

მიყვარს, როგორც ყმაწვილს ნუგა,
მომწონს, როგორც მოზარდს ყავა,
მოხუცს — ცრემლი /მარტოობის
ყვავილების მოსარწყავად/ —
ინდოეთი! მიწა მისი!
წყალი მისი! ანუ ჰავა!
ბრალი მათი, ვინ ვერ ნახავს
და /იფლავში ისე ჩავა!

იმ ათასებს ვეკუთვნი მეც —
გამაძღარებს ხუთი პურით!
ნასვამი ვარ შუალვინით,
გაზრდილი ვარ კუტი პურით!
ოფლი შუბლს რომ დამიცვარავს,
ოდენ ცრემლი მიდგას სურით!
ჩემს უცნაურ სიღარიბეს
მაინც ბევრი უმზერს შურით!

ვით ნესტანი ბედდამწვარი,
კიდობნით და მონით ორით —
ვჭვრეტ სივრცეებს უსამანოს
უუახლეს მონიტორით!
შეაბჯრული სედუქსენით —
არა ხმლით და არა თორით!
გულდახრული ასნაირი
სიმართლით და მრუდე ჭორით!

იმედო! სისხლის ცრემლებით
კვართი რომ დამილაქავე,
გმადლობ! — სისხლიან პერანგით
უფრო შორს დამინახავენ!
ყველას ეს ჰქონდა სურვილად,
ვინ მიწის პირით აგავე:
აქ ჯვარცმულიყო! სახელიც
სულ დარჩენოდა აქავე!

დამალევინე! დალიე!
ან რამე მომიყევი, ან
მომადე ლოყა ლოყაზე...
მამლები უკვე ყივიან.
ნოემბრის ღამეს კუნაპეტს
ჩავცქერი, როგორც ყვავიან
ფინჯანს... ხომ მირჩევ ყავაზე...
ლეკვები რისთვის ღავიან...

გესმინა ერთი, რას მაწვიმს!
გენახა ერთი, რას მათოვს!
გეგრძნო, რარიგად მიბერავს! —
შეგბრალდებოდი, ასმათო!
კაცის ხმას გადაჩვეული,
არც ქმრად ვვარგივარ, არც ძმადო!
არვინ მსურს! მორჩა! გასრულდა! —
უნდა ვიტანჯო აწ მარტო!

იმ ბრძენკაცივით მეც მინდა,
გყავდე დღიური მუშაო!
სულ დავდიოდე კარდაკარ,
ვით მეწვრილმანე მოშაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მზით გავაფერადო
ჩემი ცხოვრება მოშავო!
გასინჯონ ნათქვამ-ნაქმარი,
ერთხმად თქვან: არა-უშავო!

გიკვირს, როდესაც ოცნება —
დაკოდილ პოეტს ეცნობი!
პოეტს, რომელიც ოცნებით
წინ ვერ გადადგამს ოც ნაბიჯს!
მე ვარ ბატონი ოცნების,
და მონაც მე ვარ ოცნების!
ოცნება — მუდამ ნაცნობი!
ოცნება — მარად უცნობი!

შენ ხაროში დიდხანს იჯექ.
ბნელი იყო, დავით, ხარო!
გარნა მე დღეს ლამის თვალნი
უხაროდ დავითხარო!
არვინ მკითხავს, ვით იყავი,
ვით იქნები და ვით ხარო!
ვიწვი, ვით თხა, იმ დღეს მწყემსთა
შეწვეს საცოდავი თხა რო...

ტაეპი და ტაეპი თუ
ტერასი და ტერასია,
მტევანსა და მტევანს მოჰგავს
ტკბილი ალიტერაცია!
მაგრამ ტურფა ტერასები
მტვრად გვიქცია ტერაციდმა! —
ტერასსა და ტერასს შუა
არ ქრის ცრუპენტელა სიო...

ცოტა ლექსის გულისათვის
მივაგორებ ცარცის რულონს!
გრძლად ვერ მითქვამს ვერაფერი!
გულს მაკლია, გულო კრულო!
რომც ვისროლო ჭერში ქუდი,
სად ვისროლო! რად ვისროლო!
ბოლოს შენი იმედი მაქვს,
მწუხარებავ — ნიჭო სრულო!

ვინ მარგალიტს მაჩენ ჩალად!
მსახავ ქვეყნის მაჩანჩალად!
დაგიმონებივარ ძალით —
ორმოს მათხრევინებ ძალად!
შენი მილეული მთვარე
გულზე მამჩნევია ტალად!

სიყრმის უნაზესი ღვინო
გადმიქცივ შხამ-სამსალად!

ვინ გადავა გარდაუვალს —
ღვთის ნებას და მეფის ვერდიქტს:
ნებავს? — დღესვე მოგაშორვებს!
ან გიმყოფებს მუდამ გვერდით!
მინდა მხოლოდ სამართალი! —
ამას გთხოვ და ამას გვედრი!
თორემ სიკვდილს ვინ ამცდარა!
ყველას გველის ალავერდი!

ჭნება ტურფა საბაღნარო!
ჭნება ია! ჭნება ვარდი!
გლოვობს სიხარულებს ჩამქრალს —
ძმამკვდარივით სწუხს ვივალდი!
შენი ხელის მოკარება
წამიერი — ასი ვოლტი...
სიყვარულსაც სწუხს ვივალდი —
გოდებს გიტარა და ალტი...

...მშვენიერი ეს ქვეყანა,
მოქცეული ზღვათა შორის,
არასოდეს არავისი
არ ყოფილა, სხვათა შორის!
მაგრამ იყო ის საგანი
ანუ მტრობის, ანუ შურის:
აქეთ — ლეკის, იქით — თურქის,
ხან მგლისა და ხანაც ტურის...

მაგრამ ძვირფას საწნახლებში
შარბათები დიან ისევ!
საწნახელშიც ისევა დგა
გლეხი ბიჭი — დიონისე!
ისევ ისმის ჩაკრულო და
რისხვა გალაკტიონისა,
და ჩქაფანი მტკვრის ტალღის და
იორის და რიონისა...

ვინც კაცური არის კაცი —
მონაა თუ უფლისწული —
მამულს იცავს სისხლის ფასით,
პურს შოულობს ოფლის წურვით!
მსწრაფლ ეცვლება სევდა — ტაშით,
მსწრაფლ ეცვლება ვაშა — ურვით!
დამწვარ სახლზე ეხარჯება
ნაგროვები სახლის ხურვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას ობოლი ბიჭუკელა
საფლავსა და საფლავს შუა!
არც კი იცის, ყოფა მისი
ნაღდი თუა, ცხადი თუა!
ენატრება დედის ხელი —
წყლის ყლუპი და პურის ყუა!
 რა გამოლევს ქვეყნად საფლავს! —
ამ ორთან კი ყველა ტყუა.../.

მსურს, სამოცის მოვკვდე ზუსტად! —
მეზარება ძებნა ხურდის!
მსურს, კურცხალი გამყვეს სომხის,
თათრის, ქართველის და ქურთის...
ხაზი გავხდე ცისარტყელის —
ცაზე გავლებული ქორდის!
მტკნარი დამეპკუროს ცრემლი
ღრუბლის — ცისარტყელის ქურდის!

აჰა, ჩემი მომართვა და
ჩემი გულიც, სანიტარო!
ჩაიბარე ღვიძლი, ფილტვი
და წარსული სანიტარო!
გაამრავლებს ანდერძს ღარიბს
კანტორები სანოტარო!
მეტი აღარ შემიძლია,
უნდა მოვრჩე, დავამთავრო,..

დაიქცევა ეს ქვეყანა,
დაინგრევა, როგორც ტროა!
დაიშლება სიყვარულის
პა-დე-დე და პა-დე-ტრუა!
შეიყვარეთ ერთმანეთი,
სანამ დროა! უკვე დროა! —
არც მეტი და არც ნაკლები:
ეს საწუთრო — საწუთროა!

დამაძინოს, ვეხვეწები
სიკვდილს — ანესთეზიოლოგს!
მოეღება ბოლოს ბოლო
მწუხარებას უთავბოლოს!
რა შეგრჩება! — ხვიშტი ერთი!
რას წაიღებ! — ბლიკვს და ბოლოკს!
ამინ! იყავნ ნება შენი!
ოღონდ სულმა სულ იბოლოს...
სულ იბოლოს...
სულ იბოლოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო კეშელავა

●

„მოვკვდები, მაგრამ არ ვნანობ სიკვდილს,
თუკი ოდესმე მოგაგონდები“.
დიდი ხანია გაბუტული ვარ,
გიგონებ, გეტრფი, თავს ვხრი, ვლონდები...

ხომ გახსოვს იმ დღეს ახალი ლექსის
მოსმენა გთხოვე, შენ კი უარი
სთქვი და მას შემდეგ გულმოსული ვარ,
მას მერე შენი არ ვარ სტუმარი.

შენ არ მეძახი, შენ არ მიგონებ
და არც შორიდან მეხმიანები,
მომენატრება შენი თვალები
და არა ერთხელ გნახე ზმანებით.

ასე სანამდი, ასე სანამდი,
ასე სანამდი ჩვენი ცხოვრება?!
დროა შევრიგდეთ, ის უარი კი
კუბოს კარამდე მემახსოვრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

მიღას შემაფაროს მიწამ თავი

მოთხრობა

I

ჩამავალი მზის სხივები გაძარცულ ხეთა შტოებს შორის იკრებოდა, მიწაზე დაფენილ ჩრდილებს აფორიაქებდა და სინათლისა და სითალხის მერყევ, ყოველწამიერ მონაცვლეობაში ისე ელავდა ზღვის გადამუქებული ზედაპირი, როგორც შემწუხრებული ცის უზარმაზარი, პირშექცეული ნაფლეთი, რომელიც საკუთარი უფსკრულების ნაოროთქლით იბურებოდა და მოგონებებს ისე აცლიდა გარეკანს, როგორც ბლის ხეს აცლიან კანს.

ორსართულიანი სახლის დაუგველი კიბის ზედა საფეხური რომ ცივი და ხორკლიანი იქნებოდა, ზედ ჩამოჯდომამდეც იცოდა, მაგრამ მარტოობითა და უსიამო წინათგრძნობით გარემოცულმა სხეულმაც ბეტონის სიგრილე შეიძინა და შეკუმშვა, შენიღბვა, გაშეშება მოუნდა. ნიავი მსუბუქად არხევდა ფოთოლგაცვენილი ხეების ტოტებს, ზღვის ტალღების ცემა უზარმაზარი ცხოველის ქშენასავით ისმოდა, შეგნების ზედაპირზე აკიაფებულ ნაკვერჩლებს აღვივებდა და კიბესთან მომდგარი ძაღლი ისე იქედნურად მანჭავდა პირს, თითქოს აქაურობის გაუდაბურება და გაპარტახება ყველაზე ცხადად მის სიბერისაგან გადაყვითლებულ თვალებში ირეკლებოდა.

მან ძაღლის სხიგჩამქრალ თვალებს მზერა მოარიდა და მუხლებზე დაწყობილ ხელებს დახედა. მზის სხივები კანში იკრებოდნენ, გამუქებულ სისხლძარღვებში იხლართებოდნენ და მანამდე აკვირდებოდა მათ უმტკივნეულო ტოკვას, სანამ არ გაახსენდა, რომ მის ძარღვებშიც თბილი სისხლი ჩქეფს და ამ სისხლისა თუ მოძალებული კაეშანის კარნახით ათი წლის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა ზღვისპირა სოფელში, კვლავ ესტუმრა სახლს, სადაც შემოდგომის ორი თვე გაატარა. მაგრამ მაშინ ამ სახლში კიდევ ცხოვრობდა ერთი არსება, რომელსაც ეპვები აწვალებდა: ეგონა, ცოცხლად იმარხავდა თავს, ახალგაზრდობას სიბერეს სწირავდა და არაფრით არ სურდა ბედს დამორჩილებოდა, მხოლოდ წარმავალობის, ფოთოლცვენისა და ზღვის ყრუ ხმაურის მოწმე ყოფილიყო. ახლა კი აქ მარტოობისაგან გაწამებული, ასკეტივით ნაკვთებდაშრეტილი, საკუთარ ფიქრებსა და სულისაკენ შექცეული ბერიკაცი ბოგინებდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ოფლის ღვრითა და დიდი ჯაპანწყვეტით მონაგარი სახლ-კარის გაპარტახებას ისე უყურებდა, როგორც სასჯელსა და გარდუვალ მარცხს.

იმ დღეს, როცა აქეთ გამომგზავრება დააპირა, პატარა, ჩამკვდარი სადგურის მწვანედ შეღებილ მერხზე იჯდა, სიცარიელეს გაჰყურებდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქვეყანამ პირი იბრუნა და დროის გამოსყიდვის მჩვრად ქცეული იმედი ნესტით გაჟღენთილმა ჰაერმა შეიწოვა. ღამე ცოცვით, სვლაშენელებული მატარებელივით შემოდი-

ოდა სადგურში, საგანთა მოხაზულობას აბუნდოვანებდა და იმდენად ნესტი იყო, ისე შლიდა ყველა უკანმოტოვებულ კვალს, რომ არაფრის გაეცოცხლებისა და შეკოწიწების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც უჭირდა ფეხზე წამოდგომაً, წელის გამართვა, ამიტომაც ხდებოდა სიბნელე უფრო შესამჩნევი, სახიერად გამოკვეთილი.

უხიაბინა იყო ნაცრის გადაქექვა, იმის აფორიაქება, რასაც არც თავის დროზე მოუტანია ვინმესთვის სიხარული, მაგრამ შეგნებაში უჩვეულო სიცხადით იკვეთებოდა ზღვის უკაცრიელი, მოსილული ნაპირი, ფეხშიშველა ქალიშვილის ნატერფალი და ტალღების მსხვრევის ხმა, უსასრულობას რომ ზღვრად ეგებებოდნენ და უსიცოცხლო მდუმარებას აღრევედნენ. სწორედ ზღვის ღელვამ, მბორგავი ბგერებისა და აელვარებული ზხეფების ქაოტურმა ზეხლა-შემოხლამ გამოიტყუა ქალი სახლიდან და იგიც თან გამოიყოლა. სანამ უბეებად დაყოფილი ნაპირი კონცხიდან კონცხამდე გაშიშვლდებოდა, ქალიშვილმა ფეხზე გაიხადა, სველ ნაპირს გაპკვა და სხეულზე კაბაშემოსილტული ისე მიარღვევდა სივრცეს, თითქოს საკუთარი თავიდან გასვლა, გარე სამყაროში შეღწევა სურდა, სადაც ისეთი რამ ეგულებოდა, რაც სახლში აკლდა, რაც მის აფორიაქებულ, გაფაქნილ სულსა და ფიქრებს ერთ კვანძად შეკრავდა, უფერულობას რაობად აქცევდა. ქალიშვილი წინ მიიწევდა, ტალღებს კი ნაპირთან წარსულის დამბალი ნაფლეთები და სივრცეების დამსაკუთრებელთა პირველყოფილი ყიჟინის გამოძახილი მოჰქონდათ, რასაც მცირე ხნით ისევ უკან ითრევდნენ და როცა კვლავ ნაპირზე გამოისროდნენ, გამაყრუებელ ხმოვანებას ანიჭებდნენ.

— ზღვა რომ არა, მამაჩემს ამ სიბერეში გაუჭირდებოდა ბუხრის გასაღვიებლად შეშის ჩამოტანა მთიდან, — უთხრა ქალიშვილმა და ზღვის მიერ ნაპირზე გამოსროლილ, ტყავგაცლილ ჯირკებზე და ძირიანად მოთხრილ ხეებზე მიუთითა.

— კიდევ რას გაძლევთ ზღვა? — ჰკითხა მან.

— მეტს არაფერს.

— გაძღუნწებულა.

— რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ასეთი იყო. ის კი არა და, ერთხელ, ბავშვობაში, როცა შეშას ვაგროვებდით, ჩამითრია და კინაღამ დამახრჩო.

— როგორ გავერაგებულა!

— თქვენ იცინით, მე კი იმ დღის შემდეგ, აბობოკრებულ ზღვას რომ ვხედავ, ტანში ჟრუანტელი მივლის.

— ვინ გადაგარჩინათ?

— მამამ.

— ამიტომ არ მიატოვეთ სხვებივით?

ქალიშვილს არაფერი უპასუხია და აბობოკრებულ ზღვას ისე გახედა, როგორც მტრულად განწყობილ სტიქიას. მართლაც ორლესულ მახვილს ჰგავდა ეს მრავლისმომსწრე ზღვა ოდითგანვე. ხან ალერსიანად ღიღინებდა, ხანაც ავად ბორგავდა, მოყვარესაც იფარავდა და მტერსაც მოუძღოდა, სარჩოსაც იძლეოდა და სისხლსაც ითხოვდა, მზერასაც იტაცებდა და იმედებსაც აცამტვერებდა. ცდუნებით სავსე იყო მისი უსასრულობა, ღრმა უფსკრულებზე რომ განფენილიყო უდრტვინველად და ადამიანის სულს ისე იზიდავდა, როგორც ლეგენდად ქცეული სახიერი იდუმალება. ქალიშვილი უკან მოუხედავად მიარღვევედა სივრცეს და იგიც სწორედ მაშინ მიხვდა ცხადად, რომ სინამდვილე მხოლოდ ის იყო, რაც ირგვლივ ერტყა და როგორც არ უნდა დათრგუნონ თავი, საკუთარი ჩრდილიც რომ ჩამოიცილონ და ქარს გაატანონ, სხვათა ან უკიდურეს შემთხვევაში საგანთა ჩრდილები აგედევნებიან და ვერავითარი ნიღაბი ვერ დაგიფარავს, ვერ გიხსნის ცხოვრებისა და საკუთარი ხასიათის უხიაგობისაგან.

გივი მალულარია

ვიღაც შეაფარონ მიწამ თავი

elibrary.nplg.gov.ge

სივრცე, იდუმალებას რომ იჩემებდა და ზღუდედ არც ცის კიდე მიაჩნდა და არც ზღვის ნაპირი, იქაურობას ისევე ისაკუთრებდა, როგორც იმ დროს, როცა ამ ნაპირს ზღვიდან თუ ხმელეთიდან პირველად მოადგა ქალიშვილის ურღოებისაგან დევნილი შორეული წინაპარი, რომელმაც ზღვის წყლით პირი დაიბანა, თანგამოყოლილი წარსული მოიკვეთა, კბილებალესილი მხეცის ორეული ჩამოიშორა, სახეზე ნიღაბი აიფარა, ქოხი ლერწმით გადახურა, ჭა გათხარა, ქოხის გვერდით კერპი აღმართა და საკუთარ თავს მარადიული ბრძოლა გამოუცხადა. მას შემდეგ წლები და საუკუნეები, ნამდვილი და სიზმარეული, ნაოცნებარი და ნავარაუდევი, მიწიერი და ღვთიური ერომანეთში აირია, აღუნუსხავი დროის ფერფლში ჩამარხული ფესვები ისე დაგრძელდა, რომ ბნელ უფსკრულში დაინთქა და როცა ზესწრაფვისაგან ხორცი დაიშრიტა, როცა დედამიწაზე ქვეყნის დამსაკუთრებელნი უსაშველოდ მომრავლდნენ, კვლავ დაირღვა სიმშვიდე და წონასწორობა, ისევ ამობოჭრდა სისხლი, ისევ დაუსხლტდა პატრონს ხელიდან შინ შემწყვდეული მხეცი და გააყრუა სივრცე ცხენების ჭიხვინმა, მეომართა ყიჟინამ, ქალების კივილმა და წამებულთა ბღავილმა. აივსო ზღვის უბე სისხლითა და შრომით, დაემხო კერპი, მოეძალა ზღვას ჭაობი, შეიმოსა წარსული მითებითა და ლეგენდებით, განიმსჭვალა სული ნაღველით და ეს ნაღველი ახლა ისე დაჰქონდა ზღვის ნაპირზე ფეხშიშველა ქალიშვილს, როგორც სიდიადისა და უმწეობის ნაშთი.

2.

რაც უფრო დაბლა იხრებოდა მზე, მით უფრო ცივად ბრწყინვადა ზღვის ზედაპირი, ხოლო ფოთოლგაცვენილ ხეთა სიშავე აღარც შემოსვას საჭიროებდა და აღარც გარდასახვას. ასე უფრო ბუნებრივად ეხამებოდა გარემოს, უფრო შეუვალი და თავის თავთან შინაგთული იყო. ამ გავერანებულ კარ-მიდამოში ცხოვრების საუკუნოვანი წესრიგი საბოლოოდ დაირღვა, დროის საზღვრები შეუმჩნევლად წაიშალა და ბერიკაცი მაშინ წვებოდა, როცა მოესურვებოდა და მაშინ დგებოდა, როცა მუხლებში საამისო ძალას იგრძნობდა. ერთ დროს მემკვიდრეობით მიღებული ცხოვრების ყველა ავ-კარგს იზიარებდა, ყოფიერების გამოძახილს ეხმიანებოდა, გაუსაძლისს უძლებდა, სიყმაწვილე და სიჭარმაგე ისე გალია, რომ ეროსნელაც არ უცდია ეღალატა გამჩენისათვის, სხვის ზეგრს ან საკუთარ თავს ამოფარებოდა. ხმას მხოლოდ მაშინ იმაღლებდა, როცა რაიმე სისაძაგლეს წააწყდებოდა და ახლა ის, რაც უწინ სიხარულს ჰგვრიდა და ძალ-ღონეს მატებდა, ზედმეტ ტვირთად ეჩვენებოდა. შვილებისა და შვილიშვილებისაგან მიტოვებული, საკუთარი თავის ამარა დარჩენილი აღარაფერს უვლიდა, აღარაფერს იცავდა და წარსული ისე ესახებოდა, როგორც რტოებდალეწილი ხე, რომელზედაც შავი ფრინველები შემმსხდარან.

სახლის ერთი ოთახის ფანჯრები რომ განათებული იყო, ეს მან შორიდანვე შენიშნა და ოდნავ დამშვიდდა, რადგან აღარ დასჭირდებოდა მოგონებების იმ სახით უკან წაღება, რა სახითაც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა. სინათლის ორი გრძელი ზოლი მოუვლელ ფანჩატურთან ებჯინებოდა მიწას, ეზოს ჩრდილში დარჩენილი ნაწილი უსასრულობაში ინთქმებოდა, ზღვიდან მონაბერ ნიავს სიმლაშის გემო დაჰკრავდა. ბალანგახუნებული ძაღლი მძიმედ წამოდგა და უხმოდ წამოვიდა მისკენ, მაგრამ როგორც კი იცნო, საწყალობლად აწკმუტუნდა. მან ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. კუნთებმომჭვარულ ცხოველს თვალებიც კი დაბერებოდა, მასაც მობეზრებოდა მარტობა, იგიც შეეპყრო დარდს წარსულზე, ამოწურულ სიცოცხლისუნარიანობაზე, გადაგებულ შეუპოვრობაზე, იგიც გადასჩეოდა სირბილს და ყეფას. ირგვლივ უმწეობა და გულგრილობა გამეფებულიყო და ნაცრისფრად შეკრულ ყოფიერების ნამუსრევს

ნეშომპალას სული უდიოდა. ძაღლმა წკმუტუნი შესწყვიტა და გუმანით იგრძნო, რომ სტუმარი რაღაცის დასაგწყებლად, უფრო სწორად, დასამარხავად ჩამოვიდა ამ უდროო დროს სოფელში და ეს გრძნობა იმდენად შეუვალი იყო, რომ ყოველგვარ უარყოფას გამორიცხავდა.

იყო დრო, როცა იგი მხოლოდ იმიტომ მოგზაურობდა, რომ საკუთარ თავს გასცლოდა, გარეთ გაეტანა ის, რასაც ვერ ერეოდა, ვერ ინელებდა, ახლა კი, როცა დრომ უკან გადაინაცვლა, როცა მოსაპოვებელი და დასასაკუთრებელი აღარაფერი დარჩა, როცა სიცარიელე თავის კაწში ვეღარ ეტეოდა და მოუშუშებელ ჭრილობასავით აღებდა პირს, მეხსიერება უკან მიტოვებულ და სამუდამოდ უკუგდებულს ებღაუჭებოდა, წარსულს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე მომავალს და მანამდე ვერ ისვენებდა, სანამ მიჩქმალულ, ნაცარწაყრილ ამბებს თავს არ მოუჩიჩქნიდა. შეუძლებელი იყო ყველაფრის ზუსტად აღდგენა და გააზრება, ერთი ხმის შეურყვნელად გამორჩევა სხვა ხმებისაგან, თავსგადამხდარი ამბების მასშტაბების გაფართოება, მაგრამ მეხსიერება თვალის დახუჭვის, წარსულის მიგდებისა და მივიწყების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც ავიდა კიბეზე ისე, თითქოს მსჯავრდებული პატიმარი იყო, საკუთარი თავის პატიმარი.

ბერიკაცი ბუხრის წინ იჯდა, ტაბლაზე წითელი ღვინით სავსე დოქი, გათლილი ჭიქა. მჭადისა და ყველის ნატეხი დაეწყო და ცეცხლს შეჰყურებდა. მის უძრაობაში დაწნეხილი წლების სიმძიმე იგრძნობოდა, სწორედ იმ წლებისა, რომელთა დაშორიშორებისა და გამომარგვლის დრო მას არ ჰქონდა და ახლა, როცა ყველაფერი ერთ ორმოში იყო ჩაყრილი, როცა ბევრ რამეს შეუმოწმებლად, განუჭვრეტლად ემუქრებოდა დამარხვა. როცა მისი კარ-მიდამო ზამთარს ელოდა, ხოლო ხანდაზმულობა სიძაბუნეს, ერთ აზრში, წარსულის ერთ მცირე მონაკვეთში ალბათ იმდენ რამეს ატევდა, რამდენიც ცხოვრებას მისთვის ყველაზე დიდი სიხარულისა თუ მწუხარების ჟამსაც კი არ მიუცია.

ბერიკაცს კარის გაღება და მისი ოთახში შესვლა არ გაუგია. მზერა მხოლოდ მაშინ მოარიდა ცეცხლს, როცა მის წინ უცხო კაცის სილუეტი აღიმართა. ცეცხლის სიმხურვალემ გარეგან შემოტანილი ნესტი შეიწოვა, მის სულში რაღაც გაალხო და როცა ბერიკაცმა მზერა ისევ ცეცხლზე გადაიტანა, დაუკითხავად ჩამოჯდა დაბალ, სამფეხა სკამზე. ნაკლულ ჭიქაში წითელი ღვინო ელფერს იცვლიდა, უსაზეოლოდ დაკორძილი ჯირკი ავად შიშინებდა. მან თვალი ოთახს მოავლო. დამტვერილი ავეჯი ისე გამოცალკევებოდა მოხუცის მიერ დასაკუთრებულ კუთხეს, თითქოს ამ სახლთან, იმ ოთახთანაც კი, რომელშიც იდგა, საერთო არაფერი ჰქონდა. კედლები გამქვარტლულიყო, ძველი ფოტოსურათები გახუნებულიყო, კუთხეებში აბლაბუდა მომრავლებულიყო. ყველაფერს ისეთი ეერი ედო, თითქოს ამ სახლში ყოველი ნივთი თავის ქერქში გახვეულიყო, ფიქრს მისცემოდა და დღის სინათლის უმოწყალო შემოტევას ღამეულ სიზმრებს უპირისპირებდა.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ!

ბერიკაცს მისი სტუმრობა არც გახარებია და არც წყენია, ისიც კი არ უკითხავს, ვინ იყო, რისთვის ჩამოვიდა, რა უნდა ეკეთებინა ამ მიყრუებულ სოფელში ვგიან შემოდგომაზე, როცა არც ზღვაში ბანაობა შეიძლებოდა და არც ცხოვრების მოდუნებული მაჯისცემით დაინტერესება. ერთ დროს კი აქ, ამ უძველეს სოფელში, ცხენებს დააჯირითებდნენ. ქალებს .ატაცებდნენ, ერთმანეთს ღვინის სმაში ეჯიბრებოდნენ, ღამღამობით ნავით ზღვაში გადიოდნენ და ჭრაქის შუქზე თევზს იჭერდნენ, ერთი სიტყვით, ცხოვრებასა და ბედს ეჯიდებოდნენ და მათ თვალებში ისე ირეკლებოდა ზღვის სილურჯე და დედამი-

---

გივი მაღულარია

ვიღაც შეაფარებს მიწამ თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის სიმწვანე, როგორც ძველი ეკლესიის კედლებზე გამოსახულ წმინდანთა სახეებზე შუქი სანთლისა.

აშშინებული კუნძი თანდათან დანაკვერჩხლდა და დაცხრა. ბერიკაცმა ცეცხლს მზერა მოარიდა, მაგრამ დუმილი არ დაფრქვევია. იგი ისე გადაჩვეოდა საუბარს, სტუმრის მიღებას, მასპინძლობას, იმდენად შეგუებოდა მარტოობას და მარტო ცხოვრებას, რომ გარედან მოსულ ადამიანს, გარე მოვლენებს მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვერავინ და ვერაფერი განუქარვებდა იმ ნაღველს, რომელსაც კაცი ზოგჯერ კათარზისამდე მიჰყავს, ზოგჯერ კი პირუტყვობამდე. პირუტყვობის ბერიკაცს ჯერ არაფერი ეშჩნეოდა, ღვინისაც კი ზომიერად, ღირსეულად სვამდა, მაგრამ ნანახით და განცდილით რომ თავმობეზრებული იყო, ეს აშკარად ეტყობოდა.

ფანჯრასა უეცრად ისე მოეშეფა წვიმის მსხვილი წვეთები, თითქოს წყალი კოკებით მოასხესო. მან ჯერ კიდევ მატარებლიდან შენიშნა, რა ჩუმად გადმოსცრეს დფლეთილმა ღრუბლებმა ცის თაღი, როგორ მოიყარეს თავი ერთ ადგილას, შეიკრნენ, შეისუდრნენ, ზღვას ფერი უცვალეს და დედამიწისაკენ დაქანდნენ. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო და ახლა წყლის წვეთებად დაღვრილმა ცამ ისეთი რახარუნი აუტეხა ფანჯრებსა და სახურავს, ისეთი რისხვით დაატყდა დედამიწას თავს, რომ ზღვაც კი ჩაიჩუმა და ფანჯრის მიღმა მდებარე სივრცე მთლიანად დაისაკუთრა.

— მეცნობით, მაგრამ ვერაფრით მომიგონებია, სად მინახიხართ, — უთხრა ბერიკაცმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ.

— ორი თვე ვიცხოვრე აქ, თქვენთან, ამ ათიოდე წლის წინათ.

— ახლა რამ ჩამოგიყვანათ?

— გზად გამოვიარე.

— ღამის გასათევი თუ გაქვთ საძებე?

— არა.

— ამ სახლში დიდი ხანია სტუმარს ღამე არ გაუთევია, — უთხრა ბერიკაცმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მისი სახლი ერთ ოთახამდე შეიკუმშა და დავიწროვდა.

— მე არაფერი მჭირდება, ერთ ღამეს ბუხართანაც გავათევ როგორმე.

— ამ თავსხმაში გარეთ ვერ გაგაგდებთ, ამიტომ თქვენ თავს თქვენვე მოუარეთ.

— ჩემი დარდი ნუ გექნებათ, — დაამშვიდა მან ბერიკაცი.

წვიმამ იმატა. ერთ კუთხეში წყალმა ჩამოყონა და იატაკზე ფიფქოვნ ტკაპატკუპი. ბერიკაცი ძმიმედ წამოდგა, განჯინიდან ჭიქა გამოიღო, წინ დაუდგა და ღვინო მხოლოდ მას შემდეგ დაუსხა, როცა ისევ საკუთარი ხელით მობლანდულ სავარძელში მოიკალთა. ახლა იგი მხოლოდ ნარჩენი იყო იმ კაცისა, ვინც არსებობის დამკვიდრებისათვის იბრძოდა, ვინც ყველას წინაშე პირნათლად მოიხადა ვალი და მაინც ვალმოუხდელი დარჩა, ვისთვისაც ოჯახის დაცარიელება და გაპარტახება მარტო ნგრევა კი არ იყო, არამედ წინაპართა მიერ ნაღვაწი და ნაშენები ცხოვრების ამოძირკვაც. ამიტომაც ამყარებდა ამ ათიოდე წლის წინათ იმედს ქალიშვილზე, მაგრამ ეს იმედიც ისევე გაუცრუვდა, როგორც ყველა დანარჩენი.

მაშინ კარ-მიდამო მოვლილი და დაგვილ-დახვეტილი იყო. ვარდის გაშლილი კოკრები კარში გამოსვლისთანავე იქცევდა ყურადღებას. ბერიკაცი უთენია დგებოდა, ცეცხლს ანთებდა და ეზოში ჩადიოდა. მის თვალს ბუნებაში მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებაც კი არ გამოეპარებოდა, ღონიერი ხელები ისე მიჰკონდა, თითქოს სტიქიასთან საბრძოლველად მიდიოდა. მაგრამ მაშინ მას უმცროსი ქალიშვილის სიყმაწვილე და სიახლოვე აძხნევებდა, მისი მოწიფულობა იმედის ნაპერწკალს უღვივებდა და ცხოვრებისაგან გათიშვის საშუალებას არ აძლევდა. მაშინ იგი ყოფიერების თვალსაწიერიდან უყურებდა ჭეშმარიტ, უტყუარ ფასეულობებს, თვითონვე გრძნობდა როგორ ბერდებოდა და ცდილობდა ისე წასულიყო ამ ქვეყ-

ნიდან, რომ დასაკუთრებული მიწის ნაკვეთზე ცხოვრება დაეტოვებინა და არა მისი ნაშთი.

ორი თვის მანძილზე არაერთხელ შეუნიშნავს, რა სიყვარულით და სიამაყით უყურებდა ბერიკაცი შვილის აშოლტილ ტანს, ვიწრო წელს, ჩამოქნილ ფეხებს, ოდნავ მამაკაცურ, ბრტყელ ბეჭებს და მხრებზე დაყრილ ღია წაბლისფერ თმას. მისი ოცნება იყო შვილი შინ დარჩენილიყო, ქმარიც შინ მოეყვანა და გაეხარებინა მამაპაპისეული სახლ-კარი, მიწის ამ პატარა ნაკვერისათვის შეეწირა ღონე და სილამაზე, ეცხოვრა და არა ელაზღანდარა. მაგრამ ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ მასა და მის ქალიშვილს შორის გაჩენილი ბზარი კიდევ უფრო გაფართოვდებოდა, ვერ შეაჩერებდა დამახინჯებული დროის დინებას, ვერ შეაყვარებდა მიწას მიწიერს. რასაც დრო ქამდან ჟამამდე უხეიროდ აკოწწებდა, მცირე ხნის შემდეგ ისევ ირღვეოდა და იგი უფრო ღრმად იძირებოდა ნისლში და მარტობის სევდისმომგვრელ სიდიადეში.

— რაღაც კი მაგონდება, მაგრამ ბუნდოვნად, ნუთუ მას შემდეგ ათი წელი გავიდა? — ჰკითხა ბერიკაცმა ისე, თითქოს ათი წელი მთელი საუკუნე ყოფილიყოს.

— რომ გახსოვდეთ, ამაში ეჭვი არ შეგეპარებოდათ, — უთხრა მან და შეჭაღარავებულ საფეთქელთან ხელი მიიტანა.

— ნეტა ისიც არ მახსოვდეს, რაც მახსოვს.

— რატომ?

— ეჰ, ჩემი ხნის კაცისათვის მეხსიერება მკაცრი მსაჯულია და მეტი არაფერი.

ბერიკაცი ჭიქას დასწვდა, გამარჯვება უსურვა და ცოტოოდენი ღვინო მოსვა. მისი ფიქრები, მისი კაცური ბუნება ისე იყო შეჯავშნული, რომ მცირე ბზარსაც ვერ მოუძებნიდი. ასეთი მოხუცების სახის ნაკვთებს ყოველთვის დაჰკრავს ერთგვარი სიდიადის კვალი. როცა მისი ქალიშვილი სუფრას გაშლიდა და მათ სადილად მიიწვევდა, ბერიკაცი პატრიარქივით დაჯდებოდა სუფრის თავში, პირჯვარს გადაიწერდა, ღვინოს დაისხამდა, პურს გატეხდა და ამ რიტუალური პურის ჭამითაც კი ცდილობდა წინ აღდგომოდა დროის გამაპარტახებელ დინებას, არაფისთვის დაეთმო ის სამყარო, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო განყენებული, ვიწრო და ბნელი ხდებოდა. მასა და მის ქალიშვილს შორის უკვე ჩამოწოლილიყო უნდობლობა, უკვე გათხრილიყო უფსკრული, რომლის ამოვსება ბინიერული მოსაზრებებით და ერთმანეთის წვალებით შეუძლებელია.

მისი თანდასწრებით მამა-შვილი საჩოთირო თემებზე საუბარს გაურბოდა, მოთმინებით სურდათ დაეძლიათ დაუძლეველი, უმტკივნეულოდ მოეგვარებინათ მოუგვარებელი, მაგრამ ზოგჯერ მის სმენამდე ცხადად აღწევდა ზღურბლს იქით გაკრეფილი მამა-შვილის ცხარე კამათი და იმედი იმისა, თითქოს თითოეული მათგანის თვალსაზრისი სინამდვილეს გადაასხვაფერებდა, სიტყვა „უთანხმოებას“ აღმოფხვრიდა. მეორე დღეს ერთიც და მეორეც თვალს არიდებდა, ისე გაურბოდნენ მასთან შეხვედრას, თითქოს წუხელ საძრახისი საქციელი ჩაიდინეს, მის წინაშე მოურიდებლად გაშშვლდნენ. მაშინ იგი თბილად იცვამდა, ნავში ჯდებოდა და თუ არ წვიმდა, მთელ დღეს ზღვაზე ატარებდა. ზღვა ხან უშფოთველი იყო, ხანაც ისე გადაშავდებოდა და ღმუოდა, თითქოს უზარმაზარი ჩრდილი, ზემოდან რომ გადაეფარეს, აღიზიანებდა, აგულიანებდა. ნისლსა და ზღვის მუქ ზედაპირს კიდევ უფრო ამუქებდა თოლიების მჭახე კივილი, რაც ზოგჯერ ისე ჰგავდა დედაკაცების შეცხადებას, რომ თვალი ძალუნებურად ნაპირისაკენ გაურბოდა. ნაპირი კი უბეებად დაყოფილი, მოსილული და უკაცრიელი იყო. გაძარცული ხეებისა და მათ უკან აღმართული

გივი მალულარია
ვიდა შეაფაძრის მიწამ თავი

სახლების კონტურები ნისლით იმოსებოდა, ხოლო ძველი ეკლესია, რომლის გუმბათს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ჯვარი, საუკუნეების სიღრმიდან იმზირებოდა და მხოლოდ ორიენტირის დანიშნულებას ასრულებდა. უილაჯობამ სწორედ იმ დღეებში მოიკიდა ფეხი ამ აწ უკვე გაპარტახებულ სავანეში და გამრჯე კაცის უდრეკი ნებისყოფა უმოწყალოდ გაიკამტვერა.

3

მზის კიდემ ზღვის პირს უწია, ჩრდილები უსაზღვლოდ დაგრძელდნენ, კიბეზე დაყრილი ფოთლები კიდევ უფრო აფორიაქდნენ. აგზნება, ამ ცოტა ხნის წინათ რომ დაეტყო მიდამოს, ისევ ჩაიშრიტა. ძაღლი ჩამავალი მზისკენ შებრუნდა. მან ეზოს მოაკლო თვალი. ფანჩატურზე გასული ვენახი თმადაუვარცხნელს ჰგავდა, უწესრიგოდ ჩამოკიდებული ლერწები ნიავის ყოველ დაბერვაზე უმწეოდ ირხეოდნენ. ყვავილნარს სარეველა ბალახი მოძალებოდა, გადაქელვას უპირებდა. მოხუცს წინ უსწრებდა ის, რაც უკან უნდა გაჰყოლოდა, რადგან აღარ შესწევდა ძალა იმისა, რომ შეეჩერებინა ივაომყოფელი სტიქიის მოძალება, წინ აღდგომოდა ქარს, სარეველა ბალახის ძალმომრეობას, მოშინაურებულის გატყიურებას. ნადგურდებოდა წლობით ნაამაგარი, იშლებოდა კვალი წარსულის და არავინ ჩანდა ისეთი, ვინც უკან დაახევინებდა, შემუსრავდა ამ მტრულად განწყობილ ძალას. მას შემდეგ, რაც ბერიკაცი დარწმუნდა, რომ ამაოდ იხარჯებოდა, რომ მისი ადგილიდან ფეხმოუცველობა სიკერპე უფრო იყო, ვიდრე რამიტს გადარჩენის იმედი, საკუთარ კარ-მიდამოს გაემიჯნა, სახლში ჩაიკეტა და ქვეყანას ზურგი აქცია. მას უკვე იმისიც აღარ სჯეროდა, რაც საკუთარი ხელით შექმნა, ისიც კი აღარ მიაჩნდა სინამდვილედ. რისი მოწმეც თვითონ იყო. იჯდა ბუხრის წინ და ელოდა აღსასრულს, ელოდა ისე, როგორც განაჩენგამოტანილი პატიმარი ელის სასჯელს.

მანამდე კი ღვინოს წრუპავდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა და რაც ისეთს გრძნობდა, რაც ამ ქვეყნიდან წასვლაზე ფიქრსაც კი ჯარბობს და როცა წარსულის ჩქამს ეხმიანებოდა, იმათ სახეებს იგონებდა, ვინც სამუდამოდ მიატოვა აქაურობა, ვისთვისაც არავითარი ფასი არ ჰქონდა იმას, რასაც მან სიცოცხლე შეალია, რაც მარტო ქონება, მარტო სარჩო-საბადებელი კი არ არის კაცისა, არამედ ხასიათიც, ბუნებაც და რაღაც ისეთიც, რაც არც ერთ სხვა ქვეყნის შვილს არ გააჩნია იმ სახით, როგორც აქ დაბადებულსა და გაზრდილს. უწინ წერილებს მაინც სწერდნენ, დროდადრო მის ამბავს კითხულობდნენ, ზაფხულობით დასასვენებლად ჩამოდიოდნენ, ზღვაში ბანაობდნენ, მზეზე ირუჯებოდნენ, ხილს დამწიფებას არ აცლიდნენ, ბავშვები ქივილ-ხივილით დასდევდნენ უკან, მაგრამ მშობლები რაღაცას ამადლიდნენ, მაგრამ გავიდა დრო და არა მარტო წერილებს აღარ სწერდნენ, სოფელში ჩამოსვლასაც აღარ კადრულობდნენ. იმ კუთრობებს მიაშურეს, სადაც მათი ნაცნობ-მეგობრები ისვენებდნენ, დროს უქმად ატარებდნენ და აღოღებულ ბრბოში ითქვიფებოდნენ. ბოლოს ბერიკაცი იმ დღესაც მოესწრო, რომ შვილიშვილთაგან ორი თვალითაც არ უნახავს, საკუთარ სისხლსა და ხორცსაც კი არ იცნობდა და აღარც იმედი ჰქონდა იმისა, რომ ოდესმე გაიცნობდა, რადგან კარს იშვიათად აღებდა და ფანჯრიდანაც კი აღარ იყურებოდა გარეთ. ანდა რა გულით უნდა გაეხედა, რას დაინახავდა ეზოში ისეთს, რაც იავარყოფისა და სიკვდილის ბეჭდით არ იყო დადაღული.

მზე ნახევრად ჩაეშვა ზღვაში, ნიავმა, კვლავ შეარხია უმწეოდ ჩამოკონწიალებული ლერწები. ბილიკი, რომელიც ეზოდან გადიოდა და ზღვის ქვიშიან ნაპირს უერთდებოდა, ხან ზურგს იშიშვლებდა, ხანაც ისე ერწყმოდა ჩრდილსა და სითალხეს, ისე უჩინარდებოდა ბალახში, როგორც სოროში შემძვრალი ქვეწარმავალი. დღე ნელ-ნელა თვალსა

და ხელშუა იფერფლებოდა. ზღვისა და მიწის პირიდან ამდგარა, ჯერ კიდევ გამშვირვალე ნისლის თხელი ფენა ზღვასა და ხმელს თანაბრად ეფინებოდა და ირიბად არეკლილი მზის სხივების ნამახვილეს არბილებდა. ათი წლის წინათაც ასე ჩადიოდა მზე ამ სოფელში, მაგრამ მაშინ ეზო თვალს ახარებდა და მარტო კი არ შეჰყურებდა მზის ჩასვლასა და ჩრდილების სახემონაცვლეობას, არამედ გვერდით ამ ოჯახის უმცროსი ქალიშვილი ეჯდა, რომლის თვალებში მიმქრალი დღის შუქი კიაფობდა და თუ ბოლომდე არ ანებივრებდა, თუ სულის ყველა კუნჭულს არ უნათებდა, მშმუნვარებით შეფერილ იმედიან განწყობილებას მაინც უქმნიდა. ქალი უკვე კარგა ხანია ელოდა იმ დროს, როცა შემბორკავ ხუნდებს მოიცილებდა, ფართო ასპარეზზე გავიდოდა. ცხოვრების ფერხულში ჩაებმებოდა და რაც დააკლდა, ერთი ათად აინაზღაურებდა. ამის იმედს სიყმაწვილე, ასხმული ტან-ფეხი და სისხლძარღვებში ჩაბუდებული ცხოველმყოფლობა უორაკეცებდა და როცა იგი ქალიშვილს თვალს შეავლებდა, ყველაზე მეტად მისი ამგვარი მღიღადებელი სულისხმევა ბორკავდა, რადგან იცოდა, რა დამაბრმავებელია ახალგაზრდა ქალის შიშველი კანი, რა მოკშილი და მკვრივია სისხლით გამთბარი კუნთები, რა გამაბარუებელია ზღვის წყლით განბანილი სხეულის სურნელება. მზე ილეოდა, ილეოდა ჩუმად, უმტკივნეულოდ და როცა წყლის პირი კიდიდან კიდემდე გამუქდა, ზღვარი ჩრდილსა და ნათელს შორის პირწმინდად გადაირეცხა.

— ჩავიდა, — თქვა ქალიშვილმა ისე, თითქოს გულზე რაღაც მოეშვა.

მზე ჩავიდა. ირგვლივ ისეთმა სიჩუმემ და სიმყუდროვემ დაისადგურა, რომ განძრევა, სიტყვის თქმაც კი გაუჭირდა. ზღვა თავისთვის ტყლაშუნობდა სადღაც მოშორებით, ქალიშვილის მზერა ზღვარდაუდებელ ქვეყანას სახიფათოდ ავიწროებდა, თავის წილ ადგილსამყოფელს სტაცებდა და ისე მოსავდა, რა წარმოდგენის უნარიც ჰქონდა დაეს. ხდებოდა არა ოთხ კედელს შორის, ადამიანებს დაც უკაცისხელოდ არაფერს არა აქვს შნო და ლაზათი, არამედ ბუნების წიალში, სადაც უფერულობაც კი დასრულებული, თავისთავადი და შეუვალია. სწორედ ეს შეუვალობა, ეს თავისთავადობა და გვერდით ჩამომჯდარი ქალიშვილის სუნთქვა ქმნიდა მიზიდულობის იმ ძალას, რისგანაც თავის დაცვა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე აღელვებულ ზღვასთან შებმა. ამიტომაც დუმდა, დუმდა როგორც მისტატუართან ერთი წამით შეჩერებული ნადირი, მაგრამ ეს დუმილი საკუთარი თავის გვემა უფრო იყო, ვიდრე დაცვა.

— ამ ბებერ ცაცხვს კიდევ ჰქონდა ქვეშმოთ ერთი ტოტი, რომელიც შემდეგ შეახმა. იმ ტოტზე ჩემი საქანელი ეკიდა. — თქვა ქალიშვილმა ისე, თითქოს ცაცხვის მთელი ღირსება ის ტოტი იყო.

ათი წლის წინათ მართლაც იდგა შუა ეზოში დიდი, ფართოდ გადაშლილი ცაცხვი, რომელსაც უკვე სიბერისა და დაღლილობის ფერი დაჰკრავდა და ქარიან ამინდში დამძიმებული ტოტები ემტვრეოდა. მაგრამ მაშინ მისი ხშირი ფოთლების შრიალი ზღვის ღელვას ტოლს არ უდებდა, ახლა კი იმ ადგილას, სადაც მიწიდან ამოზიდული, მსხვილი, დაღვარჭნილი ფესვები სიცოცხლეს იწოვდა, შეყვითლებული ბალახიღა ჩანდა.

მას არც ამჯერად გაუცია პასუხი ქალიშვილისათვის, მაგრამ გრძნობდა, რომ თვალი გარემოს სხვაგვარად აფერადებდა, ადრე შემჩნეულ ყველა ნაკლს ჩქმალავდა და ცდუნების ზუსტად იმდენ ნაირსახეობას შეიცავდა, რამდენიც სრულიად საკმარისია დდდუმებული ადამიანის ასამეტყველებლად. მით უმეტეს მაშინ, როცა მოსაუბრე დარწმუნებულია, რომ მისი ქალური ღირსება ჯილდოს იმსახურებს.

— რამდენი მარადმწვანე ხე და ბუჩ-

ბიბი მაღულარია
ვიღაც შეაფარონ მიწამ თავი

ქია ამ ეზოში და ყველაფერს მაინც შემოდგომის იერი ადევს, — თქვა ქალიშვილმა და მწუხრის სევდისმომგვრელი სიდიადის შეგრძნებამ მის სულში რაღაც აფორიაქა.

მარადმწვანე ხეები და ბუჩქები ბუნდოვანებას ეთიშებოდნენ, ზღვიდან მონაბერი ნიავის სიგრილეს ისაკუთრებდნენ და ისე იხეგზნენ უკან, თითქოს მათსა და სახლს შორის კავშირი დაირღვა. ყოველი საგანი და მცენარე ერთმანეთს დაშორდა და ქალიშვილმა ერთი წუთით საკუთარი უმწეობა იგრძნო, მაგრამ მას სწორედ ეს უმწეობა ანიჭებდა ძალასა და მიმზიდველობას, მოქნილსა და შეუპოვარს ხდიდა. ამიტომაც არ აქცევდა ყურადღებას ზღვიდან მონაბერი ნიავის სიგრილეს და მარჯვენა ხელისგულზე ნიკაპდაყრდნობილი ისე გაჰყურებდა სივრცეს, თითქოს სადღაც შორს, უსასრულო სიბრტყის გლუვ ზედაპირზე მისი მშფოთვარე სულის გამოძახილი ირეკლებოდა.

მან კერთუკის ღილები შეიკრა, საყელო წამოიწია და სიგარეტს მოუკიდა. ზღვის სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი მსუბუქად იძაბებოდა, ყველაფერი მოძრავი უძრაობაში პოულობდა დასაბამს. მას ეგონა, ისე იცხოვრებდა ამ თითქმის დაცარიელებულ სოფელში, რომ არავის ყურადღებას არ მიიქცევდა, არავის შეაწუხებდა, არავის დაუახლოვდებოდა, მეტ წილ დროს გარეთ ხეტიალში, შრომაში და ზღვაზე ნავით სეირნობაში გაატარებდა, მაგრამ როცა სხვის სახლში ცხოვრობ, სხვის მაგიდასთან სადილობ, მაინც იჭრები მასპინძლების სულსა და საუფლოში, მაინც აფორიაქებ ვიღაცების ცნობისმოყვარეობას და ზღუდავ ოჯოროკ სხვებს, ისევე საკუთარ თავს.

— შეგცივდა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— აგრილდა.

— ხომ არ შევიდეთ სახლში?

— ვისხდეთ ცოტა ხანს.

— გინდა ღვინო გამოგიტანო ხელადით?

— მადლობელი ვიქნები.

ქალიშვილი სწრაფად წამოდგა, აიღო ნი გადაჭრა და ყველაფერი — სითბო, ნიკაპაჭვეშ ამოდებული ხელი, ერთმანეთზე მიჭრილი მუხლები თან წაიღო. დარჩა მხოლოდ ერთი დიდი, ყოვლისმომცველი ჩრდილი, გაბუნდოვანებული კონტურების ამაო ბრძოლა სიცხადისათვის და ვიღაცაზე წუხილსა და ვიღაცისაგან თავის დაზღვევას შორის გავლებული ზღვარი. კვლავ იკვანძებოდა რაღაც ისეთი, რის გამოხსნასაც შემდეგ უამრავი დრო და ძარღვების წეშვაგლეჯა დასჭირდებოდა, კვლავ იქმნებოდა ვითარება, რომლის გართულება კარგს არავის მოუტანდა.

ახლა ხეირიანად არც კი ახსოვდა, რა მოხდა იმ საღამოს ისეთი, რომ საკუთარ ტყავში ვეღარ დაეტია, აბორგდა, აწრიალდა და აქეთ გამოემგზავრა. მოსისხარი მტრებივით ადრეც ბევრჯერ წაკიდებულან, ბევრჯერ უცდიათ ერთმანეთის დათრგუნვა, მიწასთან გასწორება, მაგრამ იმ საღამოს ორივე ისე იქცეოდა, თითქოს ერთმანეთის დასაწიხლად და გასათელად იყვნენ გაჩენილნი. რაც უფრო მეტ ტკივილს აყენებდნენ ერთმანეთს, მით უფრო ჩლუნგდებოდა ცნობიერება, მით უფრო იძარცვებოდა წარსულიც და მომავალიც. მღვრიე ნაკადი, შიგნიდან რომ იღვრებოდა, ოთახს ამინდურებდა, კედლებს გესლისფრად ღებავდა. ისტერია, ჩვენი დროის ეს თვალებამოღამებული ურჩხული, ენინანი ბოღმით ივსებოდა და როცა გახელებულმა ქალმა, რომელიც მანიაკალური უნდობლობით იყო შეპყრობილი, ტანსაცმელი შემოიხია და ისე გაჩერდა მის წინ, თითქოს კაცის მკვლელი ადგა თავს, საკუთარი უბადრუკობა მან თითქმის ხელშესახებად იგრძნო. არაფრით არ სურდა დაეჯერებინა, რომ ამ თეთრად მოკაძალე სხეულის პატრონი ანტრომორფისტული იმპულსებით იყო შეპყრობილი, რაც ყველაფერს ამრუდებდა, აუკუღმართებდა, ნივთებსაც კი არაბუნებრივ სახეს ანიჭებდა. ამიტომაც აჭცია ზურგი ქალს,

სახლს და ისე გავიდა ქუჩაში, თითქოს ცოცხლად გაამჭვრეს ტყავი. დაცარიელებული ქუჩა დამამშვიდებლად მოქმედებდა დაბერილ სისხლძარღვებზე, ღღისით დარხეული ხმები ერთ ბგერად იკვრებოდა, ყრუ სიბრტყეებს აწყდებოდა და ისე ყოერდა, როგორც დიდი ხნის წინათ განცდილის გამოძახილი. მისთვის თანაბრად ძნელი აღმოჩნდა როგორც ბორკილების შებმა, ასევე მოგლეჯა. ამას ისიც ერთვოდა ზედ, რომ არ ღებულობდა, არ ცნობდა იმ სამყაროს, საითაც ძალით ეჭაჩებოდნენ. ხოლო ყოველდღე ერთისა და იმავეს განცდა და გადატანა საშინლად მობეზრდა. ამიტომაც ისწრაფოდა გარეთ, ამიტომაც ესმოდა ქუჩის ენა უკეთ, ვიდრე შინაურების. ვიწრო, ძველი სახლებით თავიდან ბოლომდე შეკრული სივრცე ნაკლებ ხიფათსა და დაბრკოლებებს შეიცავდა, ვიდრე ოთხი კედელი, ხოლო როცა ქუჩა მოედახს უერთდებოდა ან ოდესღაც გაშენებული ბაღის კიდეს მიჰყვებოდა, შუქნიშნების ციმციმი ანდა შაღრეკვნის წყლის ჩხრიალი ღამეულ ხმებს იმ იდუმალებას ანიჭებდნენ, რომლის მიღმა ყველაფერს ერთი აზრი და ერთი ფასი აქვს. ამ დროს ისეთ ქალაქში, სადაც ღამის ბარები არ არსებობენ, სულ ერთია, საით გაუხვევ და სად გახვალ, რას მიაკცევ ყურადღებას და რას არა. მზერა თავისთავად ისაკუთრებს, თავისთავად სტაცებს გარემოს საგნებს და ისეთი კაეშანით ავსებს, როგორიც კაცის გულში დასაბამიდანვე დასადგურებულა. სწორედ ასეთი კაეშანი ქმნის სიმშვიდის ილუზიას. სიბნელეში რაღაც იღვიძებს, იზმორება, ცოცხლდება და მარტო სიფხიზლის ჭეშმარიტებაში კი არ გარწმუნებს, არამედ წარმავალის მარადიულობაშიც. რასაც წყლის ზედაპირზე მოციმციმე სხივები გამჭირვალე სამოსელში ახვევს და ხელშესახებად არავის ანიჭებს.

კარის გაღების ხმა მან ისე აღიქვა, როგორც დიდი ფარღის გახევა. ქალიშვილმა სახლიდან პატარა ბალაშები, ღვინით სავსე ხელადა და თავისი თავი გამოიტანა. ნიავს უკვე სუსხი დაჰკრავდა, დაოსებული დღე სულს ღაფავდა.

— საფეხრო ქვისაა, გაცივდებითო ბატონ. ეს ბალიში დაიდეთ. — უთხრა ქალიშვილმა და ძველი ყურთბალიში მიაწოდა. ბალიშს, როგორც ყველაფერს ზოვის პირას, ნესტის სუნი უდიოდა, ნესტის სუნი დაგუბებულიყო კიბის ქვეშაც, მაგრამ როცა ქალიშვილი მის გვერდით ჩამოჯდა და წინ ღვინით სავსე ხელადა დაუდგა, სუსხიც შერბილდა და ნესტის სუნიც გაქარწყლდა.

— დიდხანს აპირებთ აქ დარჩენას? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— არ ვიცი.

— თუმცა დიდხანს აქ თქვენ კი არა, აქაურები ვერ ძლებენ.

— რატომ?

— რა სახარბიელოა მდორე, ერთფეროვანი ცხოვრებით ცხოვრება.

— ცხოვრება არც ქალაქში დუღს და გადმოდუღს.

— ქალაქში ახალგაზრდებს მაინც მოკრავ თვალს, აქ კი დედაბრების, ბერიკაცების და მათთან დატოვებული ბალღების მეტი არავინაა.

მან დოქი მოიყუდა და ღვინო მოსვა. შინ დაყენებული წითელი ღვინო გრილი და სასიამოვნო იყო, ისეთი გემო ჰქონდა, როგორიც შეურყვნელ ცხოვრებას აქვს, მიწის სიმძიმითა და ჰაერის სიმსუბუქით თავშეკრულ ცხოვრებას.

— ამბობენ, ზღვის პირას გაზრდილნი ადვილად ვერ ელევიანონ ზღვას, — თქვა მან, როცა ეზოს მთვარის მკრთალი და ცივი შუქი მოეფინა.

— აქაურებისათვის ახლა იგი დიდი წყალი უფროა, ვიდრე ზღვა, — უპასუხა ქალიშვილმა.

— ამიტომ არ ეკარებით ახლოს?

— რისთვის მივეკაროთ, როცა არც სარჩოს გვაძლევს და არც შემოსავალს.

ქალიშვილი მართალს ამბობდა. მას სისხლსავსე ცხოვრება სწყუროდა და არა ზღვის ტალღების მიკცევ-მოკცევის ცქერა. ზღვა ან სამოქმედო ასპარეზი

გივი ბალულაია
ვილას შეაფარეს მიწამ თავი

უნდა იყოს კაცისა, ანდა ცხოვრების ცოცხალი, ორგანული ნაწილი, ისეთივე *ცოცხალი, როგორიც ამ ქვეყნის ყველა* მინადარია, მაგრამ ქალიშვილისთვის არც ერთი იყო და არც მეორე.

— მამათქვენი ისეთი თვალით გიყურებთ, აქაურობა რომ მიატოვოთ, სამუდამოდ დაგწყევლით, — უთხრა მან ქალიშვილს.

— რა ვქნა, კი მეცოდება მამა, მაგრამ არანაკლებ მეცოდება საკუთარი თავიც. რაღა მე უნდა შევეწირო ამ კარ-მიდამოს. ჩემს გადრა, მამას ოთხი შვილი ჰყავს და არც ერთი არ იყურება აქეთ.

მან ისევ მოიყუდა დოქი და როცა სისხლძარღვებში წითელი სითხე ჩაიღვარა, მიხვდა, რომ ქალიშვილი მარტო. იმიტომ კი არ გარბოდა სახლიდან, რომ აქ არ გაეძლებოდა, არამედ ბედნიერებას გარეთ, საკუთარი თავს მიღმა ეძებდა. სწორედ ამას გრძნობდა ბერიკაცი და ეს უკარგავდა ძილსა და მოსვენებას.

— სძინავს მამას? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— არა, ბუხართან ზის და თვლემს.

— თქვენ დაბრუნებას ელოდება?

— ჩვენ ჩამორჩენილი ხალხი ვართ. თავისუფლად ქცევა და თავისუფალი ურთიერთობა აქ ჯერ კიდევ უცხო ხილია.

— რამდენადაც ვიცი, ნახევარი ცხოვრება ქალაქში გაქვთ გატარებული.

— აქაურებისათვის ეგ არაფერს ცვლის.

აქაურებისათვის მართლაც არაფერს ცვლიდა. ზოგჯერ, როცა რაიმე ჭქონდა საყიდელი ან გასაგზავნი, სოფლის მოედანზე უხდებოდა გასვლა. ხანში შესული, გაუპარსავი მამაკაცები და თავსაფარწაკრული, ფლანელის ხალათში გახვეული ან შავად მოსილი დედაკაცები სალამს არ ამადლიდნენ, მაგრამ მაინც ისე უყურებდნენ, როგორც უცხო, სხვა ცხოვრებიდან მოსული კაცს, რომელიც ფულს შრომით კი არ შოულობს, არამედ ხელგაუსვრელად, ოფლის დაუღვრელად და ამიტომ თავისუფლად, უდარდელად დაადიჯნებს ამ ქვეყანაზე და ისე ცხოვრობს, როგორც მოკარიანება. სოფლის მოედანზე ერთი უხეირო დუქანი *იდგა. ღვინის მოყვარული მამაკაცები* საღამოობს იქ ატარებდნენ და შუაღამეზე ბარბაცით ბრუნდებოდნენ შინ. ქალები კი, რომელთა გარეგნობა და გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ მთელი სიცოცხლე ოჯახზე ზრუნვაში, უფრო სწორად, ოჯახის წევრების მონობაში გაატარეს, ნავახშმევს აივანზე ან ეზოს წინ ისხდნენ და სხვების ცხოვრებას უფრო მახვილი თვალითა და ყურით აკვირდებოდნენ, ვიდრე საკუთარს. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იცავდნენ ცხოვრების იმ წესსა და კანონს, რომელთა წყალობითაც უდროოდ მოტყდნენ, ახალგაზრდობაშივე დაბერდნენ. ერთხელ მოედანზე, სწორედ იმ დუქნის წინ, სადაც მამაკაცები დროს ატარებდნენ, უცხოელებით დატვირთული ტურისტული ავტობუსი გაჩერდა. ავტობუსიდან გადმოვიდნენ ხანშიშესული მამაკაცები და დედაკაცები. ზოგიერთი იმდენად ხნიერი იყო, რომ კაცი იფიქრებდა, ასე დაჩაჩანაკებული ბერიკაცი ან დედაბერი მოგზაურობას როგორ ბედავსო, მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირათ, თითქოს წინ მთელი ცხოვრება ედოთ და სანამ პირში სული ედგათ, არც ჩაცმა-დახურვას დაიკლებდნენ, არც ჭამასმას და არც გართობას. უცხოელების ჩამოსვლამ მთელი სოფელი ააფორიაქა, მოედანზე საკმაოდ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, უპირატესად ქალებმა და ბალღებმა. მგზავრებს წყალი მოსწყურებოდათ და უცხო სოფელში ამის გამო შეჩერდნენ. მედუქნემ, ახლობლებთან ხელმომჭირნემ და გარეშესთან ხელგაშლილმა, სტუმრებს წყალნარევი ღვინო გამოუტანა და იმწამსვე მოიგო მათი გული. უცხოელები იცინოდნენ, ერთმანეთს თავისუფლად, უშუალოდ მიმართავდნენ, ბავშვებს ტკბილეულობით უმასპინძლდებოდნენ. უეცრად მან ბამბაზნის ხალათში გახვეული, თავსაფარწაკრული ქალების ცნობისმოყვარე მზერას მოჰკრა თვალი და დარწმუნდა, რომ ისინი უცხოელ ქალებზე ბევრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდობა და არა მარტო ახალგაზრდობა. სიჯარმაგეც კი კარგა ხანია დაკარგული ჰქონდათ და უკან მოხედვა შერცხვა, სევდითა და ბოღმით ავსებდათ.

— გადაწყდა თქვენი დავა? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— რა გადაწყვეტს გადაუწყვეტელს.

— ნუთუ მამათქვენმა არ იცის, რომ ნაბოლარები კერპები არიან?

— სიკერპე აქ არაფერ შუაშია. მამას ჭგობია ადამიანი თვითონაა საკუთარი ბედის მჭედელი, მაგრამ რა უნდა გამოუქედო, როცა ერთი ბეწო პირადი ცხოვრება არ გაგაჩნია.

— მამას გააჩნია?

— მამას შებრუნებული მზერა აქვს, გარდა ამისა, მისთვის ქალაქში, მრავალსართულიან სახლში ცხოვრება — იგივე ხეზე ცხოვრებაა.

ღვინო კიდევ უფრო გაგემრიელდა. ღამე ზმანებებმა შეიპარო, წარმოდგენა იმ ზღვის უახლოვდებოდა, რომლის იქით მოჩვენებითიც კი რეალურ სახეს ღებულობს და გინდა რაღაცას თუ ვიღაცას შეერწყა, აღმოფხვრა შეგნებიდან საკუთარი თავისადმი უნდობლობა, აზრი მიანიჭო იმას, რამაც უკვე კარგა ხანია დაკარგა აზრი, დაისაკუთრო სხვისი სითბო, სხვისი სხეული, სხვისი სიფიცხე. უკუაგდო ფიქრი, შიში, რიდი და ისე გააცოცლო დროის მდორე დინება, როგორც ქარი აცოცლებს ცეცხლს.

— თქვენ რომ აქედან წაბვიდეთ, ეს კარ-მიდამო დაცარიელებულ ბუდეს დაემსგავსება, — უთხრა მან ქალიშვილს.

— ეს სახლი რომ დაცარიელებულ ბუდეს არ ჰგავდეს, თქვენ აქ არ ჩამოხვიდოდით და თუ ჩამოხვიდოდით, ამ სახლში არ გაჩერდებოდით, — უპასუხა ქალიშვილმა.

— რატომ?

— არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ რაღაცნაირი უსიხარულო ცხოვრებით ცხოვრობთ.

— უსიხარულო სრულიად არ ნიშნავს უმოქმედოს და უინტერესოს.

— არ მითხრათ ახლა, რომ აქ საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

მას გაეღიმა და მთვარის შუქით განთებულ სივრცეს გახედა. ღამე ისეთი მშვიდი და მდუმარე იყო, თითქოს ეძინა, ქვაშინან ნაპირზე თავმდებულს უდრტვინელად ეძინა და ძირს დაფენილი სხვადასხვა კონფიგურაციის ჩრდილები, მიწის სიგრილე და სიმსუყე რომ შეეძინათ, დაღლილ საქონელივით ეყარნენ მოლზე.

— აქაურობას ისეთი ფერი აღევს, თითქოს წარსულის მეტი არაფერი გააჩნია, — თქვა ქალიშვილმა უფრო გულგრილად, ვიდრე ნაღვლიანად.

— ამიტომაც იყურებით გარე-გარე?

— როცა შინ სიმედოს ვერაფერს ხედავ, სხვა რა უნდა აკვთო?

— ცოტათი მაინც მიეხმარო მიწას, ზღვას, საკუთარ თავს.

— მიწის მიხმარებას ძალ-ღონე და მუყაითობა სჭირდება.

— თქვენ, მგონი, არც ერთი გაკლიათ და არც მეორე.

— ასე რომ იყოს, აქ არ ვიჯდებოდი ახლა.

— ჩაიქერით?

— არა, ტული დამაკლდა.

— მამას გიეხარდებოდა.

— მამას ის გიეხარდება, ყველა უმაღლესი სასწავლებელი რომ დაიხუროს.

— მამათქვენი ამას ვერ მოესწრება, თქვენ კი მიზანს მიაღწევთ და მერე იმაზე დაიწყვეთ ზრუნვას, რომ ვინმემ შინაგანი ტყვეობიდან გიხსნათ.

— განა ეს ასე ადვილია?

— გათხოვებამდე ამის იმედი თითქმის ყველას აქვს.

— გათხოვების შემდეგ?

ცაცხვის შეყვითებული ფოთლები ისე შეფარფატდნენ, როგორც ახალგამოჩეკილი წიწილები, ცა გადასასხვაფერებლად ემზადებოდა. შეთამაშებული ნიავი დანაღვლიანებულ გარემოს ახალისებდა. უეცრად წარსულის მძიმე ნასხლეტმა ბნელი ფარდა გახია, რის

ბივი მაღულარია
კიევას შეაფარებს ბიჭად თავი

გამოც ერთი წამით შეგხებაში დღის სინათლემ იფეთქა, რომლის წიალშიც ნათელი კონტურები და ფერთა ნაირსახეობა აკიაფდა. ციხის, ეკლესიისა და მათი გალავნის ნანგრევები იმდენად ძველი იყო, რომ თავისი თავი თვითონვე დაევიწყებინათ. წინ გადაშლილი ხეობა ბურმუხტისფრად ელავდა, თანდათან ფაროვნდებოდა და ისე ეერთდებოდა გადახრუკულ მინდვრებს, როგორც კამკამა მდინარე ამღვრეულ ზღვას. ციდან ჩამომავალი ნათელი ყოველგვარ ბუნდოვანებას აკამტვერებდა და ადამიანს საკუთარ თავთან დარჩენის, სხვებისაგან გამოყოფის საშუალებას არ აძლევდა. ისინი ძველი ციხესიმაგრის სამხრეთ ფერდობის კიდესთან იდგნენ და ხეობას დაჰყურებდნენ. ფერდობი ფხვიერი მიწითა და ეკლიანი ბუჩქებით იყო დაფარული. ირგვლივ ყველაფერი ფეთქავდა — სიცოცხლეც, ფერიც, ბგერაც და მათ ისე ითრევდა ყოფიერების უკიდეგანო საუფლოში, როგორც ეუცრად მოვარდნილი ტალღა, რომლის მოსარკული ზედაპირიდან მახვილი ჩრდილები გამქრალიყო — წაშლილიყო მარტოობის გრძნობა, უნდობლობა, რის გამოც შიგნით რაღაც იმდენად ფართოვდებოდა. რამდენიც სრულიად საკმარისია სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად.

ამ დღეს ძთელი ხეობა შემოიარეს, არაფერი დაუტოვებიათ უნახავი და დაუთვალიერებელი, მაგრამ დაღლილობას მაინც არ გრძნობდნენ. ანდა რა დაღლილათ, როცა ქვეყანა სანდომიანად ირწეოდა და მათ სწორედ იმას ჰპირდებოდა, რისი ფასი ხეირიანად არც კი იცოდნენ. უეცრად ქალის ხელს ოქროსთვლიანი ბეჭედი მოწყდა, ყოველ წამს რომ ანრობდა და იცვამდა თითზე და ფერდობზე დაგორდა. პატიოსანმა თვალმა ნაპერწკალივით გაიელვა მის წინ. იგი ისე დაედევნა ფერდობზე დაგორებულ ბეჭედს, რომ რელიეფისათვის ანგარიში არ გაუწევია. ფხვიერი მიწა ფეხქვეშ ეშლებოდა, ეკლიანი ბუჩქები, რომელთაც ქვეშეცნეულად ებღაუჭებოდა, ხელებს უკაწრავდა. ბეჭედი კი მზის სხივივით უსხლტებოდა ხელიდან. უეცრად ხელში ძირიანად მოთხრილი ბუჩქი შერჩა. ფხვიერი მიწა მოსცდა, მოშვავდა, დედამიწა ადგილიდან დაიძრა, ამტვერდა, აფხვიერდა, ხევში ჩაშვავდა და იგიც თან ჩაიტანა. ზურგზე დაცემულს კიდევ კარგა ხანს აცვიოდა მიწა თვალებში, პირში, მკერდზე და გაბრუებულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქვესკნელში იძირებოდა, ცოცხლად იმარხებოდა და თან მიჰქონდა მტვერში გაბლანდული კივილი, რასაც არა მარტო მოშშავებული მიწის სუნი უდიოდა, არამედ წყდიადის ფერიც ედო და ეს ფერი ოქროთი მოვარაყებულ სიმწყვანეს, ამ ცოტა ხნის წინათ რომ ყოველგვარ იდუმალებას აკამტვერებდა — ათალხებდა, აუქმურებდა, უეცრად მოპირდაპირე მთის ფერდობზე შეფენილი ტყე ისე გაშავდა, თითქოს ხეები ფოთლებიანად დანახშირდნენ და მარტოხელა აჩრდილი, რადაც იგი იქცა, ამ დანახშირებულ ტყეში გზის გაკვლევას ცდილობდა, მიემართებოდა იქითკენ, საიდანაც წყლის ჩხრიალი ისმოდა, მაგრამ ტყეს არც თავი უჩანდა და არც ბოლო, ზემოდანაც შავი ცა ეხური და ძირსაც შავი ფოთლები ეგო და იგი მიხვდა, რომ აქ შემოხეტებული ყველა მხარხაკცევი და გაჩხიბულია, ყველას უჭირს საუკუნეთა მძიმე, შავი ფერფლით გარემოცულ უკუნეთში რაიმეს გარჩევა და ამიტომ უმტკივნეულოდ ეგუება იმ აზრს, რომ აქაურობას ვერასოდეს დააღწევს თავს, ვეღარ იხილავს დღის სინათლესა და საგანთა ნაირფეროვნებას. ვეღარავის გაუზიარებს ბედსა და აზრს. ირგვლივ ყველაფერი სახელშეურქმეველი, უცვლელი და უტყვი ჩანდა, მაგრამ ტკივილი ამ უტყვ სამყაროშიც ისეთივე ბასრბრჭყალებიანი აღმოჩნდა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, როცა წელი გტეხს, ფეხები გეკრუნჩხება, დაკაწრული ხელები გეწვის და ეძახ ხსნას, სითბოს, სინათლეს... და უეცრად სინათლე ისე ჩაიღვარა მის თვალებში,

როგორც ღვთიური ხამი. მან ჯერ თვალები გაახილა, შემდეგ თავი წამოსწია, ბოლოს წამოჯდა და დასვრილი, დასისხლიანებული ხელებით მკერდიდან მიწა ჩამოიფერთხა. ამომშრალი ხვეი, რომელშიც იწვა, უფრო დიდ ხვეს უერთდებოდა და იმ ხვეიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. მან ცას ახედა. რამდენიმე წუთის წინათ კიდიდან კიდემდე მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის რამდენიმე პატარა, თეთრი ქულა გამოცოცებულიყო. მოპირდაპირე მთის კალთებზე შეფენილი ტყე კვლავ მწვანედ ლივლივებდა. ფეხზე წამომდგარმა ხელებზე დაიხედა და მთელი სხეულით დაიძაბა. მიწა, რომელიც მკერდზე ეყარა, უკანვე უხმობდა, პასუხს თხოვდა იმისათვის, საუკუნეების სიღრმეში რომ ჩაახედა. შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა ხვეიდან ამობობდა. მაგრამ ის დღე იყო და ის დღე, მას შემდეგ მათ ურთიერთობაში იმ დიდი ჩრდილის აღმოფხვრა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

მთვარის შუქი, კიბეს რომ მოსდგომოდა და თანდათან მაღლა იწევდა, საგნების სიღრმისეულ არსს უფრო ააჭარავებდა, ვიდრე მათ გარეგნულ სახეურებას ჰფენდა ნათელს და ბებერი ცაცხვის კიდედაკბილეული ჩრდილი, ირიბად რომ გაწოლილიყო ეზოში მარადმწვანე ბუჩქებისაგან შეკრულ ღობემდე, შეუმჩნევლად ინამებოდა და როცა ჩრდილი განზე გაცოცდებოდა, მოლზე ცვრის წვეთები ისე ბრწყინავდა, როგორც ციდან ჩამოღვრილი ცრემლის გამჭვირვალე შხეფები, რომელთა სიწმინდე გარსმომდგარ წყვდიადს ამსუბუქებდა და მიწიერ არსებას, გვერდით რომ ეჯდა და ცხოვრებაში თავის ადგილს ეძებდა, მიმზიდველსა და სასურველს ხდიდა.

— ჰაერში ისეთი სუნი დგას, როგორც თქვენს ცივსა და დადუმებულ ეკლესიაში, — თქვა მან და ისე ახედა ცას, თითქოს დედამიწა ერთი ძველი, გუმბათმოხატული ეკლესია იყო.

— ზამთრობით აქ სახლებიც ისევე მიტოვებული და ცივია, როგორც ჩვენ ეკლესია, — უპასუხა ქალიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი სახლიც?

— არა, მამას უყვარს მიწა, სახლ-კარი, ყველაფერი, რაც მისია და მისგან მჭირნეველობას მოითხოვს. ზის ზაძირობით ბუხრის წინ, შეჰყურებს ცეცხლს და თავისთვის რაღაცას ფიქრობს.

— ალბათ ის აწუხებს, მიწა რომ ვერ შეგაყვარათ შვილებს.

— სწორედ მიწამ მოინელა დედაჩემი.

— ამიტომაც არ გინდათ მისი ხვედრი გაიზიაროთ, არა?

— რომ მინდოდეს კიდეც, მაინც არაფერი გამომივა.

— რატომ?

— ვინ აიტანს იმას, რასაც დედაჩემი იტანდა.

ქალიშვილის ხმა ისე ჟღერდა, თითქოს გულს უხსნიდა, ნდობას უცხადებდა და როცა მთვარის შუქი კიბეზე ამოცოცდა და ქალიშვილს სახეზე გადაეფინა, მან მოურიდებლად შეავლო თვალი შუბლზე ოდნავ ჩამოშლილ თმას და გაფერმკრთალებულ ლოყებს. მთვარის შუქმა ნაკვთებს მეტი სიმკვეთრე, მეტი სიფაქიზე მიანიჭა. ქალიშვილის მზერა, მისი სუნთქვა, მისი იმედები და ეჭვები, მისი დავა საკუთარ თავთან და სხვებთან, მთელი მისი როგორც ცვალებადი, ასევე უცვლელი არსი — მდუმარე ღამეს აცოცხლებდა, ახალისებდა გარემოს, რომელსაც იმ საღამომდე სიხალისე აკლდა და ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთად ისხდნენ და ერთმანეთის მიმართ ნდობით იმსჭვალებოდნენ.

— რას აკეთებთ ხვალ? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— არაფერს.

— ქალაქში საქმე მაქვს, ხომ არ წამომყვებით?

— რატომაც არა, — უპასუხა ქალიშვილმა და სახეზე ისეთმა ღიმილმა

გივი მალულარია
ვიღაც შეაფარეს გიჟად თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაურბინა, რომელსაც დაუნახავად ხედავ.

●

ზღვიდან მონაბერ ნიავს სუსხი ემატებოდა, მომავალი თვალდაფსილი იყურებოდა ამ მხრიდან, სადაც ბნელი კედელი აღმართულიყო და თან მოჰქონდა ყრუ ბგერების ნამსხვრევები და უსასრულო სივრცის კაეშანი, რაც შესუდრულ, გაშეშებულ საგნებს ნისლით ბურავდა, სულში უძვრებოდა, მაგრამ იდუმალებას მაინც ვერ სტყუებდა და ჰაერი, რომელიც თითქოს გრძნობით იყო გაჟღენთილი და არაფერს იკარებდა ისეთს, რაც იმედებს აქარწყლებს, ხვალ, ზეგ ან ერთი თვის შემდეგ წარსულად იქცეოდა, მარცხს იწვნევდა, დამძიმდებოდა, უამრავი უსიამო, დამამცირებელი წვრილმანით შეივსებოდა, უხილავი ჭრილობებით გამდიდრდებოდა და ის განუმეორებელი ღიმილი, ნდობამ და მადლიერების გრძნობამ რომ გამოიწვია, ან გაუცხოვდებოდა, ანდა სამუდამოდ გაქარწყლდებოდა.

4

სახლი, რომელიც მის ზურგს უკან გაყუჩებულიყო, მხოლოდ ცალი ფრთით სუნთქავდა, მხოლოდ ერთი ოთახის სითბოთი და სინათლით აწვდიდა ხმას გარე სამყაროს და ყველაფერს გულში იხვევდა. ამ ოჯახში ჯერ კიდევ ბოგინობდა სიცოცხლე, ჯერ კიდევ სუნთქავდა სულიერი, რომელიც უღონობისაგან იწირებოდა და ღვიძილისა და ძილის ერთმახეთისაგან გარჩევა უჭირდა. თმენასა და ლოდინს ბერიკაცი იმთავითვე შერჩეული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც უმცროსმა ქალიშვილმა მიატოვა, მარტოობასაც შეეჩვია და ფიქრიც კი აღარ უნდოდა იმაზე, რომ აქაურობა მიეტოვებინა, წარსული დაემხო და გაეცამტვერებინა. ამიტომ დროის დინებას არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა. დრო ადამიანებს იტაცებდა, სოფლიდან ქალაქში ერეკებოდა, მდინარეებს მარწუხებით კრავდა, მთა-ბარს ასწორებდა, მაგრამ ყველაფერი ესადგებოდა მის მიღმა, თვითონ კი წლების მანძილზე მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ცეცხლი შეენახა, საკუთარ სამფლობელოში წესრიგი დაემყარებინა და არავისთვის არაფერი ეთხოვა, თანაგრძნობაც კი არა. სიკრეპე თანდაყოლილი თვისება კი იყო მისი, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობა, დაცვა იმისა, რამაც გადაატანინა ჭირი და ვაება ამა სოფლისა, დაარგვევინა ხე, ააშენებინა სახლი, გაახარებინა ხეხილი და ვაზი, დააზრდევინა შვილები, დაამარხვინა მეუღლე, ანგარიში გააწევინა მტერმოყვრისათვის და ისე მოახუცა, რომ ღვთის გლახად არ აქცია, არ შეაზიზღა საკუთარი თავი. ხოლო თუ ყოფა მოსძულდა, თუ აღარ ახარებდა მზის ამოსვლა, ეს იმიტომ, რომ მოუდუნდა მუხლი და მკლავი, მოეძალა კაეშანი, მოხუცდა, დაჩაჩანაკდა და ახლა, როცა ყველაფერი განაკრისფერდა, როცა ცეცხლმაც კი დაკარგა ფერი და მხურვალება, იგი არა თუ სხვებს, საკუთარ თავსაც კი აღარ სჭირდებოდა და მარტოობამ იმ აზრსაც შეაჩვია, რომ ადამიანთა ურთიერთობა, ნათესაური, მამაშვილური ურთიერთობაც კი არ ყოფილა ისე მტკიცე, დრომ ხელის ერთი მოსმით არ დაარღვიოს და წაშალოს.

იმ მხრიდან, სადაც საავტომობილო გზატკეცილი გადიოდა, საბარგო მანქანის გრუხუნი მოისმა და მანქანა რომ ძველი იყო, ამას ძრავას გუგუნი ცხადყოფდა. მხარმარჯვნივ, რომელიღაც ეზოში, ძაღლი აყეფდა, მას სხვა ძაღლებიც აჰყვნენ, მაგრამ ყეფდნენ როგორღაც უხალისოდ, ულიმლამოდ, ვალის მოსახდელად და როგორც კი მანქანის გუგუნი მიწყდა, ძაღლებიც გაილურსნენ. მათ ყეფას მხოლოდ ბერიკაცის ძაღლმა არ აუბა მხარი. იგი მზის ჩასვლამდი შეძვრა კიბის ქვეშ და მას შემდეგ გარეთ არ გამოუხედავს.

შემოდგომის ცვალებადი ცა იქუფრებოდა, ზღვის ტალღებს ხმოვანება ემატებოდა და ბეტონის ცივ საფეხურ-

ზე ჩამომჯდარმა ღვინო და ის ძველი ყურთბალიში ინატრა, ამ ათი წლის წინათ ქალიშვილმა რომ გამოუტანა სახლიდან. მაგრამ მაშინ მშვიდად გაჰყურებდა სივრცეს, გასაღიმებელზე ეღიმებოდა და გასაცინებელზე ეცინებოდა, ახლა კი ისე იყო შებოჭილი და შეშფოთებული, დროდადრო ისე იძაბებოდა, თითქოს ზღვის სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს შორიდან მონაბერი არაჯანსაღი სუნი ერეოდა და მისი უკან მოხედვა ან წამოდგომა უბედურებას გამოიწვევდა, განუცხადებელს განცხადებულად აქცევდა. თუმცა რა ჰქონდა გასაცხადებელი, ირგვლივ არაფერი ხდებოდა ისეთი, რომ სახიფათო ან საბედისწერო ყოფილიყო და მან საკუთარი მაჯის უწესრიგოდ, არითმულად ცემა უმიზნოდ წანწყლა და დაღლილობას უფრო მიაწერა, ვიდრე შემაშფოთებელ წინათგრძნობას.

წინა საღამოს ბერიკაცის ქცევაში და მიხვრა-მოხვრაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა სიდარბაისე, რაღაცნაირი ჩუმი, გაუმხელელი სიამაყე იმ კაცისა, ვინც ამქვეყნიური ცხოვრების უკუღმართობას თავი გაართვა, დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი უკან მოიტოვა და ახლა, როცა მარტო ხორცით კი არ დაბერდა, არამედ მთელი თავისი არსითაც, როცა ალარც ცოდნა სჭირდებოდა და ალარც გამოცდილება, მის გვერდით, მის სუფრასთან უცხო კაცი კი არ უნდა მჯდარიყო, ვისი ვინაობაც ბერიკაცს წესიერად ალარც კი ახსოვდა, არამედ მახლობელი ადამიანი, მისი სისხლი და ხორცი, ვისაც თუ სიბრალული არა, მოვალეობის გრძნობა მაინც აიძულებდა ხელი შეეშველებინა, ენუგეშებინა, დახმარებოდა კაცური ღირსების შენარჩუნებაში. მაგრამ ბედმა მისთვის ესეც არ გაიმეტა და რადგან სახლში უცხო კაცი შეეპჭრა, მისი უმწეობისა და დაჩაჩანაკების მოწმე გახდა, თვითონვე უნდა ეკისრა როგორც წინაპრების, ასევე საკუთარი ღირსების დაცვა.

ამიტომაც გამოუტანა ჭიქა და საკუთარი ხელით დაუსხა ღვინო, ამიტომაც გახდა ისეთი, როგორიც სხვის თვალში უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ეს ერთი ვკვრაია ცალ თვალზე ბინდი გადამეფარა და ვერაფრით მომიშორებია. ბინდიღა აკლდა ამ ისედაც გაუჟმურებულ ცხოვრებას, — უთხრა ბერიკაცმა და ცოტაოდენი ღვინო ისე მოწრუპა, თითქოს ემწარაო.

— ქალაქში თუ ჩახვალთ და საავადმყოფოში დაწვებით, მაგ ბინდს ექიმი ადვილად მოგაშორებთ.

— ჩემი წასვლა-წამოსვლა დამთავრდა. ერთი გზაღა დამრჩა და კარგად ვიცი, საითაც მიდის ის გზა. ეს ოხერი ღვინო გამწარაოდა თუ მემწარა.

— ღვინოს ახლაც ისეთი გემო აქვს, როგორიც ამ ათი წლის წინათ ჰქონდა.

— არა, ალარაფერს ალარ აქვს ისეთივე გემო, ამ ათი წლის წინათ რომ ჰქონდა. კაცთან ერთად ცხოვრებაც ბერდება, სხვა გემოს იძენს და მწარდება.

— ახლა დაისვენეთ და ხვალ დილით ისევ გაგიტკბებათ.

— აწი მე რომ რაზე გამიტკბება, იმქვეყნად თუ გამომადგება მხოლოდ.

— საიმქვეყნიო ჯერ არაფერი გეტყობათ.

— კაცს რომ თვალზე ბინდი გადაეკვრება, დიდი დღე ალარ უწერია. მარტოხელა კაცს სხვა გუმანი აქვს, სხვა საწერი.

მარტოობა ბერიკაცმა ნებაყოფლობით იკისრა და თანაც ისე, რომ დაჩაჩანაკებისაც კი არ შეშინებია, მაგრამ იმ ულმობლობის პირწმინდად გაშიშვლება, დროის დინებას რომ ახლავს თან, მაინც შემზარავი იყო. რა დაემართა მოხუცის ღონიერ მკლავებს და მოუღლელ მუხლს, სად გაქრა ის ძალა, მიწას რომ აბრუებინებდა, ჯირკვის აჩეხინებდა, ზღვის ტალღებს აპობინებდა, რამ დაღალა ასე უმოწყალოდ მახვილი თვალი, უდრეკი გული, ნათელი გონება, რამ გადააქცია განვლილი ცხოვრება ზმანებად და მო-

---

გივი მალულარია
ვიღაც შეფაფარეს მიწამ თავი

ჩვენებად, რომ წაართვა რეალობა იმ გარემოსა და სიგნებს, რომელთა ურთიერთკავშირი ყოველთვის მყარი და ლოგიკური ეჩვენებოდა. ამ კითხვებს ალბათ ბერიკაცი თვითონაც უსვამდა თავის თავს და დროის მმუსვრელი შემოტეკვა მცირე ხნით მაინც რომ შეეჩერებინა, გარე სამყაროსთან კავშირს ამცირებდა და საკუთარი თავის მეოხებით განაგრძობდა არსებობას.

მთელ სახლში მხოლოდ ერთადერთი ოთახი თბებოდა, ნათდებოდა და ალბათ ხანდახან იგვებოდა, სახლის დანარჩენი ნაწილი კი, სადაც სამარისებური სიჩუმე სუფევდა და ნესტის სუნი იდგა, ბნელსა და სიცივეს დაესაკუთრებინა. სიძაბუნე ბერიკაცს ყოველდღიურად ავიწროებდა, სამოკმედო სივრცეს ათმობინებდა, მეხსიერებას უჩლუნგებდა და მეამბოხეობაზე ხელს აღებინებდა. მეამბოხეობაზე ხელის აღება კი იმ ზღვარამდე მისვლაა, რომლის მიღმა სულ ერთია — იქნები ამქვეყნად თუ არა. ნაკარი, იგი დროდადრო რკინის მოკაუჭებული ჯოხით რომ ქექდა, ბუხრის წინ იბნეოდა და ბერიკაცს ყოფიერების ნაკრისფერ წრეში ითრევდა.

— ისე გამოვყრუვდი ამ დასაქცევ სახლში, მეგონა კაცთან დალაპარაკება გამიჭირდებოდა, — უთხრა ბერიკაცმა და ფეხი ისე დაიზილა, თითქოს დაუბეჟდაო.

— რამდენადაც მახსოვს, სიტყვაუხვი არასოდეს ყოფილხართ.

— როცა კაცს საქმე აქვს, სალაყბოდ არ სცალია. თუმცა დღეს სწორედ ის ხალხი მომრავლდა, სიტყვით რომ ირჩენს თავს და ერთ-ერთი მათგანი მგონი ჩემი მვილიცაა.

— რას აკეთებს?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, როგორც მითხრეს, სადღაც-სადღაც იწვევენ, ალაპარაკებენ და ამაში ფულს უხდიან. მე კი მგონია, იგი ისეთ რაღაცებზე ელაპარაკება ხალხს, რაც თვითონ არ გაეგება ხვირიანად.

— რატომ გგონიათ?

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ლაყბობით ქვეყანა არ აშენდება. თუმცა რა ჩემი საქმეა, ჩემი დროსაც უკვე მოვეშამე. აწი იმან ზიდოს ამ ცხენ-ვრების ჯაბანი, ვისაც ჩემზე მეტი ეკუთ და გამოცდილება აქვს, ჩემზე უფრო გამოადგება ქვეყანას.

ბერიკაცმა ერთი წამით თავი ჩაქინდრა, უეცრად მოეშვა, მოდუნდა, მაგრამ რაღაც ძალამ წამსვე გამოფხიზლა და მისი მკაცრი სახის ნაკვთები მაშინვე შეიკრა და შედეგობდა. წვიმამ იკლო, ტახტის ქვეშიდან თაგვის წრიპინი მოისმა. მან შემთბარი ღვინო მოსვა. მოხუცს თვალი მოარიდა და ინანა, ამ უდროო დროს რომ ჩამოვიდა აქ, წინ დაუჯდა იმ კაცს, ვისაც მოწმე არ სჭირდებოდა, ვისთვისაც ყოველი გაბრძოლება მტკივნეული და დამქანცველი იყო. ის ჩუმი დაძაბულობა, მთელ სახლს რომ ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი, გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა და გადახალისებაზე, გუნება-განწყობილების გამოკეთებაზე ფიქრი აქ ისევე ზედმეტი იყო, როგორც წყლის ნაყვა. თუმცა წყლის ნაყვა იყო ისიც, რის მეხსიერებაში აღდგენასა და განზოგადოებას იგი ქვეშეცნეულად ცდილობდა. რას უნდა გაეერთიანებინა დაქუცმაცებული, სახეშეცვლილი ფრაგმენტები იმ უგვანობისა, ცდუნება რომ ჰქვია და მანამდე აღორებს კაცს, სანამ არ დაიცარიელებს და წაბილწავს.

●

დაიბუდა გულში სიცივემ, დაიშრიტა ძალ-ღონე კაცისა. გაიჩხიბა სახლი ნაკურთხი, გამოუძღვა შავი ჰეპლების გუნდი ქვეგამხდეველს, რომელმაც უნაყოფოდ აქცია ნოყიერი მიწა. გადაეჩვია ხორციელი სიცილსა და ტირილს, დაუვსო ყური, დაუბნელა თვალი, შეუკრა ყველა უკანდასახევი გზა. გადაავიწყა ლოცვა-ვედრება და ახლა, როცა უგვანობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჰაჩრდილთა საუფლოში, როცა მოიჩიხა და მოისილა პირი მიწისა, როცა ნისლიც კი გაყვითლდა და დასნეულდა, როცა წარსულშა არა მარტო სურნელება და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა, არამედ სახიერებაც, შავი ჰეპ-ლები შავეთის მოციქულად იქცნენ და უპატრონოდ დარჩენილ ბერიაკეს, რომელიც ყოფიერების ზღვარს მიახ-ლოვებოდა, გათეთრებულ წარბებსა და წამწამებზე ასხღებოდნენ, წუთებს უთვ-ლიდნენ, თავს აბეზრებდნენ, მაგრამ ბერ-იაკეი მაინც უტეხი სიკვრპით იცავდა თავს, ცდილობდა დროის დინებისათვის ასაკობრივობა დაეკვიწყებინა, კიდევ ერ-თი ნაბიჯით ზასცდენოდა არყოფნის ზღვარს და ცოტა ხნით მაინც უკუეგდო კარზე მომდგარი მწუხრი.

5

სინათლის ორი გრძელი ზოლი, ეზო-ში გამომავალი ფანჯრებიდან რომ გა-მოსჭვიოდა, ღამეულ ფარდას სწორხა-ზოვნად ხვევდა და მათი კონტურების სიზუსტე ისეთივე უტყუარი და ლაკო-ნიური იყო, როგორც საზამთროს გუ-ლიდან ამოჭრილი სამკუთხედი. ზოლებს მიღმა დარჩენილი უკუნი კი ცამდე აწვდილ კედელივით აღმართულიყო ამ მხარეს, საიდანაც ზღვის ხმაური ისმო-და და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებო-და, თითქოს ამ ხმაურს სიბნელე გამოს-ცემდა და არა ზღვა. ამ გრძნობას კიდევ უფრო ამძაფრებდა კიბის ქვეშ დაგუბე-ბული ნესტის სუნი, რაც თვითნებურად იწვევდა დროისა და ადგილის გადა-ნაცვლ-გადმონაცვლებას.

იმ დილით სოფლიდან ვერ გააღწია და რადგან სამქმე არაფერი ჰქონდა, კი-დევ ერთხელ მოინახულა ძველი, მი-ტოვებული ეკლესია, რომლის ცალი, ჟანგმოკიდებული კარი მოღებული და-ხვდა. ეკლესია იმდენად ძველი იყო, რომ ათ წელიწადს მისი ხანდაზმულო-ბა არაფერით დაუმძიმებია, არც ოთხ-კუთხა გალავნის კვალი წაუშლია საბო-ლოოდ. ლავგარდანის მოჩუქურთმებუ-ლი ქვები დროს დაებზარა, ერთმანეთ-ზე გადაწნულ რომბებს კიდეები მომტვ-რეოდა, რელიეფური წრეები დაწყვე-ტილიყო, ჩუქურთმათა ღარებში მტვე-რი და ტალახი ჩამკვდარიყო. ამ ყორუ-ლად ნაგებ და მოპირკეთებულ ეკლე-სიას გარეთ აქერის უნარი საბოლოოდ დაეკარგა და ვიწროხვრელებიანი სარ-მელებით მხოლოდ შიგნით, საკუთარ წიაღში იცქირებოდა. შიგნითივე ეპატი-ჟებოდა იმას, ვინც თავის თავში შეი-კეტა და ამ გზით ცდილობდა გარდუ-ვალობის უგულებელყოფას. თუმცა ვის ძალუძს წინ აღუდგეს ნგრევასა და გა-პარტახებას, ხელი შეუშალოს წარმა-ვალს წარმავლობაში. ეკლესია დროის ნამუსრვები იყო, სულთმობრძანვი ნაშთი წუთისოფლის გაუტანლობისა, რაც არა მარტო თვალს ანაღვლიანებდა, არამედ გარემოსაც.

ამ ობის სუნით გაჟღენთილ სავანეში არც სიკვდილის წარმოდგენა ჭირდა და არც განკითხვის ყამისა. იატაკის აცვე-ნილი და დამტვრეული ფილები უსია-მოდ ხმაურობდნენ ფეტქვეშ. ისეთ ხმას გამოსცემდნენ, თითქოს საფლავის ქვები იმსხვრეოდა და საუკუნეები კვნე-სოდნენ. ვიწროხვრელებიანი სარკმელე-ბიდან შემოჭრილი სინათლე მხოლოდ ნახევრად ანათებდა გუმბათსა და კედ-ლებს. ერთ დროს, ეტყობა, გუმბათი და კედლები შელესილი და მოხატული იყო, მაგრამ მთელი საუკუნის მანძილ-ზე წყლის ჟონვამ ბათქაში კედლს შე-მოაცალა, ძირს ჩამოყარა და გააცამტვე-რა. გაშიშვლებულ კედლებს მხო-ლოდ აჭა-იქ შემორჩენოდა შელესილ-ობის კვალი, ხოლო ერთ ადგილს, დამრეცფარიანი სარკმლის ზემოთ, სხეულს მოწყვეტილი, წითლად შეღე-ბილი მკლავიც კი მოჩანდა მქრქალად. ამ მკლავის პატრონი ან თვით მაცხო-ვარი იქნებოდა, ან რომელიმე წმინდა-ნი, ანდა კტიტორი. ვისთვისაც ამა ქვეყნის ცრუ ამოცანათა შორის უმტკი-ცესი მაინც მკვიდრად ნაგები ეკლესია იყო, რომლის კედლებზე მაცხოვართან და წმინდანებთან ერთად თვითონაც იქ-ნებოდა გამოსახული. მხატვარი მას უპერსპექტივო სიბრტყეზე უძრავად კი ააყუდებდა, მაგრამ ეს მაინც არ იქნე-ბოდა კტიტორი. ოსტატი მასაც ისეთივე

ბიგი მალულარია
ვიდას შეაფარეს მიწამ თავი

სახესა და ხასიათს მიანიჭებდა, ჩვეულებრივ წმინდანებსა და მოციქულებს რომ ანიჭებდა. კედელზე ნელ-ნელა გამოიკვეთებოდა უმოძრაო, ბრტყელი სახე, დიდი, დახაოჭებული შუბლით, წვრილი, ჩაღრმავებული თვალებით და ქვემოთკენ გაფართოებული ცხვირით. ოსტატი იმასაც კი ვერ მოახერხებდა, რომ ეკლესიის აღმშენებლისათვის თანაზომიერი ტან-ფეხი შეეხსა, მისი რისხვა და ზვაობა წარბების მკვეთრ მოხაზულობაში კი არ ჩაექსოვა, არამედ მის სულში. მაგრამ მარადისობასთან შეჰიდებულ კტიტორს ყამმა აქაც უმტყუნა, მისი გამოსახულება კედლიდან წყალმა ჩამორეცხა და დარჩა მხოლოდ ხელი, წითლად შეღებილი, სხეულს მოწყვეტილი ხელი, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობდა რაღაცა დაეცვა, წინ აღდგომოდა ნესტისა და სიბნელის მოძალებას. ხელი ისე ცხადად, ისე მეტყველად ეყოფოდა კედლის სიშიშვლეს, თითქოს სულის შთაბერვას, გაცოცხლებას მოითხოვდა და უეცრად წარმოდგენამ ხელი იმფერადვე შეღებილ მხარს გამოაბა, მხარი კისერს მიუერთა, კისერი სხეულზე დააყრდნო, ზემოდან დიდი თავი დაადგა და ახლა უკვე კედლიდან ძველი ოსტატის მიერ გამოსახული უმოძრაო, ტლანქი ფიგურა კი არ იყურებოდა, არამედ ის კაცი, ვინც თავის დროზე რეალური ცხოვრებით ცხოვრობდა და ცოდვა-მადლს ისე აწონასწორებდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა — შინაურ და გარეშე მტრებს ებრძოდა და მერე გულმოდგინედ ლოცულობდა, დამნაშავესა და უდანაშაულოს თანაბრად სჯიდა და მერე დღეს ღმერთს მსხვერპლს სწირავდა. ტყვედ წამოყვანილ გოგოებს და შინამოსამსახურეებს ნამუსს ხდიდა და ღილით ღვთისმშობელს სახთელს უნთებდა. ერთი სიტყვით, მკაცრი ბრალმდებელიც იყო და მონანიე მსაჯულიც, ჯალათიც და მსხვერპლიც, ცოდვილიც და წმინდანიც და ეს თითქმის ათასი წლის კაცი ახლა ისეთი თვალებით იყურებოდა კედლიდან, თითქოს მის ჩამორეცხვაში ყველა მის შთამომავალს მიუღიოდა ბრალი: ეს თქვენ დაამკვიდრეთ ამ ეკლესიაში სამართლებური სიჩუმე, — ამბობდა ყრუ ხმით შუბლდანაოჭებული კტიტორი, — თქვენ გადაშალეთ ფერი და წარწერა, მაგრამ საკმარისია ვინმემ ანგარიში წამოგიყენოთ, მცირედი თავგამოდება მოგთხოვოთ და მაშინვე უკან იხევთ, ისე იქცევთ, თითქოს ამქვეყნად არაფერი გეკითხებათ. ამიტომ საკუთარ გულგატეხილობას ეფარებით და მანამდე იტყუებთ თავს, სანამ მოჩვენებებად არ გადაიქცევით, ზუსტად ისეთ მოჩვენებებად, როგორიც ჩვენ, ამ კედლიდან ჩამორეცხილნი ვართ. ის, რასაც თქვენ აქ ეძებთ, აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიბნელე, სინესტე და სიცარიელე, ღამურების უსინათლო საუფლო, რომლის გაცისკროვნება და აღდგენა აღარც კაცს შეუძლია და აღარც ღმერთს.

რაც უფრო მკვახედ ლაპარაკობდა კტიტორი, მით უფრო ემატებოდა ნაოჭები სახეზე და გრძელი მოსასხამის კალთებზე, მით უფრო მკაცრი ბრალმდებელი ხდებოდა და ახლა უკვე მარტო კი არ იმზირებოდა კედლიდან, გვერდში ყველა ის წმინდანი და მოციქული ამოეყენებინა, ოდესღაც მასთან ერთად ამ გაძარცული ეკლესიის კედლებზე რომ იყვნენ გამოსახულნი და ერთ წრედ შეკრულნი. ფერად-ფერად მოსასხამებში გახვეულნი, თმა და წვერულვაშ მოშვებულნი, სახედანაოჭებულნი, რომელთა შრეებში ათასწლოვანი ტკივილი ჩაბუდებულიყო, კედლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსვლასა და მსჯავრმდებლებივით ალაპარაკებას ცდილობდნენ. ბოლოს ნიღბებმა ხორცი შეისხეს, ენაც ამოიდგეს და მან უნებურად უკან, ღიად დატოვებული კარისაკენ დაიხია და საკუთარი დაპატარავება და მოდრეკა ცხადლივ იგრძნო. მსჯავრმდებლები ერთად ალაპარაკდნენ, ჩქარობდნენ, მაგრამ მას თითოეული მათგანის სიტყვები შეურყვნელად ესმოდა:

— ვინ დაარღვია სამარის უცვლელი სიმშვიდე!

— ვინ შემოეხეტა გაპარტახებულ საკანში!

— ვინ დაძრა ადგილიდან მკვდარი დრო!

— ვინ შემოაცალა სუდარა საკუნეებს!

— ვინ არჩია სინათლეს ბნელი!

— ვინ მოიდრიკა და მოიმჩვარა უდაბნოში გადარგული ყლორტივით!

— ვის იპყრობს შიში ყოველ ნაბიჯზე:

ვაითუ შევცდე.

მოვტყუვდე. .

მოკლორდეო!

— ვინ უარყო ღმერთი ნაყოფიერებისა,

ვინ დაშრიტა წყარონი წყალუხვი,

ვინ გაკაფა ტყენი გაუვალი,

ვინ გადაშენა ჯოგი ჯიშიერი,

ვინ არის იგი?

უეცრად მას ღამურას ფრთების ფრატუნი მოესმა და გონს მოეგო. სახიერი ნახატი, წარმოდგენამ რომ გამოიწვია შუასაუკუნეებიდან, ისე სწრაფად უკუიქცა, თითქოს ურღვევი სივრცე ხელის ერთი მოსმით დაირღვა და წმინდანთა სხეულისა და ტანსაცმლის ნაფლეთები ნესტიანმა ჰაერმა პირწმინდად შეიწოვა, ისევ შიშველი კედლების ფორებში გამოკეტა. დარჩა მხოლოდ წითლად შეღებილი ხელი, ძველი სიდიადის ნაშთი და ნამუსრევი და მასაც სურდა ფერი სიბრტყისათვის შეეტოვებინა ანდერძად, მსგავსად კტიტორის სხვა ნაკვეთებისა. საბოლოოდ ჩამორეცხილიყო კედლიდან, ზმელი ფოთოლივით გაცამტვერებულიყო. თუმცა ვის შეეძლო იმედიანად ეყურებინა იმისათვის, რასაც დრომ ხელი დარია და ისე მოიძულა, რომ აღარც ცოცხლებში გარია და აღარც მკვდრებში.

შემოდგომის მზეს მხურვალება აკლდა, მაგრამ თვალი მაინც ისე მოსჭრა, თითქოს მთელი თვე ბნელ გამოქვაბულში იყო გამომწყვდეული. გარეთ გამოსული ერთ ადგილას იდგა ფეხმოუცვლელად, თვალებს ჭუტავდა და რაღაცას ვერ ელეოდა, რაღაცა ისეთს, რაც ერთსა და იმავე დროს სახიერიცაა და უსახურიც, დაუთმობელიც და გადასაგდებიც, ნამდვილიც და მოჩვენებითიც. ვერ ელეოდა უთავბოლობასა და უაზრობაში შემოხეტებულ აზრს, თითქოს ყველაზე დიდი ბოროტება დუმილია, მკვდრისა კი არა, მოკვდავის დუმილი. უღიმღამო ცის გარინდებას რომ ჰგავს ხშირად და ისე გირევს გზა-კვალს, რომ ყვირილის მაგივრად ყეფ, ყმუი, ხრიალებ, ბიდავ, მაგრამ უგვანობა მაინც უგვანობად რჩება და უშფოთველ სამყაროში ატეხილი შფოთი ისევე მალე ცხრება, როგორც გადამწვარი ნათური.

●

ფერები, ერთმანეთს რომ გამოეყვნენ, დაცალკევდნენ და ზუსტი კონტურების მეშვეობით ბუნდოვანება უკუაქციეს. დედამიწას ამსუბუქებდნენ. ამრავალფეროვნებდნენ და მუყაითად ალაგებდნენ გაუწონასწორებულ დრო-

---

ბიჟი მაღულარია
ვიწას შეაფარეს ჭიდამ თაკი

ში შემოჭრილ გარემოს, რომელიც ქაოსისაგან თავის დაღწევასა და ბუნებრივის სახის მიღებას ცდილობდა. წინ ურღვევი სივრცე იყო გადაშლილი, შემოდგომის ფერებით გალმობიერებული სივრცე, უკან კი შუასაუკუნოებრივი ტკივილის, მარცხის, მოგონებების ამარა დარჩენილი, პირწმინდად გაძარცული ღვთის სახლი, რომელიც ყოველივე განცდილსა და გადატანილ ერთ გამოძახილში ატევდა, საკუთარ წმინდათა აჩრდილებს წმინდად ინახავდა და გამოსაგლოვებელს მდუმარედ გლოვობდა და გამოსამშვიდობებელს უსიტყვოდ ეშვიდობებოდა.

6

ეზოს სიღრმეში ეუღად მდგარი მსხვილფოთლებიანი პორტენზიის ბუჩქი სიბნელეშესურებულივით კრთოდა, რადგან სიბნელეს არა მარტო სუსხი და მდუმარება მოჰქონდა, არამედ შიშისა და მიუსაფრობის გრძნობაც, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა საგანთა უძრავი ჩრდილები, რომელთა გაუმჭვირვალობაში სიკვდილი ჩაბუდებულიყო და იქაურობას აუდაბურებდა. პორტენზიას კი სითბო და ნოყიერი ნიადაგი უყვარდა და როცა შემოდგომა დგებოდა, როცა მზეს სითბო აკლდებოდა, შავი ზღვის პირას გადმონერგილი იაპონური თუ ჩინური ყვავილი მტრედისფერ ყვავილებს აღარ ისხამდა და იეროგლიფებისა და ოცნებების ბურუსში ეხვეოდა. აქ ამ მიყრუებულ სოფელში, იგი იშვიათად იქცევდა გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას, განსაკუთრებით შემოდგომაზე და ზამთარში, იმ ქვეყანაში კი, სადაც ამისი წინაპაპა გადმონერგეს, თითოეული ტოტის, თითოეული ყვავილის ფასი კარგად იცოდნენ, ისე შეუხამებდნენ ერთმანეთს ფერსა და ტოტის განშტოება-ღვარჭნილობას, ისეთ ზესწრაფვას და დახრილობას მიანიჭებდნენ დეკორატიულ თაიგულს, ისე გააფაკიზებდნენ და აამეტყველებდნენ, რომ უსახურობა უკან იხევდა და უსაზღვროება საზღვრებშიც ეცეოდა. არც გარეთ, ბუნების წიაღში აკლდა ხესა თუ ბუჩქს პატივი და ყურადღება. დილაადრიან ქოხიდან გამოსული ისეთივე ბერიკაცი, როგორიც მისი მასპინძელი იყო, ტბის ან მდინარის პირას ეულად მდგარ ხესა თუ ბუჩქს მზერით მოეფერებოდა, ფიქრსა და ნაღველს გაუზიარებდა და ცალკე, ტბის მოსარკული ზედაპირისაგან დამოუკიდებლად კი არ აღიქვამდა, არამედ მათ ურთიერთკავშირს მყარ საფუძველს გამოუნახავდა, ღრმად ჩასწვდებოდა ყოფიერების არსს და უსიზარულო არსებობას მცირეოდენ სიხარულს კიდევ დასტყუებდა.

ზღვის მონოტონური სიმღერა, შორიდან რომ ისმოდა და წყვდიადში იყო გახვეული, მწუხარე ღამის მდუმარებას კიდევ უფრო შეუვალს ხდიდა და ზურგს უკან ისეთი იდუმალებით იმოსებოდა, როგორც ამას ძილ-ფხიზლობისა და სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარი მოითხოვს. უხალისო იყო არა მარტო ის, რაც არ იცვლებოდა, არამედ ისიც, რამაც სახე იცვალა და სხვა დანიშნულება შეიძინა. უეცრად შორიდან ცხენის ფლოქვების თქარათქური მოესმა, მოესმა თუ მოეჩვენა, ამას იმწუთას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ავმა წინათგრძნობამ, დრომ და სიბნელემ ერთ ადგილას მოიყარეს თავი. მეზსიერების შენიღბული კუნჭულები მოაღწევეს და აჯიბვინებელი ცხენი, ბოცვებზე შეფენილი ტყიდან რომ გამოიჭრა და ზღვისაკენ დაეშვა, რეალურ არსებად აქციეს. ცხენების ჭიხვინი და მათი ფლოქვების თქარათქური ამ სოფელში ერთ დროს ღღისითაც ისმოდა, ღამითაც და იმ დროსაც, როცა ქვეყანაზე არც ღღეა და არც ღამე, ისმოდა ისე, თითქოს სიერცეს მათრახით შოლტავდნენ და ეს ხმა ისე შეერწყა აქაურ ყოფას, რომ ახლაც კი, როცა სოფელში ცხენი თითქმის აღარავის ჰყავდა, სიბნელით შებოჭილ მდუმარებას აღღ-

ვევდა და დიდსა და პატარას სულს უფორიაქებდა. ამიტომაც არ იწვევდა ეშეს ცხენის ფლოქვების თქარათქური, ჭიხვინი და ფერი. ცხენი თეთრი იყო, წყლის ქაფივით თეთრი, კისერი გრძელი ჰქონდა, ამაყად შემართული, თავი პატარა, ფეხები ჩამოქნილი და მარდი და ამ მარდი ფეხებით, ჭიხვინითა და გაშლილი ფაფარით ცხენი ისე მიჰქროდა აზვირთებული ზღვისაკენ, როგორც მოსისხარ მტრისაკენ, რომელიც თავიდან ბოლომდე უნდა გააპოს და თავიდან ბოლომდე გიაიროს. რაც უფრო სწრაფად უახლოვდებოდა თეთრი ცხენი ნაპირს, მით უფრო ავად ბორგავდა ზღვა, მით უფრო ღონივრად ერეკებოდა ნაპირისაკენ ურჩხულებივით წამომართულ, აქაფებულ ტალღებს და მის მკაცრ ხასიათს სიმკაცრის ახალ-ახალი ნიშნები ემატებოდა. ბოლოს ცხენი ქვიშიან ნაპირზე გავარდა, ყალყზე შედგა, გამაყრუებლად დაიჭიხვინა და გამეტებით ეკვეთა შავი ზღვის აზვირთებულ ტალღებს. მაგრამ ტალღები მედგრად აღუდგნენ წინ მომხდურს, შეკრეს, "შებოჭეს და ისე გამოისროლეს ნაპირისაკენ, როგორც გადმოფურთხებული კბილი. თეთრი ცხენი ქვიშიან ნაპირს დაასკდა, მცირე ხნით გაქრა, გაუჩინარდა, ხოლო როცა წყალმა უკან დაიხია, მკვირცხლად წამოხტა და ზღვას დაუპირისპირდა. ნესტოებიდან ორ ნაკადად ჰამოსდიოდა წითელი სისხლი, მარცხენა ბარძაყთან მუქი ზოლი ემჩნეოდა. მარცხმა კიდევ უფრო გაახელა თეთრი ცხენი, ყალყზე შემდგარმა ისე დაიჭიხვინა, თითქოს ცა ჩამოიქცაო და გულდაგულ ეძგერა ზღვას. ზღვა გაშმაგდა, მიწის ფერი დაედო. აბობოქრებულმა ტალღებმა ცხენი მცირე ხანს აბურთავეს, ყირაზე გადაატარეს და შემდეგ ნაფოტივით გამოისროლეს ნაპირზე. ზღვა ისე იქცეოდა, თითქოს არ უნდოდა ხმელეთის შვილი თავის წიაღში მიეღო, მორბენალი სირბილის გადაჩვეოდა, მცურავ ცხოველად ან დამხრჩვალ ლეშად ქცეულიყო, მაგრამ ცხენი არ ეშვებოდა, ისე იწევდა ზღვისაკენ, თითქოს ამ ქვეყანაზე აღარ ედგომებოდა, თითქოს ცხენი კი არა, ხმელეთზე გამორიყული ვეშაპი ყოფილიყოს. როგორც კი ტალღები უკუიქცა, ცხენი ისევ ფეხზე წამოდგა, მაგრამ ახლა მას მარტო ნესტოებიდან კი არ სდიოდა სისხლი, არამედ ყურებიდანაც და თეთრი თავი წითლად ეღებებოდა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო, უთანასწორო ბრძოლა, რისთვისაც პასუხი ვიღაც სხვას, მესამეს უნდა ეგო, მაგრამ ის მესამე ხმას არ იღებდა და ბრძოლა გრძელდებოდა. თუმცა რაღად უნდოდა პასუხი იმას, ვისაც განკითხვის ჟამი დასდგომოდა და მხნეობა მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ სტიქიას შებმოდა. ებრძოდა თეთრი ცხენი შავი ზღვის ტალღებს. იღვრებოდა სისხლად, ასკდებოდა ტყავი, ეყვლიფებოდა მუხლები, ეთოუპნებოდა თეთრი ბალანი, ებრძოდა მედგრად, გულდაგულ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და ეს ბრძოლა ისე ინთქებოდა არსებობის სასოწარმკვეთი უშფოთველობის უსაზღვროებაში, როგორც საუკუნეების წინათ დარხეული ბგერა ყოველდღიურობის საერთო ბგერამონაცვლეობაში.

შეიძლება თეთრი ცხენი იმიტომ აჭიხვინდა ბნელ ღამეში გამაყრუებლად, რომ წუხელ ბერიკაცმა ცხენზე შეჯდომა და მისი ზღვის პირას გაჭენება ინატრა, შეიძლება ხედავდა კიდეც საკუთარ თავს აჭიხვინებულ ცხენზე ამხედრებულს. ახალგაზრდობაში იგი სანაქებო მხედარი იქნებოდა, ჩოხაში გამოწყობილს და ყაბალახით თავწაკრულს ალბათ დოღსა და მარულაშიც მიუღია მონაწილეობა და ჯილდოც კი დაუმსახურებია, მაგრამ ამის გახსენება ახლა არც მან მიიჩნია საჭიროდ და არც ბერიკაცმა. განყენებულ, განუხოოციელებელ ნატვრაზე საუბარს ისევ ის არჩიეს, სინამდვილეს დაბრუნებოდნენ. სინამდვილე კი ის იყო, რომ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ისინი ტაბლას

ჯივი ჟაღულარია
ვილას შეაფარეს მიწამ თავი

უსხდნენ და გარდასული დროის დამ-ჭკნარი ფოთლების შრიალს ყურს უგ-დებდნენ.

— იცით, სოფლის გაუკაცურება რო-დის იწყება? — ჰკითხა ბერიკაცმა მას შემდეგ, გვერდგამომწვარი კუნძი რომ შეაბრუნა.

— არა, არ ვიცი...

— როცა საქონელი იწყებს გადაშენე-ბას. საქონელს ოჯახში სიცოცხლე, სითბო, თანხმობა და ბარაქა შემოაქვს. საქონელმა არ იცის პატრონის დაწუ-ნება, მოძულება, განზე გადგომა, მის-თვის არ არსებობს ბებერი და ახალ-გაზრდა, მას ყველა თანაბრად უყვარს და ყველასაგან თანაბარ ზრუნვასა და სიყვარულს მოითხოვს. განა ვინმეს მან-ქანა ეყვარება ისე, როგორც ცხენი უყ-ვარდათ ერთ დროს? რამდენ კაცს უნა-ცვლია ცხენისათვის არა მარტო ქა-ლი, საკუთარი თავიც კი, მაგრამ არც ცხენი დარჩენილა ვალში, ყველგან და ყოველთვის მზად იყო პატრონისათვის თავი გაეწირა. ცხენი და კაცი თანაბ-რად უმგრებდნენ ერთმანეთს ზურგს. ეს იყო ორი ცოცხალი, ღვთით გაჩენი-ლი არსების ურთიერთსიყვარული და კაცი რომ ცხენზე ჯდებოდა ან ხარებს მიერეკებოდა, თავი უფრო ამაყად, ღირ-სეულად ეჭირა და თუ უწყრებოდა, ისე უწყრებოდა და ეფერებოდა ცხენ-საც და ხარსაც, როგორც შინაურებს, ოჯახის წევრებს. განა ვინმე მოფერებია ან გაწყრომია მანქანას, გინახავთ ასეთი რამე?

— არც მინახავს და არც გამიგონია.

— ის ხომ გაგიგონიათ, რომ კაცს საყვარელი ცხენი ან ერთგული ძაღლი ისე გამოუტირებია და დაუმარხავს, რო-გორც უსაყვარელესი არსება?

— კი, გამიგონია.

— ჰოდა, კაცმა რომ ცხენი, ხარი და ძაღლი მოიშორა, სულის ნაწილიც თან გაატანა და უნდო, უპასუხისმგებლო და უსულგულო გახდა.

— თქვენ გგონიათ, მარტო ესაა ამის მიზეზი?

— არ ვიცი, მიზეზი შეიძლება სხვაც ბევრი იყოს, მაგრამ მე ჩემი ვთქვი და იმ სულდგმულთა სადღეგრძელოს სანაცვ-გადაშენების გზაზე რომ არიან დამდგა-რნი.

წვიმა, ცოტა ხნით რომ მინელდა, ისევ გაძლიერდა და კვლავ აუტეხა რახარუხი ფანჯრებსა და სახურავს. ბერიკაცი ლაპარაკს განაგრძობდა, მხო-ლოდ თავის აზრს გამოთქვამდა და არა-ფერს იჩემებდა, რადგან იცოდა, რომ ყველაფერი, რაც დროს მოჰქონდა, მისი აზრის წინააღმდეგ იყო განწყობილი, მას უგებდა მახეს, უკან ახევინებდა, პოზიციებს ათმობინებდა, თუ უშუა-ლოდ არა, სხვისი ხელით მაინც სჯი-და, ბუდეს უნგრევდა და იმის საშუა-ლებასაც კი არ აძლევდა, რომ თავისი ამქვეყნად ყოფნა რითიმე მაინც და-ემტკიცებინა.

7

ათი წლის წინათ ამ სოფელში რამ-დენიმე კაცს კიდევ შემორჩენოდა ცხე-ნი, მაგრამ ისინი თითქმის ცხენთან თა-ნაშეზრდილნი იყვნენ და თვალის ჩი-ნივით უფრთხილდებოდნენ, სისხლით ნათესავებში არ არჩევდნენ. იყვნენ ისე-თი ბერიკაცებიც, რომელთაც უცხენოდ არსებობა არ შეეძლოთ, მაგრამ მას შემ-დეგ საკმაო ხანი გავიდა და ცხენი იშ-ვიათი ოთხფეხი გახდა. თუმცა რად უნდოდათ ცხენი, ცხენის შეკაზმვა და გაკენება არც მან იცოდა და არც ქა-ლაშვილმა. ამიტომ ფეხით დაადგნენ სოფლის მოედნამდე მიმავალ გზას, სა-დაც ან ავტობუსს დაელოდებოდნენ, ანდა ქვეითად გაივლიდნენ იმ სამსა თუ ოთხ კილომეტრს. რკინიგზის სადგუ-რამდე რომ იყო. გზის ორივე მხარეს ძველი ოდები, აგურის ან ქვის დამთავ-რებული და დაუმთავრებელი, ფანჯრებ-ზე ფიცარაკრული სახლები იყო ჩამწკ-რივებული. ფიცარაკრული სახლების პატრონებს მშენებლობა კი დაეწყოთ, მაგრამ შემდეგ ქალაქში გადასახლებულ-იყვნენ და დაუმთავრებელი შენობები მიეტოვებინათ. ეზოებში და სახლის აივანზე მოფუსფუსე ქალები და ბავშვე-

ბი მათ დანახვაზე საქმეს მიატოვებდნენ, თავს ასწევდნენ, ცნობისმოყვარე მზერით მეზობლის ეზომდე აცილებდნენ. ქალიშვილი ბუნებით მორცხვი არ იყო, მაგრამ მაინც ისე უხერხულად გრძნობდა თავს, თითქოს საძრახ საქმეს სჩადიოდა და ბეჭებში იწურებოდა, თავს მაღლა არ იღებდა. ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა იგი მისმა თანასოფლელებმა ისეთი კაცის გვერდით დაინახეს, ვისაც უცხოდ თვლიდნენ, ვინც აქაური არ იყო და არც არასოდეს იქნებოდა და ამიტომ მათი უნდობლობა არა მარტო ამ სოფელში დროებით ჩამოხეტებულ გადამთიელზე ვრცელდებოდა, არამედ იმბუეზე, ვის სახლშიც იგი მდგმურად იდგა და ახლა გვერდზე მოჰყვებოდა. საგანგებოდ გამოწყობა, უცხო კაცთან ერთად ქუჩაში თამამად გამოსვლა და სადღაც წასვლა, მათთვის თუ აღვირახსნილობა არა, უკადრისი საქციელი, გამოწვევა მაინც იყო, რადგან ამის უფლება ან ყველას უნდა ჰქონოდა, ანდა არავის და ეს არა იმიტომ, რომ „ადრეც ჰყავდათ რამეში შენიშნული, მისი ჯინი სჯირდათ, არამედ იმის გამო, რომ სითამამე, ბოროკლებისაგან თავდახსნა სხვების სიბეჩავეცა და კარჩაკეტილობას კიდევ უფრო ააწკარავებდა. ამიტომ უბრად მიდიოდნენ, ერთმანეთს არც უყურებდნენ და არც ხმას სცემდნენ. იგი ჭინჭყატის ბუჩქს აკვირდებოდა, რომლის ხორციანი, თეთრლაქებიანი ფოთლები ქუჩის მხარეს უსწორმასწოროდ დაეგლეჯა. ვარდის ბუჩქს, გვერდით რომ ედგა, მხოლოდ ერთი ყვავილი გამოეღო, მაგრამ ჯინიანი, უმშვენიერესი და მას რომელიღაც პოეტის სიტყვები მოაგონდა: „წითლად ორთქლდება სიშიშვლე ვარდის“.

— რა თქვით?

— არაფერი.

— აბა, მომეყოლა?

— შეიძლება.

ქალიშვილი მიხვდა, რომ ის, რაც მან თქვა, მის გასაგონად არ იყო ნათქვამი, მას არ ეხებოდა და ისე ჩაქინდრა თავი, თითქოს მისი თანამგზავრი სიობოსა და თანაგრძნობას ვიღაც სხვას, სადღაც შორს დარჩენილ ან წარმოსაჩენ ხორცშესხმულ არსებას უწაწილებდა. ეჭვი, ქალიშვილის სულში რომ ქურდულად შეიპარა, უსაფუძვლო იყო, მაგრამ აზრი არ ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ მის გარდა ამქვეყნად უამრავი რამ არსებობდა, უფრო ზოგადი, უფრო განყენებული, რაც არანაკლებ ყურადღებას მოითხოვდა და სულიერსაც იტევდა და უსულოსაც, უსხეულოსაც და სხეულებრივსაც.

შემოდგომის მზიანი დღე მარადმწვანე ხეებს იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენსაც შეყვითლებულს და სწორედ მათ ამდიდრებდა, ოქროთი ფერავდა. ზღვის ჰაერი უჩვეულოდ სუფთა და მსუბუქი იყო, მაგრამ მას მაინც აღიზიანებდა ის შებოჭილობა, რაც მისდა უნებურად გადაეღო ქალიშვილისაგან და ერთი წუთით ინანა კიდეც, რომ თან წამოიყვანა. მას შეეძლო როგორც სხვა დღეები, ეს დღეც მარტოს გაეტარებინა, უმიზნოდ ეხეტიალა, რაღაც შეეძინა ისეთი, რისთვისაც მანამდე ყურადღება არ მიუქცევია, დაღლილიყო, სულის ფსკერზე დალექილი სიმწარე მწარე სითხით გაენელებინა, კიდევ უფრო გაემგარებინა ის საფუძველი, რომელსაც აქ ჩამოსვლის დღიდანვე აკოწიწებდა იმის იმედით, რომ საკუთარი თავის საყრდენად გამოიყენებდა. ახლა კი უბრად მიჰყვებოდა ქალიშვილს გვერდით, გარე-გარე იყურებოდა, ცდილობდა გამოეცნო, რა ჯინის იყო კიდემლიანი თუ დაკბილულ ფოთლიანი ხე, რომელი ჯინი უკეთ ხარობდა ზღვის პირას და თვალშეუფარებლად გრძნობდა, რა ეწერა სახეზე იმას, ვისაც გართობა, რაღაცის შეძენა და გადაყრა, ცხოვრებასთან უშუალო კონტაქტის დამყარება ენატრებოდა. სწორედ ამან ამოადგმევინა გუშინ საღამოს ქალიშვილის ენა, სწორედ ამან გახადა თავისუფლების მოსურნე და

გიგი ჭალულარია
ვიღაც შეაფარო მიწამ თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილი, მაგრამ ის სიახლოვე და ნდობა, რაც ერთმანეთის გვერდით ჯდომამ და ძალდატანებელმა საუბარმა გამოიწვია, ახლა უცხოობის გრძნობამ და უხერხულობამ შეცვალა. ქალიშვილის სახეზე ერთსა და იმავე დროს საყვედურიც ეწერა და უნდობლობაც, უნდობლობა არა მარტო მის მიმართ, არამედ მთელი სოფლის, მთელი ქვეყნის მიმართაც, რადგან გუშინდელ საღამოს მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია, მის სულში თუ ცეცხლი არ ააგზგზნა, პაწია ნაპერწკალი მაინც გააღვივა, რომლის დანახვისაც ახლა მისი თანასოფლელები ცდილობდნენ და ქალიშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაეფარა, შეენიღბა გულისნადები, არ მიეცა თანასოფლელებისათვის ჩურჩულისა და ჯორის გავრცელების საბაბი. მას სწორედ ის ტანჯავდა, რაც დრომოჭმულად მიაჩნდა და რისგანაც თავის დახსნას ცდილობდა.

ყოველი სახლის წინ ხავერდოვანი მოლი იყო გადაშლილი, ვარდის აელვარებული კოკრები და ჰორტენზიის მჭიდროდ შეკრული ბუჩქები თვალს არ აშორებდნენ გზას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გამვლელ-გამომვლელთ უთვალთვალებდნენ და თავიანთ წილ ყურადღებას მოითხოვდნენ, მაგრამ ქალიშვილი არც მათ აქცევდა ყურადღებას და იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამირეიდან მისთვის სოფელი კიდევ უფრო საძულველი შეიქმნებოდა, რადგან თრგუნავდა, გზაზე თავისუფლად, თამამად გავლის უფლებას არ აძლევდა და ადრე იქნებოდა თუ გვიან, იგიც სამაგიეროს გადაუხდიდა, სამუდამოდ მიატოვებდა, დაადანაშაულებდა, დავიწყებდა. ამისათვის არც ბრძოლა დასჭირდებოდა და არც მსხვერპლის გაღება. თავისუფლებას იმით მოიპოვებდა, რომ ქალაქში გადასახლდებოდა და თუ საიმედოდ ვერაფერს დაიმკვიდრებდა, ქუჩაში მაინც გაივლიდა ვაჟთან ერთად წელგამართული, მოღიმარი. ამიტყველებულა, უცხო თვალს მაინც არ დაეჩაგვრინებდა თავს ისე, რომ საკუთარი სხეულის მოხდენილობა და ქალური ღირსებები დაევიწყებინა. მისი მარტოობა და კარჩაკეტილობა იმ დღესვე დამთავრდებოდა, რა დღესაც ამის საშუალება მიეცემოდა. იგიც ისევე ისეირნებდა გამზირებზე, მოედნებზე და ვიწრო ქუჩებში, როგორც ათასები სეირნობენ. ცნობისმოყვარეობით შეჩერდებოდა შადრევნებისა და ქანდაკებების წინ, მემორიალურ დფებს, კინოფიშებს, რეკლამებს წაიკითხავდა და ვაჟის მკლავქვეშ შეყუჟული დამოუკიდებელ, უფლებამოსილ და თავდაჯერებულ ქალად იგრძნობდა თავს.

ქალიშვილმა სოფლის მოედანი წყნარად შეათვალიერა, ოდნავ ჩამოშლილი თმა გაისწორა და, მიუხედავად იმისა, რომ სადღაც შიგნით უკმაყოფილო იყო, როგორც საკუთარი თავით, ისე იმითაც, რომ მისი ნირწამხდრობის მოწმე მასზე უფრო ბევრის მნახველი და გათალებული, მასზე უფრო გამოცდილი კაცი იყო, მაინც თამამად გასწორდა ბეჭებში და სივრცეს გამომწვევად გახედა. შემოდგომის რბილ, მზით გახეხილებულ დღეს ყველა წუხანდელი ნოჯი გაესწორებინა, ზღვის უნაკლო სილურჯე, ჭადრეს შორის რომ ზოლებად იკრებოდა, იქაურობას მხოლოდ ზედაპირზე არეკლილი ფერით ღებავდა და როცა შორიდან მანქანის გუგუნი მოისმა, მან პირველად ვერც კი გაარკვია, ავტობუსი იყო თუ მოტორიანი ნავი, რომელიც ხანდახან ამ სოფელშიც შემოეხეტებოდა. მანქანის გუგუნი თანდათან ძლიერდებოდა, მტვრის სუნი უკვე ცხადად აღწევდა მათ ყნოსვამდე და როცა ბლავცხვრიანი ავტობუსი მოედანზე შემოიჭრა, შორიდან მონაბერმა ნიავმა მტვრის კორიანტელი ჭადრის ხეებს მიახვეტა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზლაპარი

უსიერ ტყეში ოჩოკოჩებს კუნაპეტ ღამეს
ღრეობა აქვთ და ღვინის ნაცვლად კაცის სისხლს სვამენ,
ბუქნაობენ და არის ერთი დავიდარაბა,
აშიშხინებენ ირმის მწვადებს, ნთქავენ სალაფავს.

ასოცი ცირა წყაროს პირას დგას. დაირებით,
მათი შეხედვით კაცი მართლაც გადაირევი.
თითქოს სამყაროს საძირკველი უკვე მოშლია,
ოჩოკოჩები ანგელოზებს როცა კოცნიან.

დაღლილ სხეულში შემოდიხარ ისე, ისევე
ვწუხვარ მთელი დღე, გული მტკივა, ველარ ვისვენებ,
გავუვარდები ოჩოკოჩებს იმ ბნელ ღამეში
და სიმართლისთვის ვიბრძვი ისე, ვით გილგამეში.

როს ნაცარტუტად გადიქცევა მათი ბუნაგი,
მძიმედ დაჭრილი მოვახტები ბაბუს უნაგირს,
ჩამოვარიგებ ცირებს ყველას თავის სოფელში
და დავბრუნდები კვლავ ზლაპარში, ჩემს სამყოფელში.

მზიურ აჭარას

შენი მზე მათბობს,
შენი ცა კი ქუდად
მახურავს,
დავბადებულვარ ქვეყანაზე
შენს სამსახურად.

ბევრჯერ გაწამეს,
მოგანატრეს ვაზის
სურნელი,
რწმენაც წაგართვეს,
მაგრამ, ღმერთო,
რასგაუძელი...

ყველა სიხარულს
შენთან ერთად
ვხარობ, განვიცდი,
უშენოდ ყოფნა
ქვეყანაზე, რა ვქნა,
არ ვიცი.

ჰოდა, აჭარელს —
უპირველეს სისხლსა
და ჯიგარს —
თავმოდრეკილი
ვუჭახუნებ მოხატულ
ჭიქას.

აქ შრომა ხარობს,
შრომა ხარობს
ყოველთა ზედა,
ჩვილი ტიკტიკებს,
ჯვრიან მჭადებს
ჩააკრავს დედა.

თუმც გზა გავლილი
იყო შენი მეტად
საძნელო,
ჩემო ტკივილო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულო
და განსაცდელო,

აგიყვავილდა ბილიკები,

ფართე გზაშარა —
საქართველოში
საქართველო
შენ ხარ, აჭარავ!

როცა გავყურებ

როცა გავყურებ
ამ ხეობებს
და ამ მთაგორებს,
ეს ყველაფერი
ჩემს ბავშვობას
როგორ მაგონებს.

უზრუნველ ყოფნას
ნაზი ოხვრის დაჰკრავს
ელფერი
და ძველ ბაქანზე
ჩამოდგება მატარებელი.

ვათელილ ბილიკს
მდინარიდან როცა
ავუვლი,
გამახსენდება ძველებური
დღესასწაული.

ჯოხის ცხენების
ფრუტუნით და სისატურათი
მხარდამხარ მომდევს
ჩემი სოფლის
ძველი სურათი.

და მე ვტირივარ
მოგონებით ასე
ძლეული,
ჩვილი ბავშვივით
ვკანკალებ და მითრთის
სხეული.

ავსებული ვარ
შენი მზით
და შენი ჰაერით,
რატომ ხარ ასე
დახატული
და სხვანაირი.

ღმერთო, მიცოცხლე
მოგონების ყველა ხვეული,
რომ სისხლი ჩემი
დავიურვო გადარეული.
როცა გავყურებ
ამ ხეობებს
და ამ მთაგორებს,
ეს ყველაფერი
ჩემს ბავშვობას
როგორ მაგონებს.

კამათი

საქართველოში, ჩემო ძმობილო,
ლექსის ალმურით რამდენი იწვის,
კაცი ქართველი რაღა ყოფილა,
თუ დარდი არ ჰკლავს ცისა და მიწის.

არ გეუბნები მე შენ სხვა რამეს,
თუ მივედები მიეთმოეთებს,
ჩვენში ბიჭები ლექსებს მალავენ,
რაც დაამშვენებს ბევრ სხვა პოეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი ბრეგვაძე

ტეტიეგის სიყვარული

> ადამიანები სიყვარულითა და პატივისცემით მანამდე არიან ერთერთისადმი განწყობილნი, ვიდრე ერთმანეთს განჩინება არ ძალუძთ. ტრფობა და გზნება უკმარი შეცნობის ნაყოფია მხოლოდ.
>
> თომას მანი
> („სიკვდილი ვენეციაში“)

მუთხრობები

ქალის სევდას ჰგავს მთიან სოფელში ნისლი, აბოლდება და აღარ იხამს საშველს. უკმურად აეგლისება დამოკლებულ თვალსაწიერს, მოგზხამავს, ხიბლსა და თვლემას შეგისევს.

მთელი კვირა თვალში ვეღარ გამოიხედა სოფელმა, აღარ იქნა საშველი, ისევ და ისევ ცურავდა გაუმჭვირვალ, კვამლისფერ ნისლში და უამინდობისაგან გაბეზრებული, თავის თავს აღარ ჰგავდა.

გეოლოგებს სულაც არ აკვირვებდათ ამინდის ჭირვეულობა, ასეთები ენახათ?! მათებური ურჩობით იკვლევდნენ მარგანეცის საბადოს. ბრეზნტის ტოლსტოურებში ნიკაპამდე ჩამძვარალნი, ეროგულად ეკიდებოდნენ საქმეს.

მათი გამოჩენა და, ხმა დაირბა, სოფელზე შეიძლება მაღარომ გაიაროსო. ამ მხარისათვის უცხო როდი იყო ასეთი რამ. მოვიდოდნენ გეოლოგები, დავლიდნენ ტყე-ღრეს, მოჰყვებოდნენ ზომვას, თხრას, მერე საკმარისი იყო ვინმეს დასცდენოდა, მიწაში შავ ოქროს სძინავსო, მოსახლეობას აყრა არ ასცდებოდა. იმ შავ ოქროს შეეწირებოდა თაობათა ნაჯახირები, ნარუდუნები სახლ-კარი, ბაღ-ბოსტნები, შვილივით ნაფერები ზვრები, ხეხილი თუ ყანები.

იყო ერთი ოხვრა, ჩუმი ჩოჩქოლი. რას ამბობენო, კითხულობდნენ, რას გვიპირებენ ეგ ჩვენი ცოდვით სავსენიო. მეტადრე მოხუცები წუხდნენ და იმასღა ნატრულობდნენ, გავასწროთ მაინც, სიცოცხლეში არ მოვესწროთ ჩვენი კერიის ნგრევას, თორემ ორჯერ სიკვდილი გვიწევსო.

ჰოდა, აი ასე, შიშიან მოლოდინს გაელურსა თვალთაგან გამქრალი ყოველი სახილველი. აქ ყველაფერი ადამიანის ბედზე ჩაფიქრებულიყო.

ადამიანები კი დაბორიალებდნენ, ჩაყრუებულ, შედედებულ სივრცეებისაგან გამჯნეულნი, ურთიერთკავშირდაკარგულნი, მხოლოდღა ხმამაღალი გადაძახილით ეძებდნენ და აგზებდნენ ერთიმეორეს, თოკებივით ჰქონდათ გაბმული ეს ხმები ეზოებში, შარაგზაზე, მინდვრად.

ქალაქიდან მომავალი ავტობუსი კვლა-

ვინდებურად დარახრახებდა, ორ საათში ერთხელ ქშენით ამოავსებდა შარაგზის რძისფერ სიბლანტეს, მიჰყავდა და მოჰყავდა ამინდის ინუნში არჩამგდები მგზავრები. ცოტა-ცოტა მინდვრის სამუშაოებიც კეთდებოდა და სოფლის ნახირიც თავისი გზით უტევდა მთისაკენ, რადგან ახლომახლო საძოვრები კოლმეურნეობის ფერმის განკარგულებაში იყო და იქ კერძო პირუტყვი ვერ გაიკაჭანებდა. ეს კი იყო, ყველაფერი დალბა. დახესიანდა, ლამის კედლებმაც ობი მოიკიდა.

გეოლოგებმა შრომაც თავის დროზე იცოდნენ და დასვენებაც. ბუნიობა ძალაში იყო შესული, მეტადრე ახლა იგრძობოდა, როცა გამუდმებული ნისლის გამო დროის შეგრძნება გაქრა, მაგრამ მოკლე დღეებშიც უმკლავდებოდნენ საქმეს. საღამოს ძველისძველი, ქვითკირის სახლის პარმაღზე გროვდებოდნენ. ცხრაევს თავისი ადგილი ჭქონდა, ისხდნენ, საუბრობდნენ, ყვებოდნენ ამ მთისას, იმ მთისას. ხალისიან ხმაურსა და შეგადაშიგ ბილწსიტყვაობას უმატებდნენ საძოვრებიდან მობრუნებული ნახირის შლიგინა ხმებს ადევნებულ მწყემსი ქალების ქოთქოთს, გზადინავალნი ჩაურუებულ სათიბებს სიცოცხლის ნერვს რომ უღვიძებდნენ. ბარე ათიოდ ნახირი დაუდიოდა სოფელს. კაიხანს ოდეადორ-ს ძახილი და წყევლა-კრულვა თავქვე მიჰყვებოდა მუცელმოღორებულ პირუტყვს. ძღოესლა რომ ზიდავდა გამობესკნილ ფერდებს და მაინც გზისპირა სმინდნებისაკენ იწევდა. ანჩხლომდნენ ბურუსის საფარველში გახვეული მწყემსი ქალები. ვეღარავინ ხედავდა მათ მკლავზე ჭამოცმული სოკოთი თუ ნაგვიანევი, გამომშრალი მაყვლით სავსე კალათებს, აღარავინ ატანდა შურიან მზერას. მწყემსთა ნაწილს ძაღლივით გამომბმული წნელის კონები მისთვევდა, ზოგი ხელარიელი მიაბიჯებდა არხეინად. კაპასობდნენ, ქოქოლას აყრიდნენ ურჩ პირუტყვს, და კაცი ვერ გიიგებდა, მართლა ამ უწყინარ არსებებს უჯავრდებოდნენ თუ, თანაიანთი ხვედრით განაწყენებენო, ხან წუთოროს სამდურავს ანთხევდნენ შხამად და ბაღლამად. თუმც მალევე ჯანსაღი, გულიანი სიცილიც გაეფშვნებოდა გაბოლილ სივრცეს. შეემკრეოდა ნისლოვან, ჯიუტ მდუმარებას.

შეუძლებელი იყო გესმინა ადამიანის ლაღი ბუნების ეს ხუნდებაყრილი ზეიმი, რომ დროებით მაინც არ გერწმუნა ამაოების ამაოება. ისიც, ბედნიერება ძალზე ზუსტი მცნება რომაა და არა მბოლოდ უმნიშვნელო პირობითობა, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ ხოლმე. ყველაზე მთავარი კი, რასაც მათ ხმაურიან ყოფაში შეიცნობდი, უთუოდ მიანიშნებდა, რომ ეს ხალხი იყო იქ. სადაც უნდა ყოფილიყო, და აკეთებდა იმას, რაც უნდა ეკეთებინა.

ყველაფერი თითქოს უკვე წარსული იყო, მომავლის შეუცნობლობას ისევ უსიამო წარსული შხამავდა, მტრული, დაუნდობელი, მკვიდრად და მოურიდებლად ჩამდგარი მოგონებასა და ნამდვილ აწმყოს შორის. ქალი მოცილებული იყო იმ ავად გასახსენებელ, დაწყევლილ ყოფას, ყველას, ვისაც აქამდე ახლობლად თვლიდა, ვისგანაც გაწირვას არ მოელოდა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა მათ დავიწყებას. საშინელი წყენის გულიდან ამორეცხვას, და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ ისევ ნახევრად უცნობი ადამიანები კეთილად ეპყრობიან, მაინც ეჭვი ღრღნიდა, როგორც არ უნდა მახუგეშონ, როგორც გინდა მითანაგრძნონ, მაინც ულირსი ვარ, დამცირებული და თვისიანებისაგან მოკვეთილიო, არავითარ პატივისცემას წესით არ უნდა ვიმსახურებდე, მერე რა, რომ ბრალი არაფერში მიმიძღვის, ამათ ხომ ეს არ იციან. მეც ვერასდროს ავუხსნი, არც ითხოვენო. და ის, რომ არ ითხოვდნენ ახსნას, მართალი, მაგრამ ბედისაგან ნამუხთლევი ქალის თვალთახედვით უფრო გასაკვირად ჩანდა, ვიდრე დიდსულოვნებად. მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჰქონდა,

საშინელ დაღლილობას გრძნობდა, თან რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი იყო, არ უნდა ეფიქრა ასე დაჟინებით. რად თხოვდა ამ კეთილ ხალხს, ბჭობის საგნად ექციათ ის, რაშიც ეჭვი არ შეჭკონდათ, რაც მათთვის ისედაც ცხადი იყო.

დედა კი ყოველთვის ეცხადებოდა. შემკრთალი ხმით ეძახდა მძინარეს, ორჯერ, მხოლოდ ორჯერ მეორდებოდა დაძახილი — ნუგეში და ლოცვა: ზაზილო! როგორც იცოდა ხოლმე, მეორე ი-ს უცნაურად აგრძელებდა. ახლა დედის ძახილი კვნესას ჰგავდა, მხოლოდ შვილის გასაგონ კვნესას.

ხანგრძლივი უამინდობა როდის იყო ცხოვრების წესსა და ნირს ცვლიდა. მარილი რომ წყლად იქცა, ფქვილი დანოტიდდა და თონეში ჩასანთებ სველ, უსიამოდ აბოლებულ შეშას წკაპაწკუპი გაუდიოდა, განა ეს დიდ რამეს ნიშნავდა? ანდა წყაროსთან, მამაპაპურ ლოდზე ჩამოსკუპულ დედაკაცებს თვალებით საუბრის საშუალება რომ მოეპოთა, განა ჩურჩულსა და ქირქილს ვერ მოახერხებდნენ? არავისთვის აღარ იყო დამალული იმ წერილის ამბავი, ქვემეური კაცის ხელით რომ აფრინეს ზაზილოს ცოლშვილიან ძმასთან, მობრძანდით და თქვენი სისხლი და ხორცი წაიყვანეთო, შიგ შავით თეთრზე რომ იყო დაწერილი მამამთილის ხელით. რძლის დანაშაულზე კი ერთი სიტყვითაც არას იტყობინებოდა, ესოდა, დანაშაული ისე მძიმე და თავსლაფდამსხმელი გახლავთ, ქაღალდიც ვერ აიტანს და ადგილზე მისვლამდე თავისით დაიწვებაო.

შარა-შარა გაეკრა ტყუილ-მართალი, მერე მითქმა-მოთქმით რაკიღა გული იჯერა სოფელმა, სეირისა თუ რაღაც უჩვეულო სიახლის ავისმომასწავებელი დუმილიანი მოლოდინით გაილურსა. ეს მოლოდინიც ნისლივით ჩაადგა ჟიუმატ თქორში ამომხრჩვალ დღეებს. წერილზე არავითარი პასუხი არ იყო. მოვიდოდნენ, შეიძლება მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოვიდოდნენ, მოაკითხავდნენ, თავისიანს, განა მოიძულებდნენ. მერე რა მოხდებოდა? აი, რა აინტერესებდა ყველას. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მთავარი, აკი ნამდვილი სასწაული ამის შემდეგ მოხდა: ზაზილომ დატოვა ქმრის სახლი, ადგა ერთ მშვენიერ დღეს და წავიდა, ოღონდ შორს კი არა, იქვე, შიგ სოფელში დაბინავებულ გეოლოგებს შეეკედლა.

ვაიმე, სირცხვილო და თავის მოჭრა! სოფლისთვისაც რა სასახელო საქმეა ასე ქვეყანაში კაციშვილის გამოქვნება! — ისმოდა ყოველ ნაბიჯზე დედაბერთა შეცხადებები. ბერიკაცები ჩიბუხებს იკაკუნებდნენ მუხლისთავებზე, ოხრავდნენ და დაღლილ, მთლად გაცვეთილ მზერაში ეკარგებოდათ საფიქრალი. ყმაწვილაცები კი ქუდზე გაწვეული მეომრებივით იყენენ გაკრეფილნი. ვინ ქალაქში, ნაქირავებ ოთახებში თავშეფარებული, ასფალტის მტვრით იჯერებდა ფილტვებს, ვინ კიდევ რაჭაში გადასულიყო ფულის საშოვნელად. ყმაწვილი ქალებიღა იღიმოდნენ ეშმაკურად, აბა რა გეგონათო, თუ ფერებას დაგვაკლებთ, გვაცადეთ, ჩვენ ვიცით მერეო. ვიღას ახსოვდა მაღარო და სოფლის აყრის საშიშროება. დედაკაცი ქმრის ოჯახიდან წავიდა და ცხრა, ბუღსავით მამაკაცის ჭერქვეშ დაიდო ბინა, ცხრა მგლის გვერდით მოიკალათა ერთმა უგუნურმა ცხვარმა! ღმერთო, შენ დაგვიფარე ყოველგვარი ავისაგან!

პარმაღიანი, ადამჟამინდელი ქვითკირის სახლის ირგვლივ ტრიალებდა ნისლში ჩაძირული სოფლის გულისყური, როგორც დედამიწა თავისი ღერძის გარშემო.

ახლა პარმაღზე საღამოობით ბილწსიტყვაობა და უწესო როხროხი კი აღარ ისმოდა, არამედ ხმადაბალი, დინჯი საუბრები, მოზომილი ხუმრობა, მოკრძალებული გაძახილი და, რაც ყველაზე მეტად საოცარი და სოფელეთათვის

გულზე ეკალდასასობი იყო, გიტარის მინორული კვნესა. გიტარას ფურგონის მძღოლი უკრავდა, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ახალდაბრუნებული ჯაბუკი. ისმოდა მელოდიას აყოლილი სტვენაც და ზოგჯერ მოგუდული ღიღინიც.

ჭორი კი არ შეუთხზავთ, მართლა სახლობდა ზიზილო ცხრა მამაკაცს შორის, ცხრა მფარველის გვერდით და თავი ზღაპარში ეგონა.

სათიბებიდან გულშეღონებული რომ მოიყვანეს, მოაბრუნეს, თაფლიანი წყალი ასვეს და დაუყვავეს, თან ორიოდ სიტყვით, ისე რომ არ შეეწუხებინათ, მინიშნებით ათქმევინეს თავისი გასაჭირი, იმთავითვე მიხვდა, რა ხალხთან ჰქონდა საქმე. უცებ მოიშინაურეს, შეეფეროდნენ და პატარა ოთახი დაუთმეს, გასაღებიც მისცეს ოთახის, როცა მოგესურვება, ჩაიკეტე და შენს გემოზე იყავით. ოღონდ საქმელი მოგვიმზადე ხოლმეო, წყალსაც ჩვენ მოგიზიდავთ, შენ მხოლოდ სამზარეულოს საქმისაგან გაგვათავისუფლეო. ებოდიშებოდნენ, სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდნენ, მხსნელად და ანგელოზად მოგვევლინეო, მორიგეობას გადაგვარჩინეო, ქვაბების რიხინს და თეფშების რეცხვასო. ისიც სიამოვნებით დატრიალებდა, ამზადებდა კერძებს ცხრა უეცრად შეძენილი მეგობრისათვის, რომლებიც ხშირად მისთვის გაუგებარ თემებზე საუბრობდნენ და არაფრით ჰგავდნენ მისი სოფლის კაცებს, არც ამინდს უკურთხებდნენ, არც მოსავალზე ბჭობდნენ, არც არყის გამოხდას აშურებდნენ ძველ მთვარეს, არც ინკასატორ ანეპოზე ჩიოდნენ, მრიცხველში შეუტანელი ჩასართავის გამო ჯარიმა გადაგვახდევინა, ქვეთარი არ გამოგვიწერა და ჩვენი ფული საკუთარ ჯიბეში ითუთქო; არც ნადირობის ამბებს ამბობდნენ და არც დედაკაცების სამდურავს.

ზიზილო თავის ოთახში რომ ჩაიკეტებოდა, მაშინღა ფიქრობდა, რომ ეს მშვიდი და უზრუნველი ყოფა დროებითი იყო, რომ ბუნებას რაღაც შეეშალა და ამიტომ მოხვდა სიზმარეულ სამყაროში. უკვე ერთი კვირა აშორებდა თავის ნამდვილ ცხოვრებასთან, სიმივით ნეტარ ღიღინად გაბმული ერთი კვირა. და დრო მისთვის იქცა შიშად, რადგან მომავალი იყო ბუნდოვანი და უცხო.

არაფრის შეცვლას არ ცდილობდა, თავისით ხომ არ მოსულა, ბედმა თუ უბედობამ მისდა დაუკითხავად წარმართა ყველაფერი და ისიც დამორჩილდა. ოღონდ წუხილიანი კითხვა შეუძრავდა გულს ყამდან ყამზე, ნუთუ არ მეძებს ჩემი ქმარი, ნუთუ მართლა მთლად გამომეტაო? ისევ ძველებურად მოიწყენდა, მოეშვებოდა, როგორც ადრე, სულ პირველად, რაკიღა მიხვდა, ქმრის ოჯახი შეთქმულებას მიწყობსო. აივანზე, ფარდაგწაფარებულ ტახტზე დაჯდა მაშინ, მოკრიალებულ ცას გაუშტერა თვალი. გულგვამიდან ავად ამოებჯინა ნაღველი, მთელს სხეულში ნერვული ჟრჟოლის მომგვრელი კესანეები გაახსენდა, ბოსტნის ღობის იქით ბალაბაზულაზში ამოცქრიალებული. გულხელი დაიკრიბა ცას მიშტერებულმა და თავისი გაჩენის დღე კი არ დასწყევლა, ღმერთს და თავის გამჩენს შესთხოვა, მინდვრის ყვავილად მაქციე, თუ მართლა რამ ძალა გაგაჩინა, შემისრულე ეს სურვილი, რომ ჩემმა ქმარმა მეძებოს, მერე მიპოვოს, მაგრამ ვერკი მიცნოსო. იჯდა უძრავად, თითქოს უძრაობაში ეპოვა საშველი. აღარც მამამთილის მომბეზრებელ ბუზღუნზე იხეთქავდა გულს, აღარც უფროსი მაზლის ცოლის მრავალმნიშვნელოვან ნართაულებს დაგიდევდათ, აღარც ინდაურების ჩასახეთქი ჭინჭრის კრეფით იშუშხავდა ხელებს, აღარც წყაროდან თრაქავდა ფუთიან კოკებს. იჯდა, მიშტერებოდა მოკრიალებულ ცას და კი აღარ ფიქრობდა, უსაშველო, არყოფნის მსგავს მოსვენებას მისცემოდა. დაახლოებით ასე ემართებოდა ხოლმე საღამო ხანის მოტანებისას, საქმეს რომ მოილევდა, კაბას გამოიცვლიდა, სველი სავარცლით გა-

დაისწორებდა თმას და ვეება კაკლის ძირას მდგარს, ავტობუსის მოლოდინში თვალი გზისკენ ეჭირა. ქმარი ქალაქად მუშაობდა ფაბრიკის მუშად.

— ძალიან გიყვარს? — ჰკითხა ერთხელ მეზობლის ქალმა, — რა შეხვედრებს უწყობ!

— ქმარია, აბა არ მეყვარება? — თვალები დახარა და დამნაშავესავით გაიღიმა.

ვერასდროს გაეგო, რად სურდათ, რომ ლამის ხელით შეხებოდნენ მისეულს, გულში განგებისად გადანახულს, რაზეც იგი არასდროს ლაპარაკობდა. განა ჰქონდათ მის სულში ფათურის უფლება? მაგრამ რატომღაც მაინც ახერხებდნენ. წყაროსთან განაპირებით მჯდომს მდუმარებასაც კი არ პატობდნენ, რადგან ქიშპიანი შურითა თუ მათთვის დაფარულისა და ამოუხსნელის შეცნობის სურვილით შეპყრობილი ვერაფრით გაეგოთ, თუ ხეე-ხეე ჩაკიდებულ შქერიანში აცეტებული პეპლების ცქერისას სხვაგვარი სხივი რად ჩაუდგებოდა თვალებში; ანდა ქარიანში რად დარდობდა, შფოთავენო ხეები. განა შეიძლებოდა ამის გაგება? ქარი ხომ ქარია და ხეების შფოთვაზე ვინ ლაპარაკობს; ან შინდის საკრეფად წასული, მის მეტი ვინ იჯდა ხოლმე ლამის მიწამდე დადრეკილ ყვერებს შეყუჟული და ტყის სურნელებას ეწაფებოდა; მის გარდა, სხვას, ვინ გიჟს მოუვიდოდა აზრად, ცალუღელა ხარის თვალში ჩამდგარი სისველე ნამდვილი, ადამიანებისთვის ესოდენ ნაცნობი და ახლობელი ცრემლი თუ იყო, მარტოობის ნამდვილი გლოვა.

ირგვლივ მყოფთ ყველას ეუცხოებოდა მისი დაფარული თუ გამქღავნებული აზრები, ბევრი რამ მათთვის გაუგებარი და, ამდენად, მიუღებელი, ყველას და განსაკუთრებით მისივ ოჯახის წევრებს. ამიტომ მოსახდენიც მოხდა.

აქ სხვა სამყარო იყო, ქალაქელ კაცთა, მიწისქვეშა სიმდიდრის მაძიებელთა სამყარო, და აქაც გულს აწყალებდა ნისლი, რადგან ზიზილოს ქალური გულუბრყვილობა სძლევდა და ლამის დაეჯერებინა, უამინდობის ბრალია, ჩემმა ქმარმა აქამდე რომ ვერ მომნახაო.

საღამო სველი და სუსხიანი იყო, პარმაღზე გაჩერება აღარ შეიძლებოდა. დიდ ოთახში ბუხარი გააჩაღეს, რიგრიგობით უსხდნენ ცეცხლს, ველზე მთელი დღის დანესტიანებულ ტანსაცმელს აშრობდნენ, თან პაპაროსს აბოლებდნენ და თავ-თავიანთთვის ფიქრობდნენ, რომ ბიძინამ, სიტყვაძუნწმა, ლამის უეცოლშვილოდ დაგგებულმა გეოლოგმა, მთელი სიცოცხლე არშიყობასა და დროსტარებაში რომ ეტარებინა და ახლაც თუ სიტყვა მოიტანდა, ქალის კალთას გამოკიდებული კაცის რა ვთქვიო, მაინც იმას ამბობდა და თან იფურთხებოდა, ქალაქიდან ამოტანილი ხორაგი — რამდენმენაირი კონსერვის ქილები, მანგოს წვენი, მოსკოვური ძეხვი, ინდის ხურმა და უამრავი სიგარეტი (რაც მთელი დღის ნალოდინევი ამხანაგების მზერას ლამის უეცცხლოდ, ასევე გაუხსნელად აენთო) — ზედ შუა მაგიდაზე დაახვავა. სანამ სიგარეტების დანაწილება მომთავრდებოდა, ბიძინა იდგა გაუნძრევლად, თეთრ ქაღალდში ლამაზად, ბანდეროლივით შეფუთული რაღაც ჰქონდა იღლიაში გამოჩრილი და ვერ მოეხერხებინა, სად დაედო. ჯერ არავინ იცოდა, რომ მან ქალაქიდან მოტანილ ხორაგს ზიზილოსათვის საგანგებოდ ნაყიდი საჩუქრებიც მოაყოლა. განა რამ განსაკუთრებული, მაგრამ მამაკაცური, მკაცრი გემოვნებით შერჩეული: თმაში ჩასაბნევი შოკოლადისფერი სავარცხელი, იაფფასიანი სუნამო — „თეთრი აკაცია“, მუშამბის მოჩითული წინსაფარი და ახალთახალი ნუგა, აგრეთვე ფერად-ფერადბურთულიანი ქინძისთავები.

ქალი რომელიღაც გეოლოგის ტოლს-ტოურის სახელოზე ამწყდარ ღილს აკერებდა ისევ, ბიძინამ გახვეული კა-

ლალი ბრეგვაძე
ბოთხრობები

ლთაში რომ ჩაუდო ყველას თანდასწრებით, მერე კი ამხანაგების სახეებზე მოზეიმე ინტერესმაც ვერ აიძულა, თავისი ჩვეული მდუმარებისათვის ეღალატა, რაიმე, თუნდ ორიოდ სიტყვა ეთქვა. ხოლო ქალი როცა სათითაოდ შლიდა ათასსაინად შეფუთულ ნივთებს, კუთხეში სკივრზე მიმჯდარმა ბიძინამ თავი ჩაჰკიდა, და კაცი ვერ მიხვდებოდა, ქალისადმი ასეთი ყურადღების გამო დაიმორცხვა (რადგან, როცა ქალის ნელამოძრავი ხელები საჩუქარს საჩინოს გახდიდა, ყველა ერთმანეთს გადახედავდა, ესაოდა, ვერ უყურებ ამ მუნჯს, როგორ მოიფიქრა, ბარაქალა მაგის კაცობას, ყველას გვაჯობაო) თუ სხვა რამ საფიქრალი მოსძალებოდა. მერე და მერე კი მორიდებით შეაპარებდა მზერას ჯერ ქალს, შემდეგ ამხანაგებს, სახეზე ერთი და იგივე სურვილი რომ აღბეჭდვოდათ — ნეტავი მოეწონოს, გაუხარდეს და ამით ჩვენც გაგვახაროსო. ქალმა კი გულზე აიგროვა ყველაფერი, უხმოდ გავიდა თავის ოთახში და ასე უსიტყვოდ გამოხატა უზომო მადლიერება, სიხარულიანი მღელვარების ცრემლი რომ შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

უხერხული, მრავლისმეტყველი სიჩუმე ჩამოვარდა, ფურგონის მძღოლიც კი აღარ უსტვენდა, მუდამ მხიარული ჭაბუკი. აფუტდა თამბაკო, ფიქრით აივსო ნესტიანი ტოლსტოურებიდან ასული ორთქლითა და მამაკაცთა სუნთქვით ისედაც დამძიმებული ოთახი. იმ კარისაკენ ეჭირათ თვალი, საიდანაც ქალი გავიდა. თითქოს ბიძინაზე იყო სიტყვა, თითქოს მას ყველაზე მეტი ფულება ჰქონდა ახლა ფიქრიანი სიჩუმის დარღვევის, მაგრამ მოულოდნელად ხნიერმა გეოლოგმა თქვა: ყველა ყველა, მაგრამ აქ სამიდღემჩიოდ ხომ არ მოვსულვართ. ჩვენს მოვალეობად მიმაჩნია, ვიზრუნოთ ამ ქალზე.

უყურადღებოდ მოუსმინეს, არავის შეუტახადენია ნათქვამი. განა სხვებსაც იგივე არ აფიქრებდათ? მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდებას პირველი ვერავინ ბედავდა. ისევ ხნიერის გამბედაობამ იმარჯვა:

— თუ არაფერს ვიღონებთ, ბამოსავალი როგორ მოიძებნება. თქვენც ხედავთ, კარგი ადამიანია, პატრონი არა ჰყავს, ქომაგი, ამიტომ ჩვენი სინდისი გვავალებს, ვუპატრონოთ.

— თუკი რამ შეგვიძლია!... — ეჭვიანად თქვა ჯგუფის უფროსმა.

— მე ჩემი მოგახსენეთ, ძალა და შეძლება კი არც ერთ თქვენგანს არ აკლია, — ცეცხლი შეუნთო ხნიერმა რვა ვაჟკაცის პატივმოყვარეობას.

არ იყო სახუმარო საქმე და ცოტა ხნით ყველა ჩაფიქრდა. ქალს რომ ამწუთს მათი სახეები ეხილა, უთუოდ ყველას მხდალად მონათლავდა. არც გაიტყუნებოდათ, რადგან ადამიანი სამოქმედო გზის არჩევამდეა უმწეო. გაურკვევლობა და დაბნეულობა განუყრელია. დაძაბული მდუმარება ფურგონის მძღოლმა დაარღვია:

— გავიკითხავ ვინაა, დავხვდები და ერთი მამაკაპურად ვანთხევინებ სისხლს.

არავინ გამოხმაურებია მის ნათქვამს, საქმის მოგვარების ამგვარი ხერხი აშკარად არ უჯდებოდათ ჯაუაში. რა ვუყოთ, რომ ქალი აცრემლებული არ უნახავთ, მერე რა, რომ ხმამაღალ არ ჩიოდა იგი სადარდელს. თავშეკავება მამაკაცთა თვალში მეტ ღირსებას მატებდა მის სევდას, აქაური ნისლივით უსაშველოსა და მძიმეს. ეჭვი არ იყო, უყვარდა მას თავისი ქმარი, უყვარდა, იმსახურებდა თუ არა იგი სიყვარულს, ამაზე მსჯელობას აზრი არ ჰქონდა. ახლა წინდახედულად უნდა ემოქმედათ, მათ მოზომილ ტაქტზე იყო დამოკიდებული შედეგი.

— ქმარს უნდა შევხვდეთ, — თქვა ზერომ, როგორც ლაპარაკისას ჩვეოდა ხოლმე, წინა ორი ოქროს კბილი ოდნავ გამოანათა, — დაველაპარაკოთ კაცურად, ვნახოთ მერე, თუ ურჯულო არაა!..

— ურჯულო რომ გამოდგეს? — ჩვეულმა ენაკვიმატობამ წასძლია უშანგს.

ძელოტ თავზე ვეება ხელისგული გადაისვა და თვალებით ჩაიღიმა საქციელწამხდარმა. რადგან უადგილო ხუმრობის გამო, მანამ იგრძნო სინდისის ქენჯნა, სახამ შენიშვნას მიიღებდა:

— კარგი რა კაცო!

— უზიარებლად მოკლავ ადამიანს!

— აბა შენი ხარ, და!..

— გამახსენე მერე, ანეკდოტს გეტყვი მაგაზე!

ხოშკაკალასავით წამოვიდა აქეთ-იქიდან.

ცოტაც ითათბირეს და გადაწყდა, რომ ოდაზე უნდა დაჯდომოდათ, ქმარი მოეყვანათ და ქალისათვის შეეხვედრებინათ; გაეგოთ ყველაფერი, რასაც ქალი არ ლაპარაკობდა, შეკითხვას კი ვინ შეჰკადრებდა. ეგებ სიკეთე მოპყოლოდა მათ ცდას, შეერიგებინათ ცოლ-ქმარი, ოჯახი ეხსნათ დანგრევისაგან, მშვიდად დაეტოვებინათ მერე აქაურობა. ეს მომავალში ასაყრელი სოფელი და ზიზილოზე დარდი თითოეულის ცხოვრებას მყეფარ ძაღლივით არ ასდევნებოდა. დაყოვნება საქმეს ავნებდა, დროზე უნდა ეზრუნათ მოგვარებაზე. ოღონდ ჯერ ქალისაგან მოელოდნენ ნებართვის მსგავს პასუხს, მის დაუკითხავად ხომ ვერ იმოქმედებდნენ.

კარზე რომ მიუკაკუნეს, ქალმა არ გამოიხედა. გაოცდნენ, ნუთუ ასე ადრე დაიძინა? ევაზშმა მაინც. განმეორებით გაბედეს დაკაკუნება და ქალმაც მაშინვე გაალო კარი, გაუბედავად, ნელ-ნელა. ეტყობოდა, მოელი ამ ხნის განმავლობაში ზღურბლთან იდგა ასევე ატუზული. ნამტირალევი თვალები დასივებული ქუთუთოებიდან ძლივსღა მოუჩანდა, ატუზულ ბეღურას ჰგავდა. მისი სხეული უმწეო პოზად მამაკაცებს კიდევ მეტად გაუმძაფრა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის ენინ, ვერგამოთქმული, მხოლოდღა მზერაში ჩაქცეული, გულწრფელი ნუგეშის უტყუარი და უღალატო დასტური.

— ყველაფერზე თანახმა ვარ, — პირველმა ქალმა თქვა სათქმელი. — თქვენ ჩემზე მეტი გაგგებით.

თქმა აღარ უნდოდა, ხის ტიხარს ფიდუმლოდ არ შეეხახა მათი საუბარი. მოისმინა, ძალიან კარგი, თავიდან აღარ დასჭირდებოდათ ახსნა, დასამალი რა ჰქონდათ. მაგრამ რას მოასწავებდა ქალის ცრემლი? მისდამი ზრუნვით გამოწვეულ გულამაჩუყებელ სიხარულს თუ ძალაუნებურად უკვე უარყოფილ, დროებით მოკვეთილ მისეულ ცხოვრებასთან კვლავ მიბრუნების კეშმარიტ ყოყმანს? ჯერ არავის შეეძლო ამის გარკვევა.

იქნებ ჯოჯოხეთური თმენის შედეგი იყო ცრემლი, ვერახდენილ ფიქრებთან გამოთხოვების სინანული; უბადრუკი ფერფლი აუხდენელი იმედისა — „მოვა, შეიტყობს თუ არა ჩემი წამოსვლის ამბავს, ნაჯახს წამოვლებს მაშინვე ხელს, ეიეკვივი მოვარდება, ღრიალით აიკლებს აქაურობას, ქვეყანას შეყრის. თავს არ ვიცოცხლებ, თუ არ დაბრუნდებიო, მოგკლავ სულ ერთიაო, ჩემი ხელის წერა შეიქმნებიო. ვინ არიან ეს გადამთიელები, რა უფლებით დაგისაკუთრეს, ან შენ როგორ ჩერდები მაგათთანო. ცეცხლის წაკიდებით დაემუქრებოდა მათ სამყოფელს, პატრონსები თქვენ ძალებსაც ვეღარ გაზიდავენ აქეთ-დანო. სიბრაზისაგან ლამის დასკდომამდე დაბერავდა კისრის ძარღვებს. ცოფიანს დაემსგავსებოდა, ახლავე ვინ წამოდიო, ცოდვა არ დამატრიალებინო, თავი არ იმართლო, სიტყვის თქმა არ გაბედო, დაღუნე თავი და ძაღლივით გამომყევიო. მაშინ ისიც დაღუნავდა თავს, აედევნებოდა უახლოესს და ერთადერთს, ყველაფერს აპატიებდა.

ფიქრი ფიქრად რჩებოდა, აზრი არ ჰქონდა, არაფრის შეცვლა არ შეეძლო. კვლავ აქ იყო, ამ უცხო, დროებით ბინადადებულ ხალხთან, მისი ბედი რომ ებარათ:

— მე ყველაფერზე თანახმა ვარ, — გაიმეორა ამიტომ და ცხრა მამაკაცს უნებლიეად კვლავ შეახსენა, თუ რა დი-

---

ლალი ბრეგვაძე
ეროთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი პასუხისმგებლობა იკისრეს, რომ შეცდომის უფლება არ ჰქონდათ.

მეწყერივით კი არ მოვარდნილა გიჟადქცეული, კისრის ძარღვებდაბერილი, ნაჯახმოღერებული, მუქარითა და ლანძღვით იქაურობის ამკლები, არამედ მოიყვანეს მშვიდი, ენასკბილდაჭერილი, ოდნავ გაოცებული და უკმაყოფილოც, იძულებითა შეხვედრით დაბნეული. შინდისფერ შალის სვიტერში ჩაემალა კისერი, ნისლისთვის ზურგი მიეშვირა და დაგოჯიჯებულ ხელებს არიდებდა უცხოთა მზერას, შარვლის ჯიბეებში მალავდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს ბუზი არ აფრენოდეს, ვერ იტყოდი, ეს თავყრილობა მის საქმეს თუ ეხებოდა. მოკლედ, ნამდვილი ტეტია იჯდა გეოლოგთა სახლის პარმაზზე.

— იცოდი, რომ ზიზილო ჩვენთან იყო? — ჰკითხა ჯგუფის უფროსმა, რაკიღა მიხვდა, ამ კაცს ხვალ ამ დრამდე შეუძლია ასე გალეჩრებულმა იცადოს, ეგ სიტყვის დამწყები არააო. დაწყებას ვინღა ჩიოდა, პასუხიც არ აღირსა, ამიტომ გაღიზიანებას ვეღარ მალავდა, ტომის ბელადივით იდგა განზე ფეხებგაბჯენილი, ტოლსტოუოა ბოლომდე ჩაეხსნა და გულზე ხელებდაჭდობილი ჯიქურ იმზირებოდა.

— რა თქმა უნდა, იცოდი. იცოდი და მაინც არ მოაკითხე, ასე არაა?

ტეტიამ თავი დაიქნია. ჯგუფის უფროსმა მდუმარ, მაგრამ ჩახმახებივით ყალეზე შემდგარ ამხანაგებს ეჭვიანად გადახედა ნიშნად იმისა, არ გაგიკვირდეთ, ამ უგერგილმან პირში ჩალაგამოვლებულები რომ დაგვტოვოსო. რა დიდი გამკრიახობა უნდოდა, ღღესავით ნათელი იყო. ვისთანაც ჰქონდათ საქმე, რაც ერთგვარად აძნელებდა ნამდვილ კაცურ საუბარს. ჯგუფის უფროსი მაინც მაქსიმალურად ინარჩუნებდა წონასწორობას, თუმცა ერთი სული ჰქონდა, კინწისკვრით გაეძევებინა აქედან ეს მედო, ვისი სახის უაზრო, არაფრისმთქმელი გამომეტყველება ვერაფერი იმედი იყო, რომ საქმე ქალის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ზედმიწევნითი სიზუსტით უნდა გამოეზომა ყოველი სიტყვა, და პირველი და უპირველესი, რაზეც ახლა სჯირდებოდა ზრუნვა, იყო არა მარტო ქალი, არამედ თავისი ამხანაგების ლაგამამოდებული მოთმინების შენარჩუნება, ყოველი წუთი სასწორზე რომ აგდებდა. იგრძნო, შემოსარიგებლად მოწვეული ქმრის სიმშვიდე გაურკვეველი ნიღაბი იყო, ქალის ბედზე მოწუხართა შეურაცხყოფელი, არაფრადჩამგდები, და წინასწარ ვერავითარ გარანტიას იძლეოდა. ტეტიას უშფოთველი შემგუებლობა თავიდანვე წამგებიან პოზიციაში აყენებდა სერიოზული საუბრის მოსურნეთ. ისეთ ციხესიმაგრესთან ჰქონდათ საქმე, ეშმაკიც ვერ უპოვნიდა კარს. დუმილის წყვდიადში თავშერგულ ამ ფლეგმატურ არსებას ცოლის დაკარგვა, ეტყობოდა, დიდ დანაკლისად არ მიაჩნდა, მაგრამ ეს როდი იყო ახლა მთავარი. ჯგუფის უფროსს ყველაფერი ისე უნდა მოეწყო, რომ ტეტიას შემხედვარეთა სახეებზე გაჩენილი ბოღმიანი სინანული (მოალდებელი იმისა, ამას ვის გადავეყარეთ, რატომ გავუყადრეთ თავეო) აშკარა მძვინვარებად არ გადაქცეულიყო. განა დებოშს ერიდებოდა, ქალი ღირდა თუნდაც მთელ სოფელთან ერთ კარგ ჩხუბად, მაგრამ საქმეს რომ არ წაადგებოდა? შეშფოთებული მიუბრუნდა ჯერ ამხანაგებს: მადროვეთ, თუ მენდეთ, მადროვეთ კიდეც! მერე კი ტეტიას: აქ ძალით არავის მოუყვანიხარ, არც სახვეწარი გვაქვს რამე, ოროდ კითხვა გვინდა მოგცეთ, ოღონდ, იცოდე, სიმართლე უნდა გვიპასუხო, — თქვა ესა და თან გაიფიქრა, ამ ლაყემ მართლა გაიღიმა თუ მომეჩვენა, ეგება შინაგანი დაძაბულობის გამო შეეცვალა სახის გამომეტყველება, ასეთებს ხომ ვერ მიუხვდები, იღიმებიან თუ სიმწრით იღრიჯებიანო. სახლი ფარფალალა იყო და პარმაღზე ლაპარაკი კარგად ისმოდა შენობის ყოველ კუთხე-კუნჭულში, ქალს მოყურადებაც არ დასჭირდებოდა. ტეტიამ უცებ ცხვირი და-

აცემინა და წამიერად ისეთი სასაცილო შესახედი იყო, რომ ვიღაცამ ხეირიო, — მიაძახა ქილიკით. იმანაც მადლობის ნიშნად თავი დაიქნია, რაღაცის თქმასაც ლამობდა თითქოს, მაგრამ ჯგუფის უფროსმა მოულოდნელად, პირში ბურთის ჩაჩრასავით მიაგება:

— ცოლი გიყვარდა? — წარსული დრო საგანგებოდ აირჩია, რათა ქალის ცხოვრების ის მცირედი მონაკვეთი, რაც ერთმანეთს გაეცვნენ, არ შეურაცხეყო. უკვე თავისიანად თვლდა მას, ამიტომ აწმყოს ტაბუ ედო. ქალიც სხვა ქალად წარმოედგინა, ამ მუდოს ცოლად ვერავითარ შემთხვევაში.

— სიმართლე თქვი, არ მოგერიდოს!

ტეტიამ გაუბედავად დაიქნია თავი, ხოო.

— მასაც უყვარდი?

ახლა მარტო თავი კი არ დაიქნია, სიამაყით თავდაჯერებულმა გაიღრიჯა კიდეც, საბრალოდ, ზიზღის მომგვრელად.

— ერთმანეთი გიყვარდათ და მაინც ვერ თანხმდებოდით?

— რატომ, ვთანხმდებოდით, მშვენივრად ვთანხმდებოდით.

სათითოად მოატარა თვალი გეოლოგთა გაყინულ სახეებს, არაფერში დამადანაშაულოთ, კარგ ქმრობას ვუწევდი, მე და ჩემმა ღმერთმაო.

— მაშ უკმაყოფილება რაღაზე გქონდათ?

— იმაზე, რომ ყაირათი აკლდა, ძალიან აკლდა. მამაჩემიც მუდამ ამაზე ემდუროდა. თქვენც კაცები ხართ, დამეთანხმებით, რომ ოჯახის ყადრი ყველამ როდი იცის, — კიჭკიჭივით ამოიდგა ენა, გასაოცრად ცქვიტი, აქტიური გახდა; ვიწრო ჭრილებში ჩამჯდარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ყველს ერთდროულად ელაპარაკებოდა, დუმილით გასარკულ სახეებზე დაატარებდა კატასავით ფრთხილ მზერას, ამაოდ ეძებდა თანაგრძნობას, მხრის აბმის ნიშნწყალს. პარმაზე ნისლის ფრქვევასავით უაზრო, ძალაგამოცლილი მისი სიტყვები თუმც მიზანს ვერ აღწევდა, მაინც საფანტივით მიაყოლა, მაინც ცოდვილობდა, უცნაურად დამუტაგენილ დუმილი თავის სასარგებლოდ მიეთვალა. ქალის ავბედითობის ხორცშესხმულ ხატად მოევლინა იგი გეოლოგთა სამყოფელს და გაოცებით დაზაფრულებზე ახლა აშკარა იერიში მიჰქონდა. — უყაირათო ცოლი ზარალია სახლში და მეტი არაფერი. ქალმა საქმე თავისი ხუთი თითივით უნდა იცოდეს.

— მაინც რას უწუნებდი, უფრო კონკრეტულად და გასაგებად თქვი, — გაა-წყვეტინა ჯგუფის უფროსმა, — რაში დებდი ბრალს.

— ბატონი ხარ, გეტყვი. მაგრამ რასაც მოისმენ, მარტო ჩემი კი არა, მამაჩემის აზრიცაა. განა ტყუილა ჩივის, გემრიელი თონეულის ჭამას დავეღირსეო.

— რაო? — გაოცდა ჯგუფის უფროსი და ახლა უფრო დამამსგავსა ტომის ბელადს.

— ამოკვრისას წვავს პურებს, შეშა არ ეზოგება, თონეს ისე ავარვარებს, განელებას საღამომდე უნდა ელოდო, არც ზომა იცის, არც წონა, ზარალი კი აი, აქ არის, ამან უნდა ზღოს, — ქედი წაღრიკა და დანაოჭებულ, მზედაკრულ, ყვითელ კინკრიხოზე დაირტყა ხელი. — ჯანი გამიტეხა ამდენმა ჯაფამ. ეს კი იმის მაგიერ, რომ დანაშაული შეიგნოს და მამამთილს ბოდიში მოუხადოს, როგორც ქმრის ნამდვილ მონა-მორჩილ ცოლს შეეფერება, იცით რას ბრძანებს? ჩემი ნახელავი თუ არ მოგწონთ, თქვენც ადექით და ფურნეში გამომცხვარი მიირთვით, ღვთის მადლით. მაღაზიაში არისო. ამის პატიება შეიძლება? მითხარით, შეიძლება?

კრინტი არავის დაუძრავს, ოღონდ მდუმარეთა თვალთაგან დაკვესილ მზერას რაღაც სიბრალულის მსგავსიც შეერია და გაუმხელელმა სიხარულმაც შეეონა ტყვიასავით მძიმე, ბოლმგაგრეულ განწყობაში, იმედის სუსტ სხივად ჩამოდგა: არა, მონა არ ყოფილა ზიზ-

---

ლალი ბრეგვაძე
მოთხრობები

ლო, მთლად არ წასულა მისი საქმე! დაე, ისმინოს ამ ჩიტრეკიას ლაყბობა, ბოლომდე უსწოროს თვალი სიმართლეს და ისე მოითხოვოს პასუხი, როცა გამოიხმობენ, პირისპირ შეახვედრებენ ქმარს. ჯერ კი ყოველივე წვრილ-წვრილად ჩამოფქვას ამ ბედოვლათმა.

— თქვენ გგონიათ, რახან ცოლი თავისი ნებით გამეცალა, მიმატოვა, ხელი ამაღო, უთუოდ დამნაშავე მე უნდა ვყოფილიყავ? სულაც არა. ენა ვერ მოთვლის, რაც მისთვის მიპატიებია. ქორები რომ მოიჩვენა, მარტო ეს კმარა, მარტო ამითაც ჩანს, რა მეოჯახეა.

— როგორ თუ მოიჩვენა? — გოოცდა ჯგუფის უფროსი.

— გიკვირთ ხომ? ქალაქელებს ყველაფერი გიკვირთ, განა არ ვიცი, ახლავე აგიხსნით. სოფელში ქალს, ჰაუ-ჰაუს დაძახება რომ დაეზარება, იმაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. დღეში, სულ მცირე, ორმოცდაექვსამდე ხომ მაინც უნდა დაიძახოს. [illegible]? უნდა დაფრთხოს ის ვერანა.

მსმენელები აჩოჩქოლდნენ, ერთმანეთს გადახედეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დაირღვა საყოველთაო ჯიუტი დუმილი და ოქროსკბილება ზერომ იკითხა:

— ქორი თუ არ ჩანს, მაინც უნდა იყვიროს ქალმა?

— აბა როგორ, — არ დაიბნა ტეტია, — მაგას თქმა უნდა? ქორი რომ გამოჩნდება და შენს ეზოს ამოიღებს მიზანში, რაღა დროსია, ძახილზე ვითომ გული გაუსკდება თუ რა?

უეცრად გაქრა ქალზე ზრუნვა და ფიქრი, თავშეუკავებელ ხითხითად ამოსკდა ბოძმაგარეული ირონიაც და ტეტიას გულმართალი, მაგრამ კლოუნის მოულოდნელი ტრიუკივით ვირტუოზულად შემოთავაზებული უშუალობა.

ჯგუფის უფროსს ისევ ტომის ბელადივით ღირსეულად ეჭირა თავი, ღიმილიც არ მიკარებია მის სახეს, ოდნავადაც არ შენელებია თვითკონტროლი. ცალი ხელი მსწრაფულ ასწია მაღლა და მის ნიშანზე კვლავ დადუმდა პარმაღი.

— მოკლედ, გინდა თუ არა ცოლი! კბილებში გასცრა ჯგუფის უფროსმა. შენგან ძნელია, რაიმე გარკვევით გაიგოს კაცმა, თქვი, გინდა თუ არა!

ეს მხოლოდ კატეგორიული შეკითხვა კი არა, ბრძანებაც იყო. ძლიერი კაცი ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულობის გარეშე სწორ გზას სთავაზობდა და ტეტიიმაც მორჩილად დაიქნია თავი.

გამაღიზიანებელი, ყველაფრის გამაუფასურებელი თანხმობა იყო, ლმის სასტიკ უარივით შემძვრელი. გრძნობებზე ლაპარაკი სისულელედღა თუ ჩაითვლებოდა, უბადრუკ ინსტინქტებს შერჩენოდა ორთა შეწყვეტილი კავშირის სინანულიანი ხსოვნა, რამაც ჯგუფის უფროსი სამსჯავროს მოწყობის გუნებაზე დააყენა. ნუთუ ამის გვერდით ცხოვრობდა ქალი? წარმოუდგენლად ეჩვენა, რომ ამასთან ათევდა იგი თავისი ქალობით სავსე ღამეებს და მოუნდა, გამოეშზეურებინა ამ უღირსისაგან წიხლდადგმული მისი ქალობა, დაესაჯა, მაგრამ დაესაჯა არა მარტო ის, არამედ ყოველი აქ მყოფი და ასე, ერთობლივი ტკივილით ეცადა ქალის შეცდომათა გამოსყიდვა. შეახვედრებს ახლა ცოლ-ქმარს და სამსჯავროც მთელი თავისი ულმობლობით იზეიმებს.

თვალით ანიშნა კიდეში მდგომ ფურგონის მძღოლს, რომელიც სწრაფად მიბრუნდა, პარმაღიდან დიდ ოთახში გამავალი ჭრიალა კარი შეაღო და გაუჩინარდა.

მიხედა, უმალვე მიხვდა ტეტია, ქალთან შეგზავნეს იგი. მოლოდინმა გაუბრწყინა სახე, მხრები ჩამოყარა და დახურულ კარს მიაშტერდა.

პარმაღს დუმილი შეესია კვლავ და ააფორიაქა ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, ერთიმეორისაგან ცა და დედამიწასავით დაშორებული, მაინც ერთ ჯადოსნურ რაალში მოქცეული, ერთი მუხტით დასენილი:

„ბოგეცა ლხენა, შეხედავს თუ არა, დაუფიქრებლად ჩამოეკიდება კისერზე, ერთბაშად გაგვაბითურებს. ქალია, არც მოეთხოვება მეტი“.

„კაცს მაინც ჰგავდეს, ნაძლევს ჩამოვალ, ნათხოვარი ჯაგრისით კბილების გახეხვაზე უარს არ იტყვის“.

„ამ ნისლმაც წაიღო ტვინი, რაღა მაინცდამაინც ჩვენს ჩამოსვლას დაემთხვა“.

„დამინახავს თუ არა, ტირილს დაიწყვბს, შემაბრალებს თავს, კარგად ვიცნობ, ცოლია ჩემი და მა რა იქნება“.

„ისტორიული სახლია, უძველესი ქვითაა ნაგები. ამ ქვების თვალწინ ისევ აღსდგება დანგრეული ოჯახი“.

„კარგი ქალია, მაგრამ მაინც ტეტიაა, სიმართლეს სად გაექცევი, აბა სხვაგვარად ამასთან როგორ შეუძლია დაბრუნდეს“.

„აწი დაბინდდება, წყალი კი მოსაზიდია“.

„ყველაფერი მოისმინა, რაც აქ ითქვა, ნეტავი ღელვამ ღირსების გრძნობა მაინც არ დააკარგვინოს“.

„ეგონა ვერ გავძლებდი უმისოდ, სად გაიქცეოდა, განა არ ვიცოდი, სანანებლად გაუხდებოდა სულელური წინდაუხედაობა. იქნებ ქალაქელების შემხედვარეს ძველებურად აღარც მოვეწონო“.

„ნეტავი როგორ ესმის ჩვენი სიჩუმე ამ ბედოვლათს?!“

„ქალებს რა იოლად შეუძლიათ პატიება, ამ მხრივ ისინი ღმერთებს ჰგვანან“.

„ნუთუ მართლა ქარხანაში მუშაობს ეს კაფანდარა ლეში, ნუთუ მართლა რაიმე გამოსდის ხელიდან“.

„ნეტავი ჩემი მირთმეული სავარცხელი ებნევა თმაში?“

„ფუჰ, აუტანელია უღირსი გამარჯვებულის ცქერა“.

„ქაცმა არ იცის, სიკეთეს ვუშვრებით თუ ბოროტებას ჩავდივართ, ასეთ ქმართან რომ ვცდილობთ შევარიგოთ“.

ფიქრიან დუმილში ტეტიას ისევ დაეცემინა ცხვირი. მაგრამ აღარავინ გამოხმაურებია, აგდებითაც აღარავის უთქვამს, ხეირიო, და ეს სიჩუმე წყევლასავით იყო, უღვთო წყევლასავით.

ყოველი წამის სვლა იგრძნობოდა უმეცირესი დროც კი გულის შემგრეულად ხმაურობდა. გამოვიდოდა ახლა ქალი, მერე, იმისდა მიუხედავად, რასაც იტყოდნენ ან არ იტყოდნენ, დაიმშვიდებებოდა ახალშეძენილ მეგობრებს, მიატოვებდა ჰარმაღიან ქვითკირის სახლს, დაღუნავდა თავს და ქმრის კვალში ჩამდგარი ისევ დროებით უარყოფილ თავის ძველებურ ცხოვრებას მიაშურებდა. ასე იქნებოდა, რა თქმა უნდა. ოღონდ მალე, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს საშინელი სცენა, აღარ ეეკერპთ ტეტიას გულის გამაწვრილებელი პოზისათვის, მისი გამაღიზიანებელი თვითდაჯერებულობისათვის, სულ რომ რაღაცას იმადლებოდა ქალის გულშემატკივართა წინაშე, მას ხომ უკვე განაღდებული ჰქონდა გამარჯვება.

კარის ჭრიალმა ერთ ადგილას გაყინა ფიქრი, გაიწბილა ყოველგვარი წინასწარი ვარაუდი, რადგან პარმაღზე ფურგონის მძღოლი მარტო დაბრუნდა, დაბნეული დადგა, სწრაფად მოავლო თვალი ამხანაგებს და რადგან ტეტიამ აღარ დაიცადა და იკითხა: — თვითონ სადაა? არ მოდის? — მანაც მაშინვე გაიქნია თავი.

— რაო? მაინცდამაინც კალთები დამახიოსო?

ფურგონის მძღოლმა ისევ გაიქნია თავი და ეცადა ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა:

— მინდვრის ყვავილად გადავიქეცეო, ნუღარ მეძებს, რადგან, რომც მომაგნოს, მაინც ვეღარ ამომიცნობსო.

დაასრულა თუ არა, იგრძნო, როგორ შვებით ამოისუნთქა პარმაღმა, და ამ უზომო შვებამ წალეკა მესაკუთრული სიამაყე ყოფილი ქმრისა, რომელმაც აღარ იცოდა, ხუმრობად მიეღო დანაბარები თუ ჭეშმარიტებად.

ლალი ბრეგვაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐᲗ კარზე დააკაკუნეს, პირდაპირ მათ კარზე. ასე იშვიათად ხდებოდა, რადგან დედაბერი, ვისთანაც საერთო დერეფანი ჰქონდათ, როგორც წესი, სადარბაზოს შემოსასვლელს კეტავდა ხოლმე და მერე, ყოველ ზარზე დაფლატუნებდა წინ და უკან. თავისი და სხვისი სტუმარი მისთვის განურჩეველი იყო, ყველასთვის მას უნდა გაეღო კარი, ყველას ის უნდა მიჰგებებოდა, რითაც თავისებურ იერარქიას იქმნიდა ზიარი ქონების საუფლოში. ახლა დედაბერი უგუნებოდ გახლდათ, თორემ მომსვლელი უმისოდ ვერ გამოაღწევდა დერეფანს, ოთახის კარამდე ვერ მოვიდოდა. სამმე ის იყო, რომ დედაბერს მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს — კატები დაკარგა, ორთავე ერთად დაკარგა, ჩვეულებრისამებრ გაუშვა გარეთ, ჰაერზე და მერე მათ კვალს ვეღარ მიაგნო. მომპარეს, უთუოდ მომპარეს, თორემ თავისთან როგორ მიმატოვებდნენ, ლამის თვალისჩინს მერჩივნენო... ჰოდა, დადარდიანებულს, ორი დღეა ცხვირი აღარ გამოუყვია დერეფანში.

განმეორებით მოისმა კაკუნი, უფრო ენერგიულად, უფრო მონდომებით, მერედა, რარიგ უადგილო კაკუნი.

ნეტა ვინ მოვიდა დალოცვილი!...

ასეთი ფიქრით ქალი ზოგჯერ მთელი ცისქვეშეთისადმი უპატივცემულობას გამოხატავდა.

ძლივს შერიგდნენ წუხანდელი ჩხუბის შემდეგ, იმ საშინლად კოშმარული ღამის შემდეგ ძლივს დაარწმუნეს ერთმანეთი, რომ კვლავ სიყვარული, კვლავაც ცოლქმრული ერთგულებით განმტკიცებული კავშირი სუფევდა მათ შორის და ვერაფერს შეეძლო მისი დარღვევა; რომ გაუგებრობისაგან არავინაა დაზღვეული და გინდ სანთლით ეძიო, მაინც ვერ ნახავ წვრილმან უსიამოვნებათაგან თავდახსნილ ოჯახს; წვრილმანებზე კი ამაღლება გვმართებს, შემთხვევითობამ არ უნდა დაგვაბნიოს, მაშინ, როცა უერთმანეთოდ ყოფნა არც ერთს არ წარმოგვიდგენიაო, და ენა ვერ მოთვლის, რა თქვეს კიდევ სანუგეშო და ხელმოსაკიდი. ბოლოს კი იმ დასაკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაფერი ამ წყეული სმის ბრალია, რაც აღარ უნდა განმეორდეს, რადგან ბავშვები ჰყავთ გასაზრდელი, საპატრონებელი, და კაცს, როგორც ოჯახის უფროსსა და იმედს, სხვაგვარად გარჯა მართებს, გარდა ამისა, საქმე აქვს საკეთებელი, რისთვისაც სერიოზული შრომაა საჭირო. მარტო დასახვა როდი კმარა ურთულესი, ჯერაც გადაუწყვეტელი ფერწერული ამოცანებისა — მკვდარი ფერებისაგან მიიღოს მყღერი გამა, მთავარი მისი განხორციელებაა, დაწყებულის ბოლომდე მიყვანა. ქალიც ხომ არ აკლებს ცდას, ყოველნაირად უწყობს ხელს, ყველაფერზე თანხმდება, უზომოდ თანაუგრძნობს. ამიტომაა, რომ ლამის სული გასძვრეს ჰოზორებაზე ამდენი შიშველად ჯდომით. მაინც რა ნებისყოფა, რა ძალღური ამტანობა აქვს, ნეტა სხვა ვინ შეძლებდა ამდენს, ხომ იცის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთვრალი ქმარი ნაკუწებად აქცევს ტილოს, თვეობით ნაცოდვილარს წამში მოუღებს ბოლოს, ერთხელ მომხდარა მსგავსი, თუ ორჯერ. ის კი მაინც ზის მონური მოთმინებით. ზის და ზის... მთელი ამ ხნის განმავლობაში სიშიშვლის გრძნობაც დაკარგა და დედიშობილა ისე მიეჩვია ქსოვას, ვითომ რბილ სავარძელში პლედმოსხმული მოხერხებულად მოწყობილიყოს და ფიქრს მიცემული ნებივრობდეს. ოღონდ ეს მხრები... რა ემართება, მაინც რა საშინლად სტკივდება მხრები ერთ მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნისთან. მკლავებიც მოწყვეტაზე აქვს, თვალებიც ეღლება და უთუოდ გამომეტყველებაც ეცვლება, მაგრამ ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უბრძანებენ, დაისვენეო, კრინტის დამძვრელი არაა. და ვი რომ ასეთ ფალად შექმნილ ტილოებს განადგურება უწერია.

წუხანდელი ღამის გადამკიდე, სამსახურში ვერ წვიდა ქალი, ნეტავი თუ გადაუბრუნეს ტაბელი? საყვედურს ვინ ჩივის, ოღონდ სამსახურიდან არ მოხსნიდნენ!.. რაც არის, არის, რაღას უშველის, განა შეუძლია ასე ყველაფერზე დაუსრულებელი ფიქრი? დაიღალა, ძალა გამოელია, საცოდავი ბავშვები... როგორ ადგნენ, მაინც დროზე წავიდნენ სკოლაში, ვითომ მთელი ღამე ნეტარ ძილში გაეტარებინოთ... გადაუბრუნებდნენ ტაბელს, აბა, რას იზამდნენ, ხომ იციან, შვილების პატრონი რომაა.

გიჟური, რა უზომოდ გიჟური ღამე ჰქონდათ. ამ დილით ძლივს ჩამყუდროვდნენ წუხილიან ალერსში, ერთგულების მამტკიცებელ ტკბილ, ახლადგაღვივებული სიყვარულისდარი სიტყვების ცათამბჯენ კოშკში შეიყვანეს. ეს ლამის ნირვანას უდრიდა, ლამის, ეს იყო საკუთარი სხეულიდან გასვლა. და აი, ასე ერთარსებადქცეულთ, ქვეყნიერებისაგან გამიჯნულთა და ბედნიერებადაბრუნებულთ ვიღაც კარზე უკაკუნებდა.

ვის მოუვდა აზრად ამ დროს მოსვლა, ვინ მოევლინათ ასე უდროოდ.

ყოველივე ამას ცოლი ფიქრობდა, ქმრის სიყვარულში კვლავ დარწმუნებული ცოლი, ვისი კუთვნილებაც იყო ამ ნათლის სიმშვიდე, ამ ჭერქვეშეთში მობრუნებული სიხარული, კვლავ აღდგენილი კავშირის ჰარმონია, და ბავშვების სკოლიდან მოსვლამდე ვის გაენზრახა მისი დარღვევა. ასე ფიქრობდა, თან ნაჩქარევად იკრავდა ხალათის ღილებს და კარისკენ მიდიოდა.

ქმრისთვის კი სულ ერთი იყო მოვიდოდა ვინმე თუ არა. ასეთ უმნიშვნელო ფაქტებს სათვალავში აღარ აგდებდა, რადგან ყველაფერზე მნიშვნელოვანი, თავისთავად არსებული, გამოუსწორებელი, სამუდამოდ მოუთოკავი, მოუნელებელი ტკივილად [illegible] მის სულსა და ხორცში. განა არ იცოდა, რა უკურნებელი სენიც შეჰყოლია. მთელი უბედურება ის იყო, რომ ვერას შველოდა იმ უკმარობას, დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, პალიტრიდან ფუნჯის ტილოზე დადებამდე რომ უცამტვერებდა წარმოდგენაში უკვე ხორცშესხმულს. ეს მკვდარი ფერები... რა ბედისწერასავით აეკვიატა სურვილი მთგან მაღერი გამის შექმნისა... მორევში მოხვედრილივით ერთ ალაგას ტრიალებდა და იქნებ ვერასდროს დაეღწია თავი ამ ნებაყოფლობითი სატანჯველისაგან. ოსტატობა არ ჰყოფნიდა თუ ნებისყოფა? ეგებ ნამეტანს ივალებდა, ზედმეტ ტვირთს ეჭიდებოდა და წელში გამდრეკ სიმძიმის ქვეშ აკვნესებდა სულს, ანდა ხელმოცარული კაცის გაბოროტებით, ახლის და ახლის ითებაში ივსებდა თვალს. ყველაფერს კი ბოლოს და ბოლოს აგვირგვინებდა წუხანდელის მსგავსი ღამეები, რომლის შემდეგაც სირცხვილით იწვოდა და საკუთარი თავი სძაგდა. სხვები ამას სიმთვრალის პათოლოგიას ეძახდნენ, ავადმყოფობად უთვლიდნენ, წმინდა მედიცინის თვალსაზრისით ხსნიდნენ; თვით კი გულში ხარშავდა ნამოქმედარის გამო ზიზღსა თუ ურვას, და გარეგნულად დამშაშავის დარცხვენილი იერის მიღმა მაინც მალავდა სხივშეპარულ, მანუგეშებელ ფიქრს, რომ ეს ახალი სიცოცხლის საწინდარია, სულს გვემა უთუოდ ჰმატებს რაღაცას; ისევ თავიდან დაიწყებს ყველაფერს და მიაღწევს ნაოცნებარს.

კარის გასაღებად გალერეაში (სამზარეულოს მაგივრობასაც რომ უწევდა ოჯახს) გასულ ცოლს ხმამაღლა მიაძახა:

— თუ მოსწავლეებია, უთხარი, რომ შინ არა ვარ!

იგი სამხატვრო სკოლაში ასწავლიდა

ლალი ბრეგვაძე
მოთხრობები

ფერწერას და რადგან მოსწავლეებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ზოგჯერ შინაც აკითხავდნენ.

მაგრამ კართან შერგილი აღმოჩნდა, კუბრივით შავი, ოდნავ ჩატალღული წვერი გვარიანად მოეშვა, ერთი შეხედვით ტყის კაცს წაგავდა. სამაგიეროდ თვალები გახდომოდა ალაცრად მეტყველი და მისი სახის ეს კონტრასტული ნიშანსახტი როგორდაც საგულისხმო, მამშვენებელ ფაქტორად აღიქმებოდა.

რა სალამი, რის სალამი, — ახლში ხართო? ეშვიანი ინტერესით იკითხა. მერე პალტოს გაუხდელად გაიარა გალერეა და ოთახში შეაბოტა. არც მხატვარს მისალმებია, თითქოს სამტროდ მოსულიყოს, ერთი კი მიანათა ვარსკვლავებივით ღვიარა თვალები. — წეეხარ. ბიჭო? უთხრა ტკბილი, უვნებელი ირონიით, სავარძელზე დაეშვა და თავი ჩაჰკიდა. არა, არ იყო ნასვამი, ალაცარია, მაგრამ ნამდვილად წვეთიც არ ჰქონდა დალეული.

— ავად ხომ არა ხარ? — ისევ იკითხა.

არაო.... თავი გაუქნია მხატვარმა და მანაც თბილი ირონიით შეჰღიმა.

შერგილმა თვალი არ უსწორა რატომღაც, თავი მიაბრუნა და ოთახი მოათვალიერა, ერთ კუთხეში ისევ აულაგებელი იყო წუხანდელი აყალმაყალის ნაშთები — ფეხმომტკივეული სკამი, იაფფასიანი კერამიკული ლანგრის ნამსხვრევები, პოინერული ყელსახვევის სამკუთხა კუდი, დაჭრილი ტილოები ჩარჩოებითურთ, ერთი სიტყვით, დაგლეჯილი ნერვებისაგან შეკოწწეპული ჰაწია გორა. ზედ თხემზე დედის ბოლომოღებული პორტრეტი რომ ეგდო.

მხატვრის სულის ტკივილზე დადიოდა შერგილია ძმიმე მზერა. ცოლი კი ზედ კართან იდგა და უტყვი მოწმესავით ესწრებოდა მამაკაცთა უხმო დიალოგს.

„ნეტავი გავიდეს... — ფიქრობდა მხატვარი. — მოისაზრებდეს, რომ ეს მისი ადგილი არაა და გავიდეს.“

მაგრამ ცოლი ისევ ჯიუტად იდგა. მხატვარს გაეხსენდა, რომ წუხელ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა მას, უკუღმა მოვნეული ხელი გაეწია ახლში. დილით, მართალია, არწმუნებდა, არაფერი მახსოვს, უთუოდ ჭკუიდან ვიყავიო გადამცარი, მაგრამ ნამდვილად არ ღალატობდა მეხსიერება. უყურებდა ახლა ქანდაკებასავით დაყუდებულ მის სხეულს, პროპორციებდარღვეულს, რომლის ფერში გადატანა სრულყოფილად ვერა და ვერ შეძლო, ყოველი ცდა თითქმის მარცხით უმთავრდებოდა. ეს სხეული მისი ტანჯვის ობიექტი იყო. მაინ წარუმატებლობის წყაროცა და შედგიც. საშინლად ნაცხობი და მობეზრებული. ამიტომაც ცოტაღა აკლდა, ეღრიალა:

„დაგვტოვე! ერთი წუთით მაცხოვრე ჩემს ნებაზე! ბომათქმევინე სული!..“

დედის პორტრეტს ზედ ცხვირზე ჰქონდა დასმული დანა, და ამ ნაყარნუყარზე მიფენილი სახე ცალი თვალით იმზირებოდა. ცისფერგარეული ტყვიაია და შოკოლადის ფერი სჯარბობდა საღებავდატეხილ, ნაწამებ ტილოზე, სასოწარკვეთის ფერი.

ცოლი კი იდგა, პროპორციებდარღვეულ ტანზე შემოტმასნილი ხალათკაბით.

— მდა...

მეტი არაფერი. მხოლოდ ეს ერთადერთი „მდა...“ შერგილის უბრალო შეკითხვაც კი არა. არავითარი სხვა სიტყვა, ყველაფერი ცხადი იყო.

იმას კი რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ კაცები მდუმარების პოზიციას ადგნენ, სიტყვას არ გაბარაკავდნენ მესამე პირია თანდასწრებით, ვინც გინდა ყოფილიყო იგი. მიხვდა, ქმარი შეგნებულად არ იწყებდა ლაპარაკს, შერგილი კი სულაც არ იყო საუბრის გუნებაზე. იჯდა თავისთვის, სრულიად ფხიზელი, ინერტული, როგორღაც ჩამშვიდებულიც კი. არ ბობოქრობდა ჩვეულებისამებრ, არ ქილიკობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც იგიხებოდა. იქნებ იგი ამქვეყნად სწორედ ის ერთადერთი კაცი იყო, ვისაც, დაუჯერებელია, მაგრამ, გინება უხდებოდა. არც ანეკდოტს ჰყვებოდა ახლა შერგილი, არც ქალაქის ახალ ამბებს, არც მიმდინარე პოლიტიკას აშუქებდა და არც მხატვარს ეკითხებოდა, რას აკეთებ, როგორ მიდისო სამქმე, და — ერთი შემოაბრუნე ეგ თავდამხობილიო, არ თხოულობდა კედელს მიყუდებულ ტილოზე.

მხატვარმა შიგ თვალებში შეხედა ცოლს, ისიც მაშინვე მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

მერე ტანთ იცვამდა მხატვარი და თან ფიქრობდა, ნეტა შერგილმა შემთავაზოს გაყოლა, სიამოვნებით წავალ, ცოტა ხანს გავეცლები ამ ჯურღმულსო.

ვეება ოთახი ჰქონდათ, მთელი ნორმალური საცხოვრებლის ფართისა, სადაც მისი პატარა ვაჟი ხოკეის თამაშსაც თავისუფლად ახერხებდა, მაგრამ რახან სიმყუდროვე აკლდა, მხატვარი ყოველთვის ჯურღმულად იხსენიებდა ამ ფარდალალას. განა სახელოსნო არ ჰქონდა, მაინც აქ მუშაობა ერჩია, მეტი სინათლეკო, მზის ნათელზე ფერი უფრო ბუნებრივად აღიქმებო. ამის გამო იყო, რომ ზეთის საღებავთა სუნში ეძინათ დიდიან-პატარიანად, საღებავთა სუნი დაჰკრავდა ბავშვების ტანისამოსსაც და ვერც წარმოედგინათ ამ სუნის გარეშე ცხოვრება.

შერგილს არ შეუთავაზებია სადმე წასვლა. სათხოვარი მაქვს და ნუ დამზარდებიო, მხოლოდ ესა თქვა, უბეში შეიცურა ხელის მტევანი, ყოჩივარდას სამი კონა ამიღიო, უხერხულად დაიჭირა, რადგან არ იცოდა, სად წაეღო, რა მოეხერხებინა ყვავილებისთვის.

მხატვარი გაშტერდა, თვალი დაადგა გრძელი თითების რკალში მოქცეულ კონებს, უკვირდა, შერგილის ხელში რა ყოჩივარდის ადგილიაო.

—სასამართლო გვქონდა, გავიყარეთ, — ამოშაქრა შერგილმა, — საღამოთი ეს ყვავილები უნდა მიუტანო, უთხარი, რომ გაზაფხულს ვულოცავ.

— გაიყარეთ?

— ჰო, ასეა...

ადგა, მაგიდაზე დაიწყო ყვავილები, ჭადრაკის მიყრილ ფიგურებსა და უცხოური სამზარეულოს სარეკლამო ჟურნალის გვერდით და — ახლა კი წავედით... ღრმა სუნთქვას ამოაყოლა სათქმელი.

არ შეუთავაზებია, რა გეჩქარება, მოიცა, ვისაუბროთო, რადგან ერთიმეორის, ასე თუ ისე, ესმოდათ და ზედმეტი სიტყვების რახარუხი სისულელე იყო, ვერც ვერაფერს შეცვლიდნენ, ვერც ახალს იტყოდნენ რასმე, ბა რას ემსგავსებოდა:

— წუხელაც აურიე?

— მაშ!..

— ნეტა როდის უნდა ისწავლოს ადამიანმა ჭკუა?!..

— ეეჰ!..

ანდა შეიცვლებოდა როლი:

— დაამთავრე სცენარი?

— ერთი სცენარის...

— სტუდიაში როგორ გრძნობ თავს?

— როგორც შეიძლება იგრძნო კატაკომბებში.

— რა ვიცი, აშენდა ხალხი...

— ერთი მაგ ხალხისაც...

ეს იქნებოდა, ან რაიმე ამისი მსგავსი, ჰოდა, განა ღირდა ძალის დატანება, ცოტა შეიცადეო? ჭადრაკის თამაშის გუნებაზე კი ნამდვილად არც ერთი არ იყო.

გალერეაში სამზარეულო კუთხის გამყოფ პორტიერის მიღმა გაზქურაასთან მოფუსფუსე ცოლისათვის არ გაუძახია, შერგილს გავაცილებ და მალე მოვბრუნდებიო, არც მას გამოუხედავს, რითიაც ქალურ უუფლებობაა პროტესტისეულად უსვამდა ხაზს, უსიტყვოდ ამბობდა, ნაწყენი ვარო თქვენზე.

ლალი ბრეგვაძე
მოთხრობები

ცოლის ჩვევათა და ხასიათის ყოველი ნიუანსი ხუთი თითივით ჰქონდა შესწავლილი. ახლა ეს წყენა საათვალავში ჩასაგდები არ იყო, რადგან იგი ამდილოსნდელი უფლებაადმდგარი ქალის იმ სურვილთა უვნებელ ხუშტურს ჰგავდა, რისი საბაბიც თვითონვე მისცა ერთგულებისა და სიყვარულის მატკივებელი მღელვარე ფიცით, მარგალიტის მარცვლებივით რომ აბნია ცოლქმრულ სარეცელზე.

არც დედაბერს გამოუხედავს დერეფანში ფეხი ხმაზე, ეტყობოდა, საბოლოოდ ჩაექნა ხელი კატების დაბრუნებაზე და სასოწარკვეთილებისათვის მიეცა თავი. გაიარეს გრძელი ეზო, მხარდამხარ მისდევდნენ ერთმანეთს, და ორივემ იცოდა, რომ ეს იყო ნატკენ სულთა დამგზავრება, ასე გვერდგვერდ დგომით კიდევაც რომ ქნენ ნინდნენ ერთიმეორეს და კიდევაც ეფერებოდნენ; ეს იყო სმართლისათვის დაშვებულ შეცდომათა დამფარველი ამაყი ცრემლის უზაკველობა და ამაობის ამაო სუნთქვა. ხოლო ვინც დუმილის ენა არ იცის, მისთვის ყოველი ენა უცნობია; ის, ვინც ცოდვის გამართლებას მხოლოდ მონანიებაში ხედავს და თავდაპირველ საბაბს არ თანაუგრძნობს, ჭეშმარიტებას ვერ იხილავს.

ორივეს შველოდა უსიტყვო თანადგომა, ამხნევებდა, ანუგეშებდა. მაგრამ ფიქრივით მოკლე გამოდგა სავალი, მალე გაილია გზა, უკვე ქუჩის კუთხეში ვიტრინებდამტვერილ სამხედრო მაღაზიას უსწორდნენ. შერგილი გაჩერდა. — გასაოცარი რამ უნდა გითხრა, — თქვა ისე, თითქოს მთელი გზა ამ სათქმელზე ფიქრობდა. — სანამ შენთან მოვიდოდი, აი, ამ ნახეკარი საათის წინ, ნაცნობი კაცი შემხვდა. ბიჭო, ყველამ იცის, ცოლი ღალატობს, მგონი თვითონაც უნდა ჰქონდეს ეს ამბავი ყურში ჩაწვეთებული. ერთიც ვნახოთ, ამოიღო რაღაც ფარატინები, ანალიზის ფურცლებიაო, და შემომტირა, შაქარი მაქვს მომატებული, რა მეშველება. ჩემს დღეში ფრჩხილი არ მტკენია. ახლა რა უბედურება ტრიალებს ჩემს თავსო. ვუსმინე, ვუსმინე, მერე რეცეპტი მივეცი, ბევრი ლაპარაკი შაქარს ვნებს, ისე კი, ეგ არისტოკრატების დაავადებაა, ამიტომ, ერთის მხრივ, შეგიძლია იამაყო კიდეც-მეთქი. და პირში შევატოვე სიტყვა, შემეშინდა არ მომეფურთხებია ამ შეჩვენებულისათვის. მოკლედ, ვერ გაიგებ, რა ხდება ქვეყანაზე, არც უნდა ეცადო, სისულელეა.

ქვედა ტუჩი ჩვეულებისამებრ ჩაიკვნიტა, წავედი და შენ იციო, ორიოდ სიტყვით გაიმეორა სათხოვარი.

თავის გზას ადევნებულ შერგილს მზერა რომ მოსწყვიტა, ვიტრინაში დაყუდებულ მანეკენს შერჩა მხატვარი. ყოველთვის უკვირდა, სამხედრო მაღაზიის სარეკლამოდ ქალის მანეკენი რად შეერჩიათ, სოცრად მაღალი იყო, ტანისამოსს სეზონისდა მიხედვით უცვლიდნენ. ახლა მას იიფფასანი ხელოვნური ბეწვის ქურქი ეცვა, თავზე რაღაც ძველებური შლაპა ეხურა და საბრალობლად იღიმებოდა. რამდენჯერ ჩაუვლია ამ ვიტრინასთან, მაგრამ არასდროს დაკვირვებია ამ უბადრუკ ბუტაფორიას, ასე არასდროს შეუძრწუნებია მისი არსებობა უსულო საგნში ჩაკირულ მიმიკას, რასაც მარტოობის ირონია ერქვა და რაც მიამტი მგრძნობელობისდარად, ლამის ბრიყვული გულწრფელობით აიძულებდა ახლა ეფიქრა: ნეტავი ვის შეუძლია, ღიმილისაგან გაათავისუფლოს საბრალო მანეკენი?

ყველაფერი, თუნდ წუთიერად რომ გვიმორჩილებს, ჩვენზე ტალიერია. აბა სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას შთაბეჭდილება, ვიტრინას რომ ვეღარ მოსწყვიტა მხატვარი, მისი ფიქრი მიტაცა, მიისაკუთრა: ჰო, ხელუკუღმა... დაუზოგავად. მერედა მართლა დაუჯერა, არ მახსოვსო რომ უთხრა? თუ ასეა, იქნებ აპატია კიდეც. ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ესოდენ კეთილშობილი მცნება — პატიება — რამდენადმე ბიწიერების შინაარსსაც შეიცავდა. საშინელება იყო ყოველივე, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოა ახალაღმოჩენილი, მაგრამ მაინც განმეორებითი ინფორმაციისავით უსიამო, დილით სამსახურში მიმავალი ცოლის მიერ ჩართული რადიოდან მოსმენილი სარკალამო რუბრიკისდარად, რომელიც გვთავაზობს, ვიყიდოთ კალკულატორი, ანდა განცხადებების კატეგორიული ტონი მოსახლეობას აფრთხილებს, დროულად ჩაუბარონ კატებსა და ძაღლებს ცოფსაწინააღმდეგო აცრები შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებებში.

უფრო დაუმძიმდა ხასითი. უკან მობრუნებული იმასღა ფიქრობდა, რომ ცხოვრება რაღაცით ჰგავს მანეკენს, და თუ ვერ ფლობ ლამაზი ტყუილის ხელოვნებას, თუ მართლა ირწმუნებ, რომ ამ მოჩვენებითი ღიმილის იქით აღარაფერია სიცარიელის მეტი, წასულია შენი საქმე.

ცოლს სუფრა უკვე გაეწყო, ყოჩივარდებიც მოეთავსებია შესაფერ ჭურჭელში, ფანჯარასთან იდგა და ხევსურულ სტილში გაწყობილ ორნამენტებიან ჭილეტს ქსოვდა. ეი მაი უპირატესობანი: ბავშვები, სადილი, ქსოვა, დუმილი, მრავალმნიშვნელოვანი, ფიქრითა და საწუხარით სავსე დუმილი.

ქმრის შემოსვლისთანავე ანება თავი ქსოვას, მერე პანსიონატის ახალგაცნობილი თანამეცუფრეებივით უხმოდ მიუსხდნენ მაგიდას. შუადღე წამოაღწიოყო, ხოლო მათ ხმისიც არ ჩაავლოდათ პირში.

— მაპატიე, მაგრამ უნებლიეთ გავიგონე, — დაიწყო ქალმა ცოტა ხნის შემდეგ. — ასეც ვიცოდი, ყოველთვის ვგრძნობდი, გაიყრებოდნენ.

— ჰო, — თქვა მხატვარმა, — მაგაშიც ალბათ ღვთის ხელი ურევია. ყველაფერი ისე როდი ხდება, ჩვენ რომ გვგონია.

— შენ რაღას აპირებ?

— რისას?

— მართლა უნდა წაუღო ყვავილები? ეს ხომ სიაულელე იქნება.

— აისულელე?

— რასაკვირველია. ამით მხოლოდ გააღიზიანებ, მეტი არაფერი. აწი ლამაზ ქეატებს არავითარი აზრი არა აქვს. წარმოიდგინე, გამეყარო და იმავ საღამოს ყვავილები მომართვა. სასაცილოა. მე მათ უეჭველად ფანჯრიდან მოვისროდი.

— სამწუხაროა, რომ ასეთი ხასიათის ქალი ინგლისის დედოფლად არ დაიბადე.

— რაა იზამ, ბედის დაცინვად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მე შენს ცოლობაა დავჯერდი, ჩემო კარგო... — თქვა და უნებლიე დამნაშავესავით შეჰღიმა ქმარს.

ეს იყო მანეკენის ღიმილი, ანუ წონასწორობა, რომელიც აღარ აღიზიანებდა, რადგან მხატვარი უმალვე მიხვდა, რომ არაფრისათვის, სხვა არაფრისათვის, მხოლოდ ამ ღიმილისათვის აჭირდებოდა იგი, ამ ღიმილს ამოფარებული მიათრევდა წუთისოფელს. რამდენი უთქმელი დარჩა მოხდენილ ქალურ ჟესტს მიღმა, ორივესათვის ცალკეე გათავისებული, სიტყვებად რომ არ უნდა დახურდავებულიყო.

„ხელუკუღმა, ჰო, სწორედ ასე იყო...“

მერე მეტი რომ აღარ ეფიქრა ამაზე, უცებ შეცვალა საუბრის თემა: შეეკითხე ერთი იმ საოდავს, მართლა არ გადაპყვეს კატებზე დარდა. — უთხრა ცოლს და თეფშიდან შაქარწყარილი ლიმონის თხელი ნაჭერი აიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲑᲐᲠᲑᲐᲪᲔᲑᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ

ᲣᲛᲙᲐᲪᲠᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ
ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ,
ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲧᲣᲓᲠᲛ ᲒᲐᲚᲘᲐᲡ
ᲛᲝᲔᲓᲝᲛ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ.
ᲞᲣᲠᲡ ᲕᲭᲠᲘᲓᲘ
ᲨᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ
ᲒᲐᲓᲘᲥᲪᲐ ᲚᲝᲓᲐᲓ,
ᲓᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲗ
ᲛᲝᲛᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲒᲐ,

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲐᲭᲔᲓᲔᲑᲓᲐ
ᲩᲛᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ
ᲚᲣᲠᲡᲛᲜᲔᲑᲡ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲛᲬᲧᲓᲘᲔ
ᲙᲚᲐᲜᲭᲔᲑᲨᲘ ᲣᲪᲔᲑ,
ᲐᲮᲚᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
ᲓᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ,
ᲑᲔᲑᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲠᲑᲐᲪᲔᲑᲡ
ᲑᲐᲚᲜᲐᲠᲨᲘ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ.

ᲞᲐᲡᲢᲔᲠᲜᲐᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲐᲛᲓᲔ
ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ
ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲘ,
ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲖᲔ
ᲫᲕᲔᲚ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲘᲡ,
ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘ ᲨᲣᲑᲚᲖᲔ
ᲣᲙᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔ ᲪᲘᲕᲘ,
ᲓᲐ ᲕᲐᲚᲡᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ
ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲪᲕᲘᲕᲐ.
ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲤᲐᲢᲔᲑᲡ
�გᲣᲜᲓᲘ ᲤᲣᲢᲙᲠᲔᲑᲘᲡ
ᲓᲐ ᲕᲐᲚᲡᲘ
ᲬᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲔᲑᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.
ᲓᲠᲝᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲗᲕᲚᲘ,

ᲓᲠᲝ ᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ
ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲨᲐᲕᲡ,
ᲐᲚᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲘᲧᲝ
ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲣ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ!
ᲗᲝᲕᲚᲘᲡᲤᲔᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲡ
ᲛᲔ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲛᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲘ,
ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ
ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲓᲬᲐᲠᲔᲡ,
ᲔᲠᲬᲧᲛᲘᲡ ᲖᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ
ᲔᲙᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ,
ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ
ᲪᲘᲕ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲔᲑᲡ!

ᲜᲣ..

ᲜᲣ ᲨᲔᲛᲘᲙᲔᲪᲐᲕ ᲦᲣᲜᲦᲣᲚᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲡ,
ᲗᲘᲪᲘ ᲮᲕᲐᲚ ᲐᲜ ᲖᲔᲒ
ᲓᲐᲛᲐᲧᲠᲘᲐᲜ ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲡ ᲐᲜ ᲑᲐᲚᲑᲐᲡ,
ᲮᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲔᲭᲘᲓᲝ
ᲔᲙᲐᲚ-ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲔᲑᲡ,
ᲜᲣ ᲓᲐᲛᲝᲛᲘᲬᲕᲓᲔ ᲮᲔᲚᲡ,
ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑ.
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲘᲜᲔ
ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲣᲠᲘ,
ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ
ᲒᲣᲚᲡ ᲮᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘ.

ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ
ᲚᲐᲛᲐᲖᲗ ᲡᲐᲑᲐᲜᲡ, ᲜᲣ ᲒᲐᲛᲘᲡᲬᲝᲠᲔᲑ,
ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲠ ᲣᲙᲕᲔ,
ᲒᲘᲗᲮᲠᲐ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔ.
ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲒᲗᲮᲝᲕ
ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ,
ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ
ᲓᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲩᲣᲛᲥᲠᲐ.
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲔ
ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲔᲑᲘ.
ᲛᲠᲣᲛᲔ ᲗᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲛᲘᲚᲕᲐᲠᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის შარბათები.
ნუ გადამიხნავ გაუკაფავ
ჩემეულ ყამირს,
არ ამწვანდება, ველს გასვლია,
ხვნა-თესვის ყავლი.

მადლობას გეტყვი
თუ დატოვებ
შუქის ნაპერწკლებს
გზაზე, რომელიც გამხდარია
მგლების საკერძედ!

უკვდავი, მარადიული შეყვარებულები

მარადიული შეყვარებულები
უჭკნობი ყვავილებით და
გიტარით ხელში.
აფრაგაშლილი იალქნებით
მოცურავენ შორეული
საუკუნეებიდან
რომეო და ჯულიეტა,
ოკასანი და ნიკოლეტა,
სიყვარულის საყმაწვილო სენი
რომ შეყრიათ
და თავზე ყვავილების
გვირგვინი რომ ადგათ,
მუშკის სურნელებით
გაჟღენთილი მკლავებით
მაგრად იკრავენ ერთმანეთს
გულში —
პირველად და უკანასკნელად.
უსაყვარლესო შეყვარებულებო.
რა იოლი იყო თქვენთვის
ერთმანეთის სიყვარული!
თქვენ რომ
დაწვრილშვილებულიყავით
სიბერემდე ერთ ოთახში
გამოკეტილებს,
გადაგეტანათ სიღატაკე.
წელიწადების მძიმე ჯაჭვები
გეთრიათ ზურგით,
ომების, სნეულების გრძელ
გზებზე,
მართლმსაჯულების სუსხი
გეგრძნოთ
უხეირო შვილების წყალობით,
ღრმა სიბერემდე მიღწეულებს
ფეხებზე დაბერილი ვენების
სიმწარე გეწვნიათ,
ქუჩაში მთვრალივით
გებარბაცათ
წნევა ანეულებს,
კომპრესის და წამლების სუნით
გაჟღენთილებს,
ხელიხელ ჩაკიდებულებს
ბრმებივით ქუჩაში ტაატით
გევლოთ,
უდროოდ წასულო
შეყვარებულებო,
თქვენი ვარდის კოკრებიც
ნაადრევად ჩამოჭკნებოდა,
დაგემსხვრეოდათ მხიარული
გიტარა,
ალამგაშლილი გემით
მეჩეჩზე გაირიყებოდით...
გახედე, ძლივს მიჩაქჩაქებენ
ბერიკაცი რომეო
და მისი სათაყვანო
ჩამობერებული ჯულიეტა.

თარგმნა მედეა ქაჯიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

ნივთი საკურნეველი

თამაზ გამყრელიძეს

მოთხრობა

1

უხმოდ გავედი ოთახიდან, გავიარე დერეფანი, ჩავირბინე კიბე, ეზოში გავვარდი და უცებ ცივწყალგადასხმულივით შევჩერდი. მანქანის ბორბლის ქვეშ ფისოს ეძინა. „კნუტო, — ფრთხილად შევეხე ფეხის წვერით. — მანდ წოლა სახიფათოა“. არ გაიღვიძა, მხოლოდ წაიკნავლა და აკრუტუნდა. მაშინ ხელში ავიყვანე და მოშორებით გადავსვი.

იქვე მეზობელი გოგონები იდგნენ, მეცხრეკლასელები, ნინო და ქეთინო. კისკისი ატეხეს. ყურადღებას არ ვაქცევ. ჯერ არ იციან, სულდგმულის გადარჩენა რომ მადლია. მივდივარ. გაბრწყინებული თვალები მიმაცილებენ.

ახალგაზრდა კაცმა, ცეკვა თუ არ იცის, წვეულებაზე ბედგაშვებულს ემსგავსება. მძიმე ფიქრები არ მოასვენებს, გარიყულად იგრძნობს თავს. ხოლო თუ გულის მურაზი ზედიზედ გაიწვიეს საცეკვაოდ, მის მწუხარებას საზღვარი არ ექნება, სიცილის უნარს დაკარგავს, საგონებელში ჩავარდება... ქალთევზა კი ტრიალებს, დაცურავს, იკვანწება... ხოლო ახალგაზრდა მეორე დღეს ქეჩოს მოიფხანს და ფიცხლად გავარდება თანამედროვე ცეკვების შემსწავლელ წრეში ჩასაბმელად.

შევდივარ დიდ დარბაზში და იქვე ვჩერდები. ცეკვის მასწავლებელი კუთხეში მაგიდასთან ზის. კედლების გასწვრივ ჯგუფ-ჯგუფად დგანან სამეჯლისო ცეკვების კურსებზე შემსვლელები, უპირატესად ვაჟები. აქა-იქ გოგონებიც ჩანან. ერთი ყველასგან გამოირჩევა, ტანკენარი და მკერდმაღალია. წყალობის კალთა თუ დამაბერტყა უფალმა, ჩემი პარტნორი გახდება. მაგრამ მისლას ვერ გავბედავ, ამაყიც ვარ. თბილისში თავად იშვიათად თუ გადმოდგამს შენკენ ფეხს უცნობი გოგონა. იციან ლამაზებმა თავისი ფასი.

ჯორივით ვდგავარ. გამოჩნდა პიანისტიც. ქორეოგრაფი დარბაზის შუაგულში დადგა. დაბნეულები შევცქერით, ის კი ჩვენ გათამამებას ცდილობს, რაღაც სისულელეებს გვიყვება: ცეკვის შესწავლას სიარულით იწყებენ. თავის დაჭერა და თავისუფლად სიარული ცეკვის საიდუმლოების დაუფლების პირველი საფინდარია... ჩვენც ჩავდგეთ მწყობრში და დარბაზში ვიაროთ... ერთი, ორი, სამი, ოთხი... როკვა ანარეკლია სულის ფარული მოძრაობისა... ერთი, ორი, სამი, ოთხი... ბატები გედებად ვიქცევით... ერთი, ორი, სამი, ოთხი... სდექ!..

შემდეგ წყვილ-წყვილად დადგომას გვთავაზობს. თამამები და, ვისაც ყისმათი უჭრის, უმალ მისცვივდნენ გოგონებს. მკერდმაღალი ვიღაცამ გაიყოლია, სხვებიც დაწყვილდნენ. დავრჩით მე და ერთი ვიღაც ვარგლა.

— ვიაროთ ერთად? — მკითხა მოკრძალებით.

პირველი ცეკვა, რომელიც უნდა შეგვესწავლა, პა-დე-გრასი გახლდათ. ვირგლას კი გერმანე ერქვა. თავისუფლად დასრიალებდა, ღიპი ხელს არ უშლიდა. ჩოგბურთიდან ვიცოდი, რომ პროპორციულ სხეულს, ფიზიკურ მონაცემებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი აქვს. არის სხვა, რაღაც, უფრო მნიშვნელოვანი, ღვთის ნაბოძვარი ნიჭი რომ ჰქვია. აი, ეს ნიჭი აღმოაჩნდა გერმანეს.

ნახევარი საათის შემდეგ მასწავლებელმაც შეგვნიშნა და სხვებს მიუთითა:

— ნახეთ, რა ნარნარად დასრიალებენ, ცეკვის ავ-კარგი ნამდვილად გაეგებათ...

გერმანე გაიბადრა. პირველად დავინახე მასში იდამიანი.

მკერდმაღალ ქალიშვილს კი პედაგოგმა შემჩნევა მისცა:

— ასე უტიფრად ნუ გიჭარავს თავი და მხრებსაც წარამარა ნუ აქანავებ!

ქალიშვილი გაწითლდა. არ მოელოდა. ლამაზები იშვიათად იმსახურებენ შენიშვნას. უკვე ისე მძაფრად აღარ განვიცდიდი მის დაკარგვას, და ბოლოს და ბოლოს გერმანეც თითქოს ჩემი წყვილი იყო ჩოგბურთის მოედანზე. ოდნავ მაინც რომ გაგიმართლებს ცხოვრებაში, წინ გართხმული ქვეყანა თანდათან მშვენიერდება... მიპასუხეთ, საითკენაა მიმართული ჩვენი ძალა და ღონე?

დავსრიალებდით და სუნთქვა გვეკრობოდა. ეცეცხლოვანი ეტლები მიგვაქროლებდნენ ზეკისკენ.

შესვენებაზე მკერდმაღალმა მასწავლებელს ჰკითხა:

— როდის მოვრჩებით ჩხირკედელაობას?... სად არის როკენ-როლი?

სამაგიეროს უხდიდა.

— შე, კარგ ვარსკვლავზე დაბადებულო, ყველა ცეკვა ერთნაირად მიმზიდველია, ყველა თავის მუგუზალზე იწვის... ისე, როკშიც ზომიერად უნდა არხეო სხეულის ყველა ნაწილი.

ძაღლური ცხოვრებაც საინტერესოა, დარდი არ გაწუხებს, შენთვის ხარ. რასაც გადმოგიგდებენ, იმით კმაყოფილდები. თუ ქვას გისვრიან, გაიქცევი, თუ ხელს გადაგისვამენ, კუდს გააქიცინებ. ძაღლური სიცოცხლე საინტერესოა ერთი წელი, ორი, სამი. როდესაც მეტხანს გრძელდება, გაბეზრდები. მაშინ ჯერ ღრენას იწყებ, მერე ყეფას. მერე თუ არაფერი გამოგვივიდა, ხელს ჩაიქნევ და უკვე სამუდამოდ ნამდვილ ძაღლად იქცევი — დაშინებულ, დაბეჩავებულ ცხოველად... ისე, ალბათ მაინც სჯობია, ძაღლი იყო, ვიდრე გვამი. ასე ფიქრობს ასი კაციდან ოთხმოცდათხუთმეტი, ოთხი ორჭოფობს და მხოლოდ ერთია მზად, გახდეს ცხენდარი ძაღლის ნაცვლად. ისიც მაშინ გადაწყვეტს ამას, როდესაც არჯალი მოუვა... აი, ასეთი სასიამოვნო საუბარი გამიბა გერმანემ.

ამ დროს ცეკვის მასწავლებელი მოგვიახლოვდა. ჩვენ ის გვხიბლავდა. ადამიანი, რომელიც ჯადოსნური საქმის ტრფიალია, ბატონია. პროფესიონალი პროფესიონალს ცნობს, თუნდაც ერთი თვრძი იყოს, მეორე კი ტანკისტი. შეუვარებულები აკეთილშობილებენ გულგრილ სამყაროს. ჩვენ არ გვეკითხებიან მოსვლას, არც წასვლაზე შეგვეთანხმდებიან წინასწარ. მაგრამ აქ, ამ ეფემერულ შუალედში — სიცოცხლეში, ჩვენზეა დამოკიდებული მოსვლის ბუჩქი ვიყოთ თუ დუმფარა, მებრძოლი თუ ჩვარი.

— ხომ არ დაიღალეთ?

— არა.

— ცეკვა დიდი ხნის პროცესია... როგორ ეტრფოდნენ როკვას... პავანა, კურანტა, ჰალიარდი, ვოლტა... მენუეტი, მაზურკა, უკვდავი ვალსი, მარადიული ტანგო...

— ტვისტი, შეიკი, როკ-როლი, — ჩაუთხო მკერდმაღალმა.

— ადამიანის ხასიათის საუკეთესო ნიშნების გამომხატველები... ცეკვის ორომტრიალში დაგავიწყდებათ გორო-

გურამ კაკანაძე
ნოვეთი საკურნებელი

ზობა... ცეკვის ქურუმებია — ფეხები, ხელები, კორპუსი, თავი... რითმი, ტემპი, მიმიკა, ყესტი... სიარული, ხტომა, შემობრუნება, ბზრიალი... ცეკვა-ცეკვით პოულობს ადამიანი ხვრელს ცხოვრებაში შესასვლელად.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ცეკვის მასწავლებელმა ფული მოგვთხოვა. გადავუხადე. გერმანემ კი მოიბოდიშა, ამჟამად გახვრეტილი ფარაც არ გამაჩნიაო. მასწავლებელი მოიღუშა. გერმანემ ალუთქვა, შემდეგ გაკვეთილზე მოგართმევთო. გარეთ მითხრა:

— ოცდათორმეტს მივაღწიე... ფულის კეთება კი ვერ ვისწავლე. მამლის საჯდომი თუ არ იცის მელამ, რაგინდ ეშმაკი იყოს, მაინც დიდხანს ივლის პირჩალგამოვლებული... ცხოვრების გზა გაუგებრობითა და ხიფათითაა სავსე. ამას მალე შეიგნებ, კირილე.

გერმანე გავამხნევე:

— დუხჭირი წუთები ყველა კაცს ესტუმრება დროდადრო. თავისი ქორი ყველას გამოუქროლებს.

ოპერის ბაღთან გერმანემ შემაჩერა, მკლავში ხელი წამატანა და შინ მიმიპატიჟა. საქმეები მოვიმიზეზე. მაგრამ არ მომეშვა, ძველი ხურჯინივით გადამეკიდა.

— ანწლის არაყს დაგალევინებ.

— არ ვსვამ.

— პატარა სერობა გავმართოთ.

— არაყი დუქანშიც შეიძლება დავლიოთ...

— სახლში უნდა ვიყო აუცილებლად, მეუღლე მელოდება.

— წამწამზე გიზის?

გამიღიმა.

— პირველი მოცეკვავეა, კირილე.

მთაწმინდის ძირში ცხოვრობდა. ხის კიბეზე ავედით და ზარის ღილაკს დააჭირა ხელი, კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო.

ოთახში შემიპატიჟეს. დახუთული ჰაერი დგას, სამზარეულოდან გაზის სუნი იპარება. ძველი ავეჯი. დასვრილი კედლები, ხის იატაკი.

სარკმელთან ვდგები. არემარეს ვათვალიერებ. დიასახლისი სკამს მთავაზობს ზობს.

— ხელისგულივით ჩანს თბილისი, — ვამბობ და სკამის ზურგს ვეყრდნობი.

— ჩვენც ვამაყობთ ამ ხედით.

— მიწა დაგაყარე, — ამბობს ახალგაზრდა დიასახლისი და სამზარეულოში გადის.

— ხომ ჰგავს დედოფალს? — ჩურჩულით მეკითხება გერმანე, — სილამაზეც ეროვნული განძია. მხოლოდ ლამაზ ერს შეუძლია წარმოშვას თამარი, თინათინი, ესმა...

— ესმა დედოფალი რომელ საუკუნეში ცხოვრობდა?

— მეოცეში... — იცინის კმაყოფილი.

ბრიყვივით ვიყურები. როგორ დავუსხლტე? არ მაინტერესებს არც მათი წარსული, არც საიდუმლოებანი და არც ანწლის არაყი. არ მიყვარს, რადესაც თავის ნებას მახვევენ თავზე. გარეგნულად თუ დამყოლი ვგონივარ ბევრს, სინამდვილეში ჯიუტი და შეუდრეკელი ვარ.

ამასობაში ესმამ სუფრა გააწყო. იშვიათად ვსვამ. მაგრამ ახლა, როდესაც გერმანემ არყით სავსე ჭიქა ასწია, ჭერს ახედა და თქვა, შეგვინდე, უფალოო, მეც გადავკარი. ძარღვებში ნაკადულები აჩუხჩუხდა. თანდათან ვშორდები უდაბნოს, ვუახლოვდები თავისუფალ ქვეყანას.

— გაფრენილი ჩიტია სიცოცხლე, — ამბობს გერმანე.

— ისე არ აგიდგა გვერდები, — ეუბნება ესმა.

— არა... ჩამოვარდნილი ჩიტია, — ასეთია ჩემი დასკვნა.

— არა... თეფშზე დადებული შემწვარი წიწილაა.

ქვეყანაზე მრავალი აზრია. ჩვენც იმას ვიზიარებთ, რომელიც გვაწყობს... და „სიცოცხლეს“ ფრთას ვაგლეჯ. გემრიელია ვარიკელა.

მალე ჩვენს შორის საუკეთესო ურთიერთობა მყარდება.

— მგელი, არწივი, კაი ყმა, არც ერთ არ გაიწურთების.

— რაიო? — ვიკითხე.

— კვერი მიზის გულში, — მითხრა გერმანემ და ყლურწა.

სამარის ფერი ადევს ესმას. რა ჭირს?

— საღსალმათად ვიყოთ, — ვთქვი და ანწლის არაყი გადავკარი.

— ესმა, გვირილას ჰგავხარ, — ეუბნება გერმანე.

— კირილე, კოტრანა მიირთვი, — რაღაც საჭამადს მაწვდის დიასახლისი. ვუღიმი. თვალებს ვლუღავ, თითქოს ღრმა ფიქრში ჩავიძირე. ჩინეთის ქვაზე წერია: ყველა ქალს ეჩვენება, რომ პარტნიორის ამორჩევაში მოტყუებული დარჩა. რატომ ვეძებთ გამოსავალს სადღაც, მიღმა? რატომ გიზიდავს უცხო ფრინველი, სხვა სიყვარული?

— სულ რომ ვჭამდეთ და ვსვამდეთ, აყალმაყალისთვის დრო აღარ დაგვრჩებოდა. აღარ იქნებოდა თვალთვალი, ქვებუდნობა, დრაკონის კბილების თესვა, აბრაგანის კვრა.

გერმანე მეთანხმება:

— ჭამა-სმა დიდად შესარგია, მაგრამ ქვეყნიერებას მხოლოდ სიყვარული თუ იხსნის. სხეული ხრწნადია. სული — მოგონილია... გვრჩება მხოლოდ სიყვარული.

ფეხზე ვდგები.

— სად მოღვაწეობ? — ვეკითხები გერმანეს.

— ქართულს ვასწავლი ყმაწვილებს.

გამოირკვა, რომ ხარიტონსაც იცნობს.

— შენს თავზე ბევრი ბუკი დაკრულა?

— საკმარისად.

— ესმა, ალვის ხეს უფრო აფასებთ თუ ძეწნას? — ახლა დიასახლისს მივუბრუნდი.

— ძეწნას... მუდამ ტირის.

ვაკვირდები. ესმას თვალებში უსაზღვრო სევდას ვხედავ.

— ჩემი ხე — მუხაა... ჭარიშხალშიც უშიშრად დგას... საქმე ის არის, რომ უბედურებაში უფრო გამოცდილი ვარ. ვიდრე ბედნიერებაში, — ვთვალთმაქცობ, ვთამაშობ, ვერთობი.

— კირილე, თუ მღერი? — მეკითხება ესმა და ეღიმება, — მოგიტანო ფანდური?

— ჩვენ ვცეკვავთ. ქალბატონო.

— გერმანე, თუ ღმერთი გწამს, მაჩვენე, რა ისწავლე დღეს.

პა-დე-გრასი ვიცეკვეთ და მთელი ათი წუთი მუცელი ხელებით ეჭირა ესმას.

ბისტი მეკვრება თანდათან თვალზე. შორიდან ბუნდოვნად მესმის გერმანეს ხმა. „გმადლობ, კირილე, ასეთ კარგ გუნებაზე დიდი ხანია რაც არ დამდგარა ესმა...“

2

შეჭვარტლულ ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები აბჟუტდნენ. ქუჩები ცარიელდება. ხეები იძინებენ. მერცხლებს ღამურები სცვლიან. სადღაც კალია ჭრიჭინებს.

საუბრის საღრღეელი მაქვს აშლილი. ხარიტონთან მივდივარ. მცოდნე კეთილისა და ბოროტისა ვერცხლის ქუჩაზე ცხოვრობს.

ცხოვრებისათვის მზადების თადარიგი ადრევე უნდა დაიჭირო. სხვებზე ნაკლები უსინდისო ვარ. ვიდრე ზღვაში ჩაწყობილ მარგალიტებს დაეპატრონები, ვიდრე შენი ბაღდადის საძებნელად დაადგებოდე შორეულ გზას, აქეთ-იქით უნდა გაიხედო, სასწორზე უნდა შეაგდო საკუთარი თავიც და სხვებიც. ვიცოდი, ხარიტონი გამორჩეული კაცი იყო და მსურდა შემეტყო, თუ როგორ უპირისპირდებოდა სინამდვილეში სხვადასხვა მიმართულებას. სწრაფვას და ვნებას. რესტორნის მომავალი დირექტორი პატიოსანი კაცის ფსიქოლოგიასაც უნდა ჩაწვდეს. გუმანით ვგრძნობდი, რომ სოფელში საპატიო ადგილის დაკავებისათვის მხოლოდ ნამუსზე ხელის აღება საკმარისი როდია. ხრიკია-

ბურაბ კაპანაძე
ნოვთი საკუნებელი

ნობა ხელს შეგიწყობს, მაგრამ თუ შენი ნამდვილი მოწინააღმდეგენი — პატიოსნების მოციქულები თხემით ტერფამდე არ შეისწავლე, მაინც გაპამპულებული დარჩები.

ხარიტონის ბაბუა მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი გახლდათ. გერმანელების პირველი ტყვია დუნდულოში მოხვდა. ბრგე იმერელი სახეზე აილეწა. „ტროია აღარ არის!“ — დაიღრიალა, შემოტრიალდა და იერიშზე გადმოსულ მტრისკენ გაშპა. ერთ გაოგნებულ გერმანელ ოფიცერს სწვდა და ისე მოუჭირა ძარღვიანი მკლავები, რომ ნაჭყაპურტები გამოადინა. მეორეს ტყვიამ გულის ფიცარი შეუნგრია. იმავე დღეს პატარა ხარიტონი დაიბადა. მამამისი ცნობილი ქურდი იყო, „რამკიანი“. მაღაზიებს ძარცვავდა. მეგობრები ამ საქმის დიდ სპეციალისტად რაცხდნენ. ორჯერ გაასუფთავა ოქროულობის მაღაზია. ერთხელ მაინც შეიპყრეს. გამომძიებელმა ირონიით კითხა: „ახლა რომ გაგიღო კარი, გაგიყვანო მინდორში და გაგიშვა. მოკიდებდი თოხს ხელს, დაუბრუნდებოდი მიწას?“ „თავის დროზე ყველა დავუბრუნდებით დედას“, „საზოგადოებრივ სპარფაგეშოში რომ გაგამწესო?..“ „ვერ გამოვდგები“. „მინისტრის პორტფელი რომ გიბოძოთ?“ „პორტფელს იმ ოქროებით ავავსებდი, წაძოლეები რომ დამრჩა“. დახვრიტეს. მაშინ რვა წლის იყო ხარიტონი. დედამ გაზარდა. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცხრა წელი დარკვეთის სოფლის სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას. შემდეგ თბილისში გადმოვიდა. რატომ არ იყო პატივმოყვარე? ასპირანტურაში შესვლაზე უარი განაცხადა. შემდეგ კი, როდესაც გაზაფხულის ვარდებივით, გაიფურჩქნა რეპეტიტორობა, კერძო მოსწავლეები არ აუყვანია. მე მგონია, პატიოსნებას არ თამაშობდა. ბუნებით იყო ასეთი. როდესაც თეთრი იბადები, შემდეგ მეგობრებმა, თანამშრომლებმა თუ ცხოვრებამაც რაც უნდა გთხუპნოს ნახშირითა და მურით, ზანგი მაინც ვერ გახდები, ვერ გაშავდები. კოლეგები ეკითხებოდნენ: რატომ არ აიყვან კერძო მოწაფეებსო? რაღაც სისულელეებს იგონებდა პასუხად. კოლეგები იღიმებოდნენ და მდიდრდებოდნენ. სიცოცხლე კი უყვარდა ხარიტონს. ერთხელ ბათუმის რესტორანში საესტრადო რევიუს მონაწილე ბოშა ქალს წარმოდგენის დამთავრების შემდეგ რომ ეცეკვა, ასი მანეთი გადაუხადა. ზოგჯერ კანტიკუნტად სარდაფებშიც სვამდა ბალოთებულ ბავშვობის მეგობრებთან ერთად. ჩიქილის ყურზე გამობმული არ ყოფილა, მაგრამ ლამაზი ქალის ყადრი იცოდა. შეუყვარებული ჰყავდა, ხატვის მასწავლებელი, რომელიც ღვიძლის სიმსივნეს წაიყვანა საბოლოო საყუდარში. ეხმარებოდა ყველას — ნიჭიერსა და ჯაბს, მოხუცსა და მარტოხელას... და მაინც, ცხოვრებაში ჩაძირული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რამეთუ, ვინ ცნა ჭეშმარიტება თანალმობისა?

ნამდვილი გატაცებაც ჰქონდა. ამ „სენით“ ზემო იმერეთში დაავადდა. ზემო იმერულმა კილოკავებმა და სიტყვებმა გიიტაცეს. ძველ, მივიწყებულ ქართულ სიტყვებთანაც მეგობრობდა. ისინი დანგრეულ კოშკებს ან დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ადამიანებს აგონებდნენ. ზოგჯერ საოცრად ემსგავსება სიტყვა სინამდვილესო. მასაც ნიღაბი აქვს, ორი სახე, ორი ბუნება. და მასაც ისე იყენებენ, როგორც ჯარისკაცს, მვლელს, ყმას, ექიმს, მეგობარს... თითქმის ყველა პროფესიის ადამიანს აქვს სხვა გატაცება. ეჩვენება, რომ თავის დროზე ასცდა გზას. ამ ხერხით ცდილობს მოიტყუოს თავი, დაემალოს ნაღველს, არარაობას, სიბრიყვეს. დროს, ზოგიერთი ცეცხლს რომ უწოდებს, გაშიშვლებულ სიცოცხლეს, დამჭკნარი მკერდით, დაბჩენილი უკბილო პირით და ჩაცვენილი თვალებით რომ წარმოგვიდგება ერთხელ. ცდილობს დაუჯერებელ, განსაცვიფრებელ სამეფოში შეაღწიოს რიგგარეშე, უბილოთოდ, უნიჭოდ... ერთი ლექსებს თხზავს, მეორე ხატავს, მესამე პარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუტით ხტება, მეოთხე სხვის წვალებაში პოულობს მოწოდებას. ხარიტონი კი ბაგეებსა და ყოფიერებას შორის გახიდული სიტყვებით ცდილობდა ურჩხულისგან თავის დაღწევას.

ძველ ბინაში ცხოვრობდა მოხუც დედასთან ერთად. ოთახში კედელზე მამის სურათი ეკიდა. ერთხელ დედა შეეკითხა, ხომ არ გეჩოთირება ასეთი მამის საქვეყნოდ გამომზეურებაო. ხარიტონმა მიუგო, რომ მამის მძიმე, აფორიაქებულ, უსამართლო და ამაო ცხოვრებაში ეს შეჩერებული დრო, ეს სახე ამ ოთახში, შეიძლება ერთადერთი გამართლება და მიტევება იყოსო. არ ეთაკილებოდა ქურდის შვილი რომ იყო... ერთი ბუღალტრის ვაჟი, მოჭანდაკე, ცოლშვილინად მამის მიერ აშენებულ ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდა. როდესაც მამა დაიჭირეს, შვილმა საჯარიდ დადგმი იგი. შემდეგ ერთხელაც არ მიაკითხა სპატიმროში... მის აშენებულ ბინაში კი „უკვდავ ქმნილებებს“ ძერწავდა... ხარიტონის მამას არაფერი დაუტოვებია, ტკივილის, ნაღვლიანი ღიმილის, დროდადრო თავზე ხელის გადასმის მოგონების გარდა. მამა ხარიტონის მეხსიერებაში ფილმის პერსონაჟივით დარჩა: ვებერთელა, მოცინარი, მეზობლების და ახლობლების მოყვარული.

საცაა სამოცი წელი მიუკაკუნებს. თავი კი ისე უჭირავს, თითქოს გუშინწინ დაიბადა. თითქოს ნაქურდალი არ ჭეროდეს ხელში. სიცოცხლემ გაირბინა ქვიშის თოკის გრეხაში, აპრიალებულ ჩალასავით ჩაქრა... სად დაბორიალებდი, ხარიტონ? ცივ ქვაზე ვინ დაგსვა? რა ჩაგჩურჩული მაშინ ცეკვის დროს ბოშა ქალმა? გაგანდო საიდუმლოება, გითხრა, თუ რა იყო სიყვარული? ბოშა ქალები ამ საქმეში გაწაფულები არიან. „ქარიშხალია, ხორცის სიმღერაა, — ასწავლიდა ბოშა. — უცებ ამოვარდება, მილეწ-მოლეწავს და გადაიკარგება. შენ კი ლექსი და ლოცვა გეგონა...“

მამის დახვრეტის შემდეგ ხარიტონი და დედა რკვიაში ცხოვრობდნენ ბებუს ქოხში. ქურდის შვილი, თავმოკვეთილის ნაშიერი მაშინ ყვირილს ხეობამ მოხიბლა, ზომიერად აზიდულმა მთებმა, ფერდობზე ამართულმა იმერულმა ხეებმა, გაზაფხულზე — ალუჩას, ალუბლის, ბიის კვირტების სუნმა. შემოდგომაზე — ურძის ჭრიალმა, საწნახელმა, ვენახმა, მაჯარმა, ჩურჩხელებმა, ზამთარში — თოვლმა, ზოგჯერ არშინზე მეტს რომ დებდა. ზაფხულობით — ცეცარაბამ, თევზობამ, სოკოზე სიარულმა. მატარებლებიც, სათამაშოებს რომ ჰკვდნენ, ბის განსაცვიფრებლად დარბოდნენ წინ და უკან... ერთხელ მეზობელმა ქალმა საჩუქრად თხა მიჰგვარა ხარიტონს. შავი თხა იყო, წვერებცანცარა. ხარიტონი გაოგნებული შეჰყურებდა ბლის ხესთან დაბმულ თხას. მასთან შედარებით სასირე ბადე მოგონება იყო. დორანი დაეცა ბოჭს. ამიერიდან სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად გააგდებდა საძოვარზე ბელას („რატომ ბელა?“ — ეკითხე მაშინ განაწყენებულმა. „პოეტის სპატივცემულოდ, — მომიგო ხარიტონმა. — გახსოვს ლექსი — „შენ, ჩემო თხაო ბელაო, შენ გენაცვალოს ყველაო“). ახლა უზერხულად აღარ იგრძნობდა თავს, ლაღად იქროლებდა რიყეზე, თავისუფლად იბურჭალებდა მწყეცმსი მწყემსების შორის... ის, ვინც ამ ბავშვურ თვისებას ინარჩუნებს დიდხნობამდის, ხშირად ხელოვანი გამოდის — მხატვარი, მუსიკოსი, პოეტი, ფოლკლორის ტრფიალი... მერე რა მოხდა?.. მერე ბელამ ჯვარზე აცვა. სხვა თხებთან ერთად შერეკავდა ტყეში, ის კი ცოტა ხნის შემდეგ კოლექტივის ყანაში ან ვენახში ამოჰყოფდა თავს. ხახდაზმული იყო შავი ბელა. უჭირდა ფერდობზე სიარული. და აღბათ თხებშიც. ისევე როგორც ადამიანთა შორის, ყველანაირ ხასიათს წაწყდები. ზოგი უკკუოა, ზოგი ცანცარა, ზოგი გარყვნილი, ზოგი

ბუბამ კაკანაძე
ნივთი საკურნებელი

უბედური, ზოგი კი შემგუებელი... თხებიც იბადებიან, იზრდებიან, კუნტრუშობენ, კლავენ.

ბელას თეთრი თიკანი ეყოლა. ვაცანა დაარქვა წმიერად გაელვებულ სახარულს. მალე განუყარენი გახდნენ. დილაადრიან, როდესაც სადგომიდან გამოუშვებდნენ, ვაცანა აივანზე აბაკუნდებოდა, დაიკიკინებდა და პატარა რქებს ურტყამდა კარს. უზმობდა ხარიტონს. ბავშვივით სათნო და კეთილი თვალები ჰქონდა. ვაცანაში რაინდის სული ზეიმობდა. როდესაც შუბლებით ეჯახებობდნენ, ვაცანა ზოგავდა მეგობარს, გამეტებით არ ურტყამდა. მაგრამ როდესაც ხელებს ახვდრებდა ბიჭი, მაშინ ვაცანა როკვითა და ხტუნვით მთელ თავის ძლიერებას ამჟღავნებდა. უსტაყვოდ უგებდნენ ერთმანეთს.

ერთხელ რკვიაში სააღდგომოდ თბილისიდან მეზობლის ნათესავი გოგოსა ჩამოვიდა. თოჯინასავით ლამაზი თვალები ჰქონდა, ფრინველივით მსუბუქი ხელები და გრძელი თითები. ხარიტონმა რიყეში მოკკოა თვალი ციცინოს. ამის შემდეგ უცნაურობა დასჩენდა — თითებს აწვალებდა, ჩუმ-ჩუმად ოხრავდა, ლოდზე ჯდებოდა, კენჭებს ისროდა ყვირილაში. რამდენიმე საათით მეტ-ყველების უნარიც დაკარგა. მაშინ, პირველად თავის სიცოცხლეში, პირჯვარი გადაიწერა და ისევ ამეტყველდა. დაწვა კაკლის ძირში განმარტოებით, ბუტბუტებდა. ძილის წინაც ციცინო ედგა თვალწინ. იმ ღამეს კი ვაცანა დაესიზმრა. დილით ბიჭი ჩაფიკრდა. დარწმუნებული იყო, რომ სიზმარში ციცინოს იხილავდა. თვალს მოჰკრავდა იმ ორ ამობურცულ საიდუმლოებას, ვარდისფერი კაბის ქვეშ რომ მალავდა. და დახეთ ბედის ირონიას, ანგელოზის ნაცვლად წვერცანცარა ვაცანა ესიზმრა... მეორეჯერ წყაროსთან იხილა გოგონა. მოკლე ჭვარჭვალიანა კაბა ეცვა და მუხლისთავები მოუჩანდა. ქალაქელმა გოგო-ბიჭებს წყლის პირზე გასეირნება შესთავაზა. მდინარესთან ციცინო ანაზდად ხარიტონს გამოელაპარაკა. და ბიჭმა პირველად იგრძნო უცნაური სიმე და ტკივილი. მშვიდობით, მყუდროვავ, ყვირილა და ვაცანა. თეთრი პერანგი და გაუთოებული შარვალი ეცვა, მხოლოდ ერთ ადგილას მოოკემილილი. გოგონამ ჰკითხა, ლექსები თუ გიყვარსო. ხარიტონმა თავი დაუკნინა და დაასლოკინა. დაცინვით გადახედა ქალაქელმა გოგონამ სოფლელ ბიჭს და ისევ ჰკითხა, იცი თუ არა, რომ ლექსი პატარა სიკვდილია, ლექსი ძილია, ძილივით გვიცავს გამოფიტვისაგან, გვასვენებს, მეორე დღისთვის გვამზადებსო. ხარიტონმა ვერაფერი გიგი, თან მეშვიდე ცაზე იმყოფებოდა. ციცინომ „მე და ღამე“ წაუკითხა. უცნაური ჰიმნი ისმოდა ყვირილას ხეობაში. აი, ამ დიდებულ დროს ხარიტონმა უკანიდან უძლიერესი დარტყმა იგემა წელქვემოთ და თავით ყვირილაში გადაეშვა. სოფლის გოგო-ბიჭები სიცილისაგან იგუდებოდნენ. ვაცანა ამაყად იდგა ფერდობზე. ხარიტონი დინებას გაჰყვა, აღარ უნდოდა სიცოცხლე. პირველი შეხლა დამცირებასთან და სისასტიკესთან მტკივნეულია. იქ, სადაც ღელე უერთდება ყვირილას, ხარიტონმა გადაწყვეტილება შეცვალა. ნაპირზე გამოცურა და ჩიჩვირჩამოშვებული გაუდგა შინისკენ მიმავალ გზას. ეზოში ვაცანა ელოდებოდა. თავზეხელიდან იდგა. რასაც დასთეს, იმასვე მოიმკო. ხარიტონმა თვალი თვალში გაუყარა უგუნურს, პირუტყვის დასჯაზე ფიქრობდა. გადაწყვიტა ბიაზე ჩამოეკიდა ფეხებით, იმ ბიაზე, რომლის ძირშიც ყოველდღე ფოთლებს უყრიდა მოღალატეს. შემდეგ აზრი შეიცვალა. უმჯობესია, სადგომში შეაგდოს, გოგირდს ცეცხლი წაუკიდოს და მის ბოლში ამოახრჩოს დაუნდობლად. ამ დროს დედამ დაუძახა და განზრახვა სისრულეში ვერარ მოიყვანა. ტანისამოსი გამოიცვალა. ისადილეს. შემდეგ წაუძინა. საღამოზე კი შერიგდნენ...

მეცინება ხარიტონის მიამიტობაზე.

— როგორ დამთავრდა თქვენი მეგობრობა? — ყასიდად ვეკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოდგომაზე თბილისში დავბრუნდით საცხოვრებლად. ერთი თვის შემდეგ დაკლული ვაცანას ნახევარი გამოგვიგზავნეს...

გულიანად აეხარხარდი.

— ბატონო ხარიტონ, რატომ გვიდგება ვიღაც უხილავი ჯერ კიდევ ბავშვობაში კრიჟაში?.. რატომ თავიდანვე არ გვინათებს პროფეტორის შუქი შარას?

— ცა დაბადებისთანავე რომ გაეხსნას კაცს, აზრი დაეკარგებოდა მის არსებობას.

— რაღაც ეჭვი მეპარება... აბა, წარმოვიდგინოთ ორი პატარა კიტრი ბოსტანში... გაგანია ზაფხულია. ერთს ყოველდღე წყალს უსხამენ, კვირაში ერთხელ ნაკელით ანოყიერებენ მის გამზრდელ დედამიწას... სულ მალე სასწაულს იხილავთ, თითისტოლა კიტრი დაგრძელდება, გამწვანდება, გაიფურჩქნება და დაკიტრდება... მეორეს რა მოუვა იმავე პერიოდში? თითისტოლა თითისტოლად დარჩება, გაყვითლდება და დაჭკნება... ახლა ორი წიწილა წარმოვიდგინოთ... ერთს ბალახბეულახი, სიმინდის მარცვლები, ჭიაღუა, წყაროს ანკარა წყალი შევთავაზოთ, მეორეს კი — აყროლებული თევზი, რაღაც ნარჩენები, მდორე წყალი... ამ ორთაგან გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რომელს უფრო მოხდენილი ბარკლები ექნება, რომლის ტაბაკას აირჩევდით?.. პარალელები გრძელდება... ახლა ორი ახალშობილი დავხატოთ... ერთი შევამკოთ ბებიკოებით, ბაბუკოებით, ბიძიკოებით, მეორე... გავაგრძელო?.. რომელ მათგანს დაეწერდით ხუთიანებს, რომელს დაასვენებდით ბიჭვინთაში, რომელს ამოგზაურებდით ევროპის გარშემო?.. რომელი უფრო გარანტირებული ია სიცოცხლეშივე არ მოხვდეს ჯოჯოხეთში და დაეპატრონოს სამოთხის ჩვენეულ ვარიანტს?.. აღმზრდელო, არ გეჩვენებათ, რომ ცარიელი სიტყვები და დაპირებული მომავალი იმ სტაფილოს ჰგავს, რომელიც მოხერხებული მხედრის მიერ ჯოჯზეა ჩამოკიდებული და დიდყურას ცხვირწინაა გაწვდილი?..

— არ მომწონს, კირილე, რაღაც ჩარაბიანი ჩივით ლაპარაკობ. იმის მაგივრად ბრძენთა აზრებს ჩაწვდე, თვალი უკვე საცეღლუტოდ გაგირბის აქეთ-იქით... ზეცა ხან ვარსკვლავებით იქნება მოჭედილი და ხან კი შავი ღრუბლებით დაიფარება. ჯერ ბუტული გიზის, მაგრამ მერე გაგიკვლია... ასეთი გორაზობით შორს ვერ გასცურავ, ნაპირთანვე ჩაიძირები. ამიტომ მოწამეთის მონასტერში უნდა წაგიყვანო, ქუთაისთანაა, დავით და კონსტანტინე არგვეთელები უნდა გაგაცნო, მურვან ყრუს რომ შეებრძოლნენ. სხვები იმ დროს ელაქუცებოდნენ და ფეხებს უკოცნიდნენ დამპყრობელს... კირილე, დროზე მოუხმე ჭკუას.

ზოგჯერ ხარიტონი მაღიზიანებდა. მეჩვენებოდა, რომ ცუდ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე. სად გაგონილა. ორმოცდაჩვიდმეტი წლის კაცი, ცოცხალი თევზივით რომ გაუსხლტა ცხოვრება. ალქატი და ამბოკარი, ამდენ ხანს ცარიელ გუდაში რომ აფხაკუნებს, მაინც მოტეხილი და დამცირებული არ გამოიყურებოდეს. ბოლო დროს მეც მის ენაზე ავმეტყველდი, განსაკუთრებით სხვაგან ვიმეორებ მის სიტყვებს, აზრებს, ქცევას. კარგი მეხსიერება მაქვს. ერთხელ, გაგონილი არასოდეს დამავიწყდება. სიტყვები მეხვევიან, „ოქროს მძივივით“ — ბირკასავით მეტმასნებიან. ეს კი, ვგრძნობ, სახიფათო და დამღუპველია.

— ნატვრის თვალი რომ იპოვნოთ, რას ინატრებდით?

— აჭრაჭუჭის მაბზაკუნას. პარაკლიტონს...

„დაიწყო, — გავიფიქრე. — აზრთაყლაპიას წონასწორობიდან სურს გამომიყვანოს“.

— ობოლ მარგალიტს?

— სიტყვა ენის სარკეა... მაგრამ სიტყვებსაც ბინადრებენ ზოგჯერ ადამიან-

ებსავით, ამონებენ, აკნინებენ ან სატეკვარს უდებენ ხელში და უბედურს მიუქსოვენ დასაგლეჯად... სიტყვებიც იბადებიან, ცოცხლობენ, კვდებიან.

ოთახში ხარიტონის დედა შემოვიდა, წელში მოხრილი, დანაოჭებული, გაჩეჩილი, ძველმანებით შემოსილი. აღარაფერი დარჩა ცხოვრებაში ალბათ, აღარც მოგონება, აღარც ნაღველი...

— ეს რა ფიტულია? — იკითხა დედაბერმა.

— რომელი? — გაკვირვებით შეხედა ხარიტონმა.

— ბოსტნის საფრთხობელა, — თითით აჩვენა ჩემზე.

„სულ გამოჩერჩეტებულა“, — გავიფიქრე და გავიღიმე.

— კირილე ვარ, ბიცოლა ლიზა... არ გახსოვართ?.. ბატონ ხარიტონის ნამოწოფარი და მიმდევარი.

— სად იძერწება ასეთი სახეები?.. ჩვენს დროში ასეთებს ცირკში თუ წაყწყდებოდი ან იმ პიესებში, სადაც ყაჩაღობანას თამაშობდნენ ხოლმე.

ახლა კი ოდნავ მეწყინა. ცოტა გაწყდა, შევეკასუხე, ენას ძალიან თავისუფლად, ნუ ხმარობთ-მეთქი.

— დედა!..

— საით მივდივართ, უკანასკნელ გაჩერებას ხომ არ მივადექით?.. ბორჯომიც გაგვთავდა, — თქვა და გამოფიტული თვალებით მომაშტერდა. — ეს ბიჭი კი ისეთი გამგებიანია, თქმაც არ უნდა.

ბაწარი შემაბა ყელზე. ცოტა ხნის შემდეგ ავდექი, ჩანთა გამოვართვი ხარიტონს და მაღაზიისკენ გავწიე. ოთახიდან გასვლისას დედაბერმა მითხრა:

— გადასასვლელზე ფრთხილად გადადი, ჯერ მარცხნივ გაიხედე, შემდეგ კი მარჯვნივ.

გარეთ თავი დავიმშვიდე, ცხოვრების გზაზე ზოგჯერ „ბორჯომის“ ბოთლებიც უნდა ათრიო.

მაღაზიაში ერთ ლამაზმანს მოვკარი თვალი. ჩვენს უბანში ცხოვრობდა. ხმები დადიოდა, მსუბუქ ცხოვრებას ეწევაო, აი, ასეთები გვირევენ გზა-კვალს ყმაწვილკაცებს. ძეხვეულის გასაოცარებასთან ნაცნობი კაცი მომესალმა. ნასვამი იყო. შემდეგ ის ნაცნობი იმ ფეხსუბუქ ქალს მიუახლოვდა და წელზე ხელი მოუთათუნა. ქალი აყვირდა. ეს რომ დავინახე და გავიგონე, კარგ გუნებაზე დავდექი. ეტყობა, მაინც ულევია საინტერესო სასიცოცხლო სცენები და მათ არც ერთი წარმოდგენა არ შეედრება.

კარი ხარიტონმა გამიღო. ჩანთა ჩამომართვა და პატიება მთხოვა. დედაბერმა მითხრა:

— ყარამანი ხარ.

როდესაც მასწავლებელი სამზარეულოში გავიდა, ღიმილით ვიკითხე:

— ჭურჭელიც ხომ არ დაგირეცხოთ?

— არა, ყარამან, მაგრამ როდესაც შინ წასვლას დააპირებ, ცელოფანის პარკში ჩაყრილი ნაგავიც წაიმძღვანიე და სადმე ხის ძირში მიაგდე... ადამიანი გარჯისთვისაა მოწოდებული.

— კი, ბატონო...

— ისე, ნაღველს ბუშტი ხომ არ გაწუხებს?

— მაწუხებს.

— მაშინ, ნაღველი სისხლში და სულში რომ არ გადაგვიდეს, დროზე მიიღე ნოშპა და ალოქოლი...

— გმადლობთ, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას.

შემდეგ მე და ხარიტონმა ისევ წავისაუბრეთ. შიშველი რომ იბადება ადამიანი, ეს წესია. მაგრამ როდესაც წლები გავლენ და კაცს მაინც მოუჩანს შიშველი ხორცი გახეულ შარვალში, ცუდია, ეს შეულამაზებელი ცხოვრებაა... ავუხსენი, რომ არ დავუშვი დიდი მოქმედება, ცხოვრება თუ მატჩი ჩემგან შორს რომ ჩატარდეს, ჩემი მონაწილეობის გარეშე რომ წარიმართოს. ქვას არასოდეს არ შევიბამ ყელზე.

3

თითქოს სხვაგან იყო. ადამიანი ასეთ დროს ასტროლოგია — შორეულს კი ჭვრეტს, მაგრამ ახლობელსა და მკაფიოს კი ვეღარ ამჩნევს.

საითკენაა მიმართული მისი გულჩახვეული, ფარული, იდუმალებით მოცული მზერა?

დუმდა. ვიგრძენი, რომ ამინდი იცვლებოდა, რომ მისი გრძნობის ნაწილი მაინც ფოთოლთან ერთად გაფრენილიყო.

ერთმა აყლაყუდამ ცეცხლი მთხოვა. ცეცხლი არ მქონდა. მანქანები დაქროდნენ. ბავშვები მიწას ჩიჩქნიდნენ. მდინარეზე ნავი მიცურავდა. აყლაყუდამ ბოდიში მოიხადა, გზა განაგრძო. ბელამ მითხრა:

— კირილე, ბარათი მივიღე პარიზიდან... ფარსმანმა გამომგზავნა.

მთელი ღამე არ სძინებია. გათენებისას ორი საძილე აბი გადაუყლაპავს.

— საიდუმლო ბარათია?

ჩანთა გახსნა, უსტარი ამოიღო და გამომიწოდა. ცხვირსახოცით ოფლი მოვიწმინდე სახიდან. ცხვირსახოცი მუხლზე დავიდე და ბარათს დავხედე. ეიფელის კოშკი ჩანდა. სხვას რას მოიფიქრებდა იარმურკის უბანში გაზრდილი.

სიტყვასიტყვით წამიკითხა მონაწერი. ჯინსის კაბა შეეძინა ბელასთვის.

ქვანაკრავივით გავიხედე წინ. სამიოდე წლის წინ აქ ტრამვაი დასრიალებდა. სამიოდე დღის წინ პა-დე-გრასს ვცეკვავდი უდარდელი... რა სწრაფად იცვლება არემარე და საცეკვაო მელოდიაც... ეკვითაა მოცული ყოველი... ყველგან საიდუმლოება და ჩასაფრება... „საიდუმლო ბარათო, მექმენ, მექმენ მარადო...“

ხელი მოვხვიე.

— ხომ ვერ მეტყვი, პარიზში ახლა ღამეა თუ დღე?

— აქ დღეა და უამრავი გამვლელი. მოდი, ჩვენს ბაღში გადავინაცვლოთ, იქითა ნაპირისკენ გავიცუროთ.

— ბარათშვილის სიახლოვით სევდის სიდიადეს განვიცდი, — მითხრა მან.

ხელში ისევ ეჭირა ბარათი. პოეტს ავხედე. მეც გულგატეხილი ვიყავი, სულით ობოლი. რა მალ-მალე გასმეტეს შხამ-სამსალას ცხოვრება.

— ბაღში ახლა სიმწვანე და სიწყნარეა. ხოჭოები ხის ფესვებთან ფუსფუსებენ. ჭიანჭველები ზამთრის თადარიგს იჭერენ. ნაზად ირწეა ძეწნა. მერე ნამგალა მთვარეც გამოჩნდება, თავდაფიწყებაც მოვა... გეთაყვა, მაგ ბარათს კი, გამომიწოდე და, აქვე ჩავუშვებ ნაგვის ყუთში.

უცებ ბელა აქვითინდა. დიდრონი ცრემლები ლაპალუპით სცვიოდა და კაბაზე ესხურებოდა გაზაფხულის წვიმის წვეთების მსგავსად.

ისევ შევაპარე, ნაკუწებად ვაქციოთ-მეთქი ბარათი. ყური არ გააპატუარა, ბარათი ჩანთაში ჩადო. შემდეგ ცრემლები მოიწმინდა და გამიღიმა.

— გალუმპულ ბეღურას დავემსგავსე?

— მალე მტრედებივით გადავეჭდობით, ასეთი წინათგრძნობა მაქვს.

— ნუ მიაყენებ შეურაცხყოფას ჩემს ოცნებას...

ჩვენს წინ მანქანა შეჩერდა. ახალგაზრდები ისხდნენ. გოგონამ, უკან რომ მოკალათებულიყო, ხელი დაგვიქნია. ბელას თანაკურსელი აღმოჩნდა.

ბელამ თმა შეისწორა, წამოდგა და მანქანისკენ გაეშურა. ტანის ნარნარი რხევით მიდიოდა. ნაცნობმა გოგონამ მანქანიდან თავი გამოჰყო. ბელა ოდნავ დაიხარა და აკოცა. ცოტა ხნის შემდეგ საჭესთან მჯდომმა ვაჟმა ხელი გაუწოდა და ბელამ ჩამოართვა. უსიამოვნოდ შემეკუმშა გული. მერე, ბელამ და თანაკურსელმა, როგორც მათი ასაკის გოგონებს სჩვევიათ ხოლმე, სიცილი ატეხეს. თუ კარგად ჩაუფიქრდები, მიხვდები, რომ უმიზეზო სიცილი ყმაწვილებსაც კი არ უხდებათ.

მარტოობა ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მზე ანათებს, შენს ირგვლივ კი სიბნელეა, გარშემო ხალხია, თავი კი შუა ზღვაში გგონია... როდესაც სა-

---

ბუბამ კაკაანაძე
ნივთი საკურნებელი

ტრფო სხვის მანქანასთან მოხდენილად დგას და იცინის, ესაა მარტომა.

ბოლოს მომიახლოვდა და მითხრა:

— კირილე, როგორ უნდა მოიქცე, ადამიანს როცა უჭირს?

— ხელი უნდა გაუწოდო.

— სათნო და გამგებიანი ვაჟი ხარ... თამილას... — თქვა და შეყოვნდა.

— ბებია უკვდება?

დაბადების დღეს იხდიდა. სამ ყმაწვილკაცთან ერთად წყნეთში მარტო წასვლა კი ეუხერხულებოდა. ასეთ ვითარებაში ბელა ვერ უღალატებდა.

— მაგრამ თუ მეტყვი, ნუ წახვალო, დავრჩები.

თავმოყვარე ვიყავი და კრინტი არ დამიძრავს. მაშინ წავიდა და მანქანაში ჩაჯდა. და თითქოს ღრუბლის ნაფლეთი ყოფილიყოს, ისე გაცურდა, გაქრა. ამ შემთხვევამ ზაფრის ქარები ამიტეხა.

ცხოვრება და სინამდვილე კიდევ ერთხელ შეეხო უხეში თითებით გულის იმ სიმებს, მწუხარებისა და გოდების წკრიალა ჰანგებს რომ გამოსცემენ დიდი ოსტატებით.

მეც მიმიზიდა მტკვარმა ანკარამ. ისიც ასეთ დროს ხომ არ გამორბოდა მის ნაპირებთან? მასაც ხომ არ უტრიალებდა ზოგჯერ თავში ერთი ყველაზე მაცდუნებელი და მკრეხელური აზრი?

ხიდის პირველი იარუსიდან გადავხედე დედა მდინარეს. ტალღები ხელს მიქნევდნენ, მიხმობდნენ... სიონში ზარები რეკავენ, წყლის სიღრმეში თევზები დაცურავენ, ცაში მერცხლები დაფრინავენ, ზემოთ მატარებელი მიჰქრის კახეთისაკენ... ამბობენ, ცხოვრებაც ისე გასხლტება, როგორც თევზი წყალში, ჩიტი ზეცაში და როგორც მატარებელი ლიანდაგზეო. ერთი გამვლელი მომიახლოვდა და რამდენიმე კითხვა მომცა:

— ცუდად ხომ არ გრძნობ თავს, ბიძიკო? რატომ გადეგს მკვდრის ფერი? ხომ არ გაგძარცვეს?

— არა.

იცნობ ვინმეს, ვინც კმაყოფილია ცხოვრებით?

— არა.

— მე ვიცნობ... ის შენს წინაშეა.

— თუ თქვენც უბედური ხართ და სხვებივით თვალთმაქცობთ?

— რას ბრძანებ, ბიძიკო... დღეს ზეიმია ჩემს ცხოვრებაში: სულ ახლახან მეზობელს ნახშირი ჩავუყარე წყალში — დერეფნის ნაწილი გამოსტაცე ხელიდან. ორი წელი დავრბოდი სასამართლოში, ორი თასსზე მეტი ფული გადავაყარე, და აი, გამარჯვებაც.

დავაკვირდი. თითქოს მართლაც ბედნიერი ჩანდა.

— რამდენი კვადრატული მეტრი იყო დაპყრობილი ტერიტორია?

— ექვსი... თუ ძალიან მოინდომებ რაიმეს, აუცილებლად მიაღწევ. ისე, ამ ორი წლის განმავლობაში, ბარე ორჯერ მეც მოვადექი მდინარეს... მაგრამ, ხომ ხედავ, ბრძოლამ რა იცის. ცხვირს ნუ ჩამოუშვებ. ცხოვრებაში წინააღმდეგობები რომ არ გვხვდებოდეს, მოწყენილობა გამეფდებოდა ქვეყანაზე. შენი სახელი?

— კირილე, ბატონო.

— კირილე, ორ-სამ თვეს შევისვენებ... შემდეგ, თუ ძალიან მომწყინდა, იმ დერეფნის დარჩენილ ნაწილსაც შევუტევ. სიცოცხლით მაშინ ტკბები, როდესაც სადმე უსაშველოდ ღვრი ოფლსა და სისხლს... შენი გაჭირვება რაში გამოიხატება?

რატომღაც მაშინვე სულმოკლე კაცივით წამოვაყრანტალე:

— შეყვარებულმა მიმატოვა, სხვას ჩაუჯდა მანქანაში.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა... აქამდე მართლა დაღუპული მეგონე... ფულის და ზინათის შოვნაა ძნელი, თორემ ქალებს რა გამოლევს... დედამიწაზე ყოველი მეორე ადამიანი დედაკაცია.

— გულის სწორი ერთია... აბა, როგორ გუნებაზე დადგები, როდესაც თვალსა და ხელს შორის გაგიცურებენ იმ ერთადერთს.

— კირილე, ამ წუთისოფელში არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. თავის

დროზე უფრო მეტ რამეს ჩაყლაპავ, მიგატოვებენ, კასრიდან ზეთს დაგისხამენ გზაზე, ფეხი რომ დაგისხლტეს და მოიტეხო... ამისთვის მტკვარში კი არ უნდა დურთო თავი, შენც ისე უნდა მოიქცე, როგორც სხვა — თანამშრომელი თამბაქოს ბოლს თუ ვერ იტანს, ხშირ-ხშირად გაუბოლე სიგარეტი ცხვირწინ, მეზობელს კარის წინ დაუდგი ნაგვის ყუთი, თუ შენკენ გადმოდგა, ისევ იქით მიუჩოჩე. როცა თანამდებობის კაცთან მოხვდები, წამოიყვირე, რომ თავისუფლება გიყვარს, მონები კი გეჯავრება. ეს გააღიზიანებს, შეაშინებს, შეიძლება ყურადღება მოგაქციოს და შენც დაგაწინაუროს... რწყილს ყველა გაურბის... რატომ?.. იმიტომ რომ დახტის და იკბინება. არავის მოსწონს, როცა კბენენ. ათასჯერ უფრო სასიამოვნოა, როცა სხვას გესლავ. ასეა ცხოვრება მოწყობილი — ყველა მოითხოვს, რომ სხვა პატიოსანი, წესიერი, ზრდილობიანი, კეთილი და მოწყალე იყოს, თავად კი ეს, რა თქმა უნდა, არ აწყობს... კირილე, გგონია, რომ მარო უსაშველოდ გიყვარს?

— ბელა ჰქვია.

— კი ბატონო, იყოს ბელა... მეორეს თინა ჰქვია, მესამეს ეკა, და ეს ეკა ისე ჰგავს იმ ბელას, შეცდომით ლოგინში რომ ჩაუწვე, ვერაფერს მიხვდები... ლეონის და ბლის ფოთლებივით ჰგვანან ერთმანეთს. ერთ თარგზე არიან გამოჭრილნი, ზოგჯერ კიდეც მიკვრის, როგორ ვარჩევთ ერთმანეთისგან. გინდა, დავმეგობრდეთ, გავცვალოთ სავიზიტო ბარათები? ჩემისთანა პრაქტიკულ ადამიანებს უნდა დაუახლოვდე... დღეს შენი ბელა სხვას ჩაუჯდა მანქანაში, ხვალ კი იმ მუტრუკის ეკა შენ მოგიჯდება გვერდით... მჯერა, დღეს რომ გიჯირს, მაგრამ ზეგ ან მაზეგ ყველაფერი გაგიკლის. ოღონდ თუ დღეს გულის კოვზთან მართლაც უსაშველოდ გიჯერს, ადექი და მთაწმინდაზე ადი. ყოველთვის ნიავი დაქრის იქ. ქარი დაგიქროლებს და აქეთ-იქით გაფანტავს იმ მაჯლაჯუნებს, მკერდის ძალის უკან რომ მოკალათებულან. ხომ ვერ მეტყვი, ტაძრის აგებას რატომ სჭირდება წლები, ხოლო ადამიანის ჩასახვას წამები?.. ახლა კი დაგეშვიდობები, კირილე, იყავ გაუტეხელი. ხომ აღარ ისკუპებ წყალში?

— არა, ბიძია.

— ჰოდა, ისე, პატარა კაცმა დიდი სისულელე არასოდეს არ უნდა ჩაიდინოს. მშვიდობით, ერიდე ქალებს და ხელმოცარულ ადამიანებს.

ბარათაშვილის ქუჩას გავყევი. ჭკუაში დამიჯდა უცნობის რჩევა და მთაწმინდისკენ გავწიე.

გერმანე და ესმა დაღვრემილები დამხვდნენ. ყველა უკმაყოფილოა რაღაცათი ამ ქვეყანაზე. უმეტეს ოჯახში სისუფთავე და წესრიგია, ამ ბინაში მცხოვრებ ადამიანთა სულში კი გამუდმებული ფუსფუსი და არეულობაა... ასეთ დროს სიხარულით უნდა დაასაჩუქრო მასპინძლები. მე კი მწუხარება მოვიტანე. ისევ ბელა მედგა თვალწინ.

ესმას მარცხენა ყვრიმალის ძვალთან ჩალურჯებული ლაქა მოუჩანს. ნუთუ სილა სტკიცა ამ ვირგლამ? ეს მეტისმეტია. გერმანემ გამომხედა და რაღაც ისე ნაღვლიანად გამიღიმა, რომ მთლად უგუნებოდ შევიქეს. დარდი ამოვიკითხე მის თვალებში. ცხოველური დარდი. გერმანე ბალახს არ ძოვს, უმ ხორცს არ შეექცევა, ბუდეს არ იწყობს მუხაზე, წყალს ჭიქიდან სვამს, სმის დროს ქათამივით მაღლა არ იხედება, უკანა თათებზე დადის გამართული, და ზოგჯერ მინც პირწავარდნილი პირუტყვია, პირუტყვივით დაბნეული, უსუსური. ამ აზრმა შემაძრწუნა და ცეკვების მოყვარულს ჭიქა არაყი ვთხოვე. სასმელი ჭმუნვას აქარვებს. დავლევ, აღარაფერი მაქვს დასაკარგავი.

როდესაც შევთვერით, გერმანემ ჩქარი ფოქსტროტი შემომთავაზა, ესმა გამხიარულდებაო. არ მეცეკვებოდა,

ბუხარ კაკანაძე
ნივთი საკურნებელი

მაგრამ მასპინძელს ხათრი ვერ გავუტეხე. შემდეგ აზარტში შევედით. ცეკვაც, როგორც ყოველი მოქმედება, როცა ფულისთვის და წარჩინებისთვის არ სრულდება, სადა და უბრალოა, მიმზიდველია და ცეცხლოვანი. იმწუთს სამიოვენი ვგრძნობდით როკვის პოეზიას.

ესმაც გამხიარულდა.

— რაინდები ვართ, ესმა, — ვთქვი ერთ-ერთი საცეკვაო ილეთის ჩატარების შემდეგ, — ხელაღებული მოქეიფეები, სიცოცხლის მფლანგველები... გერმანე, ოდნავ აიწიე თითის წვერებზე, ოდნავ გადაიხრიქე წელში, ოდნავ გაირინდე, და სიხარულის ბეღლის კარის გასაღებიც ხელში შეგრჩება... შავი ფერი და ნაღველი მოგონილია. აანთეთ ჩირაღდნები, დაწვით ბაყბაყდეები და ლექსიკონები!

— ლექსიკონები რა შუაშია? — გაუკვირდა გერმანეს.

ხარტონი გამახსენდა. გერმანესაც ასწავლიდა თავის დროზე ფიზიკას, ცხოვრების ატომებსა და ელექტრონებს. ვინც პრაქტიკულ ცხოვრებას ღიმილით უყურებს, ხარიოლოვით ისჯება. „დასჯილია ვითომ?“ — მკითხა გერმანემ. „აბა, კარგად დააკვირდი, კომედიანტი დგას ჩვენს წინაშე, კომედიანტი, რომელსაც სერიოზული როლების თამაშის პრეტენზია ჰქონდა“. ხარიტონი სიმბოლოა გაუგებრობის. უკვდავება, ცისარტყელა, პეპელა — შეიძლება საოცრება იყოს, ვინ შეუწოცა აკვანში, ვინ დაიფეთა ღელეში? შეიძლება ვაკანამ დაუზიანა მაშინ ფანტაზიის ცენტრი, რქები რომ ამოჰკრა ყვირილას ნაპირთან? რა უფლება აქვს, სხვასავით რომ არ ემსგავსება მელიას ან სვავს, ან მაიმუნს?.. ბევრი ვიმსჯელეთ მე და გერმანემ, მაგრამ აღმზრდელის ცხოვრების არსს მაინც ვერ ჩავწვდით. მე, ეტყობა, ჯერ ახალგაზრდა ვარ, გერმანეს კი მუქი სათვალე უშლის, ვიღაცებმა რომ ჩამოაფარეს თვალებზე. ნორმალური საშუალო გაქანების კაცი, დილიდან საღამომდე რომ ფუსფუსებს, გარბის და გამოიარ-ბის, ცოტ-ცოტას რომ იპარავს და ცოტ-ცოტას რომ თვალთმაქცობს, უფრო სასარგებლო და მისაბაძია ახალგაზრდობისათვისო... ამბობს გერმანე.

ესმამ გამიღიმა. ხომ არ ამაყობდა იმ სილურჯით, სახეზე რომ ჰქონდა აღბეჭდილი?.. ვუპასუხე. თვალებში მაინც ნაღველი ჩაბუდებია. საიდან მოვიდა? რა აკავშირებს გერმანესთან? ცხოვრების გზის საუკეთესო ნაწილი უკვე გავლილია, ცემა-ტყეება დაწყებულია. მალე სულშიც ჩაფრინდება უხილავი, ან გაბოროტდება ან სპეკულანტობას დაიწყებს, თუ არადა, რქებს დაადგამს მეუღლეს ან ნელ-ნელა ჩაქრება, უსიტყვოდ, უპრეტენზიოდ.

როდესაც ესმა ოთახიდან გავიდა, გერმანემ მითხრა:

— ღვინოს კარგად ვსვამ, ღონეც მერჩის, ლექსები არ მიყვარს, მუსიკისა ბევრი არაფერი გამეგება, როდესაც მეუბნებიან, შეხე, რა ლამაზად ბრუჟვიალებენ ვარსკვლავებიო, მხრებს ვიჩეჩავ, ვერც იებს და ზამბახებს ვამჩნევ მინდორში... სამი წლის წინ ესმას შევხვდი, და ეს სამი წელია, რაც სადღაც, სიღრმეში უცებ ერთდროულად ლექსიც გაჩნდა, მუსიკაც, ცის ციცინათელებიც და ყვავილებიც. ჩემს უაზრო ცხოვრებაში რაღაც გაუგებარი შემოიჭრა... ესმას გულისთვის ყველაფერს დავთმობ... კირილე, გაკვირდა?

— კი, გერმანე.

— მაშინ გამიგებ, რა ვიცოდი, რომ სიყვარულის სალარო ულევია და ვინც მისი სახსრებით სარგებლობს, ბენზინის გამყიდველზე უფრო მდიდარია... ოცდაშვიდი წელი სხვა სოფელში ვცხოვრობდი, უცხოეთში. ირგვლივ უცნობი სახეები, გულგრილი თვალები, ბამბით დაცობილი ყურები... ბედნიერი ადამიანები ამბობენ, რომ ბედი ყოველ ხეზე ჰკიდია, ყოველი ქვის ქვეშაა ამოდებული, ოღონდ იცოდე ხელის გაშვერა სწორი მიმართულებით და დროზეო... ასეა?

უცებ ოთხ კედელს შორის ყოფნა მომწყინდა. ლაყბობით თავს ვერ დაღწევ სიცარიელს. პოზიორობაც დამთრგუნეველია. როდესაც მოდუნდები, მინდორში უნდა გავარდე, საკუთარ თავთან უნდა დარჩე. იქ დაიმუხტები ისევ სიცოცხლის წყურვილით.

წამოვდექი და გამოვემშვიდობე მასპინძლებს.

— რა რწყილმა გიკბინა, კირილე? — მკითხა გაკვირვებულმა გერმანემ.

ზაფხულის ღამე ჩამოწოლილიყო მთაწმინდაზე.

ქვემოდან ორი გოგო მოჰყვებოდა ქუჩას. როდესაც მომიახლოვდნენ, შემაჩერეს. ჯინსები ეცვათ. ორივეს ჯვარი ეკიდა კისერზე. ორივე მიბნედილი, მილუშული თვალებით შემომცქეროდა. მაღალმა, ჭორფლიანმა მკითხა:

— სად მიხანიხარ?

— სიზმარში.

— არა... ხომ კარგი ყმაწვილი ხარ?

— ვარ.

— მაშინ თრიაქი მომაწევინე, — თაგვის კბილები გამოაჩინა.

— თრიაქი რა არის?

— ნათია, — ჭორფლიანმა გაჩხიკინებულ თანამგზავრს გადახედა. — არიფია, თუ თავს იკატუნებს?

— გვაპამპულებს, — თქვა გოგონამ, ხათუნა რომ ერქვა.

— შენი სახელი?

— დიომიდე.

— რა მოხელე ხარ?

— ანკესებს ვაგებ.

— დიომიდე, კაიფის სურვილი არ გაქვს? — მკითხა ნათიამ. — გინდა, მთვარეზე აგიყვანთ ასტრონავტებივით?

— საოცარი თვალები კი აქვს... ოღონდ, თითქოს ვიღაცამ ნაცარი შეაყარაო. სულ ცოტაც და, პირუტყვად იქცევა... დილაადრიან ადგება, ათჯერ ჩაბუქნავს, ათჯერ გაიზნიქება წელში, ისევ ჩაბუქნავს, სახელდახელოდ ისაუზმებს, გავარდება სამსახურში, მიუჯდება მაგიდას, მოიტყუებს თავს, მოატყუებს პატრონსან სახელმწიფოს, ექვსი საათისათვის ისევ გამოიქცევა, ისადილებს. ტელევიზორს მიუჯდება ან დღეობაზე წავა, იხტუნავებს, გაოფლიანდება, ბედნიერად იგრძნობს თავს, შინისკენ გამოიქცევა, დაიძინებს, გაიღვიძებს... მერე ისევ ერთი და იგივე... ხათუნი, ვუშველოთ?

— ტიპიური თბილისელი ქაჯია, შეევშვათ... შეხე, თმა ყალაზე დაუდგა.

— წახვამდის, ჩიტუნებო, — გავუღიმე გოგონებს.

იქ, ქვევით, კი, ბელა მელოდებოდა, და რასაც შემთხვევითი გამვლელები მპირდებოდნენ ცოტა ხნის წინ, ბელას ბაგეებმა ამისრულეს. უჩვეულო, გაურკვეველმა სიხომ და სიხარულმა აავსო მთელი სხეული.

ბულბული არ უსტვენდა, ნიავი არ ქროდა, ნამგალა მთვარეც არსად იყო... რა სისულელეა სტვენა და ქროლა!.. შეყვარებულები თავად ღიღინებენ და სხვების წახალისებას და დახმარებას არასდროს საჭიროებენ.

4

ოჯახში იმიტომ ვბრუნდებით, რომ ისევ გავთბეთ, ბუხარს მივუშვიროთ გათოშილი ხელები, დამტვერილი სახე დავიბანოთ, დაცარიელებული სტომაქი ამოვივსოთ, წავუძინოთ და მერე ისევ გავემზადოთ გმირობის, მსხვერპლის გაღების, გეგმების დროულად შესრულებისათვის... ოჰ, რამდენი ეკალბარდი და თხრილი უნდა გადალახო, ვიდრე საკუთარ ჭერქვეშ მოხვდები.

სამყაროს ველური სივრცის ხილვით დაღლილები მოვილტვით სახლისკენ და...

ისინი კი სხედან და დუმან. გაყინული სახეებიდან სუსხი იფრქვევა.

საზოგადოება ხუთი ადამიანისგან შედგება: მამა, დედა და სამი დიდი. იმ სამთაგან ორი შინაბერაა, მესამე კი — მაშო, სამჯერ იყო გათხოვილი. ახლა ოდნავ გამოუყვია ენა და მამა-

ბურაბ კაპანაძე
ნივთი საკურნეველი

ჩემს მისჩერებია... შევხედე მათ სახეებს, ღიმილის უნარიც კი დაუკარგავთ.

რატომღაც სიგარეტსაც არ აბოლებენ. სამივე დეიდა ამ მავნე ჩვეულს ჩუმი პროპაგანდისტია. მათი ხათრით დედაჩემმა, სონიამაც კი დაიწყო ბოლოს და ბოლოს თუთუნის წევა. დებს შორის ყველაზე უმცროსია, ჯერ არ გათთრებული, ჯერ ისევ მორიდებით შესცქერის უფროს დას — მაშოს.

ყველა ნათურა აუნთიათ ოთახში. რას მოასწავებს მათი მომუშუული ტუჩები? ახლა ფარსს წარმმიდგენენ, გამამხიარულებენ ან დამანაღვლიანებენ. სანაცვლოდ კი რას მომთხოვენ? კირილე, მოქნილი ჭაბუკი ხარ, არ დაკარგო სიფხიზლე, ველური მზერა შეანათე... ამბობენ, ერთმა ჩვენებურმა ბველის ხორცი მიირთვა და მრავალ საიდუმლოებას დაეპატრონაო. უეცრივ თუკი განთლდები, თუ აგეხილება თვალები, ფარდას თუ ჩამოგლეჯ ფარულსა და უხილავს, უარესსაც იკისრებ. მეც მზად ვარ. ოღონდ სინამდვილეში ასე რომ არ ხდება?..

მაშო ჩვენს ახლობლებში ყველაზე დიდი ადამიანია. ყოველთვის პირი აქვს დაბჩენილი და მარცხენა ქუთუთო დროდადრო უთამაშებს. ამ ქალმა თავის დროზე არაფრისგან რაღაცა შექმნა, და თანდათან პატივისცემა დაიმსახურა. ოღონდ მანამდე მასზედაც სხვადასხვა აზრს ავრცელებდნენ. ამბობდნენ, მაშომ ნიკი გაფანტა, ჯარს გაატანაო. ცხოვრებაში ხელმოცარულნი კი ამტკიცებდნენ, ნიკი კი არა, უშქარი ანკესი გაფანტა, გადაისროლა ქალაქშიო... ახლა იმ ანკესზე წარამარა წითელი თუმნიანები ეგებოდა. განათლებით ქიმიკოსი გახლდათ. სახლში კი ნაყენს აყენებდა, დაავადებულ ღვიძლს, ნაღვლის ბუშტსა და მუცლის სხვა ორგანოს შეღავათს რომ აძლევდა.

მძარცველი არ ყოფილა. მხოლოდ ხუთ ან ათ მანეთს ღებულობდა ბოთლ ნაყენში. მაგრამ თავიდან საქმის აწყობა მაინც ძნელი იყო. არაჩვეულებრივი ალღო ჰქონდა. მაშინ, საქმის დასაწყისში, მთელი ნიკი და მარცხენა მოანდომა ბრიყვების ლაყუჩებით დაჭერას. ჯერ რამდენიმე მოათვინიერა. თავის დროზე კი ოგეჩენის რაზმი არმიად იქცა... ერთხელ მამაჩემმა თქვა: შეჰყურებ მაშოს და თანდათან ხვდები, თუ როგორ მიაღწია წარმატებას ზოგიერთმა სასწაულმოქმედმა. ყველანი ერთი იდეით სარგებლობდნენ, სნობების დაჭერის იდეით. შემდეგ კი კოლექტიური ჰიპნოზი ამოქმედდება. ნახევრად ბრიყვები სრულფასოვან ბრიყვებად იქცევიან, ჭკვიანები კი ჯერ ნახევარ ბრიყვებად. თუ კი გაჯიუტდებიან, მაშინ ძალით გაბრიყვებენ... მაშო ნაყენში, ჩვეულებრივ, ტკივილდამაყუჩებელ საშუალებებს ურევდა. გაჭირვებულს პირველ ხანებში ველოდა. ასეა თუ ისე, მაშოს ნაყენი აღიარებული იყო ქალაქში. მეც ჰატივს ვცემდი ამ დეიდას. როდესაც ფინანსურ საკითხებში გაჭირვებას განვიცდიდი, მაშო ხელს მიწვდიდა. დაე, კიდევ დიდხანს უკანკალებდეს ამ ქალს ენა წვერი და დიდხანს შენარჩუნებოდეს უნარი წითელი ქაღალდების მოჯადოებისა. როდესაც ტელეფონზე დამირეკავს და თავისთან მიხმობს, ტანზე ჭიანჭველები დამირბენენ. თუ პაპანაქება სიცხეა, მაშინვე სიგრილეს ვიგრძნობ. ასე იქმნება წარუშლელი შთაბეჭდილება ნათესაობისა, სისხლისა და ხორცის კეთილშობილებისა და სიდიადისა. ეს ბედნიერების ერთ-ერთი ულამაზესი წამია, რასაც სიცოცხლე გთავაზობს.

აკულინასთან და რიმასთან სხვა დამოკიდებულება მაქვს. დღეგამოშვებით გვაკითხავენ და ისე არ წავლენ, ჭკუა რომ არ დაგვარიგონ. არა, ასეთ დეიდებს ვერ შევიყვარებ, ჩვენს თავებზე სხვადასხვა ვარსკვლავი კიაფობს, და ეს ის გზა არ არის, გაუგებრობის ლაბირინთიდან რომ გამოგიყვანოს. შეეცქერი და ეჭვი მეპარება ადამიანში. ცარიელი სიტყვები, პედაგოგობა ცუდ გუნებაზე მაყენებს, სადღაც ქრებიან

ჭიანჭველები, აღარ მესმის არაგვის ტალღების ტყლაშუნი, ძილი მერევა.

თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი. რა უნდა მომზდარიყო?

— თავლაფდასხმული არ ვარ, — ვთქვი ყოველი შემთხვევისათვის.

კუჭსზე გადასასვლელი გამოცდები ჩავაბარე. ოჯახის სიამაყე — ფაიფურის ვაზაც მთელია, არ გამიტეხია. ის დროც დიდი ხანია გაფრინდა, მეზობლის ზარის ღილაკზე რომ ვაჭერდი თითს. სიგარეტს თითქმის არ ვაბოლებ, არც ღვინოს ვეტანები მაინც-დამაინც. თითქმის აღარ ვლაპარაკობ ოჯახში, აღარ ვასწავლი ჭკუას მშობლებს. ვფრთხილობ და ვეშმაკობ, რომ არ ჩავთვლიმო და რაიმე არ შემომაპარონ... როდესაც გული ქვითინებს, საბანს ვიფარებ მკერდზე, რომ მისმა ხმებმა ახლობლები არ შეაწუხონ. არავის ესმის მწუხარების ჰანგები. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი უბედურება როდია, ეს სამყაროს ტრაგედიაა.

ჭკუის დარიგების გარდა, აკულინას უყვარდა გაზვიადება, დედაჩემის წაქეზება მამაჩემთან პატარ-პატარა შეტაკებისთვის, გიტარაზე დაკვრა, წერილების წერა, მაცხოვრის სახელის დაფიცება. ახლა კი მეუბნება:

— ყმაწვილი კაცი შეცდომებს ასე, თვრამეტიდან ოცდაოთხ წლამდე უშვებს. როცა თავში ბზე უყრია, ხოლო ჭკუა თვალებში აქვს. მაუდროება ინგრევა ამ ჭერქვეშ, — დასძენს მერე და მეკითხება:

— კირილე?.. სად დაკარგე სინდისი?.. რატომ გაგვიცრუე იმედები?

მეც ვიკითხე:

— ხომ ვერ მეტყვით, რატომ გვრძნობ ახლა თავს ფინიასავით?

— ჯერჯერობით ხმას ნუ ამოიღებ, — მთხოვა აკულინამ. — თუმცა, არა, მიპასუხე: ადამიანში რა გიზიდავს ყველაზე მეტად?

— სიმსუბუქე, სიმჩატე.

— დარწმუნდით?.. ყმაწვილები ამის ასაკში ოტროველები არიან.

— კირილე მჩატე ჭკუის არ არის, კირილე დაბნეულია, მოტყუებულია, დამიცვა დედამ.

მაშო მამაჩემს მიშტერებია, აკულინა — რიმას.

— ამ საქმეს სასწრაფოდ უნდა აეხადოს რიდე.

— მხოლოდ ღღეანდელი ღღით ცოცხლობს.

— მხოლოდ ცხოველმა არ იცის წარსული და მომავალი.

— ეს რა დოლაბი დატრიალდა ჩემს თავზე, — ვიყვირე. — ალყაში მომამწყვდიეთ?

ამბობენ, როცა დრო ჩიტივით მიფრინავს, როდესაც სკორეს კვლს არ ტოვებს, კარგიაო. მაგრამ ახლა იგი შეჩერდა, ქანდარაზე შემოჯდა. უხეში ფუნჯით აკაიქ ლაქები და შავი ზოლები რომ დატოვოს. როგორ ემსგავსება უხილავი წამი ბოროტსა და სათაელს. შეებრძოლები მუტრუკს, ზვავს, კაციჭამიას, პილატეს ცრემლს, უფსკრულს, მაგრამ უხილავს საიდან მიუდგები? გვაიდიოტებენ, გვაკნინებენ, გვაშინებენ, ადუღებულ წყალში გვაგდებენ...

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც მაშომ პირველად ამოიღო ხმა.

— რაზე გამართეთ ეს სულელური კამათი? პირდაპირ ჰკითხეთ ბიჭს, — ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა.

— თავად შეეკითხე.

— კირილე, ვინ არის ბელა?

...რა ვერაგულად დამეცნენ!

მაშომ ფურცელი გამომიწოდა. ქაღალდზე ჩემი ხელით ეწერა, რომ ბელა განძია, რომ თუ ამ სიმდიდრეს არ დავეპატრონე, სისხლი გამეყინება ძარღვებში, დამეკარგება თვალის ჩინი. ამ საქმეში დახმარებას უფალს ვთხოვდი. განძის დაპატრონებისათვის მზად ვიყავი დეიდებიც კი შემეწირა მსხვერპლად.

სამოიდე დღის წინ გამომთვრალი დაბრუნდი შინ. ყველას ეძინა. ირგვლივ

გურამ კაკანაძე
ნივთი საკურნებელი

სიწყნარე სუფევდა. მომხიბლავი მარტობა ვიგრძენი. ღიმილით მივუჯექი მაგიდას და რამდენიმე წერილი დავწერე ჩემთვის. სულის სიხარული, ტკივილი და საიდუმლოება გადავიტანე ფურცლებზე. მხოლოდ ფურცელს და ღამეს გავანდე გულის ნადები და არა ადამიანებს... შემდეგ თხზულებანი დავხიე, მაგრამ ერთი, ეტყობა, შემთხვევით დამრჩა მაგიდაზე. მეორე დღეს გვიან ავდექი და საიდუმლო ბარათი ხელთ იგდეს... ბრიყვები მეჯავრება, ბრიყვებს ყველაზე მეტად ვერ ვიტან დედამიწაზე. სხვა ბრიყვებს ბოლოს და ბოლოს ეგუები, მაგრამ, როდესაც საკუთარ თავში შეიცნობ ბრიყვს, უხერხულად იშმუშნები... ვინ გაჰყვიროს საქვეყნოდ სიყვარულზე?.. ვინ ამზეურებს მას?.. სიყვარულს მალვა უნდა, ვითარცა ვარსკვლავისოდენა ბრილიანტს, ვითარცა ჭკუას და ნიჭსა, რომ არ მოგტაცონ, რომ არ წაჰკრან ფრთები...

თვალს არ მაშორებდნენ. მივხვდი, ჩემი ოცნებისთვის ყელში დანის გამოსმა გადაეწყვიტათ. სისასტიკეს ვერ ვიტან, ვერც ჩოგბურთის მოედანზე და ვერც ცხოვრებაში. ცუდია, როდესაც ერთი მეორეს ჩაგრავს. ჩოგბურთის კორტზე ამის უფლებას აღარავის ვაძლევ. ამ თამაშის საიდუმლოებას დავეუფლე. მაგრამ თანდათან ვხვდები, რომ ცხოვრება ათასჯერ უფრო რთულია, და მისი მოედანი უკიდეგანო და ჭრელია. როგორ გავითამაშო ჩემი პარტია, ვის მივბაძო, რა ილეთებს დავეუფლო?..

— მაშო მაინც რატომ გაიმეტე?

— იმიტომ რომ სიყვარული ქვედა საცვალი არ არის, წარამარა რომ იცვალო.

— რაებს როშავ! — იყვირა აკულინამ.

— ნუ მკრეხელობ!.. მაშო ჩვენი მწყემსია.

— ბოლოს და ბოლოს ეს ჩემი პიროდი საქმეა, — ჩავიბურტყუნე გაბრაზებულმა.

მათ სხვა აზრი აღმოაჩნდათ. თურმე ჩემი სიყვარულიც მთელი ოჯახის საქმე ყოფილა. თუ ოჯახის ერთ წევრს თვალები ბურუსით და ნისლით ეფარება, სხვა წევრების ვალია, მაშინვე მისცვივდნენ მას და გაუფანტონ ეს ბურუსი.

— სიყვარული ჰიმნია და არა კვამლი, — მივუგე მათ. — ბელა კი უზადოა.

სიყვარულისა რა გაეგებათ. ცხოვრებაში მხოლოდ პარადული, საზეიმო ხიბლავთ და არ ესმით, რომ ჯაბაბაზზე მეტად სასაცილოა, ვინც ტარიელს სიყვარულის ავ-კარგს ასწავლის.

ბელას შესახებ ყველაფერი შეუტყვიათ. ბელას მშობლები დაშორებულნი იყვნენ. გაბზარულ ოჯახში ყველაფერი იბზარება, პირველ რიგში გული და მატერიალური სიძლიერის ხერხემალიო. ხასიათი მერყევი ხდება, იშლება პიროვნებაო... თავისი აღლით ზომავენ ყველაფერს.

— როგორ აპირებ ოჯახის შენახვას?.. თვალებზე მისაკრავი ცალი ფულიც არ გაბადია.

მარადიული კითხვაა.

— მარჯვენათი, ჩემი ჩოგითა და ნებისყოფით... ჯერჯერობით... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მაღაზიაში ან სასადილოში მიმიწვევენ გამგედ...

მაშოს მიაკქერდნენ.

— მართალია, კირილე, — თქვა მან. — მაგან ეს-ესაა აღმოაჩინა, რომ გოგოს მკერდი არც ორი ატამია და არც ორი მტრედი, როგორც ზოგიერთი უცოდინარი აღიარებს ხოლმე... და ახლა ვერაფრით ვერ შეაცვლევინებთ აზრს, სანამ ისევ თვითონ არ მიხვდება... ახლა ყვირილობის პერიოდი დაუდგა.

— როგორ მოვიქცეთ?

— მე სიყვარულის მხარეზე ვდგები.

— როგორ გავიგოთ?!

— ვინც სიყვარული იცის, ყველაფერს მიაღწევს. შეყვარებული უცნო ფრინველს მაგონებს. შეყვარებულები ოქროს ლირაზე უკრავენ. ეს ჰანგები

ირგვლივ იფანტება, ანაყოფიერებს მიწას, ფანტავს ღრუბელს, დაბავსებისაგან იცავს სულს... აკუნინ, ლიმონათი დამისხი, გეთაყვა.

აკუნინამ და რომამ ცხვირები ჩამოუშვეს. ასე გაუხუნდათ ლილა.

თავისუფლად ვსუნთქავ. მაშო კი შავტარა დანაა. ისევ გამოუყვია ენა და სადღაც იყურება.

5

მოღრუბლული დღეა. ცხელა. ყურჩამოყრილი ხეები. გამოფიტული სახეები. მტვრიანი ქუჩა, მანქანები. არც ტყეები, არც ჩანჩქერი და არც შადრევანი. და მაინც კარგ გუნებაზე ხარ. გიყვარს ახლობელი, ქუჩა, საიდუმლოებანი. ყმაწვილური განცვიფრების და მოხიბვლის უნარი ისევ ჩქეფს. შავმა კატამ გადამირბინა, ვითომც არაფერი. ერთ სახლთან მეორე სართულიდან პატარა ბიშმა წყალი გადამასხა თავზე, შენც არ მომიკვდე, არ გავცეცხლებულვარ. აგერ წელში მოხრილი ოთხმოც წელს გადაცილებული დედაბერი მოდის. შემიძლია გადავეხვიო, მხრებზე გადავხვიო ხელი და ქუჩის მეორე მხარეს გადავიყვანო. სხვა დროს ბაირაღებსაც ხედავ, შადრევანსაც, აურაცხელ თაიგულს, საახალწლო ნაძვის ხესაც, და გული მაინც დუმს. ეტყობა, დროშები, მზე, დღესასწაულები მაინც მოგონილია, მოჩვენებითია. ბაირაღები, ცისარტყელები, ახალი წელი თვითონ ჩვენშია სადღაც ჩაბუდებული და როდესაც იფეთქებს, კმაყოფილ იერს ღებულობ და ლაღად მიაბიჯებ... საკვირველია, რამდენ რამეს აღმოაჩენ ხოლმე უეცრივ ამ ქვეყანაზე, როგორ იქცევა ზოგჯერ უცნაური საცნაურად.

თვალის ეკალი ფურცელაძის ქუჩაზე შემეფეთა, ზემოდან ჩამოდიოდა. გამოცვლილი მეჩვენა. თითქოს გადაღლილი, გაფანტული იყო. თვალები მოუსვენრად დაურბოდნენ. გუშინ ჩამოფრენილიყო მოსკოვიდან. უამინდობის გამო აეროპორტში გაათენეს. აუტანელია ლოდინი. ერთი თვის წინ ფარსმანზე ვინმეს აუგი რომ ეთქვა, არ დავენდობდი. რამდენსა წყალმა ჩაიარა... ბნელ ხნის განმავლობაში. ვინ მოაგროვებს მინდორში ჯიბიდან გადმობნეულ მზესუმზირას?.. და კიდევ ერთხელ შევადარე ცხოვრება ჩოგბურთს, ადამიანები — ჩოგბურთელებს. თუ დაბადებისთანავე ზენაარსმა არ მოგიძღვნა საჩუქარი, საათობით ვარჯიშიც კი ვერ გიშველის, ვერ დადგება შენგან ჩოგბურთელი, ამ თამაშს ალღოს ვერ აუღებ, მოსაწყენი, სასაცილო, საპამპულო მოგეჩვენება. ასევეა ალბათ ცხოვრებაშიც, აქაც არიან გამარჯვებულები, ცხოვრების ნამდვილი ჩემპიონები, პრიზიორები. ისინიც ერთეულებია, დაუნახავნი. ზიზილ-პიპილები ზემოდან კი არ აბნევიათ მკერდზე, არამედ გულში აქვთ ჩამალული, სიღრმეში, შეუმჩნევლად.

ოთხ საათზე ბელას დავურეკე. ცუდი სიზმარი ენახა და თავი სტკიოდა. შემომჰრივლა, კბილივით რატომ არ შეიძლება ტკბილის ნაწილის ამოღებაო. იცვლიან თირკმელს, თვალის რქოვანასა, გულს, რწმენას, მეგობარსაო...

„ბელა, — ვუთხარი ყურმილში. — დამიბრუნე სიმყუდროვე და სიცოცხლე“.

პირველ შეხვედრისთანავეო, მიპასუხა. რატომ არ სჯეროდა, ჩემი სიცოცხლის ერთადერთი ღიმილი რომ იყო? ურწმუნოება თითქმის ისეთივე მდგომარეობაა, როდესაც ცარიელი ზანდუკი გიდევს ოთახში და იმის შნოც კი არ გაგაჩნია, წარმოდგენით, ოცნებით რომ გატენო იგი. ფსკერზე დაშვებული კაციც კი ინარჩუნებს რაღაც ხალისსა და მრწამს — ან მთვარის სჯერა ან ცეცხლის, ან აღმოსავლეთის, ან დასავლეთის, ან ხორცის ან სულის, და ბელასავით წარამარა არ იცვლის ფილოსოფიას და შეხედულებას.

სადამზე ფარსმანი მეწვია. ზღაპრული ჩოგი გამომიწოდა. ეს ბადე იყო, სადაც უნდა გავხლართულიყავი.

ბუბუა კაპანაძე
ნიკეთი საკურნებელი

საჩუქარი გადაგვარჩენს რამდენიმე ხნით, დაგვაბარუნებს უდარდელ ბავშვობაში, ზეწარს გადაეფარებს უნდობლობას, ეს ჯადოსნური მისიის ოქროს ბადე. შემდეგ ჩამოვსხდებით და ერთმანეთს აზრი გავუზიარეთ ფეხბურთელებზე. ისიც გამანდო, რომ სიცოცხლეზე შეუვარებული გახლდათ და რომ ვერ წარმოედგინა, თუ როგორ წყვეტილის ზოგიერთი ადამიანი დაბადების დღეს. პარიზზე და ბელაზე კრინტი არ დაგვიძრავს.

ათი საათისათვის ისევ დავურეკე ბელას. შინ არ ბრძანდებოდა. ფარსმანს ხომ არ შეხვდა? ძლივს შევიკავე თავი. ქინძისთავი გამიყარეს გულში. ასობით ადამიანს ვიცნობ, სატევარიც რომ ჩასცეთ მკერდში, ვერ იგრძნობს. ჩემთვის ქინძისთავიც საკმარისია, სასიკვდილო ჭრილობა რომ მომაყენოს...

მეორე დღეს თავად დამირეკა ბელამ და მინაზებული ხმით მაცნობა, ფარსმანმა საფრანგეთიდან ჯინსის კაბა ჩამომიტანაო. ისევ დაირაზმნენ საგანგაშოდ უჯრედები. ეს შეტყობინება ჩვეულებრივ ადამიანს შეაცბუნებდა და საბოლოოდ მოტეხავდა. მე კი ჭკითხე, ხომ კარგად მოგვიდა-მეთქი. „ზედ ჩემზეა გამოჭრილი“, — მიპასუხა. ჩინებული მხედველობა მაქვს და სულ არ მჭირდება დურბინდი, ბედნიერებით გაბრწყინებული სახე რომ შევამჩნიო. როდესაც ყურმილი დავდე, დიდი ხნით ჩავფიქრდი. დავიბენი, ვერასგზით ვერ მივხვდი, რატომ დავკარგე უეცრად სწრაფვა მიზნისა და ცხოვრებისაკენ.

ისევ გაისმა ტელეფონის წყვეტილი ზარი. წრიპინა ხმით პაემანს მინიშნავდნენ „რუსთაველის“ კინოსთან. „რამდენი წლის ბრძანდებით?“ — ვკითხე უცნობ გოგონას. „ჩვიდმეტის“. „თუ თორმეტის?“ „თორმეტი წლის საუკუნის წინ ვიყავი, ახლა ზოგჯერ სიგარეტსაც ვაბოლებ“. „სიგარეტს წევა კუდაბზიკობაა“. კირილე, რას წარმოდგენს მთის გულზე დაღვრილი ნაკადული?“ „რა გქვია?“ „ეკა“. „ეკატერინე, ეგ იმ გოგონებს ჰკითხე, მინდვრებში რომ მუშაობენ, ვისაც ის სტაფილო და კარტოფილი მოჰყავს, ეგეთი რომ მიირთმევ უდარდელად...“ „რა სასიამოვნო ტემბრია... კირილე, თითქმის დაბერდი და მთის გულიდან გადმოვარდნილ ნაკადულისასთან კი თვალი არ შემოვლია... დამდე პატივი, მაჩვენე თავი“. „ნახვამდის, ეკატერინე“. „ზოგჯერ რომ დაგირეკო, ხომ სიხარულით აგითრთოლდება გული?“ მივუგე, რომ ... რადგან სიცოცხე ზადია და უცნობ გოგონასთანაც არ უნდა იკადრო... ვინ მირეკავდა? ალბათ მეზობლის გოგონა, ნინო ან იქნება ქეთინო?

თავშესაფარში წავედი — ჩოგბურთის კორტს მივაკითხე. ათჯერ შემოვურბინე სტადიონს, შემდეგ მოვდანზე გავედი და თითქმის მთელი საათის განმავლობაში ბურთის „მიწოდებას“ ვამუშავებდი. სტადიონზე ნანი ბრეგვაძის ხმა იღვრებოდა. როდესაც ცის თაღის ქვეშ მაგნიტოფონის ხმა მესმის, ყოველთვის ზღვა მაგონდება, კატერები, ტალღები, ფიონები, პალმები, თოლიები, მეთევზეები, გარუჯული დამსვენებლები. ზღვა მიზიდავს, შთამაგონებს, ენერგიით მავსებს. ფეხებთან ოცამდე ბურთი მედო და ზედიზედ ვტყორცნიდი მოპირდაპირე კვადრატში. მოაჯირს ორი პატარა ბიჭი მოადგა, ჩოგბურთელები. სასიამოვნოა, როდესაც თვალყურს გადევნებენ. მაყურებლის გარეშე წარმოუდგენელია თამაში, როგორც მინდორში, ისე ცხოვრებაში. მაყურებელი, თუნდაც ორი პატარა ბიჭი, იგივეა, რაც წვიმის წვეთები მცენარისთვის... სულიერ სიმშვიდეს განვიცდი. მზად ვარ ცხოვრების დარჩენილი გზის გასავლელად „ბიჭებო, ვერავითარი ძალა ვერ მოტეხავს ნამდვილი მამაკაცის სულს. თუ დიდი გაჭირვების წინაშე აღმოჩნდით, მაინც არ მოიდრეკოთ მუხლი...“

ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი ბიჭი მომიახლოვდა და მკითხა:

— ბიძია, არ მოგწყენდათ ბურთების სროლა?

სახტად დავრჩი. შემდეგ ავენთე:

— როგორ მიბედავ!.. რომელ სკოლაში სწავლობ?

— პირველში, რუსთაველის გამზირზე... ჩვენი დროა და ჩვენც გვინდა თამაში.

— ვინ გამოგგზავნათ?

— არავინ.

— მოდი, ერთად ვითამაშოდ.

— იცდრებთ ჩვენთან თამაშს?

— რატომაც არა.

ბიჭმა ამხანაგს უხმო და მოედნის მეორე მხრისკენ გაიქცნენ. საერთოდ, ყველა ჩოგბურთელის ოცნებაა, შეჯიბრების დროს სუსტს შეხვდეს, ვარჯიშის შემთხვევაში კი ძლიერს. დღეს სამოვნებას მივანიჭებ პატარებს. ეს პედაგოგიური ჟინიცაა ალბათ, ხარიტონმა რომ გამიღვივა უნებურად. ცოდნა უვიცობას და სიბრიყვეს ებრძვის. მასწავლებელს განათლება შეაქვს ბრბოში, გადასცემს იმ საუკეთესოს, რაც კაცობრობას საუკუნეების განმავლობაში დაუგროვებია. ჩემს გვერდით, მეოთხე მოედანზე გივი და სერგო თამაშობენ.

ფანტასტიკურ სამყაროში ვცხოვრობ, ჩოგბურთმა რომ შექმნა.

სინამდვილეში მეორე დღეს მოვხვდი. ბელას თვალწარბში ვუყურებ. ასეთ გაბრწყინებულ სახეს სცენაზეც ვერ წააწყდებით. თითქოს არდადეგებს ბიჭვინთაში ატარებდა უფასოდ, ერთ-ერთ ფეშენებელურ დასასვენებელ სახლში.

— რა სასიამოვნო სუნი აგდის გულმკერდიდან.

— ფრანგული სუნამოა.

— უკეთურმა ჩამოგიტანა?

— ფარსმანს ძალიან უყვარხარ... უნდა აპატიო, ფრანგულ წინდებსაც გაჩუქებს ამ დღეებში.

— პატიოსან სახელს წინდებში არ გავცვლი.

ჩემს წინ ჩვეულებრივი მოკვდავი დგას. უდაბნოსავით გადატრუსული. თვალებზე ლიბრი აქვს გადაკრული, ამას ჰეგრიტიც რომ გაუწოდო, მაინც ვეღარაფერს დაინახავს. აი, თურმე ვისთან ერთად ვაპირებდი გაქცევას თავისუფალ და ველურ მხარეში... ვგრძნობ, საცაა სასიკვდილო განაჩენს გამომიტანს. მესმის, ვხედავ.

— იქ დარჩი, მწვერვალზე? — მეკითხება.

— შენ?

— დედამიწაზე ჩამოვედი.

— დედამიწაზე ვის გადაეყარე?

თვალები დახარა.

ნავში ვდგავარ ახლახან ძირი რომ გაუხვრიტეს. წყლით ივსება ხის ჭურჭელი. საცაა ჩაიძირება, საცაა ნიანგების კერძი გავხდები...

— ნახვამდის, კირილე... ალბათ ყველაფერს მიხვდი.

— მშვიდობით, ბელა.

6

ისევ ავუშვით იალქნები და ლენინგრადისკენ გავფრინდით. თვითმფრინავში მწვრთნელმა გვითხრა, თქვენ დროებით მონებად იქცევით, მე — მონათმფლობელადო. მაშინ ვკითხეთ: „რამდენი ხნით?“ „ერთი კვირით“ — გვიპასუხა. ჩვენ თავები დავუქნიეთ.

იქ თამამად ვითამაშე და კოჭიც ალჩუზე დამიჯდა, „დინამოს“ პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავე. მოკრძალებით, უბრალოებით მივაღწიე წარმატებას. ზეცისთვის თავი არ მიმიჭერია.

თამაშის შემდეგ ნევაზე გასეირნება კატერით. კატერში კი ტვინის ჭყლეტა, ვინ დაპატიჟო საღამოზე კაფეში, რომელი ჩოგბურთელი ან ნევის პირველი გოგონა წამოაგო ანკესზე. ტალღები კი ასკდებიან კედლებს, აწყდებიან და იფანტებიან. და ბიჭებს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. რომ, თურმე, ასევე აწყდება სიცოცხლის შეუვალ ჯებირებს სურვილები, პატივმოყვარეობა...

ისევ თბილისის ქუჩები. მოგზაურობით გამოწვეული სევდანარევი სიხა-

გურამ კაკაბაძე
ნიკეთი საყურნებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული. მთები, მდელოები, მდინარეები, სახლები, ადამიანები — რამდენმა საგანმა და სახემ გაიელვა ამ ერთი კვირის განმავლობაში. და მალე ყველაფერი სიზმარივით დარჩება, ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკინძულ მოგონებად. ოღონდ უკვალოდ მაინც არაფერი ქრება. ამბობენ, ეს მოჩვენებები საკუთარი თავის შეცნობაში გვეხმარებაო.

ეზოში ქეთინო შემომეყარა. ერთი თვეა, რაც არ მინახავს. ჩანთა მიწაზე დაეუშვი. ერთ თვეში ქალიშვილი გამხდარა. ქვას წამოჰკრა ფეხი და წაიბორძიკა.

— ქალიშვილო, ფრთხილად, თქვენ სამშობლოს სჭირდებით. — ვუთხარი.

შემომანათა თვალები, გაწითლდა. ვის **ურ**ეკავდა ამ ერთი კვირის განმავლობაში? ვალს-ბოსტონი რომ ვასწავლო? მასთან ერთად სიმღერებსაც მოვუსმენდი. ქვეყანა, გოგონების გარეშე, იგივეა, რაც უსიზმრო ღამე, უზღაპრო გატარებული ბავშვობა.

გასაღები ჩანთაში მედო. ამოვიღე. გასაღები იმ ხიდის შესადარია, ციხე-კოშკში შესვლის უფლებას რომ განიჭებს. მაშ, ჩამოუშვით ხიდი, რაინდი კირილე შინ დაბრუნდა გამარჯვებული.

ოთახში პირველად რიმასა და აკულინას შევეჩეხე. თავაზიანად ჩამოვართვი ორივეს ხელი. შემდეგ დედა გამოვიდა სამზარეულოდან. დედას მოღიმარი მამა გამოჰყვა. მათაც გავუწოდე ხელი.

— ახლავე გადაკოცნე მშობლები! — მიბრძანა რიმამ.

— ლენინგრადში გრიპის ეპიდემია მძვინვარებს. ხოლო ნევაში ქოლერის ვიბრიონებიც აღმოაჩინეს, — ვუთხარი დედას.

— მაშინ სწორად იქცევი, რომ არ ეხვევი ყველაზე ახლობელ ადამიანებს.

ეოტა ხნის შემდეგ დეიდებმა საქმე მოიმზეზეს და სახლიდან გაიპარნენ. მამა რატომღაც ძალიან გამხიარულდა და ჯადრაკის თამაში შემომთავაზა. ჯადრაკი ხშირად ის ხიდი იყო, ჩვენს ურთიერთობას რომ აერთებდა. თამაშიც მიტაცებდა, რადგან წაგებული ბანი ნეოს იხდიდა. წაგებული, რა თქმა უნდა, ის იყო მუდამ. მაგრამ შემდეგ ყველაფერს მიხვდა და სანაძლეო თანხა ათ კაპიკამდე დაიყვანა. ჩიტი ბდღვნად არ ღირდა და მალე უარი ვთქვი ამ საოჯახო ორთაბრძოლებზე. მაგრამ ახლა ერთმა აზრმა გამიელვა თავში, დაფაზე ფიგურები დავაწყვეთ და ნინ დავძარით პიაკები. შუა თამაშში ვკითხე:

— ეფენდი, ფარსმანს ხომ არ დაურეკავს?

— არა, — მოკლედ მომიგო.

— სხვას?

არ მიპასუხა, თამაშით იყო გართული. ისევ გავუმეორე კითხვა. მაინც არ გამოიღო ყურებიდან ბამბა. მაშინ გავბრაზდი, და ზედიზედ სამი ხელი მოვუგე. ინდაურივით გაიფოფრა, ჩაახველა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

ტელეფონი დუმდა. ლენინგრადიდან ბელას ფრანგი იმპრესიონისტების რეპროდუქციები ჩამოვუტანე. ჩემს ოთახში გავედი, საწოლზე წამოვწექი და სათითაოდ დადავთვალიერე. გამეღიმა. ნამდვილი ჯინსის კაბას რენუარი, მანე და მონე რა კონკურენციას გაუწევდა! საწოლიდან წამოვხტი და სარკეში შევთვალიერე დეზებჩამოყრილი მამალი. შემდეგ ხელისგულზე დავიხედე და ოდნავ დავმშვიდდი — სადა ზედაპირი, თითქმის არც ერთი ხაზი. ის, ვისაც ასეთი ხელისგული აქვს, მშვენიერი ქალის სიყვარულის ღირსია. თამამად გავწიე ტელეფონისკენ.

არ მიპასუხეს. იმ გარეწართან სეირნობს ალბათ. ჯვრის ორ ძელზე ვარ გაკრული... „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი...“ ცუდია, საკუთარი არსებობის უაზრობის მომსწრე რომ ხდები. ღმერთმა გაშოროთ ყოველდღიური ფუსფუსის უნაყოფობის შეგრძნობაც. ნურც საკუთარ თავთან დარჩებით პირისპირ. ასეთ დროს თქვენზე უბედურს მიაკითხეთ...

ამ კაცს, ჩემს წინ რომ იჯდა, ზოგჯერ მიწიწებით შევცქეროდი, ზოგჯერ ზომიერ ზიზღსაც იწვევდა ჩემში, წამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად მეშინოდა თითქოს, მაგრამ უფრო მეტად მაინც მეცოდებოდა. ალბათ ჭეშმარიტების მოციქულად წარმოედგინა თავი. ამბობენ, ვინც ნამუსს ვერ კარგავს, ვერაფერს აღწევს ცხოვრებაშიო. შევცქეროდი და სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა. ის ერთ ნაპირზე იდგა, მე, მადლობა ღმერთს, მოპირდაპირე მხარეს. საინტერესოა, როდის ჩაიქნევს საბოლოოდ ყველაფერზე ხელს.

— მასწ, ზოგჯერ არ გეჩვენებათ, რომ ვიღაც დაგვცინის ჩუმ-ჩუმად?

— კონსტანტინე, კარის მეზობელი, ყოველდღე ღიმილით მაცილებს სკოლისკენ.

— არა, კონსტანტინეზე ძლიერი, უხილავი.

— ყავას ხომ არ დალევდი?

— შეიძლება თუ არა, რომ ჩვენი დედამიწა ვიღაცის სათამაშო იყოს?

— ასე ხელმოცარულს პირველად გხედავ, — მითხრა ხარიტონმა.

— წამიგია კიდეც, ზოგჯერ მოგებული თამაშიც გამოუტაცეთ ხელიდან, უნიჭოს წინ დამიყრია ფარ-ხმალი და ჩოგი, მაგრამ ასეთი დარტყმა ჯერ არასადროს მიგვია... რომელ ხვრელში გაძვრე, ისევ რომ ვიხილო დღის ნათელი?.. ერთადერთი კაცი ხარ, ვისაც მჯერა, ვისგანაც შველის არ ვითაკილებ.

ხარიტონი დაფიქრდა. მოწაფის გულისთვის წყალში გადავარდებოდა. ეს იშვიათი თვისებაა ჩვენს დროში. ასეთ რამეს მოთხრობაში თუ წაიწყდები. მას შეეძლო იმ ტვირთის შემსუბუქება, რომელიც პატარა კაცს დაწვება ხოლმე მხრებზე.

რადგან დიდხანს ფიქრობდა, ისევ მე ამოვიღე ხმა:

— არ შეიძლება, რომ გამყინონ და ოცდაათი-ორმოცი წლის შემდეგ გამათბონ?.. ყველაფერი დამთავრებული იქნება.

— როგორ, — იყვირა ხარიტონმა. — ქვეშიდან გინდა გამოხვიდე?.. სხვისი ხელით გინდა ბედნიერების და თავისუფლების მოპოვება?

გულდაწყვეტილი წამოვდექი. აქაც ვერ წავაწყდი იმ ნივთს, გამწარებულმა ვფიქრობ, რომ დავეძებდი. ნუგეშს გადამყოფველებთანაც ვეღარ იშოვნი. არავინ დაგდებს თავზე ბალბას.

ხარიტონისაგან წამოსულმა საპარიკმახეროში შევიარე. გადამპარსე, ვუთხარი დალაქს. დალაქმა თვალები დაამყიტა, ტიფი ხომ არ გაქვსო. არამეთქი. მაშინ ასეთ თმას ხელს ვერ ვახლებო. ბოლოს მაინც შევთანხმდით. მოკლედ შემკრეჭდა.

— იაფფასიანი ოდეკალონის მოსხურებაც არ დაგავიწყდეს.

— აუცილებლად შეგაფრქვევ, — მითხრა. — აფსუს, რა თმა გქონდა... ჯარში მიჰყავხართ?

— ჩემპიონი ვარ.

— ვა!..

როდესაც მარტო დავრჩი, სარკეში ჩავიხედე. მომეწონა განადგურებული კაცის სახის დანახვა. სამართებელიც ხომ არ ჩამოვისვა ღაწვზე? მტოვებული ადამიანი გარინდებული იდგა.

ამ დროს მწვრთნელმა დამირეკა და სასწრაფოდ თავისთან მიხმო. ავტობუსში გული სასიამოვნოდ მიძგერდა. მაინც სულ სხვაა ჩოგბურთი, არასოდეს არ მოალტობდა, საიმედო მეგობარი იყო. კარი მწვრთნელმა გამიღო და მაშინვე მომიწონა თმის ახალი წყობა. ჩოგბურთელს, ისევე როგორც ზვიგენს, თმა არ სჭირდებაო. ჩაის სმის დროს სხვათა შორის მითხრა, სამი დღის შემდეგ მოსკოვში უნდა გაფრინდე შეკრებაზეო. იქიდან კი შვეიცარიაში გავემგზავრებოდი ტურნირში მონაწილეობისთვის, დიდი ჩოგბურთელის — ბორგის სამშობლოში.

— ახლა უამრავი მტერი გაგიჩნდება, ზოგი აშკარად, ზოგიც ფარულად შეეცდება შენს ნიჭს დროულად შეაკრიჭოს თმა, — მითხრა მწვრთნელმა და ღიმილით თვალი შეავლო ჩემს თავს.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. ბელას ცისფერ კაბას ჩამოვუტან საზღვარგარეთიდან. ერთადერთს, განუმეო-

ბუბა კაკაბაძე
ნივთი საკურნეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელს. ლორჯ ფერიად იქცევა. იტყვიან, კირილემ ფერის ფასი იცის, მთელი ცხოვრება გატაცებული იყო, ჯერ ხილვით, შემდეგ თამაშით, ბოლოს კი სიყვარულითო. ზოგ სამეში წარმატებას მიაღწია, ზოგან დამარცდა, მაგრამ სულით არასოდეს დაცემული, არ გაუყიდია რწმენა, ამიტომაც ამდგარა ისევ დამარცხებული, შეუცნობლად ცდილობდა დაემტკიცებია ადამიანის უძლეველობის იდეა. ქამხა-ატლასი და ასდოლარიანი ცისფერი კაბა, ცხოვრების პოეზია, ლტოლვა და სურვილი. ჩვენ სასაცილოდ ავიგდებთ ყველას, ვისაც ცხოვრებისეული წვრილმანები მტრულად განაწყობს იმ საოცარ სამყაროსადმი, სადაც ვტრიალებთ და ვბუქნავთ. მშიშარა და ურწმუნო კაცი უცეტ იღუპება. დავრგავთ ხეებს, გავთოხნით ყანას, კოოპერატიული ბინის მშენებლობაში შესვლისთვისაც ვიბრძოლებთ, ტელეფონსაც დავიდგამთ, სხვა პატარ-პატარა ომებსაც მოვიგებთ და მერე, როდესაც მივიხედეთ, რომ უკვე დროა მოსვენებისა, სხვებივით არ ვიტყვით, რომ ყველაფერი ამაოებაა, სიცოცხლეს ზურგს არ შეგაქცევთ. საზღვარგარეთ ჯიქივით ვეკვეთები მოწინააღმდეგეს, გამარჯვებას გამარჯვებაზე მოვიპოვებ. ბელა, შენც უცოდველი ხარ. სათაელი, ფარსმანის სახით რომ გამოგეცხადა საფრანგეთიდან ჯინსის კაბით, ყველა გოგონას შეაცდენდა... გავმაგრდეთ. სტოკჰოლმს ლონდონი მოჰყვება, ლონდონს — ავსტრალია, ცისფერ კაბას — ბეწვი, ტყავის პალტო... შემდეგ...

შემდეგ, ეტყობა, ჩამეძინა.

7

პირისპირ ვისხედით და თვალს ვერ ვუსწორებდით ერთმანეთს. უაზრო გარინდებას მაინც უაზრო ფუსფუსი სჯობია. სამჯერ გავიმეორეთ ყავა. შემდეგ ნაყინს შევექეცით. გაკრეჭილ თავზე ისევ მახვევენ გზის არჩევანს.

ჩვენს მაგიდას ორი გოგონა მოუჯდა. ყავა და ნამცხვარი მოითხოვეს. მიეჩვენა, რომ დაცინვით გადმოგვხედეს და ლოტა ხნის შემდეგ სათვალიანს ვკითხე:

— შამპანურს ხომ არ მიირთმევდით?

— შამპანურს არ ვსვამთ... თქვენ კი კარგად გიცნობთ.

— კინოფილმებიდან?

— ჩოგბურთის კორტებიდან.

— ეტყობა, ძლიერი ხასიათი გაქვთ, მაგრამ ფანტაზია გაკლიათ. ცხოვრება მძიმეა. შამპანური კი მსუბუქი და შუშხუნა... მოდით, ავმსუბუქდეთ.

— თქვენზე წარმოდგენა დამეკარგა.

— ნინიკო, მეც დიდი ხანია აღარ მომწონს კირილე... როგორ გამოვსწორდე?

— პირდაპირ დაჯექით.

დაძაბულობა მაინც რჩებოდა. როგორ დავგვეხი უკან, ისე რომ სიამაყე არ შეგველახა? პირველად განვიცდიდი ნამდვილ სიძულვილს. ვგონებ ფარსმანიც კი არ მეჯავრებოდა ისე, როდესაც აეროდრომზე ვაცილებდი, როგორც ეს კაცი, შემთხვევით შემოჭრილი ჩემს ცხოვრებაში, ახლა გაუგონარ რაღაცას რომ მთხოვდა. არ მავალდებულებდა, უხმოდ, პასიურად მოითხოვდა თავისას. მორჩილად დაუხრია თავი. უხასიათო ტუჩები, ამოღამებული თვალები, ბრიყვული უბელი, საცოდავიც აღარაა, აღარაფერია ჩემთვის.

გოგონებს დავეშვიდობე. შემდეგ რუსთაველზე გამრვედით და ის მარჯვნივ წავიდა, მე კი მარცხნივ გავუხვიე. თან მომქონდა გერმანეს ბარბაროსული თხოვნაც. ოპერის პირდაპირ მაღაზიაში სიგარეტი ვიყიდე და გავაბოლე. ვნერვიულობდი? არა... უბრალოდ, თვალმოჭაცობა აღარ მინდოდა.

მზიანი დღე იდგა, ქალთათა, ყველა კუნქულში რომ ატანს სხივი, გარდა კირილეს გულისა.

პარფიუმერიის მაღაზიასთან თანა-კურსელი შემხვდა. აღშფოთებულმა შემაჩერა და შემომჩივლა. ერთ კიოსკის გამყიდველს თომას ვულფის რომანში ორმოცდაათი მანეთი მოეთხოვა. რა ეშმაკმა მოუქცია მხარი ამ ხალხს, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხებოდა გაბრაზებული. აღარაფერია იაფი, პატიოსნება იმ კაცმა ხუთ თუმნად გაყიდა. ვის რა დარდი აქვს. პირადად მე წიგნები არ მიზიდავს, ათასში ერთხელ დეტექტივს თუ წავიკითხავ. მიმაჩნია, რომ ლიტერატურა ფარისევლობა და სიცრუეა. სიტყვების საშუალებით სინამდვილის და ჭეშმარტლის შეცვლას ცდილობენ. მოლაყბე და მეოცნებე. გონებაში აგებულ კოშკებს, სიყვარულს, კინფლიქტებს ჩალის ფასი აქვს, კვამლის დარია.

— მე რომ გიშოვნო თამაზი თუ თომასი? — ვკითხე ამხანაგს.

— როგორ?

— წიგნების მაღაზიის გამგე მამაჩემის მეგობარია.

— არაფერი გამოვა, იქ მეგობარი — ორმოცდათი მანეთია.

— მომისმენე, შენ ერთადერთი რამ გეკადრება მხოლოდ — გამომყვე უკან, ცოტათი წამელაქუცო, მაღაზიის შესასვლელთან დამელოდო ათიოდე წუთი და შემდეგ წიგნი ჩაიბარო. ოღონდ არ გადამკოცნო, გახსოვდეს, მხოლოდ დედაკაცებს ვეხვევი.

მაღაზიის გამგემ ვერ გაიხსენა მამაჩემი. „აკადემიკოსია?“ — მკითხა მან. „ჩვეულებრივი მოსამსახურეა, მაგრამ პატიოსანია და თქვენი მეგობარია, მარჯვენა ყვრიმალზე პატარა ხალი აზის. გაიხსენეთ?“ თომას ვუღვი გაგვთავდაო. კეთილო ადამიანო, მამას, თქვენს ყოფილ მეგობარს, სისხლი ჩაექცა ტვინში-მეთქი და მისი უკანასკნელი სურვილი ეს რომანი არის. — თავსისხლიანს სიმშვიდე და სტუგერონი სჭირდება. — მომიგო გამგემ.

— თუ ჯანსაღ ხელში თომასი არ დავაჭერინე, გაღმა გავა, პატივცემულო.

შავყდიანი წიგნი მურთაზს გადავეცი. სიხარულისგან გათეთრდა, სხივები გამოტყორცნა სახიდან. მერე მანქანა გავაჩერეთ და სახინკლესკენ გავემგზავრეთ.

ხინკალი ჩვენი ეროვნული სიამაყეა. ველიამინოვის ქუჩამ ხინკლით გაითქვა სახელი. მაინც რა ძალაა ამ პატარა, ჭიპიან საჭმელში. რამდენი ოჯახი ადგა აპატიოსნა, აღამაღლა ქალაქელთა შორის. მეხინკლეების ნაშიერები უნივერსიტეტს ამთავრებენ, დისერტაციებს იცავენ, ხელოვნების მსახურნი ხდებიან, თანამდებობას ეთამაშებიან, მანქანებით დაქრიან... როდესაც ხინკლის წვენს სრუპავ, რა თქმა უნდა, უმადური უნდა იყო, ასეთი აზრები თუ დაგიტრიალდა თავში... მაპატიეთ, გერმანეს ლანდის მოშორებას ვცდილობდი... თომას ვულფმაც ვერ მიშველა. მურთაზი კი ათიოდე წუთში ჭუკივით გამოთვრა. პრაკუნი გამიბა ვიღაც ფიცჯრალდზე, მარკესზე, რასპუტინზე. თან მაღლა იყურებოდა, ალბათ ჰგონია, ამაღლებულ აზრებს ადამიანი ზეცაში აპყავს.

გერმანეს მოტეხილი, ქლესურად მოლიმარი სახე ვერ მოვიცილე.

უკანასკნელად სამჯერ დაცემულა ოთახში ესმა, ეპილეფსიური გულყრები გაუხშირდა. წინ დამიდგა მისი ფერმკრთალი სახე და ის სისხლნაღვენთი, ცემის შედეგად რომ მივიჩნიე. ყველას თავისი ბედი აწერია სახეზე. შავი სნეულება... ორჯერ ვნახე ქუჩაში წაქცეული ბნედიანი: შუბლზე ავარდნილი თვალები, გაყინული გუგები. სხეულის ყველა კუნთის გაუთავებელი კრუნჩხვა, წითლად შეღებილი დუქი პირზე, კბილებს შორის მოყოლილი ენა, გალურჯებული ტუჩები, უნებლიე შარდვა. მერე მიძინება ან ბორიტი ნაღველი, ან დაბინდული გარემო, მოჩვენებები, ურჩხულები, დრაკონები, ველეშაპები, მედუზები... დაუძლურება, გამოთაყვანება, სიკვდილი უკეთეს შემთხვევაში... და დასავლეთში, სადღაც, შორს, წამალი ეგულება გერმანეს. ბოშა ქალივით ვკითხულობ მის აზრებს... გერმანს, რატომ ტირი? რატომ არ ეგუები სინამდვილეს? გიჭირს? გამბედობა არ გყოფნის?.. მოურჩენელია ბნედა,

გურამ კაპანაძე
ნიუთი საკურნეველი

სარკომა, სისხლის გათეთრება, ავი ზნე სულისა, შავ, მარადიულ სევდას რომ ზიდავს... რატომ გინდა, მეც ჩამითრიო შენს ფერხულში?..

არაყი მაინც არ დავლიე.

მურთაზი მეკითხება:

— ბევრი მეგობარი გყავს?

— აურაცხელი, — მივუგე. რატომ უნდა მეთქვა სიმართლე?

— მე არც ერთი... გინდა, ვიმეგობროთ?

— მინდა... კიდევ რა წიგნი გიშოვნო?

— მაგიტომ არ მითქვამს... ექვიანი ყოფილხარ, ექვიანებმა მეგობრობა არ იციან... სად დავეუფლე იმ ხელოვნებას, სულ სხვას რომ ვამბობ, თავში დატრიალებული აზრებისგან განსხვავებულს, საწინააღმდეგოს?..

მხრები ავიჩეჩე და მალე დავშორდით. შემდეგ ხარტონი მესაუბრა ტელეფონით. ისიც წამლის ჩამოტანას მთხოვდა ესმასათვის. კაცს რომ სიკვდილი ჩაუსახლდეს, რა წამალი უშველის-მეთქი. გულმოწყალე უნდა იყო. ხედავ, საიდან მოგიარეს, კირილე...

საღამოთი ბელას შევხვდი. კინო „სპარტაკში“ შევედით. ინდური ფილმი გადიოდა. სურათის მსვლელობის დროს აქა-იქ ქვითინი ისმოდა. ბელამაც წაიცრემლა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა და ყველანი ქმაყოფილნი დავრჩით. ოფლი შევიმშრალეთ, გარეთ გამოვედით, პროსპექტს გავყევით, „მუხამაზთან“ ჩაეუხვიეთ და ძნელაძის ქუჩაზე გავედით. ხმას არ ვიღებდით. ბელა ჯერ ისევ ინდოეთში იყო. მეც ჩემთვის ვფიქრობდი.იმ დიდ სიხარულს, სულმოუთქმელად რომ მოველოდი ამ შეხვედრისგან, ახლა რატომღაც მაინცდამაინც არ განვიცდიდი. ნივთი, როდესაც შენი არაა, მაშინ გრიევს ტვინის უჯრედებს, მიუახლოვდები თუ არა, სწრაფად იბნევი, თუ მთლად კუნძი ან აგური არ ხარ... მაგრამ ახლა მაინც რა ხდებოდა? დამაინტერესა გრძნობის ნატიფმა მოძრაობამ. ფრთხილად შევეხე ხელით.

— ღმერთო ჩემო, რა სიყვარული იცოდნენ ზიტამ და რაჯამ, — მითხრა მან.

— მთვარემაც გამოანათა... ხომ არ ჩამოვსხდეთ ბაღში?

— სიამოვნებით.

ბაღში მხრებზე გადავხვიე ხელი და ვკითხე:

— მართლა არიფი ხომ არ გეგონე?

ისიც მომეფერა.

— ჩემო მერცხალო, — მითხრა.

— ყველა ცდილობს ცაში აფრენას. მაგრამ ვინ არის ნამდვილი ფრინველი, ეს მერცხალმა ან შევარდენმა უნდა განსაჯოს და არა ხელოვნურფრთებიანმა, როგორც სინამდვილეში ხდება.

ჩურჩულით მკითხა:

— კირილე, შეძლებდი ისეთ სიყვარულს, როგორიც რაჯამ იცოდა?

— ეჭვიც არ მეპარება, — ვუპასუხე და უფრო მაგრად მივიზიდე. უვნებოდ, უსურვილოდ.

— არავინ იცის, რა არის სიყვარული.

— არავინ, — დავეთანხმე და ფრთხილად ვაკოცე.

— საიდუმლოებით არის მოცული გრძნობების სამყარო... მეშინია, კირილე.

— ნუ, ძვირფასო... მე დაგიცავ, მილიციაც ორ ნაბიჯზეა აქედან.

მკერდზე მოვკიდე ხელი... ისევ არაფერი. სხვა ბაღში ხომ არ გაიქცა პატარა ტიტლიკანა მშვილდოსანი? მაშინ ბელას ვკითხე:

— რა ჩამოგიტანო იმ ქვეყნიდან?

— დიდი სიყვარულის შესანარჩუნებელი წამალი.

„ისევ წამალი“, გამიელვა თავში.

— წუთისოფელი ლექსია? — მკითხა მინაზებული ხმით.

— სიმფონიაა, სხვადასხვა ინსტრუმენტით ასრულებენ, გესმის თავისუფალი, ხავერდოვანი, საიდუმლო ხმები?

— მესმის, — ჩურჩულებს ბელა...

ბოლოს და ბოლოს მართლა მომეკიდა ცეცხლი, ბოლოს და ბოლოს მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახე ფრთაფაფფატა მტრედი, ბოლოს და ბოლოს ჩვენს ბუჩქზეც შესკუპტა ბულბული და დაუსტვინა.

8

ესეც სიზმარი ღამისა: შორეული, უცხო მიწა, მოგონილი, წარმავალი. ბრომის აეროპორტი, მელარენის ტბა, სტადენის კუნძული და სამეფო სასახლე, კუნსპოლმენზე განლაგებული რატუშა, რიდარ ჰოლმენის და წმინდა ჰერტრუდას ეკლესიები, სტრუ-ვერტანის და ლილა-ვერტანის ყურე, ხოლო სანაპიროს გასწვრივ, ფეშენებლური სახლები და აგარაკები. გვითხრეს, აქ ბერჟუაზიამ მოიკალთაო. ბორისს ეღიმება, თვალს მიკრავს.

— რა იოლია ალბათ ამ სახლების ხელში ჩაგდება... აშენება კი რატომ ჭირს ასე, კვასაძე? ომმომძინე, შენი გვარი „კვასიდან“ ხომ არ წარმოდგება?

ბუსვეიკენის უბის ირგვლივ ცნობილი შვეიკის აკადემიაა. ავტობუსიდან გავცქერით კლდოვან ნაპირებზე და კუნძულებზე გაშენებულ სტოკჰოლმს.

— რატომ ჩამოგტირის სახე, დედიკო მოგენატრა?

უცხო ქალაქი ავტობუსთან ერთად ირწევა და უკან-უკან გარბის. უცხო ადამიანი ჩემს სარკმელში ცდილობს თავის შემოყოფას.

— ვასილიევ, ორნაირი ღვინო მაქვს წამოღებული. ჩვენში ერთს მაშინ სვამენ, როდესაც სიცოცხლის მოჯარბებულ ძალას ვეღარ თოკავენ, მეორეს კი მაშინ, როდესაც ცხოვრებას ემალებიან... რომელი შემოგთავაზო?

ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— მე კი უტკინონ მეგონე... აღარ მაინტერესებ, გონებანათელი თავი საკუთარიც მეყოფა.

პირველივე შეხვედრა წავაგე. დათრგუნვილმა თამაშის შემდეგ აფთიაქში შევიარე და ესმასთვის წამალი ვიყიდე. წამალმა მთლიანად შთანთქა სახსრები და ილუზიები. რამ მაიძულა უარი მეთქვა ბელას გაბედნიერებაზე?

უცხო ორღობეში მივაბიჯებ და ვემშვიდობები ბელას. თავის გამართლება მაინც ვცადე... წამიერი და მარადიული მოიცავს ადამიანს. ორივე საიდუმლოებითაა მოცული. წამიერი — მიკროკოსმია, მარადიული — მაკროკოსმი. პირველი მინიატურული, მიკროსკოპული განმეორებაა მეორისა. ადამიანისთვის წუთიერი სინამდვილეა, მარადიული — ილუზიაა. ის, რაც ჩანს, რაც ხელმისაწვდომია — ღელე იქნება, საკუთარი ქოხი თუ ეზოში მოკრიახე ქათმები — აწყნარებს ადამიანს. უკიდეგანო სამყაროა კი თავისი მეორე სახით, გულგრილობით, გაუბედავ, მერყევ ხასიათს აყალიბებს. ამიტომ ესწრაფვიან თავდავიწყებით ქალის გულ-მკერდს, პატიოსან თვლებს, ჩემპიონის დაფნის გვირგვინს, უცხო ქვეყნებში მოგზაურობას. მაგრამ არსებობენ სხვა ტომის ადამიანებიც, პატარა ტომის წარმომადგენლები. — უცნაურები, თავზეხელაღებულები, შერეკილები... მარადიული, უკიდეგანო, მოჩვენებითი რომ იზიდავთ... და კიდევ, წამიერი — ადამიანია, შედარებით მარადიული — ერი, კაცობრიობა, მსოფლიო სული. და რაც მეტი ადამიანი ესწრაფვის სიქველეს და სიმართლეს, მით მეტად ამაღლებს, აძლიერებს ერსა და სამშობლოს. ერთი სიტყვით, კირილე, ერის კაცი ხდები.

სასტუმროს შესასვლელთან ბორის ვასილიევმა შემაჩერა. არ მესიამოვნა.

— კვასაძე, — მითხრა და, — ჩვენ ბრძოლისთვის ვართ დაბადებულნი და ორთავე გმირულად დავეცემით ჩოგბურთის კორტზე. რაინდები შეხლაშემოხლის შემდეგ მხიარულობდნენ, ისე იშუშებდნენ ჭრილობებს... სტრიპტიზი ან სექსუალური ფილმი ხომ არ გვენახა?

— გვეკადრება?

გაკვირვებით შემომანათა თვალები. შემდეგ მიპასუხა:

გურამ კაკაბაძე
ნივთი საკურნებელი

— რჩეულებს ყველაფრის უფლება აქვთ, მით უმეტეს, თუკი ვერავინ შეიტყობს... ასეც შეიძლება, ვნახოთ და მერე გავიცხოთ... „ემანუელი“ გადის, ეპოქალური ფილმი. აქ მაინც ვისვათ თვალებს წყალი.

— „ემანუელს“ ვერ ვნახავ.

— აბა, სიმფონიურ კონცერტზე თბილისშიც დაესწრები... ფიქრი ნუ გაგქვს, მწვრთნელს ვეტყვით, რომ ქუჩებში დავსეირნობდით.

თავიდან რომ მომეშორებინა, სიმართლე ვუთხარი. აქეთ-იქით გაიარა და ისევ ჩემს წინ დადგა.

— წამალში დახარჯე მთელი ვალუტა, საცოდავო?.. ვისთვის იყიდე, დედისთვის თუ მამისთვის?

— ერთი ნაცნობისთვის.

— რამდენს დაგპირდა?

— ჩარჩი როდი ვარ, ვასილიევ... ღამე ნებისა.

— მომითმინე... ისე, არ სტყუი, გაჭირვებული ადამიანის სიყვარული სიბრძნის ფესვია... წმინდანი ყოფილხარ, კვასაძე, საიდუმლო პიროვნება, ციდან ჩამოსული.

— ტელევიზორს ვუყურებ.

ღიმილით დამაცქერდა. მერე მითხრა:

— მე გპატიჟებ „ემანუელზე“... ღარიბ კაცს ყოველთვის გულისხმიერად ეკიდებოდა წესიერი ხალხი. უშარვლო კაცი წმინდანების საყვარელი ბალღია.

მართლაც წმინდანი გამოდგა. იმ საღამოს პირველად მივხვდი, ადამიანებს ცუდად რომ ვიცნობდი, რომ კაცის ბუნება ბუნდოვანი და მრავალფეროვანია, რომ ჩოგბურთელი ჩოგბურთელისათვის დიდი გრილოა.

„ემანუელმა“ გაგვიტაცა. ბორისი კი მეგობართა სიაში ჩაეწერე. რაღაც ახალმა სხივმა გაანათა ის სარდაფი, სადაც რამდენიმე ხნის წინ შიში და უნდობლობა შეპარულიყო.

გავბრიყვდი და გზად გული გადავუხსენი. მონდომებით მისმენდა. ბოლოს მთხოვა დაწერილებით ამეწერა სატრფო შევეცადე. მაგრამ, ეტყობა, ვერ დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა, რადგან მკითხა:

— ფეხები როგორი აქვს შენს ნანინანატრს?

— სწორი და გრძელი.

— აყალრწულია?

— ლერწამტანიანია.

— გულ-მკერდი?

— სავსე და მიმზიდველი.

— სიარულის დროს არხევს თეძოებს?

— ზომიერად.

მაშინ მითხრა:

— „ემანუელში“ გამოდგებოდა.

— ეე, ბელა, წესიერი გოგოა... ოღონდ ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული და გამქრალი.

— წესიერია თუ არა, მაგაზე ვერაფერს გეტყვი. მაგრამ რომ ნორმალური ჭკუისაა, აშკარად ეტყობა. ისიც ნათელია, თბილისში ხელცარიელი რომ ჩაფრინდები, მეორე დღესვე ფარსმანის მკლავებში აღმოჩნდება ჩახლართული, თუ ამწუთსაც იმავე მდგომარეობაში არ არის.

— საზღვარგარეთ მეორე გამგზავრებამდე არ დამელოდება?

— ქალი ქარსა ჰგავს, კვასაძე, ერთ პოზიციაში დიდხანს ვერ დადგება.

— ხომ ვერ მეტყვი, სად დავუშვი შეცდომა?

— ოთახში, — მომიგო მან. — აი, მაშინ ფხა რომ გამოგეჩინა — ჯერ სავარძელში ჩაგესვა, შემდეგ ლოგინზე გადაგესვა, მერე დაგეწვინა — გვრიტი სამუდამოდ შენი იქნებოდა, შენს ბაღჩაში იღუღუნებდა დილიდან საღამომდე.

— ოთახში რომ არ მყოლია?

— უნდა გყოლოდა.

ჩავფიქრდი. საიდან იცოდა ამდენი ოცდაერთი წლის ვაჟმა? ისევ ვკითხე:

— ახლა აღარაფერი ეშველება ამ საქმეს?

— ეჭვი მეპარება... ნამდვილ ქალს ყაჩაღები იზიდავენ.

ამ საკითხში არ დავეთანხმე და გავიცინე.

— რას ამბობ, ბორის, როგორ შეიძლება თვეობით ტანდაუბანელმა, თმაბურძგნილმა და ტყის ნადირივით თვალებდაჟეტილმა მამაკაცმა ისეთი ქალი მოჯადოოს, როგორიც ბელაა.

მასაც გაეცინა.

— გამოუცდელი ხარ, კირილე... მე ის ყაჩაღები მყავს მხედველობაში ქალაქში რომ მოიკალათეს, ყველაფერი რომ გაიჩნიათ, ყველაფერს რომ იკისრებენ. მართალია, ხერხი და ილეთი იგივე დარჩათ, მაგრამ გარეგნობით მთლიანად გამოიცვალნენ. აბა, წარმოიდგინე ავაზა ადამიანის ტყავში... რა მოქნილი, ძლიერი, მიმზიდველი და დაუოკებელი იქნება. როგორ გგონია, ბელა ვის ამორჩევდა: შენ თუ იმ ავაზას?.. გინდა სანაძლეო დავდოთ?.. ერთი კვირით ჩამოვფრინდები თბილისში (ბილეთის და სასტუმროს ფულს შენ გადაიხდი), რაღაცას ჩავეურჩხულებ ბელას ყურში, და ორივეს — შენც და ფარსმანსაც ხახამშრალებს დაგტოვებთ.

— კვების ხარჯებსაც მე გავიღებ?

— რა თქმა უნდა.

— პირდაპირ რომ გამოგიზავნო ლენინგრადში?

მეორე დღეს უკეთ ვითამაშე. ჩოგბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ზოგჯერ ყველაფერი გამოგდის, ფეხები არ გიღალატობს, მარჯვენა არ გიბუკდება, ბურთი გაწვრთნილი ფინიასავით გემორჩილება და ბედიც შენს მხარეზეა. იქით ბორისი თამაშობდა. ძლიერი მოწინააღმდეგის პირისპირ იდგა და გეიმს გეიმზე აგებდა.

სასტუმროში ბორისმა გამარჯვება მომილოცა და მითხრა:

— ემანუელ, ნამდვილი ავაზა ხარ.

— რატომ?

— ძლიერიც ხარ და სიკეთეზეც იქაჩები... მალე თავზე ნათელი დაგადგება.

— მრცხვენია გამოგიტყდე, მაგრამ, იცი, ასე მგონია, შენმა „ემანუელმა“ შემასხა ფრთები, შემომაბრუნა კაცობრიობისკენ.

სასტუმროს პატარა ოთახში საწოლზე წამოგწექით და საუბარი გავაგრძელეთ. გავიხსენეთ ძველი კინოფილმები, მომდერლები, ფეხბურთელები, მხედართმთავრები, ქალაქები, და ბოლოს ისევ ქალები... ქალებსაც არ ვიცნობდი თურმე. დღემდე ისე წარმომედგინა, საკმარისია სახლიდან გამოხვიდე, რომ მაშინვე შემოგხვიონ ეს საოცარი ყვავილები. ნევის სანაპიროზე მოსეირნე ქალიშვილები კი პუშკინის ლექსებზე შეუდარებელიაო. რამდენ ახალს იგებ მოგზაურობისას, სხვა სამყაროში მცხოვრებ ადამიანთან შეხვედრისას. თურმე მკვდარი წლებიც ყოფილა ჩვენს საუკუნეში, ნიჭი კი მტერია სიყვარულის, მეგობრობის, ცხოვრებისეული სიამტკბილობისა. თურმე ყველანი ქვეშევრდომნი ვყოფილვართ ცის მეუფისა, მას კი თითოეულისთვის ერთი სამშობლო და მშობლიური ენა უბოძებია, და სასტიკად აუკრძალავს მათი შეცვლა, ღალატი. თურმე დიდი ვაჟკაცობა ყოფილა ნაცნობისთვის საზღვარგარეთ. წამლის ყიდვა, ასეთ შემთხვევაში სხვა ამ ფულით სატრფოს ფრანგულ საცვლებს ჩამოუტანდაო...

არც ერთი ანი თუ სითხე ისე არ აწყნარებს მოთამაშეს, როგორც თავისუფალი, ზერელე აზრების გამოთქმა საღამოობით, შეჯიბრების შემდეგ. წატრაბახება, წაჭორიკანება, გაზვიადება გვიცავს გადაძაბვისაგან, სასიამოვნო სიზმრების სანახავად გვამზადებს.

ბორისს სძინავს. თავისებური უცხო ქვეყანაში დამოკიდებულება, თბილისელს ლენინგრადელი თბილისელად მიგაჩნია და იმ დამთრგუნველ სიმყუდროვეში თუ ფუსფუსში, ირგვლივ რომ სუფევს, მარტოობას როდი განიცდი. შეიძლება საჭირო არც იყოს ფუთი მარილის მირთმევა, კაცი რომ გაიცნო ან დაუმეგობრდე. ეგება რამდენიმე მეგობრის შეძენა სიცოცხლეში არცთუ ისე შეუძლებელი და მძიმე ტვირთი იყოს.

ბუბა კაკაბაძე
ნივთი საკურნებელი

შერემეტიევოს აეროდრომზე ერთმანეთს ღიმილით ვშორდებით. ჩოგბურთმა ერთი სიბრძნეც გვასწავლა, არასოდეს არ უნდა იწინასწარმეტყველო. ამიტომ ვთქვით, რომ თუ ერთმანეთს სასახლეებს ვერ ავუგებთ, ძვირს მაინც არ ვიტყვით, მაინცდამაინც არ დავიგლეჯთ თმას, ერთ-ერთი ჩვენგანი თუ ნამდვილი ჩემპიონი გახდება.

— ბორის, ერთხელ აუცილებლად ჩამოფრინდი და კინოთეატრ „რუსთაველში“ თოჯერ შეგიყვან ჩემი ფულით.

გადამეხვია, ასეც ვიცოდიო.

9

სიზმარში ფარსმანი ვნახე. თხის რქები ჰქონდა და ჩლიქებზე იდგა. თვალი ჩამიკრა და რქებზე მიმანიშნა ღიმილით. ამბობენ, სიცილით ნათქვამმა სიმართლე ნამდვილი ჯეშმარიტებაა. შემდეგ ლოდებში თავაღერილი გველი ვიხილე და გამომეღვიძა. ოფლში ვიწურები. გულში ისევ ქინძისთავი მაქვს ჩარჭობილი. თითქოს შუა ზღვაში ვტიტვივებ, ნაპირი არ ჩანს, ზეცაზე სუდარაა გადაკრული...

ათ საათამდე გაუნძრევლად ვიწექი. სასტიკია კვირაძლის სიზმარი. აუცილებლად უნდა ასრულდეს. მამა მეკითხება:

— კირილე, ჩოგბურთელებს ჭკუა ფეხებში აქვთ თუ მარჯვენა ხელში?

ბარათაშვილმა უპასუხა ჩემს მაგივრად: „ეჰ-ენანნო, ოდეს დასცხრეთ, მოასვენოთ ესდეს სული?“

მან, ვისაც შეურაცხყოფა მიაყენა ეფთხვეციობამ, ორ კვერცს, პურსა და ყველს, ჩაი დააყოლა. შემდეგ დედას ძაფი გაუყარა ნემსში და გერმანესთან წასასვლელად გაემზადა.

ქუჩაში ჰადართან შევჩერდი. ხეზე ყვავები ისხდნენ. მოფრინდებიან უეცრივ, იყარანტლებენ, სკორეს ფართო კვალს დატოვებენ ტროტუარზე და ისევ უეცრივ გაქრებიან. რომელმა თქვენგანმა დამჩხაალა? რატომ მეჩვენება ქვეყნიერება დიდ საცეკვაო დარბაზად, სადაც მხოლოდ ჩლახვები შეკრებილან? ვისთვის ვიცეკვო ვალსი?

ფინანსთა სამინისტროსთან გუნებაგაწყობა შემეცვალა, დროოთე ალხაზიშვილს გადავეყარე. სკოლის დამთავრების შემდეგ პირველად ვხვდებოდი. ისე გამეხარდა, რომ გადავეხვიე. თქვენ წარმოიდგინეთ, ექვნის ჩამოკიდება არც ჰირდება, ისე ელარუნობს...

— მეცნიერების რომელი დარგის განვითარებას აპირებ? — ვკითხე დროოთეს.

— ფიზიკის, — მომიგო მან. — უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მიღებას მპირდებიან.

— ქერის ორმოში ჩავარდნილხარ, — მოვუწონე. ცოტა ხნის შემდეგ კი ვუთხარი: — ბიჭო, ერთი დიდი და ნამდვილი სათხოვარი მაქვს.

— გისმენ, კირილე, შენ გულისთვის ყელამდის ჩავდგები წყალში.

— მოდი, სახელოვანი ფიზიკოსი დადექი და ლაურეატი გახდი... რაღაც, ჩვენი მეცნიერების იმედი არა მაქვს.

თვალები გაუბრწყინდა, გაცისკროვნდა. წუთით ექვნის ელარუნიც კი შეწყვიტა.

— ცოტათი ადრეა, თავის დროზე ყველაფერს მივაღწევთ... ერთ-ერთი სიუკუთესო ნაშრომი კი შენ უნდა მოგიძღვნა. ხომ არ ითაკილებ?

— რას ლაპარაკობ... დროოთე, თუ გახსოვს, გვაქვს ერთად გადაღებული სურათი?

ჩაფიქრდა, თავი ოდნავ განზე მიაბრუნა და თვალები მილულა.

— გინდა, ახლავე გამოვასწოროთ ეს სულელური და შემთხვევითი შეცდომა?

— სიამოვნებით, — სწრაფად დავეთანხმე.

ბაღში, ქაშვეთის ეკლესიის უკან, ფოტოალბომის წინ დავდექით და ფოტოგრაფმა ძლივს დამაწყნარა, სიცილს ვერ ვიკავებდი.

— ერთი წუთით გასწორდით, — გვითხრა ფოტოგრაფმა. — ა, უყურეთ, ვასაკა გამოხტება ახლა.

გამომშვიდობების წინ ბინის ტელე-

ფონის ნომერი გამოვართვი. ხომ შეიძლება როდისმე ისევ აღმოვჩნდე გამოუვალ მდგომარეობაში? მაშინ დავურეკავ, შეეხვდები და წარმოუდგენელია, თავიც რომ გკონდეს ყუღფში გაყოფილი, თოკი რომ არ გადაჭრა და არ გამხიარულდეს... რატომ ვართ ასეთი გულგრილნი ადამიანების მიმართ? რატომ არ ვუთხარი, შეიძინე მაღაზიაში ნიღაბი და ასეთი ფიზიონომიით მეტი აღარ გამოჩნდე საზოგადოებაში-მეთქი.

კარი გერმანემ გაშიღო. როდესაც წამალი გადავეცი, დაიბნა. ესმა საავადყოფოშიაო, წაილუღლუღა. ეტყობა, არ ელოდა ამ ძღვენს, ეტყობა, ჩვეულებრივ, გულცივ ახალგაზრდა კაცად მივაჩნდი მასაც. დიდხანს დაეხეტებოდა მის სახეზე დაბნეულობა. საუბარი ვერ ავაწყვეთ.

მეორე დღეს ხარიტონს ვეწვიე.

— ბავშვივით გულუბრყვილო და დამყოლი ვარ, არა? — მაშინვე ეკითხე ხარიტონს, — გამაკურეთ, ხომ?

ყველაფერი იცოდა.

— რა აფართოებს თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვებს ყველაზე მეტად? — მკითხა პედაგოგმა.

— მაყუთი, — მივუგე სწრაფად.

— სიკეთე, კირილე. ახლა, სასწრაფოდ რაღაც უნდა მოიმოქმედო, შენს ირგვლივ ღობე უნდა შემოირტყა, ღორები რომ არ შემოიჭრან, ნათესი რომ არ წაგიბილწონ.

— რა ღობე, რა ნათესი? — ეკითხე გაბრაზებულმა.

— სიკეთის ფესვიდან აღმოცენებული ყვავილები.

ქალბატონი ლიზა სავარძელში იჯდა და მარაოთი სახეს იგრილებდა. დღესაც იდუმალებით იყო მოცული. ამ ქალისაც არაფერი მესმის.

— ბუნებით მკვირცხლი ხარ? — მკითხა მან.

— არა.

— ხარიტონის ყველაზე უკეთესი ქმნილებაა... — ბრძანებს ქალბატონი.

ეგრძნობდი, მახეს რომ მიგებდა. გადაწყვეტე ყველაფერზე უარი მეთქვა, მაგრამ მაუწყა თუ არა, ბოროტმოქმედებანი მოგველიაო, ავდექი და მაღაზიისკენ გავეშურე.

როდესაც დავბრუნდი, ხარიტონმა რიოში საუბარი გაგრძელა. სიკეთეს საეკვო დიდების გზას უწოდებს ზოგიერთიო. მაგრამ შენ ისე მოიქეცი, როგორც უფალი გვიბრძანებსო. სულის წაწყმედას გადაურჩიო. წამალი რომ არ ჩამბეგეტანა, თავზე ლაფს დაისხამდი, მთელი ცხოვრება ჩაგმწარდებოდა და, რაც წლები გავიდოდა, მით უფრო ხშირად წამოჰყოფდა კობრასავით თავს მიჩუმათებული სინდისი კუნჭულიდან და აღარ მოგასვენებდა, ვიდრე სასიკვდილოდ არ დაგგესლავდა. ქალის ტრფობა სანთლის ალსა ჰგავს, გაჭირვებული კაცის სიყვარული კი — კოცონსო.

— ორბუნებოვანი, ორსახოვანი რას ნიშნავს?

— აი, ადამიანი ერთდროულად მამაკაციც რომ არის და ქალიც... როცა უნდა კაცია, როცა მოსთხოვენ, დიაცი ხდება.

— ესე იგი, ჰერმოფროდიტი?

— თითქმის, ოღონდ უარესი... ჰერმოფროდიტი სინამდვილეში ან მამრია, ან მდედრი... აქ კი ვერ გაარჩევ.

ბოლოს ზეზე წამოვიჭერი, რადგან შევატყვე, რომ ქალბატონი ლიზა აწრიალდა, და ვიდრე ნაგვით სავსე ტოპრაკს დამაჭერინებდა ხელში, ოთახიდან გავიძურწე.

— ემანუელმა დაგირეკა, — მითხრა მამამ.

მეგონა, დამცინოდა, მაგრამ შემდეგ მივხედი.

— საიდან?

— ლენინგრადიდან.

სარკმელთან მივედი. ბებერ ჭადრის ხეს გადავხედე. შეუდარებელია, ვიღაც რომ გირეკავს ამ სიშორიდან, ვიღაცას რომ ახსოვხარ, ვიღაც რომ ინახავს მეხსიერების საწყობში შენ პატარა სუ-რათსაც... ხარიტონ, სიცოცხლის საი-

ბუბუნა ალაკანაძე
ნივთი საკურნებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმლოება შეიძლება მართლაც მაოდიული ტანჯვა და წვალება იყოს, მაგრამ მაინც ზოგჯერ ეს ვაება ისე იბრუნებს პირს, ისე გადადის ნეტარებაში. როგორც სინამდვილე სიზმარში, ღამე — განთიადში და ზამთარი — გაზაფხულში. სიცოცხლე, მარადიული ტანჯვასთან ერთად, მარადიული სიხარულიცაა. ორსახიანი კაცი, გოდება და სეირნადა. სულ რომ სიმღერა იყოს? ვინ განაგებს წარმოდგენას, ორკესტრს? როგორ მოვისყიდოთ, სულ მხიარული ჰანგები რომ დაუკრას? როგორ ვაიძულო ბელა, რომ დამრეკოს? თავად რომ მივიკრა ტელეფონთან?

ჩემი ხმის გაგონებამ გაახარა ბელა. შეხვედრა შემომთავაზა. თიკანივით გამოტეტა ჯორჯაძის ქუჩაზე. უხმოდ გადმეხვია და ბაღში შემიყვანა. ოდნავ წინ მიდიოდა, რა მშვენიერი იყო. რომელი ჩანჩქერი, რა სტოკჰოლმი, რომელი სიკეთე და მოწყალება შეედრება ძვირფასი ქალის სხეულს!

ჩამოვჯექით. მონუსხულივით შევცქეროდი. გავიდა დრო და ხელი დავადე მუხლზე. მოიშორა, ისევ დავადე ხელი, ისევ იუკადრისა...

უკვე ეჭვის თვალით მიყურებდა, და უცებ ვიგრძენი, ჩემი წუთები დათვლილი იყო. მე კი მისი თვალების, გამოხედვის მორჩილი ვიყავი. დიდი ხანია, მათ დამიპყრეს და შემბორკეს, გამიყვანეს სახნავში და ულღლში შემაბეს. მთელი სიცოცხლე გავწევ ჯაპანს, ოღონდ მეხრედ თვითონ იყოს... მაშინ შეუძლებელი ვთხოვე, ჩემთან ავიდეთ-მეთქი... და დამთანხმდა. ოთახში კედელს მივეკარი და თვალს ვერ ვაშორებდი. ეს მისი ფეხები დადიოდა ჩემს იატაკზე, ჩემს მიწაზე. ეს წარმოდგენა იყო, მომხიბლავი საყურებლად, დამატრობელი.

ამ დროს გერმანემ დამირეკა. ... თოლებული ხმით შემატყობინა, წამლის მიღების შემდეგ ესმას არც ერთხელ აღარ მოსვლია ბნედაო. რაღაცნაირი სიამაყე და მყუდროება ვიგრძენი.

ბელას კი პირდაპირ ვუთხარი, რომ სინდისი მაწუხებდა, ... ესმას წამალში დამეხარჯა.

— კირილე, თავი ასწია ბელამ კარგა ხნის დუმილის შემდეგ, — შენმა საქციელმა, ასე მგონია, შემამსუბუქა და ხალიჩაზე აღმოვჩნდი. ხალიჩა აფრინდა და ცის ნათელისკენ დაიძრა. წვრილმანი ხალხი და ვეფური ინსტინქტები დედამიწაზე დავტოვე. იქ კი შენ ვეძებ ალბათ. ჩამოტანილი წამალი — ჩემი აღზევების წამალიც გახდა, ალბათ ყველა საგმირო საქმე ტანჯვითა და წვალებით იშვება...

ისევ აწკარუნდა ტელეფონი გაბმულად. ყურმილი ავიღე. ლენინგრადი რეკავდა.

— ემანუელ, ღმერთის გწამს? — ვკითხე ბორისს.

— არა, — მესმის სულ ახლოს მისი ხმა.

— ანგელოზისა?

— არც მისი.

— დავალაპარაკებ და იწამებ.

— ემანუელი ვინ არის? — მეკითხება ბელა.

— წინასწარმეტყველი, ჯადოქარი.

— ჩამოვფრინდე? — მეკითხება ბორისი.

დავფიქრდი. უცებ არ გავეცი პასუხი... ჩამოვიდეს, მაგრამ ბელასთან ცალკე არ დავტოვებ. მართლაც არ ჩასჩურჩულოს რაღაც ყურში და არ გამირთულდეს საქმე. ყველაფერი ხდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე — 50

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ზაურ ბოლქვაძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ზაურ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან შესანიშნავ ქართველ პოეტს, ეროსეულ მამულიშვილს და მოგილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

1951 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „ნუ შეეხებით სასიკვდილოა“ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებით გაახარეთ ქართველი მკითხველი, რომელიც შეიყვარა და გაითავისა თქვენი შემოქმედება.

თქვენს პოეზიას ნათლის სვეტად ადგას მთრთოლვარე პოეტური განცდა, ემოცია, გადამდები პათოსი და პოეტური გულწრფელობა. თქვენი ლექსები გამოირჩევიან გახცდის ემოციური დაძაბულობითა და მღელვარე განწყობილებით. თქვენი შემოქმედების მთავარი თემაა საქართველო, ქართველი ხალხი.

თქვენი პოეტური კრებულები „ღელვის დასაწყისი“, „ლექსები“ (1970 წ.). „საქართველოს სასიცოცხლოდ“, „მიწის სიმწვანე“, „ვარსკვლავები“ და სხვა სარგებლობს მკითხველი საზოგადოებრიობისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარებით. თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებმა, რომლებიც თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, საკადირო მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა. მათ კითხულობენ აგრეთვე პოლონეთში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ინგლისში...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მოღვაწეობა სატირისა და იუმორის ჟანრში. თქვენი სატირულ იუმორისტული კრებულები „დახავსიათება“, „ხმალს დავემსგავსოთ ალესილს“, „ღღეს პირველი აპრილია“, „ახალგაზრდა რობოტის ვნებანი“, „სიბრძნე სიცილისა“ და სხვა დიდი პოპულარობით სარგებლობს. ისინი ებრძვიან წარსულის მავნე გადმონაშთებს, ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ ბოგინებს ჩვენს სინამდვილეში, ებრძვიან, იმარჯვებენ.

თქვენ მოაგალი კარგი თარგმანები გაამდიდრეთ ქართული ლიტერატურა. ნიკოლა კინჩევი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ტარას შევჩენკო, იანკა კუპალა, ალექსანდრე ტვარდოვსკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბელა ახმადულინა, არშალუის საროიანი, ემილ ლოტიანუ — აი, ის პოეტთა არასრული სია, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებებს თქვენეული თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი.

თქვენს კალამს ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები გალაკტიონ ტაბიძეზე, ტარიელ ჯანტურიაზე, ვახტანგ ჯავახაძეზე და სხვებზე.

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად და მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ამჟამად ჟურნალ „ნიანგს“ რედაქტორობთ და თქვენი წვლილი შეგაქვთ ჟურნალის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებაში. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების გამგეობის წევრად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრად.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი მთელ თქვენს ძალასა და ენერგიას მშობელი ხალხის, მშრომელი ქვეყნის სამსახურს ახმართ.

ძვირფასო ზაურ!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგესალმებით, გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დალაშქვრას საქართველოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა ტატიშვილი

უკუდო ჩურჩხელეგბი

მოთხრობები

შემოდგომის მზიანი დღეა. ჰაერში დამწვარი ხმელი ფოთლებისა და იზაბელას სურნელი ტრიალებს, ფანჩატურს ფუტკრები დაბზუიან, ღაბუა ჭრელი ჩიტები-ღაჟოები გუნდ-გუნდად დაფრინავენ, ყურძენს დასტრიალებენ თავს და ქიკვივებენ.

გუშინ გიორგი, მაია და ირაკლი, უფროსებთან ერთად, სოფელს ეწვივნენ: ყურძენი დასაკრეფია, კვახები ასაღები, ყვავილების თესლი მოსაგროვებელი, ბოლქვები ამოსაყრელი.

დღეს დილიდან კაცები ფანჩატურს შეესივნენ, ყურძენსა კრეფენ.

— აბა, ბავშვებო, გიდლები მოიმარჯვეთ! — გამოსძახა პაპამ.

ბავშვებს სხვადასხვა ზომის გიდლები აქვთ: გიორგის დიდი, მაიას — მომცრო და ოთხი წლის იკას, სულ პატარა. გიდლები დიდმა ბებიამ გამოუგზავნა გურიიდან და დიდი ხალისით დაარბენინებენ ხოლმე. ახლაც გადაიკიდეს თავთავისი გიდელი და ეზიდებიან ყურძენს მარანში. ქალებს საფელამუშე და საჩურჩხელე წვენი უკვე გამოუწურავთ, ეზოში ცეცხლი დაუნთიათ და დიდ ქვაბში თუხთუხებს საჩურჩხელე ფელამუში, ბუშტებს ისვრის.

— აბა, პირველ ჩურჩხელებს ვინ ამოავლებს! — დაიძახა დიდედამ.

— მე-ე!

— მე-ე!

— მე-ე!

გამოქანდნენ სამივენი და ქვაბთან აიტუზნენ. დიდედამ ჯერ გიორგის ამოავლებინა, მერე მაიკოს, ბოლოს დიდედამ და იკამ ერთად ამოავლეს ჩურჩხელები.

— ახლა გაიქეცით, ყურძენი მოზიდეთ, დანარჩენს ჩვენ ამოვავლებთ.

იქვე, ალუბლებს შორის ხარიხებია გადებული და ჩურჩხელებს ზედ ჰკიდებენ. ბოლოს აღარ ეყოთ ადგილი და ერთი ხარიხა კიდევ გადეს სახლს უკან, ნორჩ ალუბლებს შორის, მაგრამ დაბლა გამოუვიდათ. რაღა გაეწყობოდა, ბოლო ჩურჩხელები იქ დაკიდეს.

სადილობისთვის მორჩნენ ყურძნის კრეფას, ამოვიდნენ დაღლილები და აივანზე ჩამოსხდნენ.

— აბა, ხელები დაიბანეთ და ვისადილოთ, — ამბობს დიდედა.

— იკა სად არის?

— არ ვიცი, შვილო, თქვენთან არ იყო?

— ბოლოს სადღაც გაქრა, ალბათ ზურიკოსთან გაიპარა.

— წადი, დაუძახე, მშიერია, ეს კალთიც წაიღე, ჩვენი ყურძენი მიართვი ზურაანთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გაიქცა. არ გასულა ხუთი წუთი და ირაკლი გამოჩნდა. სად იყავიო, ჰკითხეს, ბაღშიო, უპასუხა. ამასობაში გიორგიც მობრუნდა, კალათი ისევ ყურძნით სავსე მოიტანა — ზურას პაპას თავისი ყურძენი გამოეგზავნა. იკა რომ დაინახა, ერთი მსუბუქად წაუთაქა თავში.

— მე მეზობლებში გეძებ, შენ კი თურმე აქა ბრძანდები.

— გამანებე თავი-ი, — წაიკრუსუნა იკამ, მაგრამ ჩვეულებისამებრ არ უტირია.

ნასადილევს ბავშვები გარეთ გაცვივდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მაიკომ მოირბინა:

— დიდედა, ერთ ხარიხაზე უკუდო ჩურჩხელები ჰკიდია!

— როგორ თუ უკუდო?

— მართლა, აბა, წამოდი!

გაჰყვა დიდედა და რას ხედავს, სახლის უკან, დაბალ ხარიხაზე რაც ჩურჩხელები ჰკიდია, სუყველას კუდი მოკვნეტილი აქვს.

— აი, ხედავ? — ეუბნება მაიკოს.

— ვხედავ.

— ნეტა, ვინ იზამდა?

— რა ვიცი, შვილო, არა უშავს, გაიქეცი, ითაქაშე. — სიცილით უთხრა დიდედამ.

საღამოს დიდედამ აგუზგუზებულ ბუხართან მიმჯდარ ბავშვებს უთხრა:

— ახლა როგორ გავანაწილოთ ეს ჩურჩხელები. სულ ათი ხარიხაა. ორი — გიორგის, ორი — მაიკოს, ორიც — ირაკლის. დანარჩენი ჩვენ. მაგრამ ის კი აღარ ვიცი, უკუდო ჩურჩხელები ვის შევახვედრო.

— მე არ მინდა, რა, დიდედ, უკუდო ჩურჩხლები! — წამოიძახა გიორგიმ.

— არც მე, რა! — ბანი მისცა მაიკომ.

— მე მინდა, ძალიან გემრიელებია! — შესძახა იკამ.

უნდა გენახათ, რა სიცილი ატყდა, რაჰაერდა დიდი და პატარა, ყველაზე მეტს კი თვითონ ირაკლი იცინოდა.

ბოგრის ქურდი

მეორე დილას, ჩაი რომ დალიეს, პაპამ იკითხა:

— აბა, კვახების ასაღებად ვინ მოდის?

— მე-ე!

— მე-ე!

— მე-ე!

წამოცვივდნენ სამივენი, დაავლეს ხელი კალათებს და ბაღჩისკენ გასწიეს.

— პაპა, აკი კვახი მანამ არ უნდა აიღო, სანამ ჭირხლი არ დაეცემაო? — იკითხა გიორგიმ.

— ასე ამბობენ, მაგრამ არა უშავს, ჩვენ ცოტა ადრე ავიღოთ. თანაც, ხომ ნახე, ვიღაცას ღობე გაურღვევია და ბლომადაც გაუზიდავს, რაღა სხვამ წაიღოს!

— უჰ, ერთი გამაგებინა, ვინ იყო! — გაცხარდა გიორგი.

— მაგას რას გიგებ. არა უშავს, წელს დიდი მოსავალია, — სიცილით უთხრა პაპამ.

— მიტყიპო უნდა მაგრად და მერე ვნახავ, როგორ მოიპარავს, — თავისას არ იშლიდა ბიჭი.

— მიტყუპვა მაგას ვერ უშველის, ნუ ცხარობ, იმუშავე.

კარგა ხანს მოუნდნენ გოგრებს. ბოლოს, როცა მორჩნენ, პაპამ ხელურემი მოაგორებინა გიორგის, გაავსო გოგრებით და უთხრა:

— საღამოს, რომ შებინდდება, მე და შენ მეზობელს მივართვათ ეს გოგრები.

— ვისა?

— საღამოს გიგებ.

მართლაც, როცა კარგად შებინდდა, ორღობეში ბაღის მერხებზე ჩამომჯდა-

ვალენტინა ტატიშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმა ქალებმაც რომ იჯერეს გული ლაპარაკით და შინ შელგდნენ, პაპამ და გიორგიმ ხელურემი ეზოდან გამოაგორეს და გზას გაუყვნენ.

სოფელი მიყუჩებულიყო. ბუხრის მილებიდან ამოსული ბოლი ცისკენ მიიწევდა. ცა თითქოს ამაღლებულიყო და ბადრი მთვარე ფრქვევდა შუქს სოფელს; ვარსკვლავებიც ნან ერთი აკიაფდებოდა ცაზე, ხან მეორე და გიორგი ფიქრობდა: ნეტა, რა დათვლის ამ ვარსკვლავებსო. გარინდებულ სოფელში დროდადრო თუ დაირღვეოდა სიჩუმე: ხან ძაღლი წამოიყეფდა, ხან ხეზე დაბუდებული ქათამი აკრიახდებოდა და ფრთებს გაფართხუნებდა, სადღაც ძროხა წაიზუვლებდა, ან ცხვარი წამოიბღავლებდა.

პაპა და გიორგი კი მიაგორებდნენ და მიაგორებდნენ ხელურემს. უკვე სხვა უბანში გავიდნენ და გიორგიმ ვეღარ მოითმინა:

— მითხარი, რა, ვისთან მივდივართ!

— ახლავე გაიგებ, — ღიმილით უთხრა პაპამ და კიდეც შეჩერდა ერთ ჭიშკართან.

— სანდრო-ო! — დაიძახა პაპამ.

— რომელი ხარ?

— ერთი გამოიხედე.

გამოვიდა ხლაზენით სანდრო. ერთ-ლოთი კაცი იყო, უსაქმური, საქმეს გულს ვერ უდებდა, სულ აღმა-დღმა დაეხეტებოდა. პაპა და გოგრით დატვირთული ხელურემე რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— გამარჯობა, მეზობელო, სად დავყაროთ ეს გოგრები, წელს რაღაც ბევრი მოვიდა.

სანდროს კრინტი არ დაუძრავს, ერთხანს იდგა გაშეშებული, მერე მივიდა პაპასთან, ხელურემი იქვე დაცალა და მადლობა ჩაიბურტყუნა თავჩაქნილმა. პაპა და გიორგი გამოეშვიდობნენ და შინისაკენ წავიდნენ. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, ბოლოს გიორგიმ ვეღარ მოითმინა:

— ქურდს კიდევ გოგრა მიართვი?

— ასე სჯობია, — მოკლედ მოუჭრა პაპამ.

ბიჭს აღარაფერი უთქვამს.

მეორე დილას, ღობის შესაკეთებლად რომ ჩავიდნენ ბაღჩაში, უკვე შეკეთებული დახვდათ.

გიორგი მაშინვე მიხვდა, ვისი ნახელავიც იქნებოდა.

ზღვაზე

ზაფხულის მიწურულს მაია და ირაკლი ზღვაზე წაიყვანეს. ბავშვებმა პირველად ნახეს ზღვა და თვალები გაუფართოვდათ.

— ბიჭო, რამოდენაა! ნეტა, ვინ ამოთხარა ამოდენა ორმო?!

— რა ლამაზია! ნეტა, ამდენი წყალი ვინ ჩაასხა?

ჯერ ვერ გაბედეს ზღვაში შესვლა, ფეხით მოსინჯეს, ცივიაო, თქვეს, იქვე ჩაცუცქდნენ და კენჭებში დაიწყეს ხელების ფათური, მაგრამ, როცა დედასთან ერთად ჩავიდნენ, იმდენი იჭყუმპალავეს, ძლივს ამოიყვანეს წყლიდან.

საღამოს, ნავახშმებს, სანატორიუმის ეზოში გამოეფინა ყველა. დარაჯის ჯიხურთან ბავშვებმა ორი ძაღლი დაინახეს: ერთი პატარა, მეორე უფრო დიდი, „ფიფქა“ და „ბომბორა“ დიდი მეგობრები არიანო, უთხრა დარაჯმა.

ამის შემდეგ, როცა ზღვაზე არ იყვნენ, სულ ამ ძაღლებთან თამაშობდნენ.

ბომბორას წაბლისფერი ბეწვი ჰქონდა, თეთრი მხოლოდ მკერდზე და ყურებშუა გამორეოდა, თვალები — მსხვილი, სევდანარევი.

ფიფქა მთლად თეთრი, ქათქათა ბეწვით იყო დაფარული, წვრილი, კუპრივით შავი თვალები უელავდა, ცუხცუხით დადიოდა ეზოში, ბომბორა კი დინჯად დაჰყვებოდა უკან.

კუდებივით დასდევდნენ ერთმანეთს.

საკმარისი იყო, ქუჩიდან, მესრის იქიდან რომელიმე უცნო ძაღლი „გამოლაპარაკებოდა“ ფიფქს, რომ ბომბორა მაშინვე გაუვარდებოდა ყეფა-ღრენით და კუდამოძუებული „სტუმარი“ ძუნ-ძულით გაეცლებოდა იქაურობას.

სანატორიუმის სარდაფებში ლამაზი, გრძელბეწვიანი, ჭრელი კატებიც ბინადრობდნენ, მაგრამ ძაღლები მათ არაფერს ერჩოდნენ, მშვიდობიანი მეზობლობა ჰქონდათ. ის კი არა და, ერთხელ პატარა ფუმფული კნუტი ამობღებულიყო ჯებირზე. ბომბორამ როგორც კი დაინახა, ერთი ყრუდ წაიღრინა, დაავლო პირი კნუტს, წაიყვანა, სარდაფთან დასვა და რამდენჯერმე ხმადაბლა შეპყეფა, კატებს გააგებინა: თქვენს მეტიჩარა კნუტს მოუარეთო.

მაია და იკა ისე არ გამოვიდოდნენ სასადილოდან, რომ ძაღლებისთვის საჭმელი არ გამოეტანათ. ფიფქა და ბომბორა იქვე ელოდნენ, როგორც კი დაინახავდნენ ბავშვებს, კუდის ქიცინით მიირბენდნენ მათთან.

ერთხელაც, გამოვიდნენ თუ არა ეზოში, ერთი ღიპიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხშირად ხედავდნენ ხოლმე პლაჟზე, ბავშვებთან მივიდა და უთხრა:

— აი, თქვენი ძაღლებისთვის წამოვიღე, მიართვით, — და ქადალდში კარგად გახვეული რაღაც მიაწოდა.

იკამ გამოართვა და გახარებულმა წინ დაუდო ძაღლებს. ბომბორამ დაყნოსა, უხალისოდ გაქექა ქადალდი, შიგ ასანთის კოლოფი აღმოჩნდა. ძაღლი თითქოს გაკვირვებული მიაჩერდა ბავშვებს. ის კაცი არაზრუხდა, სიცილისაგან სულს ძლივს ითქვამდა. ბავშვებმა ერთი კი შეხედეს და მაშინვე შინ გაიქცნენ, ორივეს ცრემლით ჰქონდათ სავსე თვალები. დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ მეგობრობას ძაღლებთან ბოლო მოეღო. მთელი საღამო ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, გვიანობამდე ვერ დაიძინეს, იმ კაცს „ღიპიანი“ შეარქვეს.

მეორე დილას, გამოვიდნენ თუ არა ეზოში, იქვე დაცუცქული დახვდათ ორივე ძაღლი. ბავშვები რომ დაინახეს, ძაღლები გახარებულები მისცივდნენ. ზედ ახტებოდნენ, ლოკავდნენ. იკამ მაიას თვალები გაუბრწყინდათ, თვითონაც ეფერებოდნენ, ხელს უსვამდნენ რბილ ბეწვზე. საუზმის შემდეგ ისევ მიუტანეს საჭმელი ძაღლებს, იდგნენ და უყურებდნენ, როგორ მადიანად შეექცეოდნენ. ამ დროს ის ყმაწვილი დაადგათ თავზე.

— რა ჭქენი, გია, გაპატიეს ძაღლებმა? — ჰკითხა იკას და აროხრიოდა.

— მე გია არა მქვია, — უპასუხა გაბუსხულმა იკამ.

— გია გქვია, გია, შენ მასწავლი ახლა, რა ვქვია? — არ მოეშვა ყმაწვილი.

— არა! — გაბრაზდა იკა.

— მაშ, რა გქვია? — ისევ იცინის „ღიპიანი“.

— წადიდეთ იკა, — უთხრა მაიამ და სახელო გამოქარა, მაგრამ ბიჭი ადგილიდან არ დაიძრა.

— მაშ, რა გქვია?

— ლევანი! — წამოიძახა ირაკლიმ, გამბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით შინისაკენ გაემართა. მაიაც უკან დაედევნა.

— რატომ უთხარი ტყუილი? — ჰკითხა გაკვირვებულმა მაიამ.

— იმიტომ!

— მაინც, რატომ?

— ცუდი კაცია და იმიტომ... — ყელში მომდგარი ბოღმისაგან ხმა ჩაუწყდა ბიჭს.

— ჰო, ეტყობა, ძალიან ცუდი კაცია.

ერთ ღამეს ქარი ამოვარდა, ზღვა ახმაურდა, მთელი ღამე გრგვინავდა გაცოფებულივით.

ბავშვები აივანზე იდგნენ და ზღვას გასცქეროდნენ.

აღიმართება ვეებერთელა მღვრიე ტალღა, გრუხუნით დასაკდება ქვიშაზე და თეთრად აქაფებული, დუღღ-დუღღით გამორბის ნაპირისაკენ, მაგრამ ჯებირამდე ვერ მიაღწევს, სადღაც შუა გზაზე გაიშლება და შრიალ-შრიალით იწყებს უკან დახევას; ქაფი თანდათან წყლის თხელ ფენად იქცევა, ბოლომდე

ვალენტინა ტატიშვილი
ეროთხრიგები

მხოლოდ ვიწრო, თეთრ არშიად გაჰყვება დალეული ტალღას.

ეზოში რომ გამოვიდნენ ბავშვები, უცებ ბომბორა მივარდა მათთან ყეფაწკმუტუნით. ჯერ ერთს შეახტა, მერე მეორეს, ბოლოს ხმამაღალი ყეფით ზღვისაკენ გაქანდა. ბავშვებიც გამოეკიდნენ.

— ფიფქა! ფიფქა ზღვაში!

— ვაიმე, ვეღარ გამოდის!

მართლაც, ამბობერებულ ზღვიდან ფიფქა ამაოდ ცდილობდა ნაპირზე გამოსვლას, სწრაფად უსვამდა ფეხებს, მოუახლოვდებოდა ნაპირს, მაგრამ ტალღა ისევ უკან აბრუნებდა.

ნაპირზე დამსვენებლები მოგროვდნენ. ბავშვები ტირილით ეხვეწებოდნენ უფროსებს, ვუშველოთ რამეო. გამწარებული ბომბორა ხან ერთთან მიირბენდა შეაცქერდებოდა სახეში და საცოდავად შეჰყეფდა, ხან მეორეს მიაშურებდა, თითქოს თხოვდა, უშველეთო.

იქვე ახლოს, ყმაწვილებში „ღიპიანი“ იდგა. ახალგაზრდები ბჭობდნენ, რა ვქნათ, როგორ ვუშველოთო. იმან უსმინა, უსმინა და ბოლოს სიცილით თქვა:

— არ გადამრიოთ ახლა, ძაღლის გულისთვის წირავთ თავს?

ხმა არავის გაუღია. ბავშვებმაც გაიგონეს და ერთმანეთს გადახედეს გაბრაზებულებმა.

ამ დროს სამი ახალგაზრდა კაცი მოვიდა, მშველელთა რაზმიდან იყვნენ. ყმაწვილებმა დაანახეს ფიფქა. გამწარებული ბომბორა ახლა მათთან მივარდა და ყეფა ატეხა:

— ბიჭო, ნახე, ეს რა დღეშია!

— ესეთი არაფერი მინახავს!

— ლამის გაცოფდეს!

მშველელები გაიქცნენ, ზღვის ლეები მოიტანეს, რომელზეც ძალიან გრძელი თოკი იყო დამაგრებული. ბიჭები დააკვირდნენ, სად ეცემოდა ნაკლებად სიძლიერით ტალღები და ორმა ზღვას შეუტია, ერთი ნაპირზე დარჩა, თოკის ბოლო ეჭირა. იმ ორმა ლეებიანად ძლივს გააღწიეს ზვირთცემის ადგილს და ფიფქას დაუწყეს ძახილი. ძაღლი მიხვდა, საშველად ეძახდნენ, შებრუნდა და მათკენ გაცურა. ერთმა, რომელიც ლეებზე იწვა, დაავლო ხელი, ნახევრად ზედ გადაეფარა და ორივემ ნაპირისკენ გამოსცურეს. ნაპირზე დარჩენილს ხალხი მიეხმარა, საერთო ძალით თოკს ამოკლებდნენ, ნაპირისკენ ექაჩებოდნენ ლეიბს. ბოლოს, დიდი გაჭირვებით გამოაღწიეს ბიჭებმა სამშვიდობოს.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ბომბორა მივარდა აცახცახებულ, სველ ფიფქას და ლოკვა დაუწყო. საწყალი ფიფქა ცალ ფეხზე კოჭლობდა. მაიამ და იკამ გაამშრალეს ფიფქა, აჭამეს და მზეზე დასვეს. ძაღლები ერთმანეთს ჩაეხუტნენ და გაყუჩდნენ.

ბავშვებიც იქვე ჩრდილში ბაღის მერხზე ჩამოსხდნენ.

— ნეტა, როგორ მოხვდა ზღვაში? — იკითხა იკამ.

— ალბათ ტალღამ გაიტაცა, — უპასუხა მაიამ, — ან იქნებ ჯეგირიდან ჩაუცურდა ფეხი და ჩავარდა.

— იცი, რა? ნამდვილად ის ღიპიანი ჩაადებდა.

— რატომ გგონია?

— ვერა ხედავ, რა ბოროტია?! როგორ ეჯავრება ძაღლები?! ნამდვილად მაგან ჩაადო!

იმ საღამოს შინ მიბრუნებულ ახალგაზრდა კაცს თავის კარზე გაკრული დევის სურათი დახვდა, ოღონდ იმ დევს უშველებელი ღიპი ჰქონდა. ქვეშ ეწერა:

ძაღლების მტერი
ბორიტი დევი.

უქნარა

ყვავმა უთხრა ბახალას:
გაინძერი, ღლაპო,
ჩემი ნაწვავ-ნადაგი
სანამ გინდა ყლაპო?..

შეხე, შენი ტოლები
თვით ეძებენ საკვებს —
ლამის მუსრი გაავლონ
ზაზუნებს და თაგვებს.

არაფერი გადარდებს,
არც არაფერს ცდილობ.
ყველამ ფრენა ისწავლა,
შენ რა მოგდის, შვილო.

ნუთუ აღარ მოგბეზრდა
ასე უემად გდება.
მამაშენიც დაგლახდა,
სამასი წლის ხდება.

ქალიც მე ვარ,
კაციც მე ვარ, —
მოვკვდი, დავიხუთე.
ლამის ნავთი დავასხა
ამ დასაწვავ ბუდეს...

თქვა და ტყისკენ გაფრინდა
ჩვენი დედა-ყვავი.
დაამთენარა ბახალამ
და ძილს მისცა თავი.

წყარო

რა კარგია, — ამბობს ლიკა, —
წყარო სუფთა და ლიკლიკა.

შეუშვირე ნაკადს პეშვი,
გინდ გაგრილდი,
გინდა — ‹შესვი.

მთიდან მოდის ასე მორცხვად.
უყვარს ბაღის, ყანის მორწყვა.

კაციც უნდა გავდეს წყაროს.
გაიხაროს, სხვაც ახაროს.

გულმავიწყი

დედა არცხვენს ქეთინოს,
თავნებავ და კაპასო,
ბაბთებს აღარ გიყიდი,
არც ზიზია კაბასო.

სამი თვეა, შენს წერილს
ელის მართა ბებია,
სათვალეს რომ დაპირდი,
ისიც დაგვიწყებია.

შვიდი წლის ხარ, იფიქრე,
ნუთუ ამის ღირსია.
ვინც გეფერა,
გაგზარდა
და აკვანი გირწია.

კვლავ დადგება ზაფხული,
მოგინდება სოფელი,
მურაც მოგენატრება,
მუდამ გამართობელი.

ალბათ ეზოს აყრუებს
ინდაურთა გნიასი,
ხტიან ჭრელი გოჭები
ჩვენი ღრუტუნიას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყობდი ‖ამალით —
ცოცხალ მაღვიძარათი...
ჰოდა.
ადექ, გაგზავნე
ერთი ღია ბარათი.

წაიკითხოს წერილი.
შენი ხელით ნაქარგი.
თევას: რა გოგო მყოლია.
რა ჭკვიანი, რა კარგი...

მზია ჩხეტიანი

ბრიყვი

დათვის ბელი გაგვისუქდა
ჯერ თაფლით და მერე — მოცვით.
გაგვისუქდა, გადიდგულდა,
დამეჭიდოს ბეჰემოთი!
აღარსად ჩანს ბეჰემოთი,
მეზობელთან ვერ შემოდის,
სულ წყალშია მეტი წილი —
იმალება დარცხვენილი:
დათვის ბელი, ის სულელი,
არ ისვენებს, დარბის,
დარბის,
ბეჰემოთი გავლახეო,
გააყრუა ზოოპარკი;
დათვის ბელო,
შე უზრდელო, —
კოპებს იკრავს, ბრაზობს სპილო,—
გიჯობს, ესა გააჩერო,
ნუღარ ყბედობ სასაცილოდ!
ჩაიარა ბეჰემოთმა,

მოჰყვებოდა მთელი მოდგმა
შვილი,
შვილის შვილი-შვილი
და სუყველა თავდახრილი.
ბარბაცებდა მათ ქვეშ მიწა,
მოდიოდნენ ბაგა-ბუგით
ბაქა-ბუქი დაივიწყა,
ბილიკზე, რომ დადგა ბუღი.
შეკრთა ბელი, აღარ უვლის
ასკინკილით, დავლურითა,
შეეცვალა ფერი-ფური,
ლამის გული წაუვიდა.
ბეჰემოთი შედგა წუთით;
მოუხადა სპილოს ქუდი,
მაგრამ ბელი, ის ტრაბახა,
მგონი, ვერც კი დაინახა.
დინჯი დათვის ბრიყვი შვილი
გაიპარა შერცხვენილი.

ავთანდილ მეგრელიშვილი

რა წარმტაცი მამული მაქვს

ჩანჩქერს კლდეზე გაუშლია,
ვერცხლისფერი თმები.
ჯერ მის ჩქერში ვიბანავებ,
შემდეგ მზეზე ვთბები.
ხეებიდან ისმის ლაღი
ფრინველების ხმები.
საამურად შრიალებენ

მუხა და ვერხვები...
ლამის სიხარულისაგან
გამოვისხა ფრთები.
მსურს ჩიტივით გადავსერო,
მწვერვალები, მთები...
რა წარმტაცი მამული მაქვს,
სიყვარულით ვთვრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲡᲣᲠᲡ

ვწერ ლამაზად
ყველა ასოს.
უკვირს ნელის,
გიას, ვასოს...

მინდა სწავლით,
სიბეჯითით,
ჩემს უფროს ძმას
დავემსგავსო!

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ვკრიფეთ თეთრა,
ვკრიფეთ თითა...
სახლში ვზიდეთ
კალათითა...
საწნახელი
ამოვავსეთ,

მარტო ერთი
თალარითა...
უხვი რთველი
გავისტუმრეთ,
ლაღი ჰარი — ჰარალითა!

ᲛᲐᲘᲐ ᲒᲔᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

კობამ ყველა
გაგვისტუმრა
და კარები
ჩაკეტა,
მერე დიდხანს

იხმაურა,
დეტალები
აკეთა...
და მთვარეზე გასაფრენი
გაგვიმზადა რაკეტა.

ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ

შეიძინა მაცივარი
წითელკაბა თაგუნამ,

რაც ნაყინი ჩააცივა
სულ მეგობრებს არგუნა.

ᲑᲐᲧᲐᲧᲔᲑᲘ

გაამაყდნენ ბაყაყები
ჩვენ გვბაძავსო ზურა

ყოველ დილით მდინარეში
ბაყაყურით ცურავს.

ალეკო გაბელაია

სიცოცხლის პაროდია

ბედი, რომელიც გგათამაშებს ჩვენ, არის ირონიული ულელი ჩვენივე სულისა, ხოლო სული იგი, ერთთავად ბეშმარტებისაკენ რომ გვიწევს, პაროდიული ულელია ჩვენივე ბედის. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ის, რაც უნდა, ან როგორიც უნდა ვიყოთ. ამიტომაც ყოველთვის უცნობი და სახაცილონი ვხვდებით შეხაძლებელსა და მოცემულ არსებობას შორის, რომლის წინაშეც ტაალით მიედინება მარად არასრულყოფილი ნიღბების ზედაპირული სიმშვიდე: „რამდენჯერმე აიარ-ჩამოიარა გაჯგიმულმა მილიციელმა „აიას დამცველმა“ დათიკო დადიანმა, **შორიდან რომ გენერალი ეგონათ.** ერთ გზობაზე ბიბეზეც გადმოხედა და სალამიც კი თქვა. ფხიზელი, დფიქრებული, გაჯავრებული, ახალ კოსტუმში გამოწყობილი ცნობილი ვენეროლოგი ალოშა გუბალაძეც გამოჩნდა. ალოშას გერონტი ქერქაძე მიუვა, გერონტის — ბიწდო კახიანი, სადღაც ბათო ყენია გაილანდა. ჩაიარეს — ეკიმმა კოწია ოიხერიანმა, კომიკმა თანდარუს კეზეკაძემ, მსახიობმა მარგო ქოიავამ და ავთანდილ კერესელიძემ, მილიციის უფროსმა სვიატოსლავ გურიელმა, გამომძიებელმა გოგია ღვალაძემ, მწერალმა ტრიფონ ბერიძემ, კრიტიკოსმა ზუსკოვაძემ, ყურის ექიმმა იპოლიტე ხაბურზანიამ, ლოტბარმა ნაკაბერავ საკანდელიძემ და სხვებმა, — არტისტებმა, მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მასწავლებლებმა, ასისტენტორებმა, ზოფრებმა, მონადირეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა, დედებმა და პაპებმა სულ პატარა ბავშვებითურთ, რომელთაც ხელში ფერად-ფერადი ბუშტები ეჭირათ“ (რ. ჭეიშვილი. „ქალაქში დინოზავრები დადიან“).

ეს არის სიცოცხლე, დიდი ატრაქციონი, ნიღბების კარნავალი, სადაც ყველა თავის როლს ასრულებს, სადაც ცხოვრების სერიოზულობის მანტია მოსილი ირონია თამაშობს. ამ მოჩვენებითი აღზევებით გამოწვეულ ზეიმზე ადამიანებს ივიწყებდათ მათი მისიის მიზანი, შედეგი, მიზეზი; რისთვის მოვდნენ, რა მოვიპოვეს, რა შეიძინეს, რა მიაკვლეს, სად მიდიან... დაბადებიდან ადევნებული ეს საბედისწერო კითხვები, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება ცნობიერებიდანაც კი ამოგვვიგრძეს, თვითეულ ჩვენგანს განკითხვის ეუბად გზათა დასასრულს გვიცდის, როცა წინ ცისფერი ბურუსია, ხოლო უკან დინოზავრების უაზრო ნაკვალევივით ჩვენი უხუსური ნატერფალები ჩანან, მუდამ ერთი და იმავე ტრაგიკულ ბეშმარიტებას რომ ღაღადებენ— ვიყავით და აღარა ვართ. მაშ რა არის სიცოცხლე? სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი დავა? შეიძლება ესეც იყოს, მაგრამ რა არის თვით არსი ყოველი სიცოცხლისა, მით უმეტეს, ყველაზე უმაღლესის — ადამიანური სიცოცხლის? იქნებ, სიკეთის გამარჯვება და ბატონობა? ბედნიერების შეკმნა? იქნება, სრულყოფისაკენ შეშლილი ლტოლვისა და მარად არასრულყოფილებაში ჩარჩენის ეტვების უეკმო დავა?

ადამიანი, ისევე ამოუწურავი, აუსწავლელი ცნება და სიდიდეა, როგორც თვით სამყარო, თვით ბუნება, თვით ღმერთი. თუ დავუშვებთ, რომ იგი მუდამ ორ პოლუსს — ადამიანის მოცემულ, რეალურ ყოფასა და ადამიანის შესაძლებელ ყოფას შორის არის მოქცეული, მაშინ უნდა დავუშვათ აუცილებელი „მესამეც“, უფრო ზუსტად ორ პოლუსს შორის მოქცეული „მესამის კონგლომერატი“, რომელიც არც პირველის (რეალური ყოფის), და არც მეორის (შესაძლებელი ყოფის) ტოლი არასოდეს იქნება. სწორედ ეს „მესამის“ კონგლომერატია ის სიტუაციაა, სადაც ორი მოცემულობის — არსებულისა და შესაძლებელის, არსისა და მიზეზის, მიზნისა და შედეგის დაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისპირება ხდება და მოგლითა შეჯახება — ანა-ლიზის ფონზე ბარად მდევარი ეთოხება — ვინ არის ადამიანი და რა არის სიცოცხლე, ახალი კუთხით დგება მწერალ რ. ჭეიშვილის წინაშე.

სიკვდილის საფფლის მიახლებული ტატე ვაჩაძე (რომანი „ქალაქში დინოზავრები დადიან") უკვე ან „მეცხინის კონგლომერატში" იტყვის: „...რა მოვიპოვე, რა შევიძინე, რა მიმაქვს, სად მივდივარ?..." — შემდეგ მწერალი განაგრძობს — „იყო ეი ოდესმე ტატე ბედნიერი? იყო. ახე ფიქრობდა იგი ზოგჯერ. ხხვებს კი სულ ბედნიერი ეგონათ. არსებობდა კი ბედნიერება საერთოდ? შესაძლო კი იყო ბედნიერების მოპოვება? მიაგნო კი იმ მთავარს, რომელიც სადღაც არ შეიძლებოდა რომ არ ყოფილიყო? მიაგნო, შეხვდა, თუ სულ სხვა მხარეს ჩაუარა? მაინც რა იყო სიცოცხლეში მთავარი? რას ეძებდა, რა იპოვა?" — მწერლის ეტვივნ კითხვებზე პასუხს მივიღე გმრი სცემს, „...რასაც ვეძებდი, ის სულ გვერდზე რჩებოდა, მგონი, ვხედავდი, ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი. ღმერთო, რა იყო მთავარი? რისთვის ვარსებობდი, რისთვის ვცოცხლობდი?"

ტატე ვაჩაძემ არ იცის ვინ და რისთვის წარმოგზავნეს იგი ამქვეყნად, არ იცის რაა სამყარო, თავისი თავი. იგი ახლა, სიკვდილთან დაპირისპირებული ცდილობს აზრით მისწვდეს და ზეიცნოს საკუთარი არსებობა. აღმოჩნდება, რომ, თურმე ისევე სცნობს საკუთარ თავს როგორც ხხვებს.

ჭეშმარიტი ცოდნის წყუროვილი და მისი დაცხრომის შეუძლებლობა, საბედისწერო გათიშულობა ხალეზმი იდეალისა და მკაცრ სინამდვილეს შორის! — ეი, თანდაყოლილი სიმწარე მისი სულისა, უცნაური გვემა მისი გონებისა.

ამ სინამდვილით დაბნეული ტატე ვაჩაძე სიკვდილის წინ თავის ბავშობას, თავის საწვიხს უბრუნდება, სადაც ორ ნაპრის შორის ბარად ჩარჩენილი, გაურკვეველი შშით შეჩერებულ, თუ როგორ გადადის ძველი, ოთხვაგონიანი ორთქმავალი ორ მხრეს შორის გადებულ ორონიულ ხიდზე. და ახე, ბარად შუალედურ ფორმად დარჩენილი ტატე ფეხშიშველი, პოლიგრამიერთ მიადგება კიდეე ერთ ნაპრის, ნაპრის სიკვდილისახ. და სულ ბოლო წამს ხვდება, მთელი მისი მიზანმიმართული სიცოცხლე რომ სიცრუისა და სიცარიელის თამაში ყოფილა მხოლოდ, სიცარიელეს, რომელსაც ფეხშიშველი ბავშვობიდან ავტორიტეტულ პროოვნებად კცევამდე დღეშდამ ავსებდა. მხოლოდ ადონიის წუთებში გაკოთა სინამდვილე — ყველფერი გვერდზე რჩებოდა და მისი სულიერი სიცოცხლის უმთავრესი აზრი, სადღაც მისივე სიცოცხლის გარეთ რომ იდო. ახე გადის გმირი, როგორც ფსიქიური ფენომენი ბედისწერის ბნელი თამაშშიდან.

ადამიანთა სიცოცხლის, მათი მიზნებისა და საქმიანობის, ყოველგვარი ქმედების პარადოქსულ ალაზში გახსნა და ჩვენება რომანის („ქალაქში დინოზავრები დადიან") მთავარი მოკმედებარის ნოდარ გერაძის ოდისეაში ყლინდება.

რომანის ამბავი მთავარი მოკმედი გმირის ნოდარ გერაძის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში, კერძოდ, ალაში შემოსვლით იწყება. ხეტყემბრის მეორე ნახევარი. წვიმს. მატარებელი ქალაქის სადგურს უახლოვდება. ადამიანთა ახალი ნაკადი შემოდის ალაში. მათ შორისაა ნოდარიც, თეთრი ტილოს ქუდითა და დიდი ტუკის ხელჩანთით. ეი, უკვე ბაკანზეა იგი. სადგური ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქალაქში, მის სინამდვილეში, მის ორომტრიალში შესვლას. ნოდარი ტრანსპორტს ელოდება. წვიმს! წვიმს! წვიმს!.. ეაფარაზე გაკრული სველი ჩამომპალი ალუმა გაკოვება სადღაც ვვერდზე. ალუმაზე კაცია დახატული. როგორც მინაწერიდან ვგებულობთ, ეს კაცი ოთარ თავდგარიძე ყოფილა, გაუგებარი და ირონიულ თამაშს ადევნებული ჯამბაზი... ნოდარი ალრსაონის ეტლით მიბრიგინებს ალის ქუჩებზე...

ახე იწყებს რ. ჭეიშვილი თავის რომანს, გმირი კი ცხოვრობს. ირონიული უვერტიურა, მთელ რომანს კონტრაპუნქტად ადევნებული, წინასწარ გვაგებინებს ავტორის პარადოქსულ პოზიციას რომანში აღწერილი სინამდვილის მიმართ. როგორია ეს სინამდვილე? — ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ეოფითი. მოდის ახალგაზრდა კაცი, ნებასა და იდეას ნაზარევეი, ენერგიით დატვირთა, ქმნადობის, მოძრაობის, ეეოლუციის, ხორცშესხმის ორინცაციებთ. ამ ქალაქში უნდა იშვას იგი სიკეთისა და ბედნიერების **Homo Faber**— ად, მაგრამ ხვდება, საკუთარი, ჩაკეტილი ყოფიერება რომ არ არის საკმარისი, ხაჭიროა სხვისეუფლის განუწყვეტელი გათავისება, დაიუფლოს სხვათა ბედი, მიზანი, არსებობაც კი. სხვანაირად არაფერი გამოვა. რ. ჭეიშვილიც არ აყოვნებს და საკუთარი გმირის არსებობას ე. წ. „ლოგიკურ საფეხელს" უგებს, შემოაკეს ფონი (ნოდარის ამხანაგები, თანამშრახველები, თანამოსაქმეები), რაზეც იქარგება გმირის ყოველდღიური ცხოვრება შემდეგ. ეს ფონი ალეცილებელია ნოდარის, როგორც ინდივიდის მიზანმიმართული ყოფიერების ნაღდი, რეალური არსებობის პრინციპად. ამის გამო, შეიძლებოდა ნოდარ გერაძე ეგოცენტრიკული პიროვნებად მოგვეწვალა. არა! იგი საკუთარი მიზნისა და მისის გამართლებას სხვათა სიკეთეში, ბედნიერებასა და დახმარებაში ხედავს. დასასაბუთებლად ბათო ენანაა და „ნაციხარი მედოლის" დახმარებაც ქმარა. ამ მხრივ, ნოდარ გერაძე, ერთგვარად, ლამპარეული ოდალგოს ახალიაციებსაც ინვევს მკითხველებში. „მწუხარე სახის ჩარინდოან" მისი მსგავსება ქმედების სტიმულირებაზე დევს. ეს სტიმული არ

ალეკო გაგელია
სიცოცხლის კარიდა

არის საყოველთაო. მას სერიოზულობა მათივე არენის შიგნითა და მათივე ჯგუფში თუ გასდევს. იქით და მის მიღმა ეს სერიოზულობა მეთვალყურეთა ირონიულ ლოგებში ინაცვლებს და უაზროდ ამსხვრევა (ფეხბურთის თამაში, რაღაც ქორეოგრაფიული ჯგუფის შექმნა ტექნიკუმში).

გაუთვისებნობიერებელი ირონიაა სიცილისა და კომიზმის წყარო, ხოლო გათვისებნობიერებული ირონია თანდათან ტრაგიკულის რანგში იწყებს გადანაცვლებას. ეს გადანაცვლება ქმნის რეზონეტორულ ნაშრომში კულმინაციას. ეს კი ის დგომელია, როცა ირონია ერთ-ერთი სოფლის კლუბში სცენაზეაე შეიტრესად ნოდარის თანაჯგუფელებს. აქ დაუხვა წერტილი მათ შემოქმედებას, მათ მიზანმიმართულ და ორიენტირებულ მოძრაობას. სხვა სოფლები მათი „გასტროლები" არც შემდგარა. შეუოცხუოფილნი და გაცრუებულნი ღამის ტალახიანი გზით ბრუნდებიან ისინი. ბრუნდებიან უკან, არარაობისა და უმიზნობის სამყაროსაკენ, გულისხმმოწყვლილ ეზმშარიტებას ერთავად „ამოუს თუთიოუშვილი" რომ ღაღადებს: „ხისულელეი, ყველფერი ხისულელეა! ხისულელეი, ყველფერი ხისულელეა!..."

და ფაციფუცობს ათ მაინც, მოძრაობს, ანგრევს, ქმნის... ხოლო შუაღამით, როცა წამით იყუჩებს სიცოცხლე და შეჩერდება დრო, „ბკვდარ" ქალაქში მდუმარედ ჩაივლის დინოზავრთა უზმაურო და ჩუმი კარნავალი. ჩაივლის ქვაში ჩარჩენილი და სამარადამოდ გაქვავებული სიცოცხლე, როგორც ირონია ათას დღევანდელი სიცოცხლის, პაროდია ყოველგვარი არსებობის. დროის იქით და უსიერცობაში მოწყობილი დინოზავრთა ჩუმი კარნავალი მწერალს სიმბოლური ჰაგვით დაკავშირებული აქვს ალეფთა სადემონსტრაციო კოორნაციასთანაც. ახე ჩაივლის ალბათ „ჯადოსნურ ყუთში" მოკცეული ლი ფდადმიწის ხმაც ოდესმე, პაროდიის უკამო ელიფსზე...

...მთელი ღამე ლაფში და ტალახში ნაირევი ეოფლხო ალიეფში, უკვე ამ ტრაგიკულ ეზმშარიტებას ნაწილობრივ ნაზიარევნი, რეინგზის ერთ პატარა ბაკანზე მატარებელს ელოდებიან, რომელმაც ქალაქში უნდა დაადარუნოს ბიებები. ამ ლოდინში „ეიღაც გამხდარმა" ცალხელი კაცმა ლიანდაგი გადმოკრა და პირდაპირ წყაროსაკენ წამოვიდა გაჩქარებული. ბაკის დიდი ქუდი ეხურა და იმგვარივე კიტელი ეცვა. ვეერდზე ტკვეს ძველი ჩანთა-პლანშეტი ეკიდა, ოფიცერები რომ ხმარობენ ხოლმე, იმდაგვარი...

...ცალხელიან კოტიკოს ყური არ ათხოვა, თუმცა ნოდარიმაც იგივე გაიმეორა. იგი დაფინებით ამტკიცებდა იმდღევანდელი კონცერტის აუცილებლობას და სარგებლიანობას, სრული ანწყალგისა და შემოქმედებითი წარმატების გარანტიასაც კი იძლეოდა. არავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება არ ჩრიდა. ცალხელი თავდაღ ნ ერთხელ ნათქვამს იმეორებდა და თავისას ბ ერეკავდა".

ეს უკვე აშკარა ცინიზმია მწერლის, რასი კომენტარებაც ზედმეტად მიგვაჩნია და, ერთგვარად, რომანის მთავარი მოქმედი გმირის ნოდარ ვერაძის აიისეული მისიის დასასრულია. მაგრამ, საერთოდ, მოქმედება რომანში ამით არ შეწყვეტილა, ნოდარ ვერაძე მაინც მოძრაობს სიცოცხლისა და ცხოვრების ელიფსზე (ტატე ვარაძის დაკრძალვის ცერემონიალის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა აიის მხატვრულ თვით-შემოქმედებაში). ეს არ არის მოძრაობის კინეტიკური ხასიათი. ეს უფრო დაგორებული ქვის მოძრაობას ჰგავს, პოტენციალი მიმავალს, რომელიც სადაცაა გაჩერდება.

რომანის დასასრულს აიას რკინიგზის ბაკანზე „თავისი დიდებისა და უბედურების მატარებელ, ალზეკეფისა და დაცემის. (იაზონი — ა. გ.) ბოლოს დახავსებული კიჩოს ჩრდილში წამოწვა და დაიძინა. დაოქლეტებული, ფრიმამეშული, დაძველებული ეგი მოწყდა ადგილიდან, იაზონი დაიტანა და თავის ნამსხვრევებთან ერთად დაფლა გაკამკამებულ ზღვის ფსკერზე".

ახე მიდის ნოდარიც დავიწყების ჭარავისფერ მტვერში. აიაში ცხოვრების ბოლო წუთებში გმირი გაიცნობიერებს მის სრულ უთვისტომოობასა და უცხოობას აიას მკვიდრთა შორის. უფრო ზუსტად, თვით აიას მკვიდრთა მიერ მისი სრული იგნორირებული ტრაგიკული აქტი (გვეინსენოთ ტაკმის დაკერისა და თანდარიზ კეზეკაძისადმი ღვინის გაგზავნის სცენები). იგი ხომ ამ ქალაქის ნაწილი იყო, ღვიძლი შვილი, ტაბიური მოქალაქე და ამავე დროს, მას ანგარიშს არავინ უწევს, არავინ მიიჩნევს სრულფასოვან თანამოქალაქედ. მაგ, რა იყო მთელი ის ურთიერთდამოკიდებულება ნოდარსა და აიელებს შორის? ამ კითხვის პასუხს ისევ რომანში, ნოდარის ერთ-ერთი მეგობრის — გივის ფიქრებში თუ ვპოვნით: „ეჩეკნებოდა (გივის—ა. გ.), რომ ადამიანები სულ ტკუოლაგ უაბლოვდებოდნენ ერთმანეთს და ეს ფორმალური, მოჩეკნებითი სიახლოვე დროებით ფარავდა ამ სიცარიელეს, რომელიც შემდეგ თანდათან უფრო ნათლად და სრულად შიშველდებოდა. არავინ არავისთვის არ იყო გაჩენილი. ყველანი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ცალ-ცალკე არსებობდნენ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუზოგავად, დაუნდობლად ატუუეტდნენ ერთმანეთს".

ახე გადის ნოდარი აიას სიცარიელიდან. მაგრამ სად, საით მიდის გზა? აქ გმირიცა და მკითხველიც ერთი ტრაგიკული კითხვის წინაშე დგება; ვკაჩნია თუ არა მას, ნოდარ გერაძეს, აიას იქით არსებობის ფორმა? გავითვალისწინოთ, რომ იგი აიას მკვიდრია, აქ შობილი და გაზრდილი, შემდეგ უცხო ქალაქს მიზანსწრაფული მიხეთი „ბარდანეფილი". კონკრეტულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი არ გვიხატავს გმირის უცნობ ქალაქში გაგარეშეულ წელებს. მხოლოდ, აიაში განვითარებული მოქმედებებით ვხვდებით, მისი ცხოვრება იმ ქალაქშიც რომ ვერ აწყობილა. და ახლაც იმ ქალაქში ბრუნდება ღრმად დარწმუნებული აჭეჭრადაც, იგივე ბედი რომ ელის უცნობ ქალაქში დაბნეული შვილის ხელმეორე მიბრუნებას.

ამ გასაოცარ, უკვე გაცნობიერებულ და შემაძრწუნებელ მარტოობაში ნოდარს, როგორც მის ერთ-ერთ სიყრმის მეგობარს, საშინლად უნდება ყვირილი, ყვირილი, სიცოცხლის ირონიული ეტლით ბარეულის შიშით და არ არსებობის შესაცნობად მონიგებული არსებობის გროტესკული სეზდით ნაგვემი სულისა, თავშესაფარი მხლოდ მარადიული დევნის პაროდირებულ მეტამორფოზებში რომ ჰპოვა.

ახე გაუცხოდა ნოდარ გერაძე საზოგადოების წინაშე. დაირღვა რწმენით შეკრული და შედუღაბებული ერთობა, ჩაეყდა ხიდი, რომელიც ესოდენ მყარი ჩანდა. მგრძნობიარე და მოაზროვნე სუბიექტმა და უფრძნობელმა და უაზრო ობიექტმ — საზოგადოებას შორის, თითქოს, სამუდამოდ გაიკალკა საზარელი, უნაპირო და უძირო ნაპრალი ურთიერთ უცნობობისა. ილუზორულ ხავსოსან რეალური სიცარიელე და სიმწარე ენაცვლება ბოლოს.

ნოდარის ბონება მოტაკუნვდა ხილული სინამდვილის არამდგრადობით. სასრული ვერაფრიდან ჰპოვებს სიიმედო საყრდენს უსასრულოობათა შორის, რომლებიც გარს ერტყმიან და გაურბიან მას.

ვინც ეს შეიცნო (ოთარ თავდგირიძე), სამუდამოდ დაკბრა და ალარასოდეს შეეცდება ბუნებით დადგენილი ზღვრების დარღვევას. შეალედერი მდგომარეობა, რომელიც ბედისწერამ არგუნა მათ, თანაბრად დაშორებულია ორ უკიდურესობას — ფუნდამენტურ რეალობას თუ წარმოსახულ სინამდვილეს. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს რომელ გზას აირჩევენ ისინი ცხოვრებაში, ახსოვდულო თამაშის თუ სერიოზული სიგიჟის? ან იქნება ადამიანებს დაუდგებათ ყოფნაში დაეჭვების ისეთი წამი, როგორც თომას მანის ვან დერ კვალენს ბერლინი-რომის ექსპრესით მგზავრობისას?

აიადან გასვლის მომენტში ბაკანზე მატარებლის მოშლოდინე ნოდარ გერაძეს აია, მისი სიცოცხლე, მისი საქმიანობა ცნობიერების მიღმა სიზმარეულ წარმოსახვად დარჩა, როგორც ვან დერ კვალენს უცნობ ქალაქში გარდამფლარი ამბები. არც აია სცნობს თავის „უძღებ შვილს". ამაზე დაფიქრებული ვეიშვილის გმირი შეიძლება თომას მანის გმირივით ფიქრობდეს; იყო კ აიაში? იქნებ, სულაც არ შემდგარა ეს მისია?

რ. ვეიშვილი გმირს აძლევს ახეთი ეჭვიანი დაფიქრების საფუძვლებს, მაგრამ მკითხველი? გაიზიარის მკითხველმა რომანის გმირის არ ეფიქრა ისე უსაფუძვლო ეჭვები?

თუ ღრმად ჩაეიხედვა რომანის არსში და, კერძოდ, დასაწყისსა და დასასრულში, მწერალი ყოველ ყურადღებიან მკითხველს ამის საფუძველს აძლევს.

ქალაქში შემოსვლისა და ქალაქიდან გასვლის ერთი და იგივე დრო, ერთი და იგივე სიტუაცია, ერთი და იგივე ოფლენები — აი, ის, რაც მკითხველსაც აეჭვებს — იქნები, სულ არ შესულა გმირი აიაში, გადაფიქრა და უკან მიბრუნდა? რომანში აღწერილი სინამდვილე იქნებ, მისი შესაძლებელი საქმიანობის ჭვეცნობიერი წარმოსახვები იყო?

რეზო ჭეიშვილის რომანიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია; ჭეშმარიტ სიცოცხლეს მუდამ მეტაფიზიკური ხახე აქვს. იგი ან მეხსიერებით შეკოწიწებულ წარსულში უნდა იდოს, ან ბუნდოვანი მომავლის ცისფერ ბურუსში რიალებდეს. ნოდარის სიცოცხლეც ასეთია; როცა იგი სადგურზე დგას მისი „ახლა" სიცოცხლე — წარსულია, რომელიც შეიძლება აიც ყოფილა, ან მომავალი (ხათოკა ახლა მიდის), რომელიც შეიძლება არასოდეს შედგეს.

ნებისა და ძალაუფლების ირონია

მწერალს ნოდარის არსებობისათვის წერტილი არ დაუსვამს. ნოდარ გერაძის სიცოცხლის ლოგიკური გაგრძელება (შეიძლება პირიკით, ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს) ელგუჯა ვაშაძეა (მთავარი მოქმედი გმირი რომანისა „დალი"). დაირღვა მხლოდ დრო და სივრცე, ჭვრეტიცა და გააზრების კუთხე, ქმედების საწყისები. ოღონდ, ერთი რამ ცხადია, ორივე გმირმა არასოდეს იცის საიდან და რა ადგილიდან შემოდის მოქმედებაში, მარადი მეტამორფოზის ლაბირინთებიდან სად იღებს სათავეს მათი მისია, ან სად არის მათი მარადადებადი პიროვნების საწყისი წერტილები.

სოფელი „მანდიკორი" თავიდანვე გაურკვევლობის შინაარსს აბარებს მკითხველებში. არც გმირმა (ელგუჯა ვაშაძემ) იცის შობლიური სოფლის ეტიმოლოგია.

სიტყვა „მანდიკორის" ეტიმოლოგიის გახსნის ორივე ვერსია კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს. ბუნდოვანება ბოლომდე რჩება მკითხველსაც და რომანის გმირსაც. პარალელში: ნოდარ გერაძეც გაურკვევლობად შემოდის და ასევე გაურკვევლობაში მიდის. ელგუჯა ვაშაძის ბედიც ასეთია. ისინი გაურკვევლობაში ერწყმიან ერთმანეთს. აქედან იწყება „დალის" გმირიც თავის ოდისეას. ნოდარ გერაძისაგან განსხ-

---

ალეკო გაგელაია
სიცოცხლის პაროდია

ვავებით ელგუჯა ვაშაძე ეგოცენტრიკოსია. მის პიროვნებას უკიდურესი ტრანსსუბიექტივისტური იმპულსები ამოძრავებს. მთელი მისი ბისი და-ყურობისა და რაღაის დაუფლების პათოლოგიურ ლტოლვაში იკვეთება.

„მანდიკორელ კონკისტადორს'' — ელგუჯა ვაშაძეს ქალაქში თავისი ძალაუფლების დამკვიდრებისა და უფამაზესი ქალის — დალის დაუფლების დემონური ენინ იპყრობს.

ცხოვრება არ არის უეცლო გზა ვარსკვლავეთ-ბისაკენ. ყოველ ნაბიჯზე ვიწყდებით წყვდიადისა და ანსოფიის უფსკრულებს.

ქალაქის სიდიდეთა და მისი მკვიდრი ელიტის რაფინირებული სიმაღლეთ პირველ ხანებზე შემკრთალი პროვინციელი კონკისტადორი იძულებული ხდება მამაცურად მოაზდინოს არჩევანი, არჩევანი ნებისა და ძალაუფლებისა, მხოლოდ არჩევანი ნებისა და ძალაუფლებისა, მხოლოდ თვითონაც ალარ ეხმის რაღაც და რისთვის შედგა ეს არჩევანი. შეცდომები ნათლად, მხოლოდ განვლილ გზაზე თუ სჩანს, მაგამ კი სიმარცლეს სერიოზულობის ნიღბები ფარავს. როგორც კი გაიხსნა სერიოზულობის ფარდა და ავანსცენაზე კოკქლა ირონიამ ჩაიარა, ელგუჯა მიხვდა სერიოზულობამ თამაში რომ დაამთავრა და ამით, ერთგვარად მის მისიასაც რომ დაესვა წერტილი. ფიზიკურად, როგორც ნოდარი, ისიც არსებობს, მაგრამ მისი სულიერი სამყარო, მაზნის სამყარო, რისკენაც მთელი მიზანშიმართული ქმედებით ისწრაფვოდა იგი, უაზროდ დაეშალა. „თუ კი სამყაროს მისივე თვალით არ უცქერი, მაგრამ შენი მხედველობის არეში კი ვავეს, —წერს რ. მუზილი მოთხრობაში „ტონკა'' — მაშინ ის (სამყარო, სიცოცხლე — ა. გ.) უაზრო ნაწილაკებად დაიშლება და ისევე ნაღვლიანად დაიფანტება, როგორც ვარსკვლავები ღამით''.

ასე მოსდის ელგუჯა ვაშაძისაც. გავიხსენოთ, დალის დაკრძალვის მომენტი ეურნალ „ცისკარში'' გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით; „ელგუჯამ ახლა უფრო გარკვევით დაინახა მიცვალებული. მიცვალებული და არა დალი შელია. კუბაზი ვინც იწვა ის სხვა იყო, დალი შელია — სულ სხვა''.

მართალია, წიგნად გამოცემის დროს მწერალს, რაკიმღაც, ეს ფრაზა ამოუღია, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. ეს ფრაზა, საერთოდ, მაინც ჩანს, მაინც იკითხება რომანში.

ელგუჯამ სერიოზულად ირწმუნა დალის მშვენიერების სამყარო, რომელსაც იმავე სამყაროს თვალით კი არ შეხედა, მხოლოდ თავის მხედველობის არეში, თავის წარმოსახვებში მოაქცია. დასასრულს იწყება სინამდვილის ირონიით პათოლოგიზებული სერიოზულობის ალმა და რეალური დალის სიყალბის იდუმალი გამეღვენებაც.

რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები არ არიან პასიურნი. ისინი ცხოვრობენ არა მედიტაციისათვის, არამედ აზროვნებენ და მოქმედებენ მათივ ფილოსოფიურ ხორცშესხმისათვის. უწყვეტი მოქმედება ამიტომაცაა მათი არსებობის მიზეზიც და გამართლებაც.

ერთი რომანის მიხედვით („ჭალაჭში დინოზავრები დადიან'') გმირი, ნოდარ ვერაძე, სუბიექტური ღირებულებათა შექმნისაკენ ისწრაფვის. ეს გმირი სულიერ ელიტათა რიგს განეკუთვნება. მეორე რომანის („დალი'') მიხედვით კი გმირი, ელგუჯა ვაშაძე, მიდის არა სუბიექტურ ღირებულებათა შექმნისაკენ, არამედ ობიექტურ ღირებულებათა და რეალიათა ეშმანსნიერსაკენ.

ელგუჯა ვაშაძე ეს არის ახალი ტიპი, რომელსაც სიცოცხლე იოლ და არა ტრაგიკულ დრამად ესახება, „ელგუჯას მოეჩვენა, რომ ჭალაჭში უზარუნელად და იოლად ცხოვრობდნენ''. ამიტომაცაა ელგუჯა, როგორც ყოველი საშუალო ინდივიდი, თავის თავში ბატონობისა და ტრიუმფის გრძნობას რომ აღმოაჩენს. გამოდის რა ცხოვრებაში, გმირს ყველგან შეაქვს თავისი ვულგარული მოსაზრებებით მიპერტროფირებული სინამდვილე. მიდის „პირდაპირი მოქმედების'' პრინციპით. ცდილობს თავისი მორალური და ინტელექტუალური აღმატებულობის მტკიცებას ფიზიკური სიძლიერის საფუძველით: „იგი ბიგეს დაკვირდა, თავი უნებურად შეიდარა ხუთიოეს და გუნებაში განსაზღვრა, რა უპირატესობას მოიპოვებდა ამ ჭალთა ლეგონის წინაშე...''

საბოლოო ჯამში ემპირიული სინამდვილის წაბნეგებთან „უხეშში'' შეჯახების დროს გმირს კათარზისის პროცესი ეწვევა. ეს პროცესი, უეჭველად, ტრაგიკული უნდა იყოს.

ჩაკვდა ბატონობისა და ტრიუმფის გრძნობა, მოკმედებისა და მოძრაობის ენინ და ელგუჯა ვაშაძე, ლოგიკურად მედიტაციის სამყაროში აკეთებს უნებურ რეკს. იგი ცივი გონებით იწყებს განვლილი გზის ანალიზს. ანალიზს იმისას, თუ რისკენ ისწრაფვოდა იგი და რა მიიღო ბაბლოოდ მიზნისაგან. მაგრამ, ამაოა გონება შეცნობად იმისა, თუ რისკენ ან რისთვის ისწრაფვოდა ეს პარანოიდული ფსიქოპატი.

როგორც ნოდარ ვერაძე, ისე ვერც ელგუჯა ხვდება იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანთა სულის უმადლესი გამოხატულება მხოლოდ და მხოლოდ თამაშში თუ მეღვინეებსა, რადგან მხოლოდ თამაშია ის ერთადერთი და ძირითადი პირობა, სადაც არასოდეს სრულდება ხანე, სადაც ფუნდამენტური სინამდვილის ვიტალური ნაკადი მუდამ უწყვეტილო, მუდამ უსრულის ხასიათს ატარებს.

ბლეზ პასკალი „აზრებში'' ერთგან ასე წერს: „...გრძნობები ყალბი მოჩვენებებით აცთუნებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითი და რეალობა — კონგლომერატის პარადიგმა, მშვენიერების ზღვის ძიებანი ირონია

გონებას. სამაგიეროდ, გონებაც არ რჩება ვალში და, თავის მხრივ, აცთუნებს მათ. სულის ვნებები ამღვრევენ გრძნობებს და ყალბ შთაბეჭდილებებს ახვევენ თავზე. ისინი საოცრად ტუტიან და თავსაც იტუფებენ".

ახე ემართვა ელგუჯასაც დალის სხეულში მშვენიერების მოდელირებისა და წარმოსახვის ეჟამს.

როცა იგი უკანასკნელად ცდილობდა დაეჭირა დალის სბიოლოო სახე, ბოლოსაც ისეთივე დაბნეული რჩება, როგორც კიტენა ალბას ქალ-როფორმებით თავბრუდახვეული გოია, რომელსაც ყოველ ახალ შეხვედრისას ეხასნები მერცოგანიას სახე მუდამ ახალ გრიმასებში ეკლინებოდა.

რომანის დასასრულს ელგუჯა ხვდება, რომ მისი და დალის სენტიმენტალური ინტრიგა მხოლოდ შედაპირული სერიოზულობაა და მათი სიყვარული კი ირონიის ზერელე თამაშის საკარნავალო ნიღაბია. რომ მთელი სიცოცხლე მისი ადაპტირებული გონების მხოლოდ წარმოსახვა ყოფილა და ამასთანავე, ჭეშმარიტების დიდი სიყალბეც.

საკუთარი წარმოსახვის ტალანტით ჰიპნოზირებულმა და მეტისმეტად სუბიექტურმა ელგუჯა ვამბეშე, როგორც კი დაინახა საკუთარი სულიერი საუფლოს წარღვნა და დაკარიელება, იმ წამსვე იგრძნო მის მიერვე წარმოსახული სამყაროდან გაქცევის დაუოკებელი წადილი. სურვილი აუცილებლობად იქცა და ელგუჯაც წარმოსახული სამყაროდან რეალურ, ობიექტურ სამყაროში იწყებს გადადგომგებს.

ეს იწყება მისი იპოკონდრია, მორალური ცვლომა, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების რღვევა, ერთგვარ ინდიფერენტიზმში გადანაცვლება, რომელიც უეჭველად გმირის სულიერი ტრაგედიის ახევე ტოტალურ სახედ უნდა მივიჩნიოთ.

„ადამიანი. — ამბობს ორტეგა ი — გახეტი, — გვეკითხება არა რაიმე საგნად, არამედ დრამად". ადამიანური სიცოცხლეც დრამა. დრამა ჭეშმარიტის ორივე რომანის სინამდვილე, მაგრამ ეს არ არის კლასიკური დრამის სახე. იგი პარადიგრებული დრამა. უფრო მეტიც, თვით ადამიანია არაფრისა და ყველაფრის უსასრულო პარადიგრებული დრამა.

წერტილდასმული აზროვნება არ არსებობს. არც ჭეშეშელის რომანებია წერტილით ერთმანეთისაგან გამიჯნული. ორივე რომანის კონტრაპუნქტი, სწორედ იმ არაფრისა და ყველაფრის უსასრულო დრამაში ეღერს. და ამ დრამაში იხატება არარაობის ძმიმე ტვირთით გაჯერებული ჭეშეშელის გმირთა სახეები, თუმცა როგორც ბოთის ტილოებზე ახასენი მომხიბლავი ხაზობანები, თავიანთ მომხიბლაობას ისინიც ინარჩუნებენ.

მითი და რეალობა — კონგლომერატის პარადიგმა, მშვენიერების ზღვის ძიებანი ირონია

მითი და რეალობა! მითი და სინამდვილე! მითი და თანამედროვობა! დიდი ხანი არ გასულა კაცობრობის ცივილიზაციის ისტორიაში, რაც ეს პარალელები, ცნებანი ახეთი დუუმვირატები წარმოიშვნენ.

თავისთავად საინტერესოა XX საუკუნის თანამედროვეობიდან უსხოვარ მითისაკენ კაცობრობის მიბრუნების აკტი.

რამ გამოიწვია ადამიანთა დაინტერესება მითისა და თანამედროვეობის საკითხებით? რა საფუძველზე მოხდა მათ შორის პარალელის გავლება? ან, ხომ არ არის ეს მიბრუნება კანონზომიერებათა ნაკარაბვი?

ამას უბრალო მეკანიკით ვერ ავხსნით.

დავიწყოთ ჭეშმარიტების ერთ-ერთი პოსტულატით — გზა ალმავალი და დალმავალი, ერთი და იგივე გზაა, ანუ, სიცოცხლე ელიფსია. მაშინ, ხომ არ მივსულვართ კონგლომერატის იმ წერტილში, სადაც მითი და რეალობა, მითოსისა და სინამდვილის სამყაროების ურთიერთშეერწყმა მოხდა? იქნებ ელიფსია მთლიანი კონგლომერატის კატეგორია, როგორც აწმყო დრო წარსული და მომავალი დროის მუდმივი გადაკვეთა?

რადგან ჩვენი წერილი ლიტერატურის სფეროს ეხება, ლიგაკეურად, პასუხნიც იქ უნდა ვეძიოთ. პირველი ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება გაიქცა მითთან. მათში მოხდა მითისა და სინამდვილის პირველი სინთეზები.

ჭეშეშელის რომანებში მითიური და რეალური გმირები ერთმანეთში არსებობენ და ერთმანეთის სიმპტომებით ქმნიან ახალ სინამდვილეს — მესამე რეალობას. თითქოს მესამე ნაირის უნდა დაესრულებინა ადამიანის შემეცნებითი ოდისეა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა. ჭეშეშელის გმირების ეს ახალი სინამდვილე ისევე აღმოჩნდა შეცნობილი, როგორც პირველი და მეორე და — იტყვის რ. ჭეშეშელი, — ადამიანი არც მარტოოდენ მითია, და არც მარტოოდენ სინამდვილე და არც მათი სინთეზი. ადამიანის შემეცნება შეგვიძლია მხოლოდ ფარდობითში. ფარდობითი კი არასრულია მდგრადი და ჭეშმარიტი.

ჭეშმარიტი მხოლოდ ამ ფარდობითობის მიღმა თუ უნდა ვეძებოთ, მაგრამ ფარდობითობის იქით აბსოლუტურად ბრმაა ჩვენი ცნობიერი ნათელმხილობა. ფარდობითში კი ტუუის ყოველგვარი ნიშანი, ყოველგვარი სახე, ყოველგვარი პოზა, ყოველგვარი ფორმა და შინაარსი. ესაა მხოლოდ მარადიული ხლეფი და ამდენად, ადამიანი სბოლოოდ ამოუცნობი რჩება.

რ. ჭეშეშელი ერთ რომანში („ჭალაჭნი დინო-

ალეკო გაბელია
სიცოცხლის პარადიგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავრება დადიან"), ერთი შეხედვით, მითითა და თანამედროვეობის მიმართება ეპიზოდურად მოჩანს. სინამდვილეში ეს არის რომანის სინამდვილის ერთგვარი სიმბოლური რეზიუმე. ერთხელ და სამუდამად გადაცემული ოჯრის საწმისი რომანის კონეცეფციით გატაცებული სიბრძნეა, იაზონი კი ამ დაკარგული სიბრძნისა და ძლიერების ძიების სიმბოლო. ეს სიმბოლოა ნოდარ გერაძე და ელეგუჯა ვაშაძეც, რომელთაც „უხილავმა მოთამაშემ" ბეშმარიტების „გლუვი უუთის" გახსნის სიბრძნე მოსტაცა, რომლის გარეგანი ბრეკეიალება სულაც არ გამორიცხავს მის შინაგან სიცარიელეს.

ნოდარ გერაძისა და ელეგუჯა ვაშაძის ოდისეაც მათი სიცოხლის, არსის, როგორც ოჯრის ვერძის — დაკარგული მაზნის უნაყოფო ძიების პროდიგია.

რ. ჭეიშვილის მეორე რომანის, „დალის" მთელი მოქმედების დასაწყისი დალის მითით იწყება. შემდეგში მოქმედების განვითარება მთ სიმბოლურ პარალელში მიემართება — გამითებულ თანამედროვეობასთან თუ გათანამედროვებულ მითთან.

რომანი „დალის" მიხედვით დალი შელია მითიზებული დალივით მშვენიერებაა. ოლონდ იგი ლეონარდოს ჯიოკონდას ირონია „ჩასახლებულ" მშვენიერებას უფრო გვაგონებს, ვინმე ჭალმერთი დალის ცივსა და ამაყ სილამაზეს. იგი, როგორც დაცემული ცხოვრების, წუმპისა და ძირის ჭალმერთია, ასევე, ამაღლებულის წმინდანური შარავანდედით მოსილი ადეილების, სადაც ორივე მხარე ერთნაირად მიისწრაფვის მის დასაუფლებლად.

ვფიქრობთ, მითში „დალი" მშვენიერების ფაუსტური ძიების მიკრატაია ასახული. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართველი ფაუსტი (მონადირე — ა. გ.) ერთგვარი შიშით მიდის ამ მშვენიერებისაკენ, თითქოს იცის მისი დამღუპველი ძალა.

გავიხსენოთ, რა ემართება ფაუსტს, მარგარიტას მშვენიერების ხილვისას.

გავიხსენოთ, რა მოსდით მონადირეებს ჭალღმერთ დალის (ალის — ა. გ.) შეხვედრისას. ელეგუჯა ვაშაძის ნათლია, ლაშილელი კაცი თავგადადებული ამტკიცებს: „უმაწვილკაცობაში ცხენზე ალი შემომიხტა, მისი ბრეკეალები ბეკზე ახლაც მატყვიაო, კიდევ კარგი, არ მივუხედი, თვარა წამახდენდა და დამკარგავდაო.

— რატომ? — უკვირდა ელეგუჯას.

— არ შეიძლება შეხედვა. ეს ფერ დაივიწყებ და დალუპული ხარ"...

ელეგუჯასაც აქვს ბეკზე დალი შელიას ბრეკეალები. მან „მიუხედა" დალის. მერე?.. მერე იოლებება, სულიერი სამყარო ემსხვრევა, რადგან დალის მშვენიერება პარადოდა ყოფილა, რომლის დასაუფლებლადაც მთელი ოდისეის გზაზე ისწრაფვოდა იგი.

რომანის სათაურიც ერთგვარი მინიშნებაა მწერლის მხრივ, დალი შელიასა და მითიზებული დალის, ელეგუჯასა და რომელიმე მონადირის სიმბოლური ერთიანობისა.

დალის მითი რომანის კონტრაპუნქტია, სადაც მითისა და რეალობის კავშირში, მწერლის იდეის საზრისი ილანდება.

რ. ჭეიშვილმა მითის მოხმობით თანამედროვეობასა და უფველეს წარსულს შორის მუდმივი პარალელისა და ურთიერთრთობის გაცნობიერებული ჯაჭვი ჩასდო (შდრ. ჯოისის „ულისი").

რომანი „დალი" ეგზეზიდან თანამედროვეობამდე მშვენიერებისა და სრულქმნის სამყაროსაკენ აკცობრობის შეშლილი, პათოლოგიური ლტოლვის ჭეიშვილისეული პარადოქსი ინტერპრეტირებაა, რომელიც მუდმივი ძრავის როლს ასრულებს მწერლის შემოქმედებაში.

ბუნებაში არ არსებობს გათიშული კატეგორიები: მითი და რეალობა, ძირითადი და არა. მთავარი. სიცოცხლეც მათ ელიფსია, მოქცევა და მოქცევა მითისა და რეალობის, წარსული და მომავალი დროის შუა, მარად აწმყად გახიდული, სადაც უამრავი ფარდობითობაა. სწორედ ეს ფარდობითობებია პარადოის საწყისი წყარო, იმდენად, რამდენადაც ფარდობითი მუდამ ბეშმარიტების გრძნობებში შენიღბვასა და იქიდან გაცხადებას ლამობს, რასაც იგი აღწევს კიდეც. ამიტომაცაა ჭეიშვილის გმირები გაუთვისებლობიერებელი ლტოლვით ფარდობითით პარადოქსებული ბეშმარიტების დაუფლებისაკენ რომ ისწრაფვიან მუდამ.

ამ სწრაფვაში, ფაქტიურად, არც შეიძლება გაირკვეს სად მთავრდება მითი და სად იწყება თანამედროვეობა, სად ძირითადი და სად დამოკიდებული. სად ბეშმარიტი და სად კიდევ ხიუალე. რომანი მთლიანად ამ წინააღმდეგობათა ალრეკვაა, სადაც „პირდაპირ არ იცი როგორ უნდა მოხერხდეს ყოველივე ამისგან ძირითადის გამოკვეთა (ო. პაკკორია: „ისევ მანდელორტელთა გამო". „ცისკარი" 1970. № 12, გვ. 148).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შავგულიძე

დროისა და სივრცის გარეშე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა, სულიერ ფასეულობათა სწრაფმა ცვალებადობამ, ამ რთული და ბოროტჭარი ხანის არამყარ ღირებულებებში გარკვევისა და შედგენი განმსაზღვრელის ძიებებმა წინააღმდეგობებით აღბეჭდეს მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მეორე პერიოდი. ეთოქისმიერი, „ახალი ადამიანის“ ფსიქოფიზიკური კომპლექსის მხატვრული ადეკვატისათვის უეცილებელი, ერთიანი ფილოსოფიურ-ესთეტიკური მოდელის არარსებობის პირობებში მწერალი, ხშირად ვერ პოულობდა მხოლოდ ერთმნიშვნელიან, ახსოლუტურად სწორ იდეურ თუ მხატვრულ ორიენტირს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ მ. ჯავახიშვილმა, შემოქმედების მეორე პერიოდში, საქართველოში რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოხდენილი დიდი გარდაქმნების მხატვრულად ასახვის ცდებთან ერთად, ძველი ინერციით, მისთვის კარგად ნაცნობ რევოლუციამდელ სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოში ჩამოყალიბებულ ხასიათებსა და ე. წ. ნეიტრალურ (გრ. ხერხეულიძე) თემატიკას დაუთმო უურადღება. ეს მოვლენა იზოლირებულად მხოლოდ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისათვის, ან იმ პერიოდის ქართული პროზისათვის არ იყო დამახასიათებელი. ანალოგიური ვითარება სუფევდა ოცი-ან წლების ქართულ პოეზიაშიც: „თანამდროულობის თემატიკასთან ქართველი პოეტების მისვლის გზა არ იყო იოლი; იგი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. ახალ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები, ჯერ ერთი, არ ქმნიდნენ სიმძიმის ცენტრს, ხოლო რაც მოთავარია, ახალი მოვლენების მხატვრული გააზრება მათში ხშირად სასურველი განზოგადების სიმაღლეზე არ იდგა. ახეთ პირობებში ქართულ პოეზიაში თანამედროვე ცხოვრებასთან თანამიმდევრული დაახლოების ერთგვარ ფაქტორად იქცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეიტრალური თემატიკად. ამ პირობით ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ თემებს, სადაც არ არის ახალული არც თანამედროვეობა და არც ჯარსულის მოვლენები, არამედ გადმოცემულია ადამიანისათვის თანადროული გრძნობები, რომლებიც ყველა დროისა და ჭვეყნის პოეზიაში პოულობენ გამოხატულებას“. (გრ. ხერხეულიძე, თანამედროვე ქართული პოეზია, ოცეული წლები, თბილისი, 1977 წ. გვ. 196).

მართალია, მ. ჯავახიშვილის მიერ ამ პერიოდში შექმნილი მოთხრობების ერთ ნაწილში პერსონაჟთა სამოქმედო სივრცე იმ კონკრეტული სოციალურ-ტიკური ვითარებითაა შემოფარგლული, რომელიც ოცეული წლების საქართველოში სუფევდა, მაგრამ აქ მწერალმა, უმთავრესი ყურადღება რევოლუციამდელ გარემოში ფორმირებული ინდივიდუალური ხასიათების ახალი ყოფის მიერ მოტანილ პრინციპებთან დამოკიდებულებაზე გაამახვილა. თუ მისი მოთხრობების ამ ნაწილის ზოგიერთი გმირი გარკვეულ აქტიურ განწყობას ამჟღავნებს განახლებული სამშობლოს ბედის მიმართ და მზად არის ყველაფერი გააკეთოს მისი კეთილდღეობისათვის („ფინჯანი“ — ნოდარ შუბიძე), ან კიდეც ლოიალურად ეკიდება ქვეყნის სახიკეთო გარდაქმნებს და თუ არ აქტიურობს, თავის ადამიანურ ღირსებას ინარჩუნებს და ისე ცხოვრობს (მოთხრობა „ხუთის ამბავი“ — ალვა ჯავრიძე), მოთხრობების „პაპა დიმოსა“ და „ჭურდის“ მთავარი პერსონაჟები არც აქტიურები არიან და არც ახალი ხელისუფლების მტრები. თუ მოთხრობის „ჭურდი“ მთავარი გმირის, სტეფანე ჩირაძის ტრაგიზმი პარადოქსული ინტონაციებითაა შერეხილებული (ყოფილ მოსამართლეს, სტეფანე ჩირაძეს, კოოპერატიულ მაღაზიაში ზეკრიმლინი ქურდობისათვის სასჯელს აიცილებს მისი ყოფილი ბრალდებული. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსამართლედ განწესებული „რევოლუციური სამართლიანობისათვის“ ცოცხალში გადასახლებული, შემდეგ კი მართლა გარეოულეციონერებული გლეხი), „პაპა დიმოს“ მთავარი გმირის, პაპა დიმოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის შემდგომი ცხოვრება მხოლოდ თვითგადარჩენის, თვითშენარჩუნების სურვილითაა განპირობებული.

იმ წლების ლიტერატურული კრიტიკის უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია მოთხრობა „დამპალიეთ!", რომელიც ავტორს იდეურ შეცდომად ჩაუთვალეს, მაშინ, როცა, როგორც სამართლიანად წერს გ. გვერდწითელი „მ. ჯავახიშვილი ამ მოთხრობაში მთელი გულწრფელობით გვიჩვენებს ახალ ვითარებაში პარაზიტული ცხოვრების შენიეული ადამიანის მოქმედებას. ახალი საზოგადოება სწორედ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი შრომის პრინციპზეა აგებული, სადაც, ერთის შეხედვით არ რჩება ადგილი და საშუალება პარაზიტული ცხოვრებისათვის, მაგრამ სხვისი ცხოვრებით ფოსს ბანდას მიჩვეულები ახალ ჭეშტს პოულობენ. მ. ჯავახიშვილის ეს მოთხრობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხორცმეტების წინააღმდეგ არის მიმართული და მისი მნიშვნელობაც ამით განიხილავენ" (გ. გვერდწითელი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი, 1977 წ. გვ. 55).

ბარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებისა, რომლებიც ერთგვარად უკავშირდებიან იმ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ გარდატეხებს, რომლებიც საკართველოში ბაბეთის ხელისუფლების დამყარებამ გამოიწვია, წერილმა, თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნა რიგი მოთხრობებისა, რომლებშიც პერსონაჟთა ქმედებანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეულად გაიუმჯობესა იმ კონკრეტულმა სოციალურმა გარემომ, სადაც „ახალი ადამიანის" მორალურ-ეთიკური პარამეტრების დადგენა უნდა მომხდარიყო. მან ყურადღება მათი შინაგანი სამყაროს ასახვაზე გადიტანა, რომელიც, ერთი შეხედვით, წერილისათვის უკვე კარგად ნაცნობი ხასიათებს, პრობლემების ჩვენებაში გამოიხატა. ამ გარემოებამ კი მწერლის შემოქმედებაზე იმ წლების ლიტერატურული კრიტიკის გაფთხილებაზე თავდასმა გამოიწია. მაგრამ ოცი-ოცდაათიანი წლების კრიტიკამ, როცა იდეოლოგიური ხელოსნობა გარდაქმნას მოითხოვდა, სადაც ერთ-ერთი წამაყვანი პოზიცია მწერლობას ეკუთვნოდა, ვერ გაითვალისწინა ის გარემოება (იმ ხანაში კი ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრივი თეორია კრიტიკოსთა უმრავლესობის მიერ ვულგარულ-სოციალოგიური ინტერპრეტაციით იყო გაგებული), რომ ადამიანის ფსიქიკას გაანმდა არა მხოლოდ რადიკალური ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ტრადიციული უნარი, არამედ შედარებით დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა მის გარშემო მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისაგან. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მ. ჯავახშვილის შემოქმედებაში ვერ ინახავებოდა ის რადიკალური გარდატეხები, რაც ადამიანის ფსიქიკაში ახალი სოციალ-პოლიტიკური ფორმაციის დამკვიდრების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ვერ ინახავებოდა, რადგანაც ასეთ მკვეთრ მეტამორფოზას ადამიანის ცნობიერებისათვის აუცილებელი ბაზისური კატეგორია — ყოფის მტკიცე და შეუქცევად ღირებულებად ჩამოყალიბების ობიექტური პროცესი უნდა წამძღვარებოდა, ხოლო სამეურნეო-ეკონომიურ ურთიერთობებში გამოხატული ეს პროცესი იმ წლებში ჯერ კიდევ ძიებებისა და ფორმირების სტადიაში იყო, ხოლო უამისოდ კი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჯაჭვი ვერ შეიკვრებოდა და შეუხანამისად მხატვრულ ლიტერატურაშიც ვერ ინახავებოდა (რასაკვირველია, ეს ეხება ეშეშმარიტ ლიტერატურას და არა ერზაცშეწერილობას), თავის მოთხრობებში მ. ჯავახიშვილმა, იმ ობიექტურ მიზეზთა გამო, რომელსაც ქვემოთ შეეხებით, ჯეროვნად ვერ მოახერხა „ახალი ადამიანის" სულიერი სამყაროს ასახვა, მორალურ ეთიკური პრინციპების შემუშავება, როგორც ეს ცხოვრების რიგმის შეცვლამ, ეპოქის ამოცანებმა მოითხოვეს, მაგრამ მწერალს, როგორც უკვე ეარა ეროვნული გავფსავეთ ხაზი, იმ გარდამავალ პერიოდში მოუხდა ცხოვრება და მოდელაწეობა, როცა ძველი მორალური ამმოსფერო იფანტებოდა (მაგრამ ჯერ კიდევ ჯიუტად ინარჩუნებდა თავის პოზიციებს ადამიანის შეგნებაში), ხოლო პროლეტარული, კომუნისტური მორალის კატეგორიები ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული და შესაბამისად დაფუძნებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ „პროლეტარული მორალი" ჯერ კიდევ ლასობრივი მორალია და არა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების... ერთმანეთად, „სიტუაციური თეორიებით" „ახალი ადამიანი", მისი მორალური სახე არ შეიძლებოდა შექმნილიყო, რადგანაც „ვიდრე ისტორია არ ინებებს ახალი ადამიანის მკაფიო გამოკვეთას, ვერავითარი სოციალური შეკვეთა მას ვერ ჩამოაყალიბებს სახეებში, ისტორია კი ახალ ადამიანს ქმნის სამეურნეო-საზოგადოებრივ მოვლენებთან კონტექსტში. მხატვრული შემოქმედება მხოლოდ მაშინ შეძლებს ახალი ხედვრითი წერტილების პოვნას, როცა ის მოეკვეცვა ამ ობიექტური პროცესის ორგანულ მსვლელობაში" (ს. ამალლიანები, დიად ბრძოლათა დრამატურგია, ეურნალი „თეატრი და დრამატურგია", მოსკოვი, 1988 წ. გვ. 94. ციტატებულია მ. კვაკვაბარაძის სტატიიდან „სერგო ამალლიანელის ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებანი"), ხოლო იმ პერიოდში, როცა მოთხრობა „პატარა დედაკაცი" იწერებოდა, საამისოდ ობიექტური პირობები არ არსებობდა.

„პატარა დედაკაცში" მოქმედება ეკვინთა წლებში ვითარდება.

...ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმ ქალს მოულოდნელად ეტყვიან, რომ მისი ყოფილი ქმარი ამორან რამინიძე უცხოეთიდან სამშობლოში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკანსალებული და, რაც მთავარია, ფრიად გაწაფული დასტაკრად დაბრუნებული. სოფიოს, მოთხრობის მთავარ გმირს უკრის ამ ამბის დაჯერება, რადგანაც ამირან რიმანიძე, მისი ქმარი ყოფილი ახსოვს როგორც სქესობრივად უძლეური და ფსიქიკურ წონასწორობას მოკლებული მამაკაცი. ამის შემდეგ ავტორს, მოთხრობაში ჩართული პატარა-პატარა ეპიზოდების მეშვეობით, სამზეოზე გამოაკვეს სოფიოსა და მისი ყოფილი მეუღლის ცხოვრების ისტორია. მწერალი გულახდილად აგვიწერს მეუღლეთა ცხოვრების დეტალებს. სიფიანაც იკვეთება უმთავრესი პოზიცია — ამირან რიმანიძის უძლურობა და აქედან გამომდინარე არამყარი ფსიქიკა, რომელიც ძირითადად თვითშეგონებაზეა დამყარებული. სიუჟეტს ამმაფრქვის „პატარა დედაკაცის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, ეკიმი სპირიდონ რინველი, რომელსაც სოფიოსადმი ჭვეშა გრძნობები ამოძრავებს. ამირან რიმანიძე სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიიპატიჟა, ხოლო, სოფიო, რომელსაც გარს სპირიდონ რინველი უტრიალებს, ამ უკანასკნელზე დაკოცნინებს. ახე კრავს მწერალი მოთხრობის ეკსპოზიციურ ნაწილს, რომელიც მოვლენათა შემდგომი განვითარების საზადაა გამოყენებული.

უცხოეთში, განკურნებულ ამირან რიმანიძეს ამ საავადმყოფოში დანიშნავენ მთავარ ეკიმად. სადაც სოფიო და მისი ახლანდელი მეუღლე მუშაობენ. აქედან იწყება მოთხრობის ძირითადი ინტრიგის განვითარება, რომელიც ბოლოს იმით მთავრდება, რომ „პატარა დედაკაცის“ მეორე ქმარს, სპირიდონ რინველს ამირან რიმანიძის საეკმო ხელოვნებისადმი შურით ალვსილს (რომელსაც კონტეპსტში ღრმად მიმალული სქესთაფური მეტოქეობა უდგას საფუძვლად) განდიდების მანია დაემორთება, სულით დაავადდება და გარდაიცვლება, ხოლო ამირან რიმანიძე და მისი ცოლ-ყოფილი კვლავ ერთმანეთს დაუბრუნდებიან.

„ამ მოთხრობაში არის ბიოლოგიური საკითხიც, ცოლ-ქმრის ურთიერთობაც, მეგობრის დალატიც და ბოროტებაც, სიყვარულისა და ერთგულების გმირჯვება. ყველფერი ეს კი ყოფითი საკითხებია. მოთხრობა მკითხველს უნერგავს იმ აზრსა და რწმენას, რომ ნამდვილი სიყვარული გაიმარჯვებს, ბოროტება და შური მარცხდება, ძლიერი დუდანი ჩაკრიფულ ოჯახს ვერაფერი დაანგრევს, თუნდ დრიფთი სპირიდონს მსგავსი მიწის მგლები მიეხითნ და არიან...“ (ტ. კვანქილაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბილისი, 1966 წ. გვ. 486). მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მოსაზრების სიხწორისა, ჩვენი აზრით რჩება კონტეპსტს მიღმა მიმალული ზოგიერთი მომენტი, რომლებიც ალბათ უფრო შეავსებენ მოთხრობის რეალურ ღირებულებას. ამ მომენტთაგან უპირველესი მოთხრობაში, ალბათ, მაინც ის არის, რომ ინდივიდუალური ხასიათების განვითარება და საბოლოო კორექტირება სქესში ხდება. ამირან რიმანიძის თავგადასავალში, ვფიქრობთ, ეს ფაქტი ნათლივ ჩანს მისი სიმშვიდისა და თავდაჯერებულობის წყარო — სქესში თვითდამკვიდრება. ამ ვითარებაში წინა პლანზე მოდის სქესუალური ფენომენის ზედროული და ზესოციალური ხასიათი, რომლის მნიშვნელობის შესახებაც, ოცდაი წლების საბჭოთა მწერლობისათვის, ასეთი მოსაზრება გამოთქმულია: «Одной из причин обостренного интереса некоторых писателей к проблемам пола явились метафизическое представление о том, что революция, изменив общественно значимые свойства личности, оставила неприкосновенной ее природно-биологическую сферу, область инстинкта» (В. В. Компанеец, художественный психологизм в Советской литературе, 1920 годы, Ленинград, 1980 г. стр. 76). ამ ტენდენციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ამ მოთხრობაში დაჩრილებული კოლაზები, ხოლო რამდენადაც ეს მოვლენები ეკიმთა წრეში ვითარდება, ისინი უფრო გაშიშვლებული სახით არიან წარმოდგენილნი. ამის შესახებამისად ფორმდება ის მორალურ-ეთიკური ნორმებიც, რომელთაც არიფერი აქვთ საერთო იმ ნორმებთან, რომლის შესახებაც აღნიშნავდა ს. ამაღლობელი. მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის, ხოლოდონ ბარავიძის სიტყვებით: „არც არავინ გამტეუნებს, ფუნჩოვი ჭალი. ჩვენ ეკიმებმა, სხვებზე მეტი ვიცით, ამიტომ ზნეობის საზომიც სხვანაირი გვაქვს. რასაც სხვები ღალატს ეძახიან, ზოგჯერ ჩვენ ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია. ხალი ამბობს: გარეკნილიაო! ჩვენ კი ვიტყვით: ბუნებამ თავისი გაიტანა. ბრბო გაბრაზებს: უზნეობაა! ჩვენ კი ვიცით, რომ ეს სიხლის კანონმა გაიმარჯვა. მორჩა და გათავდა!..

...— ვერ გიგე? გაიხსენე რაზე გელაპარაკებოდით. რაც სხვამ ცოდვად ჩაგითვალა, ის ჩემთვის ისეთივე ბუნებრივი მოვლენა არის მეთქი, როგორც სეტყვა და თოვლი, წვიმა და ზნის დაბნელება, გაოენება და დალამება. ამიტომ ის ქმრის გამოცვლა ცოდვად არ მიმაჩნია...“ (მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 11, თბილისი, 1959 წ. გვ. 8). მიუხედავად ამ სიტყვებში გაფეფილი ერთგვარი ცინიკური თავისუფლებისა, ჩვენის აზრით, მწერალი უპირველეს პრობლემას, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მორალური კრიზისის პირობებში, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაუყენებს ინდივიდში „ცოცხალი ადამიანის“ პოვნაში ხედავს, რადგანაც ოცდაათიან წლებში გამოოქმული ერთი მოსაზრებით: „ლიტერატურის ამოცანა, გარდამავალი მორალის არსებობის ეპოქაში, „ცოცხალი ადამიანის“ მბა-

ტვრული ახასვა, ისეთის, როგორც ის სინამდვილეში არის".

